

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება  
Besarion Jorbenadze Society

საენათმეცნიერო  
ძ ი ე ბ ა ნ ი

**XXXVI**

Linguistic  
P a p e r s

თბილისი 2014 Tbilisi

**„საენათმეცნიერო ძიებანის“**

XXXVI წიგნი თემატურად მრავალფეროვანია. იგი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის და, საერთოდ, ენის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

**„Linguistic Papers“** volume 36 contains thematically diverse works. It is meant for linguists and in general, all persons interested in language issues.

სარედაქციო კოლეგია: EDITORIAL BOARD:

მ. ბერიძე, კ. გაბუნია, <b>გ. გოგოლაშვილი</b> (მთავარი რედაქტორი), <b>ლ. გოქსაძე</b> (ინგლისური ნაწილის რედაქტორი), ნ. დარასელია, <b>ც. კვანტალიანი</b> (სწავლული მდივანი), მ. კიკონიშვილი, რ. ლანდია, <b>ნ. ლომაძე</b> (მთ. რედაქტორის მოადგილე), თ. ლომთაძე, ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე	M. Beridze, K. Gabunia, <b>G. Gogolashvili</b> (editor-in-chief), <b>L. Goksadze</b> (editor of the English part), N. Daraselia, <b>Ts. Kvantaliani</b> (scientific secretary), M. Kikonishvili, R. Landia, <b>N. Loladze</b> (deputy editor-in-chief), T. Lomtadze, Chumburidze, N. Jorbenadze
--	---

ეკა ანთია

## სოფელ ჭკადუაშის ტოპონიმთა კლასიფიკაცია მოტივაციის მიხედვით

სოფელი, იგივე კურორტი ჭკადუაში მდებარეობს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ოდიშის დაბლობზე, მდინარე ჩხოუმის ნაპირას, ზღვის დონიდან 150 მეტრზე. მას სპეციალური ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონოგრაფია მიუძღვნით, რომელზე მუშაობისას 100-ზე მეტი ტოპონიმი ჩავიწერეთ.

კვლევის ამ ეტაპზე წარმოვადგენთ მათ კლასიფიკაციას მოტივაციის მიხედვით.

გამოიყოფა ტოპონიმთა რამდენიმე ჯგუფი:

### კუთვნილების მიხედვით:

კუთვნილებით მოტივირებული ტოპონიმები დავაჯგუფეთ წყლისა და მიწის ნიშნის მიხედვით:

### წყაროს აღნიშვნელი ტოპონიმები:

მაფაშ წყურგილი (წყარო), ლევანტიშ წყურგილი, ბაზალიშ წყურგილი, კოკიშ წყურგილი, უსთახანიშ წყურგილი, ლიზაშ წყურგილი, დამიანეშ წყურგილი, კაკოშ წყურგილი, გვანჯიშ წყურგილი, გიდიშ წყურგილი (გიდი ემხვარი ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი, მოკლა რუსი გენერალი და იმალებოდა გვანჯი ჩიქოვანის სახლში. აღნიშნული წყაროც ჩიქოვანის საკუთრება იყო, მაგრამ ხალხმა მაინც გიდის სხელი უწოდა და ასე ჰქვია დღესაც, მდებარეობს გვანჯი ჩიქოვანის ნასახლართან), ბეჩუშ წყურგილი, ბათოშ წყურგილი, ათანასეშ წყურგილი, ბერდიამ წყურგილი, ბესას წყურგილი, ოქროპირაშ წყურგილი, ქვათაშ წყურგილი (ქვათა-სახელია კაცის), ხუხუშ წყურგილი (ხუხუს წყარო).

**ღელე:** არჩილიშ ღალ (ღელე), მინაშ ღალ (ღელე), მაფაშ ღალ, ბეხაშ ღალ...

**მთა:** ბიანაშ გოლო (ბიანას მთა, მდებარეობდა პეტრე დადიანის მამულში, ამჟამად იქ ხარებავეები ცხოვრობენ), ბეჟას გოლო (ბეჟას მთა), მოშაიაშ გოლო (მოშაიას მთა).

**ვაკე:** ჟორას რზენი (ჟორას ვაკე), კოკიშ რზენი (კოკის ვაკე), გვანჯიშ რზენი (გვანჯი ჩიქოვანის ვაკე ადგილი მდინარე ჩხოტუშისათან).

**ფუნქცია-დანიშნულების მიხედვით: გორტკილი** (რტკილის გორა — რტკილი იგივე შერგელი, რომელსაც მოსახლეობა მიწის გასანაყოფიერებლად იყენებს, **კაჟონი** (ადილი, სადაც კაჟს მოიპოვებენ, **დიხაჭუბერი** — წებოვანი მიწა (საპნის მიწა, იგივე თავსაბანი მიწა) დიხაჭუბერი (დიხაჭუბერს) — თეთრი მიწა, რომელსაც ხმარობენ თავის დასაბანად საპნის ნაცვლად (ი. ყიფშიძე, 1994); **ნაჭკიდუში წყურგილი** (მჭადის საცხობი წყარო), **კაჯარი-** სასარე ადგილი ანთიების უბანში.

**კუთვნილება-დანიშნულების მიხედვით: ბენოში ოისირე და ოსარე** (ბენოს საისლე და სასარე — ადგილი, რომელიც ბენოს ეკუთვნოდა, და სადაც ხარობდა ისლი და იყო სარად გამოსაყენებელი კარგი ხეები).

**კუთვნილება-წინავითარების (ნასახლარი): აღშიბაიებში ნოხორი** (აღშიბაიების ნასახლარი), **ბუჭუეშ ნაოხვამე** (ბუჭუეს ნაეკლესიარი, ბუჭუე აფაქიდის მიერ აშენებული ეკლესია), **ლეკახუე** (კახაძეების ნამყოფი), **ნაბოკუჩუო** (ბოკუჩავეების ნასახლარი).

**რეფლიეფის მანასიათებლით: გობოგილის თუდო** (ბოგირს ქვემოთა ადგილი), **ონარჩალაია** (ჩხრიალა წყარო)...

**აღსანიშნი ადგილის აგებულებით: ეწერი** (ისლოვან-გვიმროვანი ტყე-ველოვანი ადგილი), **ჟინი ეწერი** (ზედა მხარის ეწერი საანთოში), **კანჯარი** (ეკალბარდებიანი ადგილი), **ცურუონი** (სურო მოდებული ადგილი ჩიჩუების უბანში).

**კუთვნილება-თვისების მიხედვით:**

აქვე შევნიშნავთ, რომ მეგრულში ტობა / ტობო / ტომბა — ტბას, ღრმა წყალს ნიშნავს (ვ. შენგელია, 1988). ჩვენი მასალების მიხედვით კი იგი მხოლოდ წყლის სიღრმეს (ღრმა წყლის) მნიშვნელობით გვხვდება:

მოსემ ტომბო (მოსეს (ყალიჩავა) ღრმა წყალი), თამკოჩიმ ტომბო, ხუტუმ ტომბა, ძაკიმ ტომბა, შეიძლება ვთქვათ, რომ მიუხედავად მოტივაციის მრავალფეროვნებისა, ჭარბობს კუთვნილების გამომხატველი ტოპონიმები.

აღსანიშნავია, ის ფაქტიც რომ ისტორიულ წყაროებში დადასტურებული საანალიზო ტოპონიმებიდან უმრავლესობა დღესაც აგრძელებს არსებობას.

## **ლიტერატურა**

**ანთია, 2010** — ე. ანთია, ჭკადუაში — ჩინებულთა კერა და მიურატთა ნავსაყუდელი, თბ., 2010

**ანთილავა, 1999** — ანთილავა, სამეგრელო, თბ., 1999

**ბედოშვილი, 2002** — გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი I, თბ., 2002

ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის არქივი, №8367; დავით ნოღელის ფონდი, კოწია პატონსკუა, №4

**ლაბარტყავა, 2006** — მ. ლაბარტყავა, საზოგადო გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკა ქართულში, თბ., 2006 — <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000105/Disertacia.pdf>

**მაკალათია, 2006** — ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 2006

ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1987

**ყიფშიძე, 1994** — ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994

**შენგელია, 1988** — ვ. შენგელია, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1988.

**ცხადაია, 1985** — პ. ცხადაია, 1. მთიანი სამეგრელოს ტოპონიმთა (ენათმეცნიერული ანალიზი), თბ., 1985

**ჯორბენაძე, 1993** — ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, თბ., 1993

**Motivation-Based Classification of the Toponyms  
of the Village of Chkadua**

Summary

The paper deals with 100 toponyms from the village of Chkadua (Samegrelo-Upper Svaneti region, Zugdidi Municipality) located in the Odishi valley, by the river Chkhoushi. The toponyms have been classified according to the types of motivation: 1. Expressing possession; 2. Conveying possession and purpose; 3. Showing function and purpose; 4. Describing the vicinity. Despite the versatility of motivation, the toponyms expressing possession prevail. The study has shown that most of the toponyms evidenced in historical sources still exist.

ციური ახვლედიანი

### ფრაზეოლოგიური მეტაფორის თავისებურებანი ბელგიურ ფრანგულში

ფრაზეოლოგიური მეტაფორა წარმოადგენს ბაზისური (ამოსავალი) სიტყვაშეერთების გადააზრების ერთ-ერთ სემანტიკურ საშუალებას, რომლის შედეგადაც ყალიბდება ფრაზეოლოგიური ერთეული. ფრაზეოლოგიური ერთეულის წარმოქმნის პროცესთა სპონტანურობისა თუ კანონზომიერების დასადგენად უნდა მივმართოთ ფრაზეოლოგიური ნომინაციის ლინგვისტურ და ფსიქოლოგიურ მხარეებს. ბუნებრივია, **არაწინასწარმეტყველება** ახასიათებს ფსიქოლოგიურ ასპექტს, ხოლო განვითარების **კანონზომიერება** — ლინგვისტურ პროცესთა ობიექტური რეალობაა. ამგვარად, ბაზისური სიტყვაშეერთების ფრაზეოლოგიზაცია განიხილება როგორც პროგნოზირებადი, მაგრამ ძალზე თვითნებური პროცესი, შემთხვევითობის მაღალი ხარისხით, რომელიც უკავშირდება ლინგვისტურ პროცესებს, არაენობრივი სინამდვილითა და ლინგვისტურამდელი ურთიერთობებით.

სუბიექტის ცნობიერებაში საგანი აისახება ასოციაციურ საფუძველზე (ასოციაციები შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც რაიმე მოვლენით, ასევე რაიმე ამოსავალი სიტყვაშეერთებითაც). ამოსავალი სიტყვაშეერთებით გამოწვეულ ასოციაციებზეა დამოკიდებული ამოსავალი სიტყვაშეერთების ტრანსპოზიცია ფრაზეოლოგიურ ერთეულად.

ამოსავალი სიტყვაშეერთების გადააზრება, ძირითადად, ხდება მეტაფორიზაციის გზით. მეტაფორულ წარმონაქმნებს მიეკუთვნება გადატანითი მნიშვნელობის მქონე სიტყვაშეერთებები, რომლებიც საგნებს ან მოვლენებს განსაზღვრავენ ანალოგიის საფუძველზე. მეტაფორული გადააზრების საფუძველს წარმოადგენს ასოციაციები ქცევის, გარეგნობის, ფერის, ბგერის, შეგრძნებისა და სხვა მსგავსებების მიხედვით.

ბაზისური (ამოსავალი) სიტყვაშეერთებების ფარგლებში ხდება:

1. **მიზანმიმართული ფრაზეოლოგიური მეტაფორიზაცია**, რო-

მელიც სუბიექტური ხასიათისაა და ემორჩილება ენის მატარებელთა ნებასა და სურვილს. ექსტრალინგვისტური ფაქტორები გავლენას ახდენენ ლინგვისტურ პროცესებზე, რომლებიც ექვემდებარებიან სოციალურ მოთხოვნებს.

**2. სპონტანური ფრაზეოლოგიური მეტაფორიზაცია**, რომელიც ენის მატარებელთა ნებასა და სურვილზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ექვემდებარება იმ ენობრივ კანონებს, რომელთა ფარგლებშიც წარმოიქმნება ფრაზეოლოგიური სინონიმები და ომონიმები.

ბელგიურ ფრანგულში **oreille de lièvre** „კატაბალახა, ვალერიანი“ (გააჩნია სინონიმი **salade de blé**, რომელიც ვალონური დიალექტის კალკია) — საფრანგეთის ფრანგულში **valériane** (გააჩნია სინონიმები **mâche, blanchet, clairette, doucette**).

მეტაფორული სახელწოდებების არსებობა აიხსნება ექსტრალინგვისტური ფაქტორის გავლენით: ვალერიანის ფოთლები ფართოდ გამოიყენება ბელგიის კულინარულ ტრადიციებში. რაც შეეხება ლინგვისტურ ფაქტორს, საფრანგეთის ფრანგულში შეინიშნება ბოტანიკური ობიექტებისათვის მეტაფორული სახელწოდებების დარქმევის ტენდენცია: **bouton d'or** „ბაია /ბოტან./“ **bonnet de prêtre** „გოგრა, კვახი“; ასეთი მცენარეები, ბელგიურ ფრანგულში, როგორც წესი, სამეცნიერო სახელწოდებებთან ერთად, იძენენ ხალხურ სახელებსაც, ანუ ირიბ სახელწოდებებს, საფრანგეთის ფრანგულის მსგავსად: **bouton de soldat** „ბირკავა /ბოტან./“; **fleur de beurre** „ბაია /ბოტან./“.

ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც შეიქმნა რეალიათა აღსანიშნად: ბელგიურ ფრანგულში **rideau de betterave** „ენობრივი ბარიერი“ — საფრანგეთის ფრანგულში ამ ფრაზეოლოგიური ერთეულის პერიფრაზული კორელატია **frontière linguistique** „ლინგვისტური საზღვარი, ზღვარი“.

ბელგიური ფრანგულის ფრაზეოლოგიური ერთეული **avoir une brique dans le ventre fam** „მშენებლობით გატაცება“ უშუალოდ უკავშირდება ბელგიელთა ცხოვრებას; ასეთი გამონათქვამიც კი არსებობს: «**un Flamand naît avec une brique dans le ventre**» „ფლამანდიელი მუცელში აგუროთ იბადება“.

არეალთშორისი ფრაზეოლოგიური სინონიმის პროცესში იქმნება ფრაზეოლოგიური ერთეულები — **არეალთშორისი სინონიმები**,



წარმოდგენილი ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულებით, რომლებიც შინაგანი ფორმით არ ემთხვევიან ერთმანეთს, მაგრამ გაერთიანებული არიან ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის კონოტაციური ასპექტით, მსგავსებისა ან განსხვავების დროს, ანუ „ინფორმაციის ინვარიანტულობით“, რომელშიც სინონიმური რიგის თითოეულ ერთეულს შეაქვს დამაზუსტებელი ელემენტი; მაგ. ბელგიური ფრანგულის ფრაზეოლოგიური ერთეული **être français** (ვალონ. **estre francès**) „ფრანგად ყოფნა“ – საფრანგეთის ფრანგულის ფრაზეოლოგიური ერთეული **sortir d'un mauvais pas** „რთული სიტუაციიდან თავის დაღწევა /სასაუბ./“. შესაძლებელია, ბელგიური ფრანგულის ფრაზეოლოგიური ერთეული ასახავდეს ბელგიელების დამოკიდებულებას ფრანგებისადმი – მათი საზრიანობის (გამჭირიანობის) პატივისცემას.

ბელგიური ფრანგულის ფრაზეოლოგიური ერთეული **falloir mettre la pape en bouche à qn** – საფრანგეთის ფრანგულის ფრაზეოლოგიური ერთეული **falloir mettre les points sur les «i»** „ზედმიწვევით (დაწვრილებით) ახსნა ვინმესათვის“; ეს ფრაზეოლოგიური ერთეულები შორდებიან ერთმანეთს კონოტაციურ მნიშვნელობათა სფეროში: ბელგიური ფრანგულის ფრაზეოლოგიური ერთეულის შინაგანი ფორმა გამოხატავს ობიექტის სრულ უმწეობას.

არეალთშორის ომონიმებად ითვლებიან ის ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა ბაზისური (ამოსავალი) სიტყვაშეერთებები სრულად ემთხვევიან ერთმანეთს გამოხატვის პლანში, მაგრამ არავითარი საერთო არ გააჩნიათ მნიშვნელობის პლანში, პრეფრაზეოლოგიური ასპექტის გავლენის შედეგად (ანუ ასოციაციური კომპლექსი ზემოქმედებს ამოსავალ სიტყვაშეერთებათა მეტაფორიზაციაზე); მაგალითად, ფრაზეოლოგიურ ერთეულს **mettre qn en bouteille**, საფრანგეთის ფრანგულში, აქვს მნიშვნელობა „იზრუნო ვინმეზე, გაუფრთხილდე ვინმეს“, ბელგიურ ფრანგულში კი — „აიძულო ვინმე, რომ გაჩუმდეს“. ეს აიხსნება იმით, რომ საფრანგეთის ფრანგულის ამოსავალ სიტყვაშეერთებაში (**mettre qn en bouteille** „მოათავსო ვინმე ბოთლში“ — „იზრუნო ვინმეზე, გაუფრთხილდე ვინმეს“) ასახულია ფაქტი: წარსულში, მეზღვაურები ზღვაში აგდებდნენ თავდაცობილ (დახშულ) ბოთლს წერილით, რაც ითვლებოდა ინფორმაციის შენახვის საიმედო საშუალებად. ბელგიური ფრანგულის ამოსავალ სიტყვა-

შეერთებაში (**mettre qn en bouteille** „მოათავსო ვინმე ბოთლში“ — „აიძულო ვინმე, რომ გაჩუმდეს“) ფიქსირდება მსგავსება ფუნქციის მიხედვით: თავდაცობილი (დახშული) ბოთლიდან არ დაიღვრება არცერთი წვეთი, ანუ ადამიანისაგან (თითქოს ალიკაპით აქვს დახშული პირი) არ გაჟონავს არავითარი ინფორმაცია.

ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ენობრივი კოლექტივის მიზანდასახულობა, რაც ფორმირდება მის (ენობრივი კოლექტივის) ცნობიერებაში და ადამიანური ცნობიერების უნარი, რომ ოპერირებდეს ასოციაციებით, უშუალო ზემოქმედებას ახდენენ იმ პროცესებზე, რომლებიც ხდება ფრაზეოლოგიური მეტაფორიზაციის ჩარჩოებში ბელგიური არეალის სემანტიკური ცვლილებების დროს.

### **ლიტერატურა**

**დელკური, 1999** — Delcourt C. Dictionnaire du français de Belgique, v. 2. – Bruxelles, 1999.

**ოსტი, 1933** — Haust J. Dictionnaire français – liégeois (2-ème partie). – Liège, 1993

**მასიონი, 1987** — Massion F. Dictionnaire de belgicisms. T.2., Frankfurt am Main, 1987.

**TSIURI AKHVLEDIANI**

### **Peculiarities of Phraseological Metaphors in Belgian French**

#### **Summary**

Phraseological metaphor is one of the means of semantic transformation of basic (initial) word combinations into phraseological units. The transposition of a particular word combination into a phraseological unit largely depends upon the associations evoked by the word combination itself. The study of the empirical data from Belgian French has shown that phraseological metaphorization is determined by specific intentions as well as cultural associations of the speech community in question.

მერი ბიორბაძე

## სიტყვათა თამაზის ჟანრობრივი მახასიათებლები

სტატიის მიზანია სიტყვათა თამაზის, „ფართო გაგების“ ფარგლებში, მისი ჟანრობრივი მახასიათებლებისა და სპეციფიკის განხილვა. გვინტერესებს, თუ როგორი ფორმირებით ხასიათდებიან სიტყვათა თამაზის კატეგორიაში შემავალი ენობრივი ერთეულები ენის სხვადასხვა დონეზე, კერძოდ კი, **ფონეტიკურ-მორფოლოგიურ და ლექსიკურ-სინტაქსურ-სემანტიკურ დონეებზე.**

სპეციალურ ლიტერატურაში არ არსებობს სიტყვათა თამაზისადმი საყოველთაოდ მიღებული მიდგომა და მისი ყველასათვის მისაღები განმარტება. ლიპიჰალმე (ლიპიჰალმე, 1997, 141-143) მართულად აღნიშნავს, რომ სიტყვათა თამაზის შესახებ სხვადასხვა მკვლევრის მიერ წარმოდგენილი განმარტებისა და მათი კლასიფიკაციის განსხვავებულობა და გარკვეულწილი აღრევა განპიროვნებულია თავად სიტყვათა თამაზის კატეგორიებისა და ქვეკატეგორიების სირთულით. ხშირად სიტყვათა თამაზს აიგივებენ კალამბურთან (დელაბასიტიტა, 1996; გოტლიბი, 2005; რედფერნი, 1985), რომელიც, სინამდვილეში, გვევლინება მის ერთ-ერთ სახედ. ის მკვლევრები, რომლებიც ამ თვალსაზრისს ადგანან, ორივე ტერმინს (სიტყვათა თამაზი და კალამბური) განიხილავენ, როგორც ერთი და იმავე კონცეპტის აღმნიშვნელ სინონიმურ ერთეულებს. კიარო სიტყვათა თამაზის კატეგორიაში მოაქცევს მხატვრულ შედარებას, მეტაფორას, კალამბურს, სპუნერიზმს, მალაპროპიზმს, ვლერიზმს და სხვა ერთეულებს (კიარო, 1992, 4).

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ შეიძლება ვილაპარაკოთ სიტყვათა თამაზის „ფართო“ და „ვიწრო“ გაგებაზე. ვიწრო თვალსაზრისით, სიტყვათა თამაზი უიგივდება კალამბურს, პანს (დელაბასიტიტა, 1996; გოტლიბი, 2005; რედფერნი, 1985). წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ სიტყვათა თამაზს მხოლოდ „ფართო“ გაგებით, რადგან „ვიწრო“ გაგებით, სიტყვათა თამაზი გულისხმობს კალამბურს და

სტატიის მოცულობა არ გვაძლევს ამის საშუალებას. ხოლო ამ ფენომენის ფართო თვალსაზრისით განხილვა გულისხმობს მის ფარგლებში მრავალი ქვესახეობის გამოყოფას. კერძოდ, სიტყვათა თამაში მოიცავს კალამბურს, ველერიზმს, სპუნერიზმს, ანაგრამას, პალინდრომს, ონომატოპეას, მონდეგრინს, ოქსიმორონს და სხვ.

მასალის განხილვამ დაგვარწმუნა, რომ სიტყვათა თამაშის ყველა გავრცელებული სახეობა მსგავს ქანრობრივ მახასიათებელს ეფუძნება როგორც საკუთრივ ლინგვისტური, ისე პრაგმატიკული თვალსაზრისით. კერძოდ, სიტყვათა თამაშის აუცილებელი პრაგმატიკული პირობაა სახალისო, იუმორისტული ან სარკასტული განწყობის შექმნა. სიტყვათა თამაშისათვის დამახასიათებელი შემდეგი პრაგმატიკული კრიტერიუმია ასევე მისი **ინტენციურობა — არაინტენციურობა**. ამავე დროს, სიტყვათა თამაშის კატეგორიაში შემავალი ერთეულები ხასიათდებიან გარკვეული ტიპისა და ხარისხის ენობრივი ერთეულების ოსტატურად ფორმირებით, რაც, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება ხდებოდეს ენის ნებისმიერ დონეზე: ფონეტიკურ-გრაფოლოგიურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ — სემანტიკურ და ტექსტურ დონეზე. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ მხოლოდ სიტყვათა თამაშის ერთეულებს ენის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ დონესა და ლექსიკურ, სინტაქსურ და სემანტიკურ დონეებზე.

ჩვენი აზრით, სიტყვათა თამაშის ფართო გაგება უფრო ზუსტად აღწერს და ასახავს ამ ფენომენის არსს. შესაბამისად, ვემხრობით მის ფართო გაგებას და გამოვყოფთ ფართო კატეგორიაში შემავალ შემდეგი სახის ერთეულებს, კონკრეტულ ენობრივ დონეზე აქტუალიზაციის თვალსაზრისიდან.

სიტყვათა თამაში ენის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ დონეზე: **მონდეგრინი, ონომატოპეა**.

სიტყვათა თამაში ენის ლექსიკურ, სინტაქსურ და სემანტიკურ დონეებზე: **ოქსიმორონი, ველერიზმი**. ამ დონის ერთეულები ასევე ხასიათდებიან სემანტიკური ორაზროვნებით.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

სიტყვათა თამაში ენის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ დონეზე: მონდეგრინი, ონომატოპეა.

ამ ერთეულების საერთო ნიშანია სიტყვებს შიგნით ბგერების

(მონდეგრინი) გამეორება, მიახლოებული ჟღერადობის, ხმაბაძვითი სიტყვების, მორფემებისა და ბგერების გამეორება (ონომატოპეა).

ცნობილია, რომ არაფორმალური მეტყველების დროს, ისევე როგორც, ზოგადად, სიმღერის შესრულებისას, ზოგჯერ ხდება ფონემებისა და მორფემების იმგვარი ტრანსპოზიცია, რომლის დროსაც რთული ხდება მორფემებისა და სიტყვების სწორი „დაჭერა“, რაც იწვევს მსმენელის „ყურის“ დაძაბვას, დაბნევას და, შესაბამისად, მსმენელი არასწორად აღიქვამს ამა თუ იმ სიტყვას, ფრაზას ან წინადადებას, რაც მონდეგრინის შექმნის საფუძველია.

მონდეგრინი განიმარტება, როგორც არასწორად გაგებული სიტყვა ან ფრაზა, რომლის არასწორი აღქმა ეფუძნება, ასე ვთქვათ, სიტყვის, ფრაზისა და იშვიათ შემთხვევაში, წინადადების ომოფონია-საც კი (ლედრერი, 2000, 78).

მონდეგრინის ორი სახე შეიძლება გამოვყოთ მისი ინტენციურობა-არაინტენციურობის კრიტერიუმზე დაყრდნობით — ინტენციური და არაინტენციური. ამ ტერმინებს ვხმარობთ მონდეგრინის ავტორის (და არა მისი აღმქმელის) პოზიციიდან. ინტენციური მონდეგრინი ძირითადად იუმორისტულ შოუებსა და ანეკდოტებში იხმარება და ასევე ეფუძნება ისეთი ომოფონების სწრაფ მეტყველებაში გამოყენებას, რომლებიც მსმენელს განზრახ შეიყვანენ შეცდომაში. მაგალითად:

(1) "Three guys are out walking. First one says, "Windy, isn't it?" Second one says, "No it is Thursday!" Third one says, "So am I. Let's go get a beer." (ქოზური, 2010, 4)

პირველ შემთხვევაში **windy** (ქარიანი) აღიქმება როგორც '**Wednesday**' (ოთხშაბათი), '**Thursday**' (ხუთშაბათი), აღიქმება, როგორც **thirsty** (მწყურვალი). შესაბამისად, იუმორისტულ ეფექტს სწრაფ მეტყველებაში მსგავსად წარმოთქმული სიტყვების მნიშვნელობების აღრევა ქმნის. ანეკდოტის სამივე მონაწილე სხვადასხვა აზრს ავითარებს და ერთმანეთს ასევე (საკუთარი პოზიციიდან) პასუხობენ.

მონდეგრინის ძირითადი მექანიზმის სირთულეს წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ სად მთავრდება ერთი და იწყება მეორე სიტყვა, რაც, როგორც ვთქვით, გამოწვეულია სწრაფ მეტყველებაში სიტყვის ფონოლოგიურ მარცვლებს შორის საზღვრის გავლების სირ-

თულით. შესაბამისად, იქმნება იუმორისტული ეფექტი. გარდა ამისა, მონდევრინმა შეიძლება დააბნიოს ან გააღიზიანოს კიდევ მსმენელი.

მონდევრინის აღქმის დროს, გარდა ომოფონიისა, მონაწილეობს მთელი რიგი პროსოდიული ფაქტორებიც, რომლებიც ასევე განაპირობებს ორაზროვნების იუმორისტულ ეფექტს.

არაინტენციური მონდევრინი მსმენელის მიერ არასწორად გაგებული სიტყვის, ფრაზის ან წინადადების შედეგია. ამგვარი ერთეული, ძირითადად სიმღერების, ლექსებისა და ბალადების ტექსტების ომოფონური ვარიანტების ჩანაცვლებით მიიღება.

ინტენციური მონდევრინისაგან განსხვავებით, არაინტენციური მონდევრინის შემთხვევაში მომღერალი თუ მსახიობი მიზნად არ ისახავს მსმენელის დაბნევას ან გაღიზიანებას. სიმღერის შესრულების პროცესის მახასიათებელია სპეციფიკური ტიპის გამოთქმა, რაც, თავისთავად, ართულებს ტექსტის სწორად გაგების პროცესს. მომღერლები ხშირ შემთხვევაში გრძლად წარმოთქვამენ მოკლე ხმოვნებს ან პირიქით, ასევე მახვილიანი მარცვალი შეიძლება გახდეს უმახვილო (კრისტალი, 2004, 275). ამის შედეგია ამა თუ იმ ფრაზის არასწორი გაგება, აღქმა და ინტერპრეტაცია, რაც, როგორც აღვნიშნეთ, არაინტენციური მონდევრინის შექმნის ძირითადი მახასიათებელია.

მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ წინადადება ელტონ ჯონის სიმღერიდან „Tiny Dancer“. ორიგინალური ფრაზა ტექსტიდან ასე ჟღერს:

(2) „Hold me closer, tiny dancer“.

ამ წინადადების გაგება შეიძლება ამგვარად:

(2.1) „Hold me closer, Tony Danza“ (ტონი დანზა ამერიკელი მსახიობია).

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, იშვიათია აბსოლუტური ომოფონური დამთხვევები. ხშირ შემთხვევაში, ჩვენს საკვლევ მასალაში მონდევრინი წარმოიქმნება მიახლოებული (და არა იდენტური) ჟღერადობის სიტყვების აღრევის შედეგად. ამგვარ აღქმას სიმღერის მელოდიისა და მუსიკალური აკომპანემენტის არსებობაც უწყობს ხელს. მაგალითად:

(3) All my loving, I will send to you (ორიგინალი ვერსია) (Beatles).

(3.1) All my luggage, I will send to you (მონდევრინი).

ამ მაგალითში მონდევრინის ეფექტი ეფუძნება სიტყვების **loving** და **luggage** მსგავს ჟღერადობას. საინტერესოა, რომ თუმცა ორივე შემთხვევაში წინადადების აზრი იცვლება, მაგრამ იგი სემანტიკურ მთლიანობას არ კარგავს.

(4) **Happy ever after in the market place** (ორიგინალი) (**Beatles "Ob la di"**).

(4.1) **Happy as a rafter in the market place** (მონდევრინი).

ამ მაგალითებში (4) და (4.1) მონდევრინის ეფექტი ეფუძნება სწრაფ მეტყველებაში სიტყვების გადაბმისა და ინგლისური ენის რიტმული სტრუქტურის თავისებურებებს.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, ინტენციური და არაინტენციური მონდევრინისათვის დამახასიათებელია ფონოლოგიური და პროსოდიული ფაქტორების ურთიერთქმედება. სწორედ ასეთი ურთიერთქმედება წარმოშობს მონდევრინისათვის დამახასიათებელ ორაზროვნებას.

**ონომატოპეა** ხშირად განიმარტება, როგორც ბუნების მოვლენათა თანმხლები ხმების, ცოცხალ არსებათა ხმიანობის, ყვირილის, სტვენის, ტექნიკის, ადამიანისა და სხვათა ხმის სამეტყველო ბგერებით პირობითი რეპროდუქცია.

ცნობილია, რომ ონომატოპეა კულტურული კატეგორიაა და ერთი და იგივე ხმიანობა სხვადასხვაგვარად ფასდება და გადმოიცემა სხვადასხვა ენაში ამ ენათა ბგერითი წყობის შესაბამისად. ხშირად ენის თავისებურებას სწორედ ეს სიტყვები განსაზღვრავენ.

ონომატოპეა შეიძლება იყოს ინტენციური და არაინტენციური. ონომატოპეის გარკვეული პრაგმატიკული დატვირთვით ხმარების დროს სიტყვათა თამაშის ეს ხერხი ემსახურება გარკვეულ პრაგმატიკულ მიზანს: ინტენციური ონომატოპეა — განსაკუთრებული ეფექტის შექმნას (რეკლამა — განცხადებებში), ირონიული და იუმორისტული ეფექტისათვის (ლიტერატურული ნაწარმოებებში), გარკვეული მინიშნებების გასაკეთებლად (საბავშვო ლექსებსა და გამოცანებში).

მაგალითად, შექსპირის ერთ-ერთი პიესის „**Love's Labour 's Lost**“ მეხუთე მოქმედების მეორე სცენაში ვხვდებით ონომატოპეის ასეთ მაგალითს: გუგულის ხმაბაძვა **'Cuckoo Cuckoo, Cuckoo'** იღებს ირონი-

ულ-დამცინავ კონოტაციას. შექსპირი ოსტატურად უპირისპირებს თავად გუგულის ხმაბაძვითი სიტყვისა (Cuckoo) და მისი სრულფასოვანი ფორმალურ-სემანტიკური ეკვივალენტის შინაარსს (Cuckoo), რომელიც ასევე ნიშნავს სულელს, ჩერჩეტს ისეთ მამაკაცს, რომელსაც ცოლი ღალატობს.

The Cuckoo then, on every tree

Mocks married men: for thus sings he ‘Cuckoo Cuckoo, Cuckoo’.

Oh word of fear,

Unpleasing to a married ear!

არაინტენციური ონომატოპეა, ძირითადად დამახასიათებელია პატარა ბავშვების მეტყველებისათვის, რომლებმაც ჯერ კიდევ კარგად არ იციან ლაპარაკი. ისინი გაუცნობიერებლად მიმართავენ ამ ხერხის გამოყენებას, რათა ხმაბაძვითი სიტყვების საშუალებით მიახვედრონ უფროსები, რის შესახებ საუბრობენ ისინი. მაგ: ძაღლი — auu, am’ კატა — miau, ძროხა — muu და სხვ. ანალოგიურად ხდება სხვა ენებშიც.

### **სიტყვათა თამაში ლექსიკურ-სინტაქსურ და სემანტიკურ დონეზე:**

ამ ქვეჯგუფში განვიხილავთ ოქსიმორონსა და ველერიზმს. მათი დამახასიათებელი ნიშანია ომონიმიაზე, პოლისემიაზე ან ომოფონიაზე აგებული (ლექსიკური), სინტაქსური (გრამატიკულ — სტრუქტურული) და სემანტიკური (ფრაზეოლოგიურ — იდიომური) ორაზროვნება.

**ოქსიმორონი** ემყარება ერთმანეთთან „შეუთავსებელ“, ურთიერთგამომრიცხავ ცნებათა დაკავშირებას, კონტრასტული ნიშნის გადატანას, რითაც ახალი ცნება ან ახალი წარმოდგენა იქმნება.

ოქსიმორონის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელის კომბინაცია.

ინგლისელი პოეტის ალფრედ ტენისონის (1809-1892) ლექსში “Idylls of the Kings” ორი ოქსიმორონის მაგალითია მოცემული.

“And faith unfaithful kept him falsely true”.

Faith — რწმენა / unfaithful — ურწმუნო

Falsely — მცდარად / true — მართალი, სწორი

მისი მხატვრული ფუნქციაა მოულოდნელობის ეფექტის შექმნა, მოცემული სიტუაციის ემფატიკა და ხაზგასმა.



ოქსიმორონი ფართოდაა გავრცელებული ყოველდღიურ მეტყველებაში, რიტორიკასა და მხატვრულ ლიტერატურაში. „მშრალი ღვიზო“, „მჭევრმეტყველი ღუმელი“ და სხვ.

ი. ჭავჭავაძის გლახის ნაამბობიდან: „გულში რაღაც მზიანი ჩრდილი იყო“.

ოქსიმორონია ზოგიერთი ნაწარმოების, წიგნის ან კრებულის სათაური. მაგალითად: მუხრან მაჭავარიანის ლექსების ცნობილი კრებულის სახელწოდება — „ღუმელი რეკავს“. ლევ ტოლსტოის „ცოცხალი ლეში“, ნოდარ ღუმბაძის „მზიანი ღამე“ და სხვ.

არაინტენციური ოქსიმორონის ვარიანტი უნებლიეთ ჩნდება დიალოგის ან საუბრის დროს დაშვებული შეცდომების საფუძველზე, სხვადასხვა მიზეზით, მაგალითად, მეტი სენტიმენტალობის გამოსახატავად.

გავრცელებულ მაგალითებს წარმოადგენს შემდეგი:

**original copy** — ორიგინალური ასლი, **virtual reality** — ვირტუალური რეალობა და სხვ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ოქსიმორონის განხილვაც შესაძლებელია მისი ინტენციურობა — არაინტენციურობის კრიტერიუმზე დაყრდნობით.

ველერიზმი სიტყვათა თამაშის ერთ-ერთი სახეა, რომელიც ასახავს სიტყვებით თამაშს ანდაზებში, გამოთქმებში და სხვ. იგი სიტუაციისათვის შეუფერებელი, მცდარი ფორმით გამოიყენება და კონტექსტს უმორისტულ ელფერს მატებს.

ტიპიურად ველერიზმი სამი ნაწილისაგან შედგება: ანდაზის ან გამონათქვამის, მოსაუბრისა და იუმორული სიტუაციისაგან. მისი ძირითადი სტრუქტურა (ფორმა) ასეთია: “ - -, as - said when -“, an “as - said to -“.

ველერიზმის განსაკუთრებულ სახეობად ითვლება ტომ სვიფტი (Tom Swifty), რომელიც შეიცავს კალამბურულ ზმნიზებას და განსაზღვრავს მის კავშირს წინადადებასთან (ლანდინ ლი, 2011).

ძირითადად, იუმორულ თუ სარკასტულ სიტუაციას ზმნიზება ქმნის. მიუხედავად იმისა, რომ ზმნიზება წინადადებაში სინტაქსურად სწორადაა გამოყენებული, დატვირთვა მასზე მოდის და ძირითადად იუმორისტული ხასიათისაა. მაგ:

„The doctor had to remove my left ventricle”, said Tom half-heartedly.

**Ventricle** — გულის პარკუჭი **half-heartedly** — გაუბედავად (აქ: ნახევარი გულით).

არის შემთხვევა, როდესაც სიტყვების თამაში ჩანს ზმნაში და შესაძლოა ზმნიზედა საერთოდაც კი არ გვქონდეს მოცემული წინადადებაში. მაგ:

"My garden needs another layer of mulch", Tom repeated.

**re** (= კვლავ კიდევ, ხელმეორედ) + **peat** (= მულჩი, ჩული, დამპალი ფოთლები) + **ed**.

**Peat** — ტორფი **Mulch** - დამპალი ფოთლები

რაც შეეხება ველერიზმის ინტენციურობა — არაინტენციურობის კრიტერიუმით განხილვას, იგი ძირითადად გარკვეული განზრახვით იქნება და გამოიყენება ლიტერატურაში იუმორული ან სარკაზმული ეფექტის შექმნის მიზნით.

ველერიზმის არაინტენციური ვარიანტი კი, შესაძლოა, ჩვეულებრივი მეტყველებისას უნებლიეთ გაჩნდეს დიალოგში საუბრის დროს.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, ინტენციური და არაინტენციური მონდევრინისათვის დამახასიათებელია ფონოლოგიური და პროსოდიული ფაქტორების ურთიერთქმედება. სწორედ ასეთი ურთიერთქმედება წარმოშობს მონდევრინისათვის დამახასიათებელ ორაზროვნებას.

ონომატოპეა კი, სამეტყველო ბგერებითა და ბუნების მოვლენათა თანმხლები ხმების, ცოცხალ არსებათა ხმიანობის, ყვირილის, სტვენის, ტექნიკის, ადამიანისა და სხვათა ხმის პირობითი რეპროდუქციის საშუალებით, საუკეთესო ხერხს წარმოადგენს ავტორისათვის, რომ ტექსტს შესძინოს მეტი ხიბლი, რიტმულობა და მუსიკალური ჟღერადობა. ასევე გამოიყენება ემფატიკური ფუნქციით და საბავშვო ლიტერატურაში ერთგვარ სახალისო მინიშნებასავითაა ბავშვებისათვის.

ოქსიმორონის მხატვრული ფუნქციაა მოულოდნელობის ეფექტის შექმნა. ოქსიმორონის, ანუ ორი ურთიერთგამომრიცხავი, პარადოქსული ტერმინის ერთად გამოყენება აფიქრებს მკითხველსა თუ მსმენელს მოცემულ სიტუაციაზე და მეტ მხატვრობას მათებს ნაწარმოებს. ანალოგიური შეიძლება ითქვას ველერიზმის ლიტერატურ-

რაში გამოყენების დატვირთვაზეც იუმორული ან სარკაზმული ეფექტის შექმნის მიზნით. საგულისხმოა, რომ ორივე შემთხვევაში, როგორც ველერიზმის, ისე ოქსიმორონის შემთხვევაში, წინადადების სინტაქსური სტრუქტურა ურღვევია.

ამგვარად, განხილული ტერმინები ლინგვისტური ფენომენია, რომლის დროსაც გამოიყენება ფონემურ-მორფემული, ლექსიკური და სინტაქსური ომოფონური კომბინაციები კონკრეტული, პრაგმატიკულ-კონტექსტუალური ფუნქციითა და დატვირთვით.

## **ლიტერატურა**

**კიარო 1992** — Chiaro, D. The Language of Jokes: Analysing Verbal Play. London: Routledge, 1992.

**დელაბასტიტა 1996** — Delabastita, D: Wordplay and Translation: Introduction. In The Translator. Studies in Intercultural Communication. Volume 2, Number 2; special issue. Manchester: St. Jerome Publishing, 1996.

**გოტლიბი 2005** — Gottlieb, Henrik: "You Got the Picture?" On the Polysemiotics of Subtitling Wordplay. In Gottlieb, Henrik: Screen Translation. Eight Studies in Subtitling, Dubbing and Voice-over. Copenhagen, 2005.

**ლედრერი 2000** — Ledrer, R. "A Primer of Pun". In: English Journal, vol. 70, no. 6, 2000.

**ლეპიჰალმე 1997** — Leppihalme, R. Culture Bumps: An Empirical Approach to the Translation of Allusions. Clevedon : Multilingual Matters Ltd. 1997.

**ლანდინი 2011** — Lundin, Leigh, Wellerisms and Tom Swifties. Orlando: SleuthSayers. 2011.

**რედფერნი 1985** — Redfern, W. Puns. Oxford: Blackwell, 1985.

**შექსპირი 1993** — Shakespeare, W, Preface to Love's Labour's Lost, Pub. 1924, Revised 1927. Foreword by Richard Eyre, 1993.

**ტენისონი 1896** — Tennyson Alfred, Idylls of the Kings, Macmillan, 1896.

**MARY GIORGADZE**

## **Textual Functions of Wordplay**

### **Summary**

The paper deals with the textual functions of wordplay, its general as well as genre specific characteristics. Two types of wordplay are singled out: the wordplay in a narrow sense, including puns and its subtypes, and the wordplay in its broad sense comprising a variety of patterns. The types of wordplay under discussion are examined at different language levels: phonetic, morphological (mondegreen, onomatopoeia), lexical, syntactic and semantic (oxymoron and wellerisms). Intentional and unintentional uses of wordplay have also been differentiated; moreover, specific cases of wordplay actualisation, their pragmatic load, contextual functions and values have been investigated.

ნიმე ღარასელია

**მეტაფორის ქმნალობა ჩ. დიკენსის რომანში  
„ორი ქალაქის ამბავი“**

ენის შემოქმედებითად გამოყენების ბრწყინვალე ნიმუში, ენობრივი ხატოვანების უმრეტეი წყარო, ასე შეიძლება დავახასიათოთ ჩარლზ დიკენსის სამწერლობო სტილი. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი კრიტიკულია დიკენსის ენისათვის დამახასიათებელ სტილისტურ ხერხთა სიუხვისადმი, ამ უკანასკნელს სიჭარბედ აღიქვამს და „მეტაფორულ მკვლელობად“ (metaphoric overkill) მიიჩნევს. აღნიშნული შეფასება არამართებულად მიმაჩნია, ვინაიდან სტილისტურ ხერხთა სიმრავლე დიკენსთან მოკლებულია ყოველგვარ ხელოვნურობას, ძალდატანებას, მეტაფორათა სიმრავლე დიკენსის გამორჩეული მეტაფორული აზროვნების ლინგვისტური რეალიზაციის შედეგია. თქმული ეხმიანება კოგნიტიურ ლინგვისტიკაში, კერძოდ, კონცეპტუალური მეტაფორის თეორიაში დამკვიდრებულ თვალსაზრისს, რომ მეტაფორა არა ლინგვისტური, არამედ, უპირველეს ყოვლისა, კოგნიტიური მოვლენაა.

ჩემი დაკვირვებით, დიკენსის სტილის განსაკუთრებული ნიშან-თვისება არა მზა მეტაფორების წარმოდგენაა არამედ თავად მეტაფორის შექმნის პროცესის ასახვა: დაკვირვებულ მკითხველს საშუალება ეძლევა თვალი მიადევნოს მეტაფორის ქმნადობის რთულ და საინტერესო პროცესს, ჩასწვდეს დიკენსის მეტაფორული აზროვნების საიდუმლოს.

დიკენსის ნარატივში წარმოდგენილ ხატებს შორის განსაკუთრებული სიმრავლით წყლის ხატები გამოირჩევიან. ამ თვალსაზრისით გამონაკლისს არც რომანი „ორი ქალაქის ამბავი“ წარმოადგენს.

წინამდებარე ნაშრომში სწორედ აღნიშნულ რომანში წარმოდგენილ წყლის ხატების მეტაფორად გადაქცევის პროცესს განვიხილავ. კვლევის თეორიულ საფუძველს ქმნის კონცეპტუალური მეტაფორის თეორია (ლეიკოფი, 1993; ლეიკოფი და ჯონსონი, 1980; კოვეჩესი, 2008), გეშტალტების თეორია (რაინჰარტი, 1984) და კოგნიტიური პოეტიკა (სტოკუელი, 2008).

„ორი ქალაქის ამბავი“ ჩარლზ დიკენსის გვიანდელი პერიოდის რომანთაგანია, იგი განსხვავდება სხვა რომანებისაგან თავისი ლაკონიზმით, თხრობის სისხარტითა და დინამიზმით. ნაწარმოებში ასახულია 1789-1804 წლების საფრანგეთის რევოლუცია და რევოლუციით გამოწვეული ცვლილებები ინდივიდში, ადამიანთა ურთიერთობებში, საზოგადოებაში, ორი ქალაქის — პარიზისა და ლონდონის, და ასევე ორი ქვეყნის, საფრანგეთისა და ინგლისის, ცხოვრებაში.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ რომანში წარმოდგენილ სხვადასხვა სიმბოლოსთან ერთად, წყლის ხატები, წყლის რეპრეზენტაციები და რომანის მსვლელობისას მათი სიმბოლური თუ მეტაფორული ტრანსფორმაციები ნაწარმოების თხრობის დინამიკურობას განაპირობებს.

ჩატარებულმა ანალიზამ აჩვენა, რომ „ორი ქალაქის ამბავში“ წყლის ხატები შემდეგ ფუნქციებს ასრულებენ:

1. წარმოდგენენ პეიზაჟის მნიშვნელოვან ერთეულს, ქმნიან ფონს რომანში წარმოდგენილი ფიგურებისათვის.

2. წყლის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების მეშვეობით ხდება ობიექტთა დახასიათება.

3. რომანის მსვლელობისას ცალკეული წყლის ხატი მეტაფორულ დატვირთვას იძენს, ფიგურა და ფონი ერწყმის ერთმანეთს წარმოქმნის რა ახალ ფიგურას.

4. რომანში დიკენსი ახდენს წყლის ცნებების შემცველი კონცეპტუალური მეტაფორების (მაგ. დრო მდინარეა; ცხოვრება მდინარეა; მე-ამბოხე ხალხთა მასა ზღვაა/ოკეანეა და სხვ.) აქტუალიზაციას. ეს უკანასკნელნი ქმნიან რომანის სიუჟეტური ხაზის კოგნიტიურ საფუძველს.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალკეულად:

**წყლის ხატი, როგორც ფონი.** დიკენსის ნაწარმოებების ანალიზმა აჩვენა, რომ წყლის ხატი (შადრევანი, ჭა, მდინარე, არხი, სრუტე, ზღვა, ოკეანე, ჭაობი და სხვ.) დიკენსისეული პეიზაჟის მნიშვნელოვანი ერთეულია, ღირებულნი შტრიხია; წყლის ხატი, როგორც ფონი, ქმნის რომანის ცალკეული მონაკვეთის, მიკროტექსტის (სცენის ან მთლიანად თავის) განწყობას, განსაზღვრავს ნარატივის ტონალობას, ამძაფრებს დაძაბულობას სიუჟეტური ხაზის კულმინაციისას ან კვანძის შეკვრისას (დარასელია, 2012).

„ორი ქალაქის ამბავში“ განსაკუთრებულად რელევანტურია ზღვისა და შადრევნის რეპრეზენტაციები;

შეიძლება ითქვას, რომ მარინისტური პეიზაჟი ქმნის რომანის მუდმივ ფონს, აბობოქრებული, დაუმორჩილებელი, გამანადგურებელი ზღვის სტიქია ეხმიანება რომანში წარმოდგენილი მოქმედების განვითარებას, გვამზადებს რევოლუციის ამსახველი სასტიკი სცენებისათვის. რომანის პირველსავე თავებში ჩნდება პერსონიფიცირებული ზღვის ხატი, ხატი ურჩი არსებისა, რომელიც აკეთებს იმას, რაც სურს, მისი სურვილი კი ყოველივეს განადგურებაა:

When Mr. Lorry had finished his breakfast, he went out for a stroll on the beach. The little narrow, crooked town of Dover hid itself away from the beach, and ran its head into the chalk cliffs, like a marine ostrich. **The beach was a desert of heaps of sea and stones tumbling wildly about, and the sea did what it liked, and what it liked was destruction. It thundered at the town, and thundered at the cliffs, and brought the coast down, madly.** The air among the houses was of so strong a piscatory flavour that one might have supposed sick fish went up to be dipped in it, as sick people went down to be dipped in the sea.

*A Tale of Two Cities*, Chapter IV, p. 40

უნდა აღინიშნოს, რომ ზღვის არსებობას რომანის მკითხველი მუდმივად გრძნობს; ზღვა ფიგურირებს არა მხოლოდ პეიზაჟებში, არამედ სხვადასხვა ობიექტთა დამახასიათებელ მხატვრულ შედარებებში: ზღვის ქაფივით თეთრი მაქმანები, ჩუმი ლუღლუღი, რომელიც ქვიშიან სანაპიროზე ჩაძინებული ზაფხულის ზღვის სუნთქვას მოგვაგონებს, ქმრის ბედით დადარდიანებული ქალის თვალს მომდგარი და ტალღასავით დამსხვრეული ცრემლი:

His linen, though not of a fineness in accordance with his stockings , **was as white as the tops of the waves that broke upon the neighbouring beach**, or the specks of sails that glinted in the sunlight far at sea (p.39).

and thoughts of the husband who would be left so desolate, and who would mourn for her so much, **swelled to her eyes and broke like waves** (p. 224).

**in a hushed murmur – like the breathing of a summer sea asleep upon a sandy shore (p. 225).**

უფრო მეტიც, ავტორი ხშირად იყენებს წყალთან ასოცირებულ ლექსიკურ ერთეულებს მათთვის უჩვეულო კონტექსტში, მაგალითად,

ზმნა splash, რომელიც წყლის ტყლაშუნთან ასოცირდება, გამოიყენება გაჭენებული ცხენის მიერ სიბნელის, წყვიადის გაპობის აღსანიშნად:

and there was a saddling of a horse and riding away. **There was spurring and splashing through the darkness**, and bridle was drawn in the space by the village fountain... (p. 224)

რომანის საწყის ეპიზოდებში შადრევანი ურბანისტული, სოფლის, თუ სასახლის არქიტექტურის მნიშვნელოვანი ერთეულია; თითოეულ შემთხვევაში იგი განსხვავებულ ფუნქციას ასრულებს: სოფლად იგი სასმელი წყლის წყარო და ასევე სოციალური თავყრილობის ადგილია; ქალაქში, გარდა ზემომოყვანილი ორი ფუნქციისა, შადრევანი დეკორატიულ და გამაგრილებელ ფუნქციებსაც ასრულებს. სასახლეში კი იგი დახვეწილი არქიტექტურის ნაწილია.

შადრევანი, როგორც სასახლის ანსამბლის ელემენტი:

Other sound than the owl's voice there was none, **save the falling of a fountain into its stone basin** (Marquis' chateau, p144).

...there were gardens, court-yards, terraces, **fountains**, green banks... (Versailles p.189).

შადრევანი ქალაქად:

At last, swooping at a street corner by a **fountain**, one of its wheels came to a sickening little jolt... (Paris, p.126)

The **fountain** was a little removed; for the street opened where it was, into a space some ten or twelve yards square (Paris, p. 127).

On seeing him, the miserable creature fell upon his shoulder, sobbing and crying, and pointing to the **fountain**, where some women were stooping over the motionless bundle, and moving gently about it (Paris, p.128).

...the women who had tended the bundle while it lay **on the base of the fountain**, sat there watching the running of the water and the rolling of the Fancy Ball... (Paris, p.129)

შადრევნი სოფლად:

The village had its one poor street, with its poor brewery, poor tannery, poor tavern, poor stable yard for relay of post-horses, **poor fountain**, all usual poor appointments. It had its poor people too.... **many were at the fountain**, washing leaves, and grasses, and any such small yieldings of the earth that could be eaten (p.130).

The sweet scents of the summer night rose all around him, and rose, as the rain falls, impartially, **on the dusty, ragged, and toil-worn group at the fountain not far away** ( p.134).



**Then began the rarely lightened toil of the day among the village population. Some, to the fountain; some to the fields. men and women here, to dig and delve ( p144).**

რომანში ნარატის წყლის ხატებით „გაჯერებით“ დიკენსი ერთგვარად ამზადებს მკითხველს მეტაფორული ტრანსფორმაციებისათვის. რომანის მსვლელობისას ზღვისა და შადრევნის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები მეტაფორებად გადაიქცევიან: ისინი კარგავენ ფონისათვის მახასიათებელ ნიშან-თვისებებს, ერწყმიან ფიგურებს, წარმოქმნიან რა ახალ ფიგურებს. აღნიშნული ტრანსფორმაცია რამდენიმე საფეხურისაგან შედგება: მას წინ უსწრებს ინდივიდის დახასიათება:

დიკენსისათვის, მრავალი ფსიქოლოგიური პორტრეტის შემქმნელი დიდოსტატისათვის, ინდივიდი ამოუცნობი არსებაა, უძირო წყალია (unfathomable water); ინდივიდის სული თვით უახლოესი ადამიანისთვისაც კი მიუწვდომელი, ღრმა წყლებით დაფარული საგანძურია.

**A WONDERFUL FACT to reflect upon, that every human creature is constituted to be that profound secret and mystery to every other. A solemn consideration, when I enter a great city by night, that every one of those darkly clustered houses encloses its own secret; that every room in every one of them encloses its own secret; that every beating heart in the hundreds of thousands of breasts there, is, in some of its imaginings, a secret to the heart nearest it! Something of the awfulness, even of Death itself, is referable to this. No more can I turn the leaves of this dear book that I loved, and vainly hope in time to read it all. No more can I look into the depths of this unfathomable water, wherein, as momentary lights glanced into it, I have had glimpses of buried treasure and other things submerged. It was appointed that the book should shut with a spring, for ever and for ever, when I had read but a page. It was appointed that the water should be locked in an eternal frost, when the light was playing on its surface, and I stood in ignorance on the shore.** My friend is dead, my neighbour is dead, my love, the darling of my soul, is dead; it is the inexorable consolidation and perpetuation of the secret that was always in that individuality, and which I shall carry in mine to my life's end. In any of the burial-places of this city through which I pass, is there a sleeper more inscrutable than its busy inhabitants are, in their innermost personality, to me, or than I am to them?

Chapter III, The Night Shadows, p.33-34

რომანის მსვლელობისას ერთმანეთისაგან იზოლირებული ინდივიდები ერთიანდებიან შადრევნებთან მოჩურჩხულე უკმაყოფილო ადა-

მიანთა ჯგუფებად, ნარატივის დინამიკის ზრდასთან ერთად, დიკენსი ხშირად იმეორებს წინადადებას: **They whisper at the fountain** (ისინი ჩურჩულებენ შადრევანთან); აღნიშნული წინადადება მეორდება არა ერთი სცენის ან თავის ფარგლებში, არამედ თავიდან თავში, და მოჩურჩულე შადრევანი თანდათანობით უკმაყოფილო ინდივიდთა მეტაფორად გადაიქცევა:

**All the people of the village were at the fountain, standing about in their depressed manner, and whispering low ( p. 145)**

**Some whisper this, some whisper that; they speak of nothing else; even the fountain appears to fall to that tune ( p. 186)**

**They whisper at the fountain**, that although condemned to death he will not be executed;

‘...**they whisper at the fountain**’, resumed the countryman, ‘that he is brought down to our country to be executed on the spot (p. 185)

**All the village whispers by the fountain (p. 184)**

**There was a change on the village where the fountain fell... (p. 240)**

The mender of roads went home, with the dust going on before him according to the set of the wind, **and was soon at the fountain, squeezing himself in among the lean kine brought there to drink, and appearing even to whisper to them in his whispering to all the village. When the village had taken its poor supper, it did not creep to bed, as it usually did, but came out of doors again, and remained there. A curious contagion of whispering was upon it, and also, when it gathered together at the fountain... (p. 244)**

სწორედ ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ მარკიზ ევრემონდისთვის შადრევანი სოფლად თუ ქალაქად უკმაყოფილო, მტრულად განწყობილ ინდივიდთა ჯგუფთან ასოცირდება, სწორედ აღნიშნული ასოციაცია განაპირობებს მთელის (შადრევანთან მოჩურჩულე ინდივიდები) ნაწილით (შადრევანი, როგორც უკმაყოფილო ინდივიდთა სიმბოლო) მეტონიმურ ჩანაცვლებას, აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ მარკიზის სიტყვები: ის სიტყვას **fountain** (შადრევანი) სწორედ უკმაყოფილო ინდივიდთა ჯგუფის აღსანიშნად იყენებს.

He (Monsieur the Marquis) moved from one end of his voluptuous bedroom, looking again at the scraps of the day’s journey that came unbidden into his mind; ... **the peasants at the fountain**, and the mender of roads with his blue cap pointing out the chain under the carriage. **That fountain suggested the Paris fountain, the little bundle lying on the step, the woman ben-**

**ding over it, and the tall man with his arms up, crying, ‘Dead!’** (p. 143).

ავადმომასწავებელ ნიშნად აღიქმება განთიადის მზის სხივებით სისხლისფრად შეფერილი მარკიზ ევრემონდის სასახლის შადრევნის წყალი:

**In the glow, the water of the chateau fountain seemed to turn to blood, and the stone faces crimsoned** ( p. 144).

აღბათ, არც მარკიზის სასახლის ქვისგან გამოთლილი ორნამენტების აღწერისას მითოლოგიური წყლის ურჩხულის (კვლავ წყლის ასოციაცია), მედუზა გორგონის ხსენებაა შემთხვევითი:

**As if the Gorgon’s head had surveyed it, when it was finished, two centuries ago** (p. 135).

რომანის მსვლელობისას უკმაყოფილო ინდივიდთა ჯგუფები მემამბოხე ხალხის მასად, გამანადგურებელ ზღვად, ოკეანედ, წყალდიდობად, წარღვნად წოდებულ ბრბოდ ტრანსფორმირდება. დიკენსი მემამბოხე ხალხის აღსანიშნად სწორედ აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულებს მიმართავს, ეს კი შლის ზღვარს ფიგურასა და ფონს შორის. ამ ორის შერწყმა წარმოქმნის ახალ ფიგურას, ახალ მოქმედ პირს რომანში — მემამბოხე ხალხის მასას.

**With a roar that sounded as if all the breath in France had been shaped into the detested word, the living sea rose, wave on wave, depth on depth, and overflowed the city to that point. Alarm-bells ringing, drums beating, the sea raging and thundering on its new beach, the attack begun** (p. 229).

...suddenly the sea rose immeasurably wider and higher, swept Defarge of the wine-shop over the lowered drawbridge, past the massive stone outer wall...(p. 230).

The sea of black and threatening waters, and of destructive upheaving of wave against wave, whose depths were yet unfathomed and whose forces were yet unknown. The remorseless sea of turbulently swaying shapes, voices of vengeance, and faces hardened in the furnaces of suffering until the touch of pity could make no mark on them.

But, in the ocean of faces where every fierce and furious expression was in vivid life, there were two groups of faces- each seven in number- so fixedly contrasting with the rest, that never did sea roll which bore more memorable wrecks with it (pp 233-234).

A trying suspense, to be passing a whole summer night on the brink of the black ocean, ready to take that plunge into it upon which Monsieur Gabelle had resolved! (p.246)

What private solicitude could rear itself against the deluge of the Year One of Liberty- the deluge rising from below, not falling from above, and with the windows of Heaven shut, not opened! (p.285)

...seeming to recover their sense of hearing as they came down, until they were in the raging flood once more (p.233).

As a whirlpool of boiling waters has a centre point, so, all this raging circled round Defarge's wine-shop, and every human drop in the caldron had a tendency to be sucked towards the vortex where Defarge himself, already begrimed with gunpowder and sweat, issued orders, issued arms, thrust this man back, dragged this man forward, disarmed one to arm another, laboured and strove in the thickest of the uproar (p. 228).

...Mr. Lorry, who came panting in breathless from the struggle against waterspout of the Carmagnole (p. 299).

კონტექსტის გარეშე ზემომოყვანილი ნაწყვეტები აღიქმება, როგორც წყლის სტიქიის ამსახველი მონათხრობი; მხოლოდ პასაჟებში ჩართული ზოგიერთი ლექსიკური მარკერი (მაგ. *the living sea, the ocean of faces* და სხვ.) მიგვანიშნებს წყლის ხატების მეტაფორულ დატვირთვაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, რომანში დიკენსი ახდენს წყლის ხატების შემცველი კონცეპტუალური მეტაფორების აქტუალიზაციას, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენენ შემდეგი არქეტიპული კონცეპტუალური მეტაფორები: **დრო — მდინარეა, დრო — გამდინარე წყალია, ცხოვრება — მდინარეა.**

დაკვირვებამ ცხადყო, რომ ხშირად დიკენსის რომანებში („დღი მოლოდინი“, „ჩვენი საერთო მეგობარი“, „დომბი და ვაჟიშვილი“, „დევიდ კოპერფილდი“ და სხვ.) დროის, სიცოცხლის წარმავლობა ასოცირდება გამდინარე წყალთან, მდინარესთან, რომელიც ზღვისკენ, ოკეანისკენ მიედინება, მიაპობს ტალღებს; ზღვა და ოკეანე კი უკვდავების, საიქიო ცხოვრების კონცეპტუალიზაციისას საწყის სფეროს წარმოადგენს; შესაბამისად, ავტორი ახდენს შემდეგი კონცეპტუალური მეტაფორების აქტუალიზაციას: **ზღვა/ოკეანე — უკვდავება/უსასრულობა; ზღვა/ოკეანე — საიქიო ცხოვრება.** გამონაკლისს არც „ორი ქალაქის ამბავი“ წარმოადგენს:

ქვემომოყვანილ ნაწყვეტში დრო კონცეპტუალიზებულია, როგორც წყარო, წუთები კი როგორც წყლის წვეთები:

The fountain in the village flowed unseen and unheard , and the fountain at the chateau dropped unseen and unheard – both melting away, like the minutes that were falling from the spring of Time – through three dark hours. (p144).

ქვემო მოყვანილ პასაჟში თვეები ასოცირდება მდინარის ტალღებთან:

On the afternoon of a certain fine Sunday **when the waves of four months had rolled over the trial for season, and carried it, as to the public interest and memory, far out to sea...** (p.109).

ამავე მონაკვეთში ზღვა უსასრულობის სიმბოლოდ წარმოგვიდგება. ასევე უსასრულობისა და საიქიო ცხოვრების სიმბოლოდ წარმოგვიდგება ზღვა ქვემო მოყვანილ ნაწყვეტშიც:

In the black prison of the Conciergerie, the doomed of the day awaited their fate. They were in number as the weeks of the year. **Fifty-two were to roll that afternoon on the lifetide of the city to the boundless everlasting sea** (p. 355).

მიქცევა-მოქცევის ციკლი დიკენსთან სიცოცხლე-სიკვდილის რიტმთან არის კავშირში. ეს ნათლად ჩანს ქვემო მოყვანილ ნაწყვეტში, სადაც მომავლადი ახალგაზრდის სიცოცხლე მიქცევას არის შედარებული:

As I turned my eyes to the elder brother, I saw him looking down at this handsome **boy whose life was ebbing out** (p. 334).

ასევე ყურადღებას იპყრობს ინგლისური ენის ბირთვულ ლექსიკაში დამკვიდრებული სიტყვის **waters** (წყლები) მეტაფორული მნიშვნელობით (დროის მონაკვეთი, მძიმე განსაცდელის პერიოდი, გამოცდის ჟამი) გამოყენება; ქვემო მოყვანილ პირველ ნაწყვეტში **waters** დროის მონაკვეთის, დროის გარკვეული პერიოდის მნიშვნელობით არის ნახმარი, მეორე ნაწყვეტში კი, მძიმე განსაცდელის აღმნიშვნელია:

In the fairy city of this vision, there were airy galleries from which the loves and graces looked upon him, gardens in which the fruits of life hung ripening, **waters of Hope that sparkled in his sight** (p.108)

**Into his handsome face, the bitter waters of captivity had worn;** but, he covered up their tracks with a determination so strong , that he held the mastery of them even in his sleep (p. 205)

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1. მეტაფორის ქმნალობის პროცესის წარმოჩენა დიკენსის სტილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია.

2. წყლის ხატები და მათი მეტაფორული ტრანსფორმაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დიკენსის რომანის „ორი ქალაქის ამბავი“ ტექსტის კოჰერენტულობის შექმნაში; ისინი ნაწარმოების სიტუტური ხაზის კოგნიტიურ საფუძველს ქმნიან.

3. მეტაფორის ქმნადობის წარმოჩენა ნარატივში ნაწარმოებს უფრო დინამიკურსა და შთამბეჭდავს ხდის.

## ლიტერატურა

**დარასელია 2012** — Daraselia, Nino. *Water Imagery in Ch.Dickens' Works in The Stockholm 2012 Metaphor Festival, Abstracts*. Department of English, Stockholm University pp19-20.

**დიკენსი 1974** — Dickens, Charles. *A Tale of Two Cities*. 1974. Moscow: Progress Publishers.

**თულანი 1998** — Toolan, Michael, J. 1988. *Narrative. A Critical Linguistic Introduction*. Routledge: London & New York.

**თულანი 2008** — Toolan, Michael, J. 2008. Narrative Progression in the Short Story: First Steps in a Corpus Stylistics Approach, in *Narrative*, Vol. 16 #2 (May 2008). The Ohio State University.

**კოვეჩესი 2008** — Kovecses, Zoltan. 2008. *Universality and Variation in the Use of Metaphor*, in *Selected Papers from the 2006 and 2007 Stockholm Metaphor Festivals*, eds. N.L.Johannesson & D.C. Minugh, 51-74. Stockholm: Stockholm University.

**ლეიკოფი 1993** — Lakoff, George. 1993. *The Contemporary Theory of Metaphor*, in Ortony, Andrew (ed.), *Metaphor and Thought*. Cambridge: CUP.

**ლეიკოფი, ჯონსონი 1980** — Lakoff, George & Mark Johnson. 1980. *Metaphors We Live By*. Chicago: University of Chicago Press.

**ლიჩი 2007** — Leech, Geoffrey. 2007. *Style in Fiction Revisited: the Beginning of Great Expectations*, in *Style*, 41, 2 (2007) 117-132.

**რაინჰარტი 1984** — Reinhart, T. 1984. *Principles of Gestalt perception in the temporal organization of narrative texts*, in *Linguistics*, vol.22, pp.779-809.

**რობინსონი 1972** — Robison, Roselee. 1972. *Time, Death and the River in Dickens' Novels in English Studies* vol.53, Issue 5 (1972) 436-454.

NINO DARASELIA

## Metaphor Creation in Ch. Dickens' Novel *A Tale of Two Cities*

### Summary

The paper examines samples of water imagery and their metaphoric transformations in Dickens' *A Tale of Two Cities*. The empirical data has been analyzed from the standpoints of stylistics (Leech 2007, Toolan 1988, 2008), cognitive linguistics (Kovecses 2008, Lakoff 1993, Lakoff & Johnson 1980, Stockwell 2005) and gestalt psychology (Reinhart 1984).

It has been observed that similar to other works by Dickens, *A Tale of Two Cities* is abundant in various types of water images that are employed for the following purposes:

1. The water image (well, fountain, river, sea, ocean, channel) is an essential (quite often central) element, the relevant stroke in a Dickensian landscape, it: (a) determines the overall mood of a particular scene; (b) heightens suspense; (c) forms the ground for the figures in a particular scene or in the novel itself.

In many a case all the three functions of the water image are realized simultaneously.

2. Throughout the narrative different representations of water acquire a symbolic value, metaphorical load serving as the basis for the plot structure of the novel. In some instances the ground and the figure merge producing a new figure. For instance, individuals initially referred to as unknowable still waters form groups of discontent people identified with whispering fountains and gradually transform into crowds of revolting people identified as a whirlpool of boiling waters/destructive sea/ocean or deluge.

3. In the novel Dickens invokes archetypal conceptual metaphors of water; the recurrent conceptual metaphors being **Time is Flowing Waters**, **Time is a Flowing River**; **Life is a River**; **Eternity/Infinity is Sea/Ocean**; **The Realm of Death is Sea/Ocean**.

4. Objects are characterized via the terms of water domain.

The creative employment of water images and their metaphoric and symbolic transformations serve as a means for achieving textual coherence and make the narrative of the novel sound dynamic.

ირინე ღამბატრაძე

**საყვედური, როგორც „სახის შემლახველი“  
საგებულებო აქტი**

*„საყვედური ტყვეობაზე უარესია“  
სულხან-საბა ორბელიანი*

თავაზიანობის თეორიაში ცნობილი ტერმინი „სახის შემლახველი აქტი“ (FTA – Face Threatening Act) განიმარტება, როგორც სამეტყველო აქტი, რომელიც შელახავს ადრესატის ან მოლაპარაკის სახეს და ეწინააღმდეგება ერთის ან მეორის სურვილს (ბრაუნი და ლევისონი, 2000). მოცემული სტატიის მიზანია განიხილოს საყვედურის შემცველი გამონათქვამები ინგლისურ და ქართულ კულტურაში და დაადგინოს, როდის და რა კონტექსტშია ასეთი გამონათქვამები „სახის შემლახველი აქტები“.

სამწუხაროდ, ადამიანები ყოველთვის კეთილგანწყობილნი არ არიან სხვების მიმართ, ხშირად უკმაყოფილონი რჩებიან სხვების ნამოქმედართ თუ ნათქვამით. ამდენად, საყვედურებს ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ყველა ადამიანის ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლია გვასწავლის: „არა განსაჯო“, არ უსაყვედურო მოყვასს, ჯერ საკუთარი თავი შეაფასე („სხვის თვალში ბეწვს ამჩნევენ და თავის თვალში დირესაც ვერ ხედავენ“), საყვედურები მაინც ძალიან ხშირად გაისმის და ძალზე მრავალფეროვანია ექსტრალინგვისტური კონტექსტების მიხედვით.

რაც შეეხება საყვედურის სტრუქტურას, იგი შეიძლება იყოს გამოხატული:

ა. ერთი სიტყვით, მაგ. მასწავლებლის მიერ სათანადო ტონით ნათქვამი „გაჩუმდით!“ “ბიჭებო!“ „თამრიკო!“ „Stop!“ „Quiet!“, ასევე შორისდებულები „უიმეეე!“ „აუუუ!“ „Hey!“ „Ooooh“ და სხვა;



ბ. წინადადებით, მაგ. „ეს არ უნდა გექნა“, „ასე არ უნდა მოქცეულიყავი“, „You should have told me“, „What the hell are you doing?“ და სხვა;

გ. დიდი მოცულობის ტექსტით, როგორცაა საყვედურის შემცველი ტირადები ან საჩივრის წერილები, მაგ.

„Dear Mr. Millington,

I am returning with this letter your recent shipment of 500 golf balls.

As I stated, the logo should have been reproduced in our corporate colour, which is green. The logos on the balls that you sent are bright blue, and, therefore, unacceptable.

Please make the necessary corrections and send another shipment of balls by the end of this month.

Thank you for your prompt attention to this matter,

Yours sincerely,

Megan Lloyd,

Sales manager“

(„ძვირფასო მისტერ მილინგტონ,

მოცემულ წერილთან ერთად გიგზავნით 500 გოლფის ბურთის პარტიას.

როგორც ადრე აღვნიშნე, ბურთებზე წარწერილი ლოგო უნდა ყოფილიყო ჩვენი კომპანიის კორპორატიული ფერის, ანუ მწვანე. სამწუხაროდ, ლოგოები თქვენ მიერ გამოგზავნილ ბურთებზე ცისფერია, ამდენად, მიუღებელია ჩვენთვის.

გთხოვთ, გამოაგზავნოთ ბურთების ახალი, შესწორებული პარტია თვის ბოლომდე.

გმადლობთ ყურადღებისთვის,

პატივისცემით,

მეგან ლლოიდი,

გაყიდვების მენეჯერი“)

შინაარსის მიხედვით, საყვედურის შემცველი გამონათქვამები შეიძლება იყოს:

ა. თხრობითი წინადადება: „შენ დღეს ცუდად იცოდი გაკეთილი“, „ძალიან გაბრაზებული ვარ შენზე“, „You’ve ruined my car“, „You’re an inconsiderate person“ და სხვა;

ბ. კითხვითი წინადადება: „როგორ შეგიძლია იყო ასეთი უყურადღებო?“, „რატომ არც ერთხელ არ დამირეკე?“, „Why are you so impudent?“, „Why are you so late?“ და სხვა;

გ. ბრძანებითი წინადადება: „ერთხელ და სამუდამოდ შეწყვიტე სისულელეების კეთება!“, „ნუ ბოდიალობ რაღაცას, თუ ძმა ხარ!“. „გეყოფა!“, „Next time pay for it with your own money!“ „Don't be silly!“ და სხვა;

დ. ძახილის წინადადება: „რა სისულელეებს ლაპარაკობ!“, „რას შვრები!“, „ეს რა გიქნია!“ „კარგი რა!“, „What a fool you are!“, „How silly of you!“

ე. კითხვა-ძახილის წინადადება: „არ გრცხვენია?!“, „რა დაგემართათ?!“ „Do you know what time it is?!“ „Why so late?!“ და სხვა.

სამეტყველო აქტების თეორიის თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, საყვედურის შემცველი გამონათქვამები შეიძლება იყოს პირდაპირი და ირიბი. გამონათქვამი „შენ ძალიან დაგავგიანდა“ პირდაპირი საყვედურია, ხოლო „იცი რომელი საათია?“ — ირიბი (სკარუფი, 2006), გამონათქვამი „რას ჰგავხარ?!“ პირდაპირი საყვედურია, ხოლო „სახლში სარკე არა გაქვს?!“ — ირიბი.

ჯონ ოსტინისეულ სამეტყველო აქტების კლასიფიკაციას თუ დავყურდნობით (ოსტინი, 1965), საყვედურის შემცველი გამონათქვამი შეიძლება იყოს განცხადება, ფაქტის კონსტატაცია (statement) (მაგალითად: „თქვენი ნაშრომი არადაამაკმაყოფილებელია“, „კედლები ცუდად შევიღებავს“ „You haven't done this properly“, „This kind of behaviour is unacceptable“), ბიჰებიტივი „ძალიან დამალე“, „ძალიან შემაწუხე“, „I'm fed up with the noise you're making“) ან ვერდიქტივი („გიორგაძეს გამოეცხადოს საყვედური პირად საქმეში შეტანით“).

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საყვედურები შეიძლება იყოს ინფორმატიული, ანუ მოიცავდეს ნამდვილი უკმაყოფილებისა და კრიტიკის ილუკუციურ ძალას, და ფატიკური, ანუ, პირიქით, კეთილგანწყობისა და ურთიერთობის სურვილის გამოხატველი. ასე მაგ. როდესაც ვინმე მაღლობას გვიხდის, ხშირად ვამბობთ გამონათქვამს, რომელიც ფორმალურად საყვედურის შემცველია, მაგრამ რეალურად

არ წარმოადგენს „სახის შემლახველ აქტს“, არამედ, პირიქით „სახის შენარჩუნების“ და თავაზიანობის სტრატეგიაა:

- დიდი მადლობა, რატომ შეწუხდი ასე?!
- არა გრცხვენია?!

ან

- ვაიმე, ნუ შეწუხდებით!
- როგორ გეკადრებათ!
- Words are not enough to express my gratitude! Thank you very much indeed for everything you have done for me!
- Don't be silly!

საყვედური დაგვიანებაზე: „სად ხარ ამდენ ხანს?“, „სად დაიკარგე?“ ინფორმატულია, მაგრამ, თუ აღნიშნული გამონათქვამები დიდი ხნის უნახაობაზე მიუთითებს, ისინი ფატიკურია და გამოხატავს სითბოსა და მონატრებას. მათი ეკვივალენტი ინგლისურში არის „Haven't seen you for ages“, რომელიც უბრალოდ ფაქტის კონსტატაციაა და არ მოიცავს საყვედურს.

როგორც ზემომოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, საყვედურებს დიდი ადგილი უკავია ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში. ისინი მრავალგვარი ფორმით გამოიხატება და, უმრავლეს შემთხვევაში, „სახის შემლახველ აქტებს“ წარმოადგენს. ქართული ანდაზა „გაღმა შეედავე, გამოღმა დაგრჩებაო“ იმაზე მიუთითებს, რომ საყვედური შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც „სახის შენარჩუნების სტრატეგიაც“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საყვედურის გამოთქმისას უნდა ვიყოთ ფრთხილად და ვეცადოთ საყვედური ტაქტიკიანად გამოვთქვათ, რათა ზედმეტად არ შეურაცხყოთ ადრესატი (გავიხსენოთ თუნდაც სულხან საბას „ენით დაკოდლი“) და სამუდამოდ არ გავაფუჭოთ საქმიანი თუ მეგობრული ურთიერთობები.

## ლიტერატურა

**ბრაუნი და ლევინსონი 2000** — Brown P., Levinson S., Politeness: Some Universals in Language Usage. Cambridge University Press, 2000.

**დეკაბუა და დანჰემი 1998** — DeCapua A & Dunham J.F. The pragmatics of advice giving: Cross-cultural perspectives, 1998.

**ვან დეიკი, 1977** — Van Dejk T. Context and Cognition: Knowledge Frames and Speech Act Comprehension. Journal of Pragmatics 1, 1977 (pp 211-232) .

**მერფი და ნეუ 1996** — Murphy, B. and Neu, J. (1996). My grade's too low: The speech Act Set of complaining. In S. M. Gass and J. Neu (Eds.), Speech acts Across cultures: Challenges to Communication in a second language (pp. 191-216). Berlin: Mouton de Gruyter.

**ოსტინი, 1965** — Austin J. How to Do Things with Words. Oxford University Press. 1965.

**ინტერნეტი:**

[www. Discourses. Org](http://www.Discourses.Org)

[www. Nvtc.ee](http://www. Nvtc.ee)

**IRINE DEMETRADZE**

## **Reproach as a Face Threatening Act**

### **Summary**

Since people are often displeased with the behavior and actions of others, reproach is a widespread phenomenon in everyday life. Reproach can be expressed by affirmative, interrogative, exclamatory and imperative sentences. The utterances expressing reproach may consist of a single word, a phrase or even an entire text. The analysis based on the speech act theory has revealed that utterances expressing reproach are both direct and indirect speech acts and, in Austin's classification, they represent both statements and performatives like behabitives and verdictives. Besides, depending on extralinguistic context, one and the same utterance may be a reproach , i.e. a face-threatening act, and a polite formula, i.e. a face-saving act. Hence, it is argued that phrases of reproach may be both informative and phatic.

ნათია გასაძე

**ინგლისური პოლიტიკულად კორექტული ტერმინების  
წარმოება ლექსიკური ერთეულის  
“challenge” ბაზოქენებით**

ინგლისურენოვან პოლიტიკურად კორექტული ტერმინების წარმოებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სიტყვა “challenge”. წინამდებარე სტატიის მიზანია განიხილოს და წარმოადგინოს სიტყვის “challenge” ეტიმოლოგია, სემანტიკა და პრაგმატიკული მახასიათებლები. აგრეთვე დაადგინოს, თუ რამ განაპირობა აღნიშნული ლექსიკური ერთეულის დიდი სიხშირით გამოყენება პოლიტიკურად კორექტულ ტერმინებში.

ავტორიტეტული ლექსიკონების თანახმად, ინგლისური სიტყვა “challenge” საშუალო ინგლისურში ნასესხებია ფრანგული სიტყვიდან “chalenge”, რომელიც, თავის მხრივ, მომდინარეობს ლათინურიდან *calumnia* ‘calumny’, *calumniari* ‘calumniate’, – „ყალბი ბრალდება“. როგორც ვხედავთ, აღნიშნული ლექსიკური ერთეული უარყოფითი მნიშვნელობის მატარებელი იყო. ინგლისური ენის ევოლუციასთან ერთად აღნიშნულმა ლექსიკურმა ერთეულმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა.

ინტერესს იწვევს, თუ რამდენად შეიცვალა სიტყვის “challenge” მნიშვნელობა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დღემდე. ინგლისურენოვანი ავტორიტეტული ლექსიკონების თანახმად, აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულს აქვს შემდეგი ძირითად მნიშვნელობები:

წელი	ლექსიკონი	განმარტება	
1974	The Merriam-Webster Dictionary	1. to halt and demand the countersign of; 2. to take exception to: dispute; 3. to issue an	1. შეჩერება და პაროლის ან საშვის მოთხოვნა; 2. გამონაკლისის დაშვება: კამათი. 3. მიპატიყება ორ-

		invitation to compete against one esp. in single combat; dare, defy.	თაბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად; გაბედვა, გამოწვევა.
1974	Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English by A.S. Hornby	1. invitation or call to play a game, run a race, have a fight, etc to see who is better, stronger, etc. 2.Order given by a sentry to stop and explain who one is: 'who goes there?';	1. მიწვევა ან მოწოდება თამაშში, რბოლაში ან ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად, რათა გამოვლინდეს ვინ არის უკეთესი, ძლიერი და ა.შ; 2. მცველის მიერ გაცემული ბრძანება პიროვნების იდენტიფიკაციის დასადგენად.
1977	Webster's New World Dictionary	1. A demand for identification; 2. A calling into question; 3. A call to a duel, contest, etc. 4. Anything that calls for special effort .	1. ბრძანება პიროვნების იდენტიფიკაციის დასადგენად; 2.რაიმეში დაეჭვება, პასუხის მოთხოვნა; 3. დუელში, შეჯიბრებაში გამოწვევა; 4. ყოველივე, რაც ითხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევას.
1994	Cassell Concise English Dictionary	1.To call on to settle a matter by fighting or by any kind of contest: to claim as one's own: to accuse: to object to  2.A summons to a contest of any kind, but esp. a duel:  3.A calling of anyone or anything in question: 4.exception to a juror:  5.demand of a sentry: 6.accusation:	1. მოწოდება საკითხის ბრძოლით ან ნებისმიერი სახის შეჯიბრებით მოსაგვარებლად; რაიმეზე პრეტენზიის ქონა; ბრალდება; შეწინააღმდეგება.  2.ნებისმიერი სახის შეჯიბრებაში გამოწვევა, განსაკუთრებით დუელში.  3. რაიმეში ან ვინმეში დაეჭვება;  4. ნაფიცი მსაჯულისთვის უარის თქმა  5. მცველის მოთხოვნა;  6. ბრალდება;

		<p>7. claim;</p> <p>8.A difficulty which stimulates interest or effort: a task, undertaking, etc.; To test one's powers and capabilities to the full.</p>	<p>7. მტკიცება;</p> <p>8. სირთულე, რომელიც ახდენს ინტერესის ან ძალისხმევის სტიმულირებას: დავალება, წამოწყება ა.შ., საკუთარი უნარისა და ნებისყოფის სრული გამოვლინების შემოწმება.</p>
1994	The Cambridge Thesaurus of American English	<p>1. Dare, defy, confront, threaten, denounce. 2. Question, dispute, contest, inquire, search, impugn.</p>	<p>1. გაბედვა; გამოწვევა; დაპირისპირება; დაშტურება, დაგმობა. 2. დაეჭვება; კამათი; შეჯიბრება; გარკვევა, ძებნა; რაიმეში ეჭვის შეტანა.</p>
1996	Collins Cobuild Pocket Dictionary	<p>1.A challenge is something new and difficult which will require great effort and determination. 2. A challenge to something is a questioning of its truth, value, or authority. 3. If challenge someone, you invite them to fight or compete with you. 4. To challenge ideas or people means to question their truth, value or authority.</p>	<p>1. ნებისმიერი სახის ახალი და რთული გამოწვევა, რომელიც მოითხოვს გარკვეულ ძალისხმევას და სიმტკიცეს. 2. როდესაც სადავო ხდება რაღაცის ჭეშმარიტება, ფასეულობები ან ავტორიტეტი. 3. პირვნების გამოწვევა ბრძოლაში ან შეჯიბრებაში. 4. იდეების ან აღმიანების ავტორიტეტში, ფასეულობასა ან ჭეშმარიტებაში დაეჭვება.</p>
2000	The American Heritage Dictionary	<p>1.to call to engage in a contest; to invite with defiance; 2. To call into question; dispute; 3. To order to halt and be identified; 4. To take formal objection to juror or voter; 5. To</p>	<p>1. შეჯიბრებაში მიწვევა.გამოწვევა; 2. დაეჭვება, კამათში, გამოწვევა; 3. შეჩერების ბრძანება იდენტიფიკაციის დადგენის მიზნით; 4. ოფიციალური პროტესტი ნაფიცო მსაჯუ-</p>

		summon to action or effort;	ღის ან ამომრჩევლის მიმართ; 5. მიწვევა რაიმე ქმედების ან ძალისხმევის განსახორციელებლად.
2004	Oxford Advanced Learner's Dictionary	1. To question whether a statement or an action is right, legal, etc. 2. To refuse to accept sth. 3. To invite sb to enter a competition	1. განცხადების ან ქმედების სიმართლეში, კანონიერებაში ა.შ. დატყვება; 2. რაღაცის მიღებაზე უარის თქმა; 3. ვიღაცის შეჯიბრებაში მიწვევა.
2005	Longman Dictionary of English Language and Culture	1. to invite someone to compete against you in a fight, match etc.; 2. to question the rightness, legality etc, dispute; 3. to test the abilities of a person or thing; 4. to stop and demand official proof of the name and intentions of someone.	1. ვიღაცის გამოწვევა შეჯიბრებაში, ბრძოლაში, მატჩში ა.შ.; 2. სიმართლეში დატყვება 3. პიროვნების ან ნივთის შესაძლებლობების დადგენა; 4. შეჩერება ვინმეს იდენტიფიკაციის ან ინტენციის დასადგენათ.

ზემოთ მოყვანილი სალექსიკონო განმარტებებიდან საყურადღებოა შემდეგი:

Webster-ის ლექსიკონის (1977) მეოთხე განმარტება: ‘Anything that calls for special effort’ — ნებისმიერი რამ, რაც მოითხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევას.

ინტერესს იწვევს 90-იანი წლების Cassell-ის ლექსიკონში წარმოდგენილი ერთ-ერთი მნიშვნელობა, რომლის დეფინიციაც გახლავთ: ‘a difficulty which stimulates interest or effort: a task, undertaking, etc.; To test one’s powers and capabilities to the full’ — სირთულე, რომელიც ახდენს ინტერესის ან ძალისხმევას სტიმულირებას: დავალება, წამოწყება ა.შ.; რომელიც ადამიანის უნარებისა და ნებისყოფის სრულ გამოვლინებას უწყობს ხელს.



საყურადღებოა XXI საუკუნის Oxford-ის ლექსიკონი, რომლის მიხედვითაც ლექსიკური ერთეულის „challenge“ პირველადი მნიშვნელობა არის: ‘A new or difficult task that tests sb’s ability and skill’ – ახალი ან რთული დავალება, რომელიც ადამიანის უნარების ერთგვარი გამოცდაა. ანალოგიურ მნიშვნელობას ვხვდებით Longman-ის ლექსიკონშიც.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ 70-იანი წლებიდან დღემდე სიტყვის “challenge” მნიშვნელობამ „გამოწვევა“ თანდათანობით მიიღო დადებითი კონოტაცია. სწორედ აღნიშნული მნიშვნელობა დაედო საფუძვლად პოლიტიკურად კორექტული ტერმინების წარმოებას თანამედროვე ინგლისურში.

როგორც ცნობილია, პოლიტიკური კორექტულობა გულისხმობს ვერბალურ ქცევას, რომელიც გამორიცხავს ნებისმიერი სახის ვერბალურ დისკრიმინაციას: რასობრივს, გენდერულს, რელიგიურს თუ პოლიტიკურს. შესაბამისად, პოლიტიკური კორექტულობის მისაღწევად ენობრივი კოლექტივის მთავარი მიზანია, იპოვოს ახალი ენობრივი ერთეულები იმათ ჩასანაცვლებლად, რომლებიც ეხება ინდივიდის გრძნობებს, ავიწროებს მის ადამიანურ უფლებებს, რაც დაკავშირებულია ენობრივ უტაქტობასთან, ასაკობრივ დისკრიმინაციასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან და სხვა.

საკვლევ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ განსხვავებული უნარის მქონე ადამიანის სახელდება ინგლისურენოვან ენობრივ კოლექტივებში ხდებოდა სხვადასხვა ტერმინით, რომლებიც ეტაპობრივად იცვლებოდა. ამ ცვლილების მიზეზს წარმოადგენს აღნიშნული ტერმინების მიერ ნეგატიური კონოტაციის შექმნა, არათავაზიანი და არაკორექტული დატვირთვის გამოვლენა.

დღეს განსხვავებული უნარის მქონე ადამიანის სახელდებისას ინგლისურენოვან ენობრივ კოლექტივებში აქტიურად იყენებენ პოლიტიკურად კორექტულ ლექსიკურ ერთეულებს, რომელთა შემადგენლობაშია სიტყვა “challenged”. ამ ტერმინის გამოყენებით ხდება აღნიშნულ ჯგუფში შემავალი ადამიანების „ნაკლის“ ეფემიზაცია. თუ აღნიშნულ ტერმინს თავაზიანობისა და სახის თეორიების თვალსაზრისით განვიხილავთ, შეიძლება ითქვას, რომ ის წარმოადგენს არაპირდაპირობის სტრატეგიის (off-record-indirect strategy) ნიმუშს.

ტერმინს „challenged“ ვხვდებით პოლიტიკურად კორექტულ ტერმინებში, როგორებიცაა: **Physically challenged, Visually challenged, Vertically challenged, Mentally challenged.**

ქვემოთ მოყვანილი მაგალითები წარმოადგენს განსხვავებული უნარის მქონე ადამიანების სახელდების სხვადასხვა ფორმას, რომლებიც შინაარსობრივი დატვირთვით ერთი და იგივეა, მაგრამ შეურაცხყოფელი და დამაკინებელი სახელდება ამ პირთათვის.

არაკორექტული ტერმინები განსხვავებული უნარის მქონე პირთა სახელდებისას	პოლიტიკურად კორექტული ტერმინები განსხვავებული უნარის მქონე პირთა სახელდებისას
<a href="#">Lame</a>	Physically challenged
<a href="#">Crippled</a>	
<a href="#">Handicapped</a>	
Invalid	
<a href="#">Spastic</a>	
Special needs	
Retarded people	
Learning difficulties/ learning disability	
Differently abled	
<a href="#">Disabled</a>	

**Physically-challenged**-ის სინონიმებად ასევე მოიაზრება შემდეგი ლექსიკური ერთეულები: [disabled](#), [differently abled](#), [exceptional](#), [impaired](#), [incapacitated](#) მაგრამ, მიჩნეულია, რომ აღნიშნული ტერმინები დღესდღეობით შინაარსობრივად პოლიტიკურად არაკორექტული და არათავაზიანობის გამომხატველია.

ზემოხსენებულ სიტყვის **challenge** შემცველ ლექსიკურ ერთეულთა გამოყენება პირველად განხორციელდა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1980 წელს, რათა აღეკვეთათ შემდეგი ტერმინების **disabled/handicapped** ხმარება. შემდეგ კი, ზემოხსენებულ პოლიტიკურად

კორექტულ ტერმინთა გამოყენება გავრცელდა ინგლისსა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ განსხვავებული უნარის მქონე პირთა სახელდებისას ხაზი უნდა გაესვას მათ შესაძლებლობებსა და არა შეზღუდვებს. აგრეთვე, მიზანშეწონილი არ არის ემოციურად დატვირთული მსაზღვრელების გამოყენება, როგორც არის: საბრალო, უბედური, საცოდავი ან სხვა. სიტყვათწყობაში: **“physically challenged”** გვაქვს ჯერ შესაძლებლობის განმსაზღვრელი სიტყვა და შემდეგ სიტყვა „გამოწვევა“. ვხვდებით პოლიტიკურად კორექტულ დადებითი მნიშვნელობის მატარებელ სახელდებას, რომელშიც ეფემიზაციის ხარჯზე შერბილებულია პიროვნების ნაკლი და დადებითი კუთხით არის წარმოჩენილი: ინდივიდის ნაკლი წარმოდგენილია როგორც გამოწვევა მისთვის.

საყურადღებოა ვებგვერდ google-ის დახმარებით ნაწარმოები სტატისტიკური კვლევა, რომელმაც აჩვენა ტერმინის „ზმნიზედა+challenged“ უხვი რაოდენობის სტატია თუ ვიდეომასალა, რომელთა რიცხვსაც შეადგენს 7,400,000.




აგრეთვე, „google books“-ის დიაგრამის თანახმად, პოლიტიკურად კორექტული ტერმინი, რომლის სტრუქტურა გახლავთ: ზმნიზედა + მიმლეობა || ზმნისა ‘challenge’, 1980 წლიდან აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა წიგნსა თუ სტატიაში.

## Google books Ngram Viewer

Graph these comma-separated phrases:  case-insensitive

between 1800 and 2000 from the corpus English with smoothing of 3 Search lots of books

Annotations 0  
Twitter 0  
Embed Chart



Search in Google Books

შესაბამისად, ლექსიკური ერთეული „challenge“, რომელიც გვხვდება ზმნიზედასთან შერწყმის შედეგად, რთულ სიტყვებში მიჩნეულია ფიზიკური ნაკლის მქონე ინდივიდთა მიმართვისას პოლიტიკურად კორექტულ ტერმინად. იგი დადებითად წარმოაჩენს იმ მამაც ადამიანს, რომელიც მის კონკრეტულ წინააღმდეგობას უმკლავდება და აღნიშნული ტერმინი გვევლინება დადებითი სემანტიკის მატარებლად, რომელიც ინდივიდის ნაკლის წარმოჩენას ახდენს მხოლოდ დადებითი კუთხით.

სტატია მსურს დავასრულო იტალიელი კულტუროლოგის უმბერტო ეკოს სიტყვებით: „მთავარი ის კი არ არის, რომ მოვიგონოთ თუ რა ვუწოდოთ „ჩვენ“ (მოსაუბრებმა) სხვებს, მთავარია ვიცოდეთ, თუ როგორ სურთ ამ სხვებს იწოდებოდნენ“.

## ლიტერატურა

**ბრაუნი, ლევინსონი 1990** — Brown, P. and S. Levinson. Politeness: Some Universals in Language Usage, Cambridge University Press Reprinted 1990

**გოფმანი, 2006** — Goffman, E. Interaction Ritual, Essays in Face-to-face Behaviour; with a new introduction by Joel Best; Printed in the USA, 2<sup>ND</sup> printing 2006

### **ლექსიკონები**

1. Concise English Dictionary, W & R Chambers LTD, 1994
2. Collins Cobuild Pocket Dictionary, Harper Collins Publishers LTD, 1996
3. Hornby A. S., Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English, Oxford University Press, 1974.
4. Longman Dictionary of English Language and Culture, Pearson Education Limited, 2005
5. Oxford Advanced Learner's Dictionary, Oxford University Press, 2004
6. The Cambridge Thesaurus of American English, Cambridge University Press, 1994 .
7. The American Heritage dictionary, Houghton Mifflin Company ,2000
8. The Merriam-Webster Dictionary, New York, New York 10020, 1974
9. Webster's New World Dictionary, William Collins + World publishing, 1977
10. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რედ.: არნ. ჩიქობავა) (ერთტომეული), თბილისი 1986.

### **გამოყენებული ინტერნეტის ავტორიზებული რესურსები:**

1. ეკო, უ.  
<http://labrys.ru/node/2707>
2. პოლიტიკური კორექტულობა  
[http://en.wikipedia.org/wiki/Political\\_correctness](http://en.wikipedia.org/wiki/Political_correctness)
3. saZiebo sistema: google books:  
[https://books.google.com/ngrams/graph?content=physically+challenged+person&year\\_start=1800&year\\_end=2000&corpus=15&smoothing=3&share=&direct\\_url=t1%3B%2Cphysically%20challenged%20person%3B%2Cc0](https://books.google.com/ngrams/graph?content=physically+challenged+person&year_start=1800&year_end=2000&corpus=15&smoothing=3&share=&direct_url=t1%3B%2Cphysically%20challenged%20person%3B%2Cc0)

## ელექტრონული ლექსიკონები:

Online Etymology Dictionary: <http://www.etymonline.com/index.php?term=challenge>

დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ ლექსიკონი <http://dictionary.ge/>

NATIA VASADZE

### Formation of English Politically Correct Terms with the Lexical Unit *challenge*

#### Summary

The paper examines semantics and pragmatics of some English politically correct terms formed with the past participle form of the lexical unit *challenge* (e.g. physically-challenged, visually-challenged). Special emphasis is placed upon the etymology of the word in question, its semantic evolution from the negatively connotated French borrowing (O.Fr. *challenge*, a dispute, claim – L.*calumnia*, a false accusation) via semantically neutral lexical unit (call on to settle a matter by fighting or by any kind of contest) towards the positively connotated word (a difficulty which stimulates interest or effort). The statistical analysis has proved that since the 1970s the latter meaning has become one of the basic meanings of the given polysemantic word. The paper argues that similar to other politically correct terms the terms formed with *challenge* are samples of euphamization, they disguise physical faults of individuals, presenting them as a challenge a person should and can overcome.

ნანა ივანელაშვილი, ნანა ტალახაძე

### სიტუაციური დისკურსი არაქართულენოვან აუდიტორიაში

არაქართულენოვან აუდიტორიაში ლექსიკის ნაწილი უპირატესად უნდა ითვალისწინებდეს ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად გამოყენებად ლექსიკურ ერთეულებს, მოიცავდეს სალექსიკონო მინიმუმის მონაცემებს და იყენებდეს ახალი ლექსიკის მიწოდების სხვადასხვა ხერხს: თარგმანს, თვალსაჩინოებების საშუალებებს და სხვა, რაც, ზოგადად, გათვლილია ლექსიკური ერთეულების დასამახსოვრებლად.

ლექსიკური მასალის შესწავლა უზრუნველყოფს სამეტყველო საქმიანობას ყოფით და სასწავლო სფეროში. ახალი ლექსიკური ერთეულების მიწოდებისას გამოიყენება როგორც ტრადიციული (სინონიმები, ანტონიმები და ა.შ.), ასევე სხვა ასოციაციური ხერხები (მაგ. კონტექსტი). ეს კი, თავის მხრივ, გათვლილია ლექსიკური ერთეულების თემატურ სისტემატიზაციაზე:

**•სავარაუდო სიტუაციებისთვის აუცილებელი ლექსიკა და სამეტყველო ნიმუშები;**

**•სინონიმური ლექსიკური ერთეულები;**

**•ლექსიკური მარაგის გამდიდრება, სავარაუდო შესაძლო სიტუაციებში საჭირო ლექსიკური ერთეულების დანიშნულებისამებრ გამოყენება;**

განვიხილოთ სიტუაციური ლექსიკის სავარაუდო თემატური ჯგუფები და წარმოვადგინოთ მოცემული სიტუაციისთვის საჭირო ლექსიკური ერთეულებიც:

**შეხვედრა (დაგეგმილი და დაუგეგმავი შეხვედრები);  
მისალმება;**

**დამწვიდობება:**

**გაცნობა;**

**ტრანსპორტში;**

**ერთი დღე** (თვალი გავახილვე, გამოვფხიზლდი, ადგომა, პირის დაბანა, კბილის გახეხვა, მოწესრიგება // მოვწესრიგდი; საუზმე, სა- დილი, სამხარი, ვანშამი;

ნაყოფიერი დღე, რეალიზებული დღე, წარუმატებელი დღე;

დროის პერიოდები: აისი // მზის ამოსვლა, განთიადისას, ნაშუა- დღევი, შუადღე, შუაგული დღე, მოსაღამოვდა, მზე ღრუბლებს მოე- ფარა, მზის მიწურული // დაისი);

**ჩემი დღე უნივერსიტეტში;**

**გამოცდისთვის მზადება;**

**ბიბლიოთეკაში;**

**გამოცდაზე;**

**ჩემი სურვილები და შესაძლებლობები** (შესაძლებლობის, მოწოდე- ბა — ბრძანების გამოხატვა: უნდა, აუცილებელია, შეიძლება ვწერო; უნდა, აუცილებელია, შეიძლება ვწერდე; მზა მოდელები სასურველი მოქმედების გამოსახატავად: ნეტავ, მინდა, მსურს, კარგი იქნებოდა // რა კარგი იქნებოდა).

**მალაზიაში;**

**საავადმყოფოში;**

**დაბადების დღეზე;**

**კაფეში ან რესტორანში, დისკოთეკაზე ან კლუბში;**

**ექსკურსიაზე, პარკში;**

**უქმე დღე (მოცლა, მცალია — გცალია, განტვირთვა, გართობა);**

**თეატრსა და კინოთეატრში;**

**მუზეუმში;**

**არტგენზე;**

**ბაზარსა და ბაზრობაზე;**

**ახალი წელი;**

**ბანკში, ფოსტაში;**

**საელჩოში, საკონსულოში;**

**ჩემი არჩევანი** (მთქმელის პოზიციის გამოხატვა-გააქტიურება: მი- რჩევნია-ვამჯობინებ-უბირატესობას ვანიჭებ; არჩევანის გაკეთება მზა მოდელების დახმარებით: მირჩევნია // მირჩევნია რომ; უმჯობესია // უმჯობესია რომ; ხომ არ ისურვებთ....)

**სტადიონზე, კორტებზე;**

**არდადეგები....**



ლექსიკურ-ენობრივი მასალა დაჯგუფდება ლოგიკურ-სემანტიკური პრინციპით. საილუსტრაციო ლექსიკურ მასალად კი გამოვიყენებთ მხატვრული ლიტერატურიდან, მედიატექსტებიდან და სხვა ინფორმაციული ტექსტებიდან ამოკრეფილ მაგალითებს.

გასათვალისწინებელია კულტურათაშორისი კავშირები. მიზნობრივი აუდიტორია ეუფლება არა მხოლოდ ქართულ ენას, არამედ ეცნობა ქართულ კულტურასა და ისტორიას, ტრადიციებსა და ცხოვრების წესს: სამეტყველო ეტიკეტის შესაბამის ლექსიკურ ერთეულებს, ფრაზეოლოგიზმებსა და მათ ყოფიერებაში გამოყენების შესაძლებლობებს; მინიტექსტებს — ეთნოკულტურული მახასიათებლებით (ეთნოგრაფიული მუზეუმი, ფოლკლორული ნიმუშები, ნამუშევრები // ხელნაკეთი ნივთები: თექა, მინანქარი, ხანჯალი, ეროვნული სამოსი, ჩოხა, ფაფახი; სახალხო მთქმელები, შემსრულებლები, ფარეკაობა; ეროვნული საგანძური, ისტორიული ნივთები, ქართული კერძების, ფოლკლორისთვის დამახასიათებელი სიტყვები...).

ვფიქრობთ, რომ ამგვარი ეტაპობრივი მიდგომა შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ არაქართულენოვან აუდიტორიასთან მუშაობის სავარაუდოდ მისაღწევი შედეგები:

- სიტუაციური ინფორმაციის (მისაღება, დამშვიდობება, ვინაობა, გაცნობა, ადგილმდებარეობის განსაზღვრა) გათავისება; ყოველდღიური ყოფითი რეპლიკების, ფრაზების ძირითადი აზრის მიხვედრა; თავაზიანი ლექსიკური ერთეულების ცოდნა;

- ელემენტარულ-ყოფით საკომუნიკაციო სიტუაციებში ორიენტირება; შესწავლილი ლექსიკური ერთეულების შესაბამისი სიტუაციისთვის მისადაგება; ახალი სიტყვების გააზრება კონტექსტის მიხედვით;

- გარკვევით, გამოთქმით, ზომიერი ტემპით საუბრის დროს უკვე შესწავლილი და დამუშავებული სიტუაციური თემატიკის მინიტექსტებზე დაკვირვება და მათი გააზრება (ოჯახი და ნათესავები, მეგობრები, სივრცისა და დროის მიმართებები: ქალაქში, სასწავლებელში, ჩემი დღე, თავისუფალ დროს და სხვა.);

- წინადადებაში შემავალი სიტყვების შინაარსობრივი გამიჯვნა; კითხვის დროს უცნობი სიტყვის ან შესიტყვებების მნიშვნელობის გარკვევა კონტექსტიდან ნაცნობი სიტყვების მოშველიებით;

- შემთხვევითი თუ წინასწარ დაგეგმილი ვერბალური სიტუაციების გათავისება შეძენილი ლექსიკის გამოყენებით;
- მოსმენილ ტექსტებში მისთვის ახალი სიტყვების მნიშვნელობათა განსაზღვრა კონტექსტიდან გამომდინარე. მიღებული ინფორმაციიდან მთავარი აზრის გაგება;

### **ლიტერატურა**

თავთავი 1, III დონე, თბ., 2007 წელი

**შავთალაძე, 2008** — ნ. შავთალაძე, ბილიკი, ქართული დიალოგები, საკითხავი მასალა, თბ., 2008.

**არაბული, 2004** — ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.

**NANA IVANELASHVILI, NANA TALAKHADZE**

### **Situational Discourse in a Non-Georgian Audience**

#### **Summary**

The paper discusses the methods of teaching Georgian lexis to a non-Georgian audience. The paper maintains that the main part of the lexis taught should cover the common core vocabulary as well as the colloquial lexical units with high frequency of usage. A variety of methods for familiarizing learners with new lexical items are also discussed. Thematically and situationally arranged lexical units are of particular efficiency. The acquisition of lexis helps learners to cope with their daily and workplace activities.

დარეჯან კირთაძე

**კალენდარული და არაკალენდარული პირის სახელები  
V-X სს-ის ქართულ ორიგინალურ  
აზიოგრაფიულ ძეგლებში**

ენაში უამრავი ანთროპონიმი არსებობს. მათგან ზოგი მშობლიური ენობრივი ფონდის კუთვნილებაა, ძირძველია, ზოგიც — ნასესხები. დროთა განმავლობაში ქრებოდა ძველი საკუთარი სახელები და მათ ადგილს იჭერდა სხვა, ახალი. იცვლებოდა ასევე სახელთა დარქმევის პრინციპებიც.

ქართული ანთროპონიმიის განვითარებაზე თავისებური გავლენა იქონია ქართლის მოქცევამ. ქართველ ტომებში გავრცელებული წარმართული ანთროპონიმია თანდათანობით შეავიწროვა და დავიწყებას მისცა ქრისტიანულმა მწიგნობრობამ. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას მოჰყვა სახელების რიტუალის გადასვლა სამღვდლოების ხელში, ტრადიციული ანთროპონიმიის განდევნა და კალენდარული სახელების დამკვიდრება. ეკლესიის მოთხოვნით, ყოველ ქრისტიანს უნდა დარქმეოდა ქრისტიანული სახელი, რომელიც სპეციალურ საეკლესიო კალენდარში (წმინდანის დაბადების ან გარდაცვალების დღეს) იყო შეტანილი. ამდაგვარ სახელებს კალენდარულ სახელებს უწოდებენ. საეკლესიო „კალენდარი შედგენილ იქნა ბიზანტიაში და მასში შევიდა ძირითადად ბერძნული და ლათინური სახელები, რომელთაც დაემატა აგრეთვე იმ დროს ბიზანტიაში გავრცელებული ძველებრაული, სირიული და ეგვიპტური სახელები“ (ჭუმბურიძე, 1987, 265). ნათლობის დროს მღვდელი ჩახედავდა საეკლესიო კალენდარს და ბავშვს იმ წმინდანის სახელს შეურჩევდა, რომლის ხსენებაც იმავე ან მახლობელ დღეებში იყო დაწესებული. ეს წმინდანი ითვლებოდა შემდეგ ნათელღებულის მფარველად.

ქართულ ანთროპონიმიში კალენდარული წარმომავლობის სახელები ორი გზით გავრცელდა. ერთია ზეპირი ტრადიცია და მეორე — მწიგნობრობა. უცხოური წარმომავლობის სახელები ჩვენში მანამ-

დევ არსებობდა, ვიდრე ქრისტიანული მწიგნობრობა გაჩნდებოდა (ქართული წარმოშობის სახელების გვერდით უხვად გამოიყენებოდა ხურიტული, სპარსული, არაბული წარმოშობის პირის სახელები, რომელთა გამოც წარმართული ონომასტიკონი ერთსახოვანი არ ყოფილა). საყოველთაოდ ცნობილია, რომ მწიგნობრული საშუალებით ბიბლიური სახელები ძველი და ახალი აღთქმის წიგნების თარგმნით დამკვიდრდა; ეს წიგნები საქართველოში ჯერ კიდევ IV-V საუკუნეებში არსებობდა.

ნაშრომში სრულად წარმოვაჩინეთ იმ კალენდარულ პირის სახელებს, რომლებიც უხვადაა დადასტურებული V-X სს-ის ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიულ ძეგლებში:

მეფობასა... *თეოდორა* დედოფლისა [1, 165];

...მიუვლინა ანგელოზი ღმერთმან *ელია* პატრიარქსა... [1, 238];

*საბა*, რომელსა ეწოდა *საბან* [1, 252];

...და სასწაულთა მიერ შემკული დედაი *ფებრონია*... [1, 261];

მაშინ მოვიდა *ზაქარია* ანჩელი ეპისკოპოსი [1, 275];

... აკურთხენ ქრისტემან *ამონა* [1, 277];

რომელსა პირველ სახელი ეწოდა *ბევრეულის* და მერმე *ანასტასია* [1, 298];

ხოლო კაცი იგი *ია* თანამოგზაურ გუექმნა... [1, 329];

რომელსა უკუანადასკნელი *თეკლა* ეწოდა [1, 339];

და ამისა შემდგომად *ესაია* იტყვს... [1, 179];

ვითარცა თქუა *იერემია* წინასწარმეტყუელმან [1, 174];

რამეთუ ითხოვა იგი *ანა* ცრემლითა და ლოცვითა [1, 193];

და სანატრელთა მოწამეთა *კოზმან* და *დამიანესთა* [1, 29];

...პრქუა *ევსტათის* და *სტეფანეს*... [1, 35];

ხოლო *ნერსე*... შევიდა ქუეყანასა მას ჩრდილოდსასა [1, 58];

მეფობასა... ქრისტეანეთა ზედა *კონსტანტინესთა*, ძისა *ლეონის*-  
*სა*;

სარკინოზთა შორის მეფობასა *მოსე* ამირა მუმნისა [1, 63];

ჟამსა... *ჰერაკლე* მეფისასა... [1, 186];

ვითარცა იგი... *ჰეროდეს* [1, 170];

... ვინმე მთავარი, სახელით *ევავრე* [1, 219];

ესე ნეტარი *ისე* შეიპყრა წმიდამან მამათმთავარმან [1, 222];

...შეწუხნა ლუკიანე და ჰრქუა... [1, 230];  
 ...თევდორე ნეძუსა მაშენებელი და მამა [1, 252];  
 რამეთუ მას ჟამსა მოვიდეს მამა ეტჳფან... ქართლით... [1, 263];  
 ...მეფემან... დემეტრე... ადგილსა კეთილსა დაამკვდრა [1, 267];  
 ...და ანატოლე, რომელსა უწოდეს ანტონიოს [1, 285];  
 ...გვედია ეფროსინე [1, 303];  
 ხოლო მამასა ამის ნეტარისასა ეწოდებოდა კჳპრიანე [1, 321];  
 რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი [1, 322];  
 ვითარცა იგივე პავლე ჳმობს [1, 320];  
 ... ჳმა-ყო და თქუა: ლაზარე, გამოგუალე! [1, 40];  
 ქრისტეფორე კჳრიკეთისა მაშენებელი და მამა [1, 252];  
 და მოციქული... მისწერს ტიმოთჳსა [1, 49];  
 ხოლო ნეტარი ჰაბო განძლიერდა ქრისტჳს მიერ... [1, 64];  
 და ერჩიდა ბრძანებასა მისსა წმიდაჲ დოდო... [1, 234];  
 და იხილა წმიდაჲ იგი შიო მჯდომარე ქუაბსა შინა [1, 219];  
 ...დედამ ჩუენი ნინო დაადგრა ლოცვასა ცრემლითა... [1, 199];  
 რომელსა სახელი ერქუა კოსტანტი [1, 165];  
 თქმული არსენი დიდისა ქართლისა კათალიკოსისაჲ [1, 240];  
 და იყო ძმაჲ დედისა მათისაჲ თევდოსი [1, 186];  
 რომელსა სახელი ეწოდა გიორგი [1, 324];  
 ხოლო იყო მათოი ოდესმე თჳსსა მას საყოფელსა... [1, 284];  
 რამეთუ თჳთ დასწერს ბასილი [1, 345];  
 იერუსალჳმს პატრიარქობასა აგათონისსა [1, 316];  
 ჳსენებასა წმიდისა მამისა ანტონისსა [1, 60];  
 მოჳსენებად საძაგელთა სოდომელთა ლოთის ჳე... [1, 173];  
 და შემდგომად... ეფთჳმი... [1, 320];  
 რომელი... მოწაფისა ხარალამპისითა განედლდა... [1, 338];  
 ვითარცა უფალმან სახლსა ჳაქესსა... [1, 346];  
 ვითარცა საკურთხეველი იგი... ენუქისი... [1, 80];  
 მივიდა ნეტარი იგი შუშანიკ მახლობელად წმიდასა ეკლესიასა [1, 19];  
 სამოელ ქართლისა კათალიკოზისაჲთა [1, 46];

და თანა წარიყვანნა მღდელნი: *იოვანე და საპაკ...* [1, 191];  
აჰა *მირიან* მეფე და ყოველი სიმრავლე ქართლისაჲ... [1, 200];  
...ერთი ძმათაგანი, სახელით *კონონ* [1, 221];  
...ნეტარი *აბიბოს* ნეკრესელ ქალაქისა ეპისკოპოსი [1, 241];  
...და კუერთხი წმიდისა *სჳმიონ* მესუეტისა... [1, 243];  
და ერქუა მას სახელი *გაბრიელ* დაფანჩული [1, 258];  
...მეთულე მისი *მარიამ...* მიეგება... *გრივოლს...* [1, 258];  
და წარმოუდგინნა წინაშე მისსა... *პატრიკ...* [1, 259];  
... *ბაგრატ...* შეწირეს... ყოველი უხუცებით [1, 263];  
...იხილა ძ' თ'სი საყუარელი *დავითი* მოკლული [1, 189];  
...სახელ-სდვეს *ტირიჭან...* [1, 186];  
რამეთუ... იშვა ურჩებად იგი *ადამისი* [1, 203];  
წარმოავლინა... *სტეფანოზ* [1, 61];  
ვიდრე... ყრმა-და იყო... *მიქაელ* [1, 165];  
ძჳ *აბრაჰამისი* [1, 168];  
ამას ეწოდა პირველად *მიქელ* და მერმე *გობრონ* [1, 177];  
და *ზენონ* გულს-ეტყოდა [1, 263];  
...*ეფრემ* მრავლისა კეთილისა მომატყუებელ ექმნა ქუეყანასა ჩუ-  
ენსა [1, 290];  
*ილარიონ*, მამად და მაშენებელი წყაროდსთავისაჲ [1, 275];  
დიდი *სოფრონ...* შატბერდისა ეკლესიისა განახლებით აღმაშენ-  
ბელი... [1, 294];  
... ნეტარი *სერაპიონ* [1, 320];  
და ესუა... *ისაკს იაკობი* [1, 37];  
შემდგომად... *სოლომონ* მეფობდა [1, 38];  
ჩუენ ვიციით მამად მისი *იოსები...* [1, 40];  
*გედეონ* საწუმისი დადვა გამოცდად საქმეთა [1, 334];  
... წმიდასა მას ბერსა *ბესარიონს* [1, 331];  
... ემსგავსა ბერვარსა *აჰრონისსა...* [1, 80];  
ვითარცა იტყჳს *იობ...* [1, 173];  
იტყ'ს *დანიელის* ჩუენებითა... [1, 179];  
ვითარცა-იგი *სამოელის* მიერ სათნო იყო... [1, 180].  
არაკალენდარული პირის სახელები აგიოგრაფიულ ძეგლებში  
სულ რამდენიმე შემთხვევაში დასტურდება:

... კარად სამეფოდ წარემართა ვარსკენ პიტიახში, ძმ არშუ-  
შადსი [1, 11];

რომელსა სახელი ერქუა ბუღა [1, 167];

და აღდგა დედაკაცი იგი თავინე [1, 189];

ძმ ადრნესე კურაპალატისა და ერისმთავრისაჲ [1, 55];

წელსა მეთესა ხუასრო მეფისასა... [1, 30];

... პირველნი აღმაშენებელნი ამასპო... [1, 339];

დის-წული მცხუედაჲსაჲ [1, 317];

... და ჭიბრილისა ძმაჲ [1, 277];

... უკეთურმან მან ცქირმან [1, 305];

... ნუგეშინის-სცა დასა მისსა ლატავრის [1, 339];

რომელი იწამა... ჯაფარის მიერ [1, 164];

მამისაგან სახელით ვარდან [1, 11];

და ჯოჯიკ აღდგა და ცრემლით გარე განვიდა [1, 16];

რომელსა სახელი ერქუა აფოც [1, 13];

... ნათელს-ილო ბუბაქრ [1, 236];

... ღმრთის-მსახური ველმწიფჴ... აშოტ... [1, 258];

... ოთხნი იგი ძენი... პატრიკ, გუარამ, არშუშა და აბუსალათ  
[1, 259];

ჟამთ... არშაკ მეფისასა [1, 186];

... სუმბატ უკუნვიდა კუალად... [1, 178];

... ველითა ხსართან მღდელისა... [1, 46];

ძმ თუსი გურგენ ნათლია მისცა მას [1, 276];

... ძე ლიპარიტისი [1, 317];

ძისა ბეშქენ ბაჰლაუნდისი... [1, 339].

ზემოთ მოყვანილი მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აგიოგრაფიულ თხზულებებში კალენდარული წარმოშობის პირის სახელები უფრო მეტი სიხშირით გვხვდება, ვიდრე არაკალენდარული, რაც, რა თქმა უნდა, ბუნებრივი მოვლენაა. ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ, როგორც ჩანს, საბოლოოდ განაპირობა ქრისტიანული (კალენდარული) პირის სახელების გაბატონება.

## **ლიტერატურა**

**კირთაძე, 2012** — დ. კირთაძე, ანთროპონიმის ზოგიერთი საკითხი V-X სს-ის ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიულ ძეგლებსა და საისტორიო წყაროებში, თბ., 2012.

**მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის შეერთებული კალენდარი**, თბ., 2001.

**ღლონტი, 1986** — ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები (ანთროპონიმთა ლექსიკონი), თბ., 1986.

**ცხადაია, 2005** — პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, თბ., 2005.

**ჭუმბურიძე, 1987** — ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბ., 1987.

## **საილუტრაციო ლიტერატურა**

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. 1 (დასაბუჟდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა, ც. ჯღამაიამ) ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., საქ. მეცნ. აკად. გამომც., 1963.

**DAREJAN KIRTADZE**

### **Christian and Non-Christian Personal Names in the Original Georgian Hagiographic Works of the 5-10<sup>th</sup> Centuries**

#### **Summary**

The paper presents a comparative analysis of Christian and Non-Christian personal names evidenced in the Georgian hagiographic works of the 5-10<sup>th</sup> centuries. The observations have shown that conversion of Kartli to Christianity determined the spread and dominance of Christian personal names.



მაკა ლაზარაშვილი

**„რომელი“ კითხვითი ნაცვალსახელი სუბსტანტიურ  
მსაზღვრელთან**

ცნობილია, რომ განსაზღვრება ძირითადად ორგვარია: ატრიბუ-  
ტული (**მაღალი** სახლი, **ხუთი** წიგნი, **ჩვენი** სკოლა...) და სუბსტან-  
ტიური (**ხის** კოვზი, **აგურის** სახლი...).

ატრიბუტული განსაზღვრება ზედსართავით ან მასთან გათანაბ-  
რებული სიტყვით გადმოიცემა (კვაჭაძე 1977, 158).

სუბსტანტიური განსაზღვრება არსებითი სახელით ან არსებითი  
სახელის მნიშვნელობით გამოყენებული სხვა მეტყველების ნაწილით  
გამოიხატება. მაგ., **მეგობრის** დედა, **სილამაზის** კონკურსი, **მოზარ-  
დების** საზრუნავი, **შეყვარებულის** ლოცვა..., ან კიდევ — ზმნით:  
**„ვიცის** დედა სტიროდაო, **არ ვიცისა** იცინოდაო“.

აღნიშნული ტიპის განსაზღვრება სემანტიკურად ნაირგვარია:  
იგი გამოხატავს: კუთვნილებას (მეზობლის ძმა), მასალას (ფარჩის კა-  
ბა), დანიშნულებას (დედის დღე)...

თანამიმდევრობა — ჯერ სუბსტანტიური მსაზღვრელი და შემ-  
დეგ საზღვრული — გაბატონებული წყობაა თანამედროვე ქართულ-  
ში. ასეთი მსაზღვრელი ნათესაობითბრუნვისფორმიანია ნებისმიერი  
ბრუნვის ფორმით წარმოდგენილ საზღვრულთან (საზღვრული მარ-  
თავს მსაზღვრელს ნათესაობით ბრუნვაში):

სახ.	დედის დღე	ავტომობილის მძღოლ-ი
მოთხრ.	დედის დღე-მ	ავტომობილის მძღოლ-მა
მიც.	დედის დღე-ს	ავტომობილის მძღოლ-ს
ნათ.	დედის დღ-ის	ავტომობილის მძღოლ-ის
მოქმ.	დედის დღ-ით	ავტომობილის მძღოლ-ით
ვით.	დედის დღე-დ	ავტომობილის მძღოლ-ად
წოდ.	დედის დღე-ვ	ავტომობილის მძღოლ-ო

ან კიდევ:

სახ.	ფარჩის კაბა	შეყვარებულის ლოცვა
მოთხზ.	ფარჩის კაბა-მ	შეყვარებულის ლოცვა-მ
მიც.	ფარჩის კაბა-ს	შეყვარებულის ლოცვა-ს
ნათ.	ფარჩის კაბ-ის	შეყვარებულის ლოცვა-ის
მოქმ.	ფარჩის კაბ-ით	შეყვარებულის ლოცვა-ით
ვით.	ფარჩის კაბა-დ	შეყვარებულის ლოცვა-დ
წოდ.	ფარჩის კაბა-ვ	შეყვარებულის ლოცვა-ვ

დასახელებული საკითხები გაანალიზებულია ა. შანიძის, ლ. კვაჭაძის, არ. მარტიროსოვისა და სხვათა ნაშრომებში.

ჩვენ მხოლოდ ერთ კონკრეტულ შემთხვევას შევხებით, როცა ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილ მსაზღვრელსა და მის შესაბამის საზღვრულს წინ უსწრებს კითხვითი ნაცვალსახელი „რომელი“. ამ მხრივ ძალზე საინტერესო მასალას წარმოგვიდგენს მართვის მოწმობის საგამოცდო ბილეთებში დადასტურებული ნათესაობითბრუნვისფორმიანი შესიტყვებანი „ავტომობილის მძღოლი“, „სატრანსპორტო საშუალების მძღოლი“, „მწვანე ავტომობილის მძღოლი“ ტიპისა, რომლებსაც კითხვები დაესმის ორგვარად: „რომელი ავტომობილის მძღოლმა“ / „რომელმა ავტომობილის მძღოლმა“; „რომელი სატრანსპორტო საშუალების მძღოლმა“ / „რომელმა სატრანსპორტო საშუალების მძღოლმა“...).

მოპოვებულ მასალაში (რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, მანქანის მართვის მოწმობათა ლექსიკას უკავშირდება) ერთმანეთის პარალელურად დასტურდება ზემოთ წარმოდგენილ მსაზღვრელთა ორი ვარიანტი (ერთ შემთხვევაში „რომელი“ იბრუნვის, ხოლო მეორეში — უბრუნველია):

სახ.	რომელ-ი ავტომობილის მძღოლ-ი	რომელ-ი ავტომობილის მძღოლ-ი
მოთხზ.	რომელ-მა ავტომობილის მძღოლ-მა	რომელ-ი ავტომობილის მძღოლ-მა
მიც.	რომელ ავტომობილის მძღოლ-ს	რომელ-ი ავტომობილის მძღოლ-ს
ნათ.	რომელ-ი ავტომობილის მძღოლ-ის	რომელ-ი ავტომობილის მძღოლ-ის
მოქმ.	რომელ-ი ავტომობილის მძღოლ-ით	რომელ-ი ავტომობილის მძღოლ-ით
ვით.	რომელ ავტომობილის მძღოლ-ად	რომელ-ი ავტომობილის მძღოლ-ად
წოდ.	—	—

საინტერესო ჩანს დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხები, რომლებიც ასევე ნაირგვარადაა წარმოდგენილი:

სახ. არცერთ-ი სატრანსპორტო საშუალების მძღოლ-ი მოთხრ. არცერთ-მა სატრანსპორტო საშუალების მძღოლ-მა მიც. არცერთ სატრანსპორტო საშუალების მძღოლ-ს ნათ. არცერთ-ი სატრანსპორტო საშუალების მძღოლ-ის მოქმ. არცერთ-ი სატრანსპორტო საშუალების მძღოლ-ით ვით. არცერთ სატრანსპორტო საშუალების მძღოლ-ად წოდ.

—

სახ. არცერთ-ი სატრანსპორტო საშუალების მძღოლ-ი მოთხრ. არცერთ-ი სატრანსპორტო საშუალების მძღოლ-მა მიც. არცერთ-ი სატრანსპორტო საშუალების მძღოლ-ს ნათ. არცერთ-ი სატრანსპორტო საშუალების მძღოლ-ის მოქმ. არცერთ-ი სატრანსპორტო საშუალების მძღოლ-ით ვით. არცერთ-ი სატრანსპორტო საშუალების მძღოლ-ად წოდ.

—

ვითარება უფრო ნათელია, როცა ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გამოხატული სახელის მსაზღვრელი ხმოვანფუძიანი სახელია. აქ, რა თქმა უნდა, აღრევის შემთხვევები ნაკლებად გვაქვს (რაკი ხმოვან-ფუძიანი მსაზღვრელი ფორმაუცვლელია საზღვრულთან ბრუნებისას თანამედროვე ქართულში):

სახ.	მწვანე ავტომობილის მძღოლ-ი	სატვირთო ავტომობილის მძღოლ-ი
მოთხრ.	მწვანე ავტომობილის მძღოლ-მა	სატვირთო ავტომობილის მძღოლ-მა
მიც.	მწვანე ავტომობილის მძღოლ-ს	სატვირთო ავტომობილის მძღოლ-ს
ნათ.	მწვანე ავტომობილის მძღოლ-ის	სატვირთო ავტომობილის მძღოლ-ის
მოქმ.	მწვანე ავტომობილის მძღოლ-ით	სატვირთო ავტომობილის მძღოლ-ით
ვით.	მწვანე ავტომობილის მძღოლ-ად	სატვირთო ავტომობილის მძღოლ-ად
წოდ.	მწვანე ავტომობილის მძღოლ-ო	სატვირთო ავტომობილის მძღოლ-ო

მაგალითები მართვის მოწმობის საგამოცდო ბილეთებიდან: „**რომელ** სატრანსპორტო საშუალების მძღოლს შეუძლია გააგრძელოს მოძრაობა?“ „**რომელმა** ავტომობილის მძღოლმა შეიძლება გააგრძელოს მოძრაობა ისრის მიმართულებით?“ „**რომელ** სატრანსპორტო საშუალების მძღოლს ეკრძალება ისრის მიმართულებით მოძრაობა?“

დასტურდება პარალელური ვარიანტებიც, როცა კითხვითი ნაცვალსახელი „**რომელი**“ ყველა შემთხვევაში ფორმაუცვლელადაა წარმოდგენილი: „**რომელი** სატრანსპორტო საშუალების მძღოლს შეუძლია გააგრძელოს მოძრაობა?“ „**რომელი** ავტომობილის მძღოლმა შეიძლება გააგრძელოს მოძრაობა ისრის მიმართულებით?“ „**რომელი** სატრანსპორტო საშუალების მძღოლს ეკრძალება ისრის მიმართულებით მოძრაობა?“ და სხვ.

ბუნებრივია, დაისმის კითხვა — რომელია მართებული ვარიანტი?

ჯერ განვიხილოთ ხმოვანფუძიანი მსაზღვრელები. ამ შემთხვევაში, როგორც უკვე ითქვა, საკითხი გარკვეულია — ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი, რომელსაც მოსდევს ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი სახელი თავისი საზღვრულით, ყოველთვის ფუძის სახით იქნება გამოხატული (ეს უკანასკნელი თანამედროვე ქართულში ემთხვევა სახელობით ბრუნვას).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოპოვებულ მასალაში ჩვენთვის საინტერესო ყველა შემთხვევა კითხვა-პასუხზეა აგებული, მაშასადამე, „მწვანე ავტომობილის მძღოლმა“ და „სატვირთო ავტომობილის მძღოლმა“ ტიპის მსაზღვრელ-საზღვრულები გვხვდება საპასუხოდ შემდეგ კითხვებზე: **რომელი** ავტომობილის მძღოლმა? ან — **რომელმა** ავტომობილის მძღოლმა? პასუხები ყოველთვის მართებულია („მწვანე ავტომობილის მძღოლმა“, „სატვირთო ავტომობილის მძღოლმა“...). პრობლემა იქმნება კითხვის დასმისას — **რომელი** ავტომობილის მძღოლმა? თუ — **რომელმა** ავტომობილის მძღოლმა?

როცა სატრანსპორტო საშუალებისა თუ ავტომობილის ფერსა და სახეობაზე (მაშასადამე, თავად ავტომობილის ნიშან-თვისებაზე) ვამახვილებთ ყურადღებას, ე. ი. კითხვა დაესმის სატრანსპორტო საშუალების მსაზღვრელს, კითხვითი ნაცვალსახელი **რომელი** არ უნდა იბრუნებოდეს საზღვრულის მიხედვით:

- სახ. **რომელი** ავტომობილის მძღოლი? — მწვანე ავტომობილის მძღოლი  
სატვირთო ავტომობილის მძღოლი
- მოთხრ. **რომელი** ავტომობილის მძღოლმა? — მწვანე ავტომობილის მძღოლმა  
სატვირთო ავტომობილის მძღოლმა
- მიც. **რომელი** ავტომობილის მძღოლს? — მწვანე ავტომობილის მძღოლს  
სატვირთო ავტომობილის მძღოლს
- ნათ. **რომელი** ავტომობილის მძღოლის? — მწვანე ავტომობილის მძღოლის  
სატვირთო ავტომობილის მძღოლის
- მოქმ. **რომელი** ავტომობილის მძღოლით? — მწვანე ავტომობილის მძღოლით  
სატვირთო ავტომობილის მძღოლით

კით. **რომელი** ავტომობილის მძღოლად? — მწვანე ავტომობილის მძღოლად  
სატვირთო ავტომობილის მძღოლად  
წოდ. — —

კითხვის დასმის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ანალოგიური ვითარება გვექნება მაშინაც, როცა სატრანსპორტო საშუალების მსაზღვრელად თანხმობანფუძიანი სახელია:

სახ. **რომელი** ავტომობილის მძღოლი? — წითელი ავტომობილის მძღოლი  
მსუბუქი ავტომობილის მძღოლი  
მოთხრ. **რომელი** ავტომობილის მძღოლმა? — წითელი ავტომობილის მძღოლმა  
მსუბუქი ავტომობილის მძღოლმა  
მიც. **რომელი** ავტომობილის მძღოლს? — წითელი ავტომობილის მძღოლს  
მსუბუქი ავტომობილის მძღოლს  
ნათ. **რომელი** ავტომობილის მძღოლის? — წითელი ავტომობილის მძღოლის  
მსუბუქი ავტომობილის მძღოლის  
მოქმ. **რომელი** ავტომობილის მძღოლით? — წითელი ავტომობილის მძღოლით  
მსუბუქი ავტომობილის მძღოლით  
კით. **რომელი** ავტომობილის მძღოლად? — წითელი ავტომობილის მძღოლად  
მსუბუქი ავტომობილის მძღოლად  
წოდ. — —

მოპოვებულ მასალაში დადასტურებული შემთხვევები ასე უნდა წარმოვადგინოთ:

**რომელი** [და არა რომელმა] ავტომობილის მძღოლმა შეიძლება გააგრძელოს მოძრაობა ისრის მიმართულებით? — წითელი ავტომობილის მძღოლმა (ან მსუბუქი ავტომობილის მძღოლმა, ან მწვანე ავტომობილის მძღოლმა, ან სატვირთო ავტომობილის მძღოლმა...), რაც იმას ნიშნავს, რომ ყურადღება გამახვილებული არა „მძღოლის ფერზე“ (წითელმა, ყვითელმა, თეთრმა...), არამედ სატრანსპორტო საშუალების ფერსა თუ სახეობაზე (წითელი ავტომობილის მძღოლმა, მსუბუქი ავტომობილის მძღოლმა, სატვირთო ავტომობილის მძღოლმა...).

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა თანხმობან- თუ ხმობანფუძიანი მსაზღვრელი მიემართება ორ („და“ კავშირით შეერთებულ ნათესაობითბრუნვისფორმიან) სახელს. ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, სუბსტანტიურ მსაზღვრელებს წარმოადგენენ მომდევნო საზღვრულთათვის:

სახ.	<b>რომელი</b> ავტომობილის მძღოლები?	სასწრაფო დახმარებისა და მსუბუქი ავტომობილის მძღოლები
მოთხრ.	<b>რომელი</b> ავტომობილის მძღოლებმა?	სასწრაფო დახმარებისა და მსუბუქი ავტომობილის მძღოლებმა
მიც.	<b>რომელი</b> ავტომობილის მძღოლებს?	სასწრაფო დახმარებისა და მსუბუქი ავტომობილის მძღოლებს
ნათ.	<b>რომელი</b> ავტომობილის მძღოლების?	სასწრაფო დახმარებისა და მსუბუქი ავტომობილის მძღოლების
მოქს.	<b>რომელი</b> ავტომობილის მძღოლებით	სასწრაფო დახმარებისა და მსუბუქი ავტომობილის მძღოლებით
ვით.	<b>რომელი</b> ავტომობილის მძღოლებად?	სასწრაფო დახმარებისა და მსუბუქი ავტომობილის მძღოლებად
წოდ.	—	—

სახ.	რომელი ავტომობილის მძღოლები?	სატვირთო ავტომობილისა და წითელი მსუბუქი ავტომობილის მძღოლები
მოთხრ.	რომელი ავტომობილის მძღოლებმა?	სატვირთო ავტომობილისა და წითელი მსუბუქი ავტომობილის მძღოლებმა
მიც.	რომელი ავტომობილის მძღოლებს?	სატვირთო ავტომობილისა და წითელი მსუბუქი ავტომობილის მძღოლებს
ნათ.	რომელი ავტომობილის მძღოლების?	სატვირთო ავტომობილისა და წითელი მსუბუქი ავტომობილის მძღოლების
მოქმ.	რომელი ავტომობილის მძღოლებით	სატვირთო ავტომობილისა და წითელი მსუბუქი ავტომობილის მძღოლებით
ვით.	რომელი ავტომობილის მძღოლებად?	სატვირთო ავტომობილისა და წითელი მსუბუქი ავტომობილის მძღოლებად
წოდ.	—	—

საგანგებოდ აღსანიშნავია შემდეგი: თუ მძღოლის რაიმე ნიშან-თვისებაზე მახვილდება ყურადღება (და, ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც „რომელი“ კითხვითი ნაცვალსახელის გამოყენება იქნება საჭირო), იგი („რომელი“) უნდა წარმოვადგინოთ ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გამოხატული საზღვრულის შემდეგ: ავტომობილის **რომელ-მა** მძღოლმა უნდა გააგრძელოს ისრის მიმართულებით მოძრაობა? შესაბამისად, პარადიგმა ასე გაიმართება:

სახ.	ავტომობილის <b>რომელი-ი</b> მძღოლ-ი?	ავტომობილის გამოცდილ-ი მძღოლ-ი
მოთხრ.	ავტომობილის <b>რომელ-მა</b> მძღოლ-მა?	ავტომობილის გამოცდილ-მა მძღოლ-მა
მიც.	ავტომობილის <b>რომელ-ს</b> მძღოლ-ს?	ავტომობილის გამოცდილ მძღოლ-ს
ნათ.	ავტომობილის <b>რომელ-ის</b> მძღოლ-ის?	ავტომობილის გამოცდილ-ის მძღოლ-ის

მოქმ.	ავტომობილის <b>რომელი-</b> მძღოლ-ით?	ავტომობილის გამოცდილ-ი მძღოლ-ით
ვით.	ავტომობილის <b>რომელ</b> მძღოლ-ად?	ავტომობილის გამოცდილ მძღოლ-ად
წოდ.	—	ავტომობილის გამოცდილ-ო მძღოლ-ო

ან კიდევ: ავტომობილის გამოცდილმა / გამოუცდელმა / ყვირთელქუთრთუკიანმა... მძღოლმა და ა. შ.

პასუხებში მსაზღვრელ-საზღვრულის უმართებულოდ შეცვლილი რიგი (გამოცდილმა ავტომობილის მძღოლმა, წითელქუთრთუკიანმა ავტომობილის მძღოლმა...) შეცდომებს იწვევს შესაბამის კითხვაშიც: **რომელმა ავტომობილის მძღოლმა** კი არა — **ავტომობილის რომელმა მძღოლმა**.

მაშასადამე, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ორი ვარიანტი:

I. „რომელი“ წარმოადგენს **მძღოლის** მსაზღვრელს:

სახ.	ავტომობილის <b>რომელი-</b> მძღოლ-ი?	—	ავტომობილის არცერთ-ი მძღოლ-ი
მოთხრ.	ავტომობილის <b>რომელ-მა</b> მძღოლ-მა?	—	ავტომობილის არცერთ-მა მძღოლ-მა
მიც.	ავტომობილის <b>რომელ</b> მძღოლ-ს?	—	ავტომობილის არცერთ მძღოლ-ს
ნათ.	ავტომობილის <b>რომელი-</b> მძღოლ-ის?	—	ავტომობილის არცერთ-ი მძღოლ-ის
მოქმ.	ავტომობილის <b>რომელი-</b> მძღოლ-ით?	—	ავტომობილის არცერთ-ი მძღოლ-ით
ვით.	ავტომობილის <b>რომელ</b> მძღოლ-ად?	—	ავტომობილის არცერთ მძღოლ-ად
წოდ.	—	—	—

II. „რომელი“ **სატრანსპორტო საშუალებების** მსაზღვრელია:

სახ.	<b>რომელი-</b> ავტომობილის მძღოლ-ი	—	თეთრი ავტომობილის მძღოლ-ი
მოთხრ.	<b>რომელი-</b> ავტომობილის მძღოლ-მა	—	თეთრი ავტომობილის მძღოლ-მა
მიც.	<b>რომელი-</b> ავტომობილის მძღოლ-ს	—	თეთრი ავტომობილის მძღოლ-ს
ნათ.	<b>რომელი-</b> ავტომობილის მძღოლ-ის	—	თეთრი ავტომობილის მძღოლ-ის
მოქმ.	<b>რომელი-</b> ავტომობილის მძღოლ-ით	—	თეთრი ავტომობილის მძღოლ-ით
ვით.	<b>რომელი-</b> ავტომობილის მძღოლ-ად?	—	თეთრი ავტომობილის მძღოლ-ად
წოდ.	—	—	—

## ლიტერატურა

**დავითიანი 1973** — ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, I, თბილისი.

**კვაჭაძე 1977** — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

**მარტიროსოვი 1964** — არ. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი, თბილისი.

**შანიძე 1973** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

**MAKA LABARTKAVA**

**The Georgian Interrogative Pronoun *romeli* (which) with  
a Substantive Modifier**

Summary

The paper discusses one particular instance in the use of the Georgian interrogative pronoun *romeli* (which), viz.: when the latter precedes the word combination – modifier + the modified. The empirical data comprises samples from the driving license tests. If the emphasis is placed on some features of the modified, the interrogative pronoun *romeli* must be placed after the modified in the Genitive case, whereas, when *romeli* serves as the modifier, then it retains the same form in all the cases.



თავარ ლოგთაჲ

**ქართულ ებრაელთა მეტყველების სტატუსისათვის**

ებრაელებს საქართველოში ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნიათ. გასული საუკუნის დასასრულამდე თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში სინაგოგის მიმდებარე ტერიტორიაზე ისინი კომპაქტურ დასახლებას ქმნიდნენ. ისინი ცხოვრობდნენ თბილისში (დედაქალაქი, აღმოსავლეთ საქართველო), ქუთაისში (დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი ცენტრი), სოხუმში (აფხაზეთი), ონში (რაჭა), ცხინვალსა და ქარელში (შიდა ქართლი), ბათუმში (აჭარა), ყვარელში (კახეთი), ახალციხეში (სამცხე-ჯავახეთი), ლაილაშში (ლეჩხუმი), ვანსა თუ ხონში, სამტრედიისში, ზესტაფონსა თუ საჩხერეში (იმერეთი), სენაკში, ბანძაში, სუჯუნასა და ფოთში (სამეგრელო), ოზურგეთში (გურია), ასევე გარდამავალ ზონებში: სურამი (ზემოიმერეთისა და ქვემოიმერეთის საზღვარი), კულაში (იმერეთისა და სამეგრელოს საზღვარი).

სარწმუნოებასა თუ ადამ-წესებთან ერთად, ქართველ ებრაელებს სხვებისაგან განსხვავებული მეტყველებაც ახასიათებდათ, მაგრამ, როგორც მართლაც სამართლიანად შენიშნავს რუბენ ენოხი: „ხალხმა მშვენივრად იცოდა, რომ ებრაელთა მეტყველება განსხვავდება სეერთო ქართულისაგან, მაგრამ რით, რატომ — ეს დღემდე არ არის სათანადოდ გარკვეული, რადგანაც ამ მეტყველების შესწავლას სერიოზული ყურადღება, სამწუხაროდ, თავის დროზე არ მიქცევია“ (რ. ენოხი, 2013, 173). არ არის გამორიცხული, რომ ამ ფაქტს გარკვეული კანონზომიერებაც ჰქონდა, რადგან საბჭოთა პერიოდში ებრაელთა მეტყველების ანალიზის საკითხი არც შეიძლებოდა დამდგარიყო სამეცნიერო კვლევის დღის წესრიგში.

სხვადასხვა ქვეყანაში გაბნეულ მრავალრიცხოვან ებრაელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი ენობრივი ტენდენციები კვლევის საგნად იქცა ისრაელის სახელმწიფოს დაარსების შემდეგ. მეცნიერები სწავლობენ და იკვლევენ სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ებრაელთა

მეტყველების ნაირსახეობებს და ანიჭებენ მათ შესაბამის სტატუსებს.

კ. ღუმბაძე ჯერ კიდევ 1979 წელს მიუთითებდა: „საყოველთაოდ ცნობილია დასავლეთის ქვეყნებში მყოფ ებრაელ ემიგრანტთა ჟარგონები — „იდიში“ და „ისპანიოლა“, რომლებიც პირველი გერმანული, ებრაული და ნაწილობრივ სლავური, ხოლო მეორე — ძველი ესპანური და ებრაული ენობრივი ელემენტების ნარევია“ (ღუმბაძე, 1979, 29).

ს. ასლანოვი განიხილავს რა სხვადასხვა მიდგომას ებრაულ-ბერძნულ, ებრაულ-იტალიურ, ებრაულ-ფრანგულ, ებრაულ-არაბულ, ებრაულ-ესპანურდა სხვა ოდენობებთან დაკავშირებით, ნაწილს სრულფასოვან ენობრივ სისტემებად განიხილავს (მაგალითად, იდიში და ებრაულ-ესპანური), ნაწილს ამა თუ იმ ენის ოდნავ განსხვავებულ დიალექტურ ნაირსახეობად (მაგალითად, ებრაულ-იტალიურს, ებრაულ-არაბულს), ხოლო აზერბაიჯანში, დაღესტანსა თუ ტაჯიკეთში შემორჩენილ მეტყველებას ყოფილი ენობრივი კონტინუუმის ნაშთებად მიიჩნევს (ს. ასლანოვი, 2011).

რა ოდენობად უნდა მივიჩნიოთ საქართველოში მცხოვრები ებრაელების მეტყველებრივი ნაირსახეობა?

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში ებრაელთა მეტყველება სათანადო კვლევის საგანი საბჭოთა პერიოდში თითქმის არასოდეს გამხდარა, ამიტომ არსებული მასალა არც თუ დიდია.

ჩვენი ანალიზისათვის ავირჩიეთ რ. ენუქაშვილის „თავსილის“ ტექსტი, კ. ღუმბაძის „ლექსიკური ებრაიზმები ქართულ ქალაქურ ჟარგონში“, თ. ლომთაძის „ქუთაისური ქართული“, „ქუთაისური ჟარგონი“ და „თანამედროვე ქართული სოციოლექტები“.

რ. ენოხის თავსილის ტექსტი, როგორც თავად ავტორი მიუთითებს, ჩაიწერა სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ებრაელი რაბინებისაგან: „ტექსტები ჩაიწერა რაბინ აბრამ გაგულაშვილისაგან, რომელიც სენაკიდან ისრაელში წავიდა მეოცე საუკუნის 70-იან წლებში და შემდგომ ბეერ-შევის ქართველ ებრაელთა სალოცავის რაბინი გახლდათ, სწორედ მისგან ჩაიწერა მთელი შესაქმის ტექსტი, მეორე მთხრობელი გახლავთ აშდოტის ქართველ ებრაელთა რაბინი კულაშიდან წასული რაბინ სიმონ ელიშაყაშვილი, ხოლო მესამე ქუთაისელი შალომ ხენი, რომელიც იერუსალიმის ქართველ ებრაელთა სა-

ლოცავის რაბინი იყო (რ. ენოხი, 2007).

თავსილის ტექსტის ჩაწერა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში თაობიდან თაობას ზეპირი გზით გადაეცემოდა, დიდი მნიშვნელობის მოვლენა გახლდათ ქართველ ებრაელთა მეტყველების, ქართული დიალექტოლოგიისა და ქართული ენის ისტორიის შესასწავლად. „რამდენადაც ეს არის იშვიათი ცოცხალი მოწმე საუკუნეების წინანდელი სამეტყველო ქართულისა, რა თქმა უნდა, იმ შესაძლებელი ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც მან საუკუნეების განმავლობაში ზეპირი გზით გადმოცემის ვრცელ გზაზე გაიარა, თუმცა კი ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ებრაელთა სულიერი მოძღვარნი მაქსიმალურად ცდილობდნენ პირვანდელი ტექსტის შენარჩუნებას. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს თავსილის კვლევას, საერთოდ, ძველი აღთქმის თარგმანების, განსაკუთრებით კი თარგმანის ზეპირი ტრადიციების საკვლევად და ე. წ. ებრაული ენების თეორიული და პრაქტიკული პრობლემების შესწავლის საქმეში“ (რ. ენოხი, 2007, 44-45). აქედან გამომდინარე, ტექსტი შესაძლებელია თავისუფლად გამოვიყენოთ ებრაელთა ზეპირმეტყველების ფორმების შესასწავლადაც და მისი საიმედოობა ეჭვს არ იწვევს.

რაც შეეხება ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ნიმუშებს, რომელიც გამოყენებულია მონოგრაფიებში „ქუთაისურ ქართული“ და „თანამედროვე ქართულ სოციოლოგიები“, გახლავთ 1990-იან და 2006 წლებში ქუთაისში ჩაწერილი მასალები.

როგორც აღვნიშნეთ, ქართველ ებრაელთა სხვა მოსახლეობისაგან განსხვავების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი არის ენა. ქართველ ებრაელთა მეტყველება გახლავთ ქართული ენის ნაირსახეობა, მაგრამ მთლიანად არ ემთხვევა ქართული ენის არც ერთ დიალექტს. ის წარმოადგენს სხვადასხვა დიალექტში პოვნირი ფონეტიკური და გრამატიკული ფორმების კონგლომერატს შეზავებულს ძველი ებრაულიდან მომდინარე ლექსიკური ერთეულებით.

კერძოდ, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში დადასტურებულია:

ტონური მახვილი და გრძელი ხმოვანი, რომელიც დამახასიათებელია ქართული ენის სხვადასხვა დიალექტისათვის. მათ შორის: თუშურისათვის, მთიულურ-გუდამაყრულისათვის, ქართლურისათვის, კახურისათვის, მესხურისათვის, აჭარულისათვის, მოხეტურისათვის.

აღსანიშნავია რომ ყველა ამ დიალექტში გრძელ ხმოვანს თავისი განსაკუთრებული პოზიცია და დანიშნულება აქვს. მაგალითად, თუ-შურში გრძელი ხმოვანი გვხვდება: ა) ზმნის თავკიდურა პოზიციაში ზმნისწინისეული ხმოვნისა და ხმოვანი პრეფიქსის შერწყმის შედეგად. გრძელი ხმოვნის წარმოქმნის თვალსაზრისით არსებითად იგივე მდგომარეობაა, როცა ნაცვალსახელებს, ზმნისსართებსა და ზედსართავ სახელებს წინ დაერთვის მიმათითებელი აი-ა ნაწილაკ-მორფემოიდი; ბ) ბოლოკიდურა პოზიციაში, სადაც ორი შესაძლებლობაა: ერთ შემთხვევაში ხდება ორი ხმოვნის შერწყმა; მეორე შემთხვევაში გრძელი ხმოვანი საკომპენსაციო საშუალებაა, ბოლოკიდურ პოზიციაში სხვათა სიტყვის -ო კარგავს მარცვლოვანებას (ო-ვ), რის საკომპენსაციოდ გრძელდება წინამავალი ხმოვანი (თ. უთურგაიძე, 1960; ბ. ჯორბენაძე, 1989, 255).

მთიულურისათვის ტერმინი „გრძელ ხმოვანი“ პირობითია, რადგან სინამდვილეში მთიულურის ე. წ. გრძელი ხმოვანი წარმოადგენს ტონის მოდულაციაზე დამყარებულ ტონურ მახვილს“ (არნ. ჩიქობავა, 1924). გრძელი ხმოვნების გამოყენება შეპირობებულია 3 ძირითადი წესით: გრძელი ხმოვანი არ გვხვდება ცალკე აღებულ სიტყვაში; გრძელი ხმოვანი არ გვხვდება ლექსში; გრძელი ხმოვანი დასტურდება ფრაზაში სიტყვის ბოლოდან მეორე მარცვალზე (ბ. ჯორბენაძე, 1989, 279).

ქართლურისათვის მეტყველების დინჯი ტემპია დამახასიათებელი, რაც შეაპირობებს ხმოვანთა დაგრძელებას გარკვეულ პოზიციაში. ხმოვანთა დაგრძელება ხდება ერთმარცვლიან ზმნებში, ხმოვანი გრძელდება აგრეთვე სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკ-მორფემოიდის დართვისას (ა. ლლონტი, 1980; თ. სალარიძე, 1978). ღირსსაცნობია, რომ ქართლურში თხრობით კონსტრუქციაში გრძელდება იმ ზმნათა ხმოვანი, რომელთა მახვილიანი თუ გაგრძელებული წარმოთქმა კითხვით კონსტრუქციაში საერთო ქართველური მოვლენაა. კითხვით წინადადებაში ტონური მახვილი მოუდის ბოლოდან მეორე ხმოვანს, რაც მის დაგრძელებას იწვევს. უფრო ზუსტად, ამგვარ ფორმებში მახვილი მოუდის თავიდან მეორე მარცვალს, ხოლო ბოლოდან მეორე მარცვალი გრძელდება ტონური მახვილის შედეგად (ჯორბენაძე, 1989, 294).

კახურში წინადადების ბოლოკიდურ პოზიციაში გრძელდება ერთმარცვლიანი ზმნის ხმოვანი; კითხვით კონსტრუქციებში ორ და მეტმარცვლიან სიტყვებში მახვილი მოუდის ბოლოდან მეორე ხმოვანს, რაც მის დაგრძელებას იწვევს; აზრობრივად გამოსაყოფი სიტყვა ჩვეულებრივ წინადადების ბოლოსაა მოქცეული, მას თავიდან პირველ მარცვალზე მოუდის მახვილი, რაც ხმოვნის დაგრძელებას იწვევს; ზოგჯერ მახვილი მოუდის თავიდან პირველ მარცვალს, ხოლო გრძელდება ბოლოდან პირველი მარცვალი, ეს მაშინ, როცა უწყვეტელი, განგრძობითი მოქმედებაა გამოხატული (ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი 1956; ბ. ჯორბენაძე, 1989, 322).

სამცხურ-ჯავახურისათვის დამახასიათებელია ნათლად გამოხატული ტონური მახვილი, რომელიც ხმოვნის დაგრძელებით წარმოთქმას იწვევს. გვხვდება იგი ერთმარცვლიან ფორმებში; ორ და მეტმარცვლიან სიტყვებს ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის. მახვილი განსაკუთრებით საგრძნობია კითხვითი, თხოვნითი, გაკვირვებითი, ძახითი ინტონაციის დროს (ბ. ჯორბენაძე, 1989, 381).

აჭარულში გრძელი ხმოვნები ოთხი სახისაა: ა) იგი მიიღება იდენტური ხმოვნების შერწყმით; დაკარგული სონანტის საკომპენსაციოდ გრძელდება უშუალოდ მის მეზობლად მყოფი ხმოვანი; გრძელდება დამოკიდებული წინადადების ბოლოკიდურა სიტყვის ბოლო ხმოვანი, თუ მას მოსდევს მთავარი წინადადება; ბ) გრძელდება თხრობით კონსტრუქციაში პაუზის წინა ხმოვანი (შ. ნიჟარაძე 1975; ბ. ჯორბენაძე, 1989, 543).

**შენიშვნა:** ჩვენ ქვემოთ მივუთითებთ, რომელი დიალექტისათვისაა დამახასიათებელი ესა თუ ის მოვლენა, პოზიციებს აღარ განვიხილავთ, რადგან ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, რომ ქართველ ებრაელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი პროცესები ქართული ენის სხვადასხვა დიალექტშია დადასტურებული.

ქართველ ებრაელებთან პაუზის წინ თანხმოვნის მომდევნოდ ე ხმოვნის გაჩენა ხშირია. მაგალითად, **შენე, დღესე;**

ეს მოვლენა დადასტურებულია დასავლეთ საქართველოს დიალექტებიდან რაჭულში, იმერულში, გურულსა და აჭარულში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებიდან ხევსურულში, ფშაურსა და მთიულურ-გუდამაყარულში (ჯორბენაძე, 1989).

გავრცელებულია ხმოვნის დისიმილაცია ლაბიალურ თანხმოვან-თა შორის. **ლ→ა** დისიმილაცია **მ-მ** თანხმოვნებს შორის (**მომ→მამ**); **მო-** ზმნისწინსა და პირველი ობიექტური პირის ან მიმღეობისეული **მ-** მორფემის (ასევე ფუძისეული ელემენტის) შეხვედრისას: **მამკლა** ეს პროცესი დადასტურებულია ზემოიმერულში, კახურში (ქ. ძო-წენიძე, 1973; ბ. ჯორბენაძე, 1989)

ნაზალიზებული სახითაა წარმოდგენილი **-თვის** თანდებული: **ჩემთვის მინდა, აბა, ვისთვის.**

თანხმოვანთა ნაზალიზაცია მეტ-ნაკლებად გავრცელებულია ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტში, მაგრამ სისტემური ხასიათი აქვს აღმოსავლურ კილოებსა და ზემოიმერულში (ლ. ნოზაძე, 1970, 125, გრ. იმნაიშვილი, 1974, 206).

ასევე ფონეტიკური პროცესებიდან შეგვიძლია დავასახელოთ მოვლენები, რომლებიც ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტშია დადასტურებული. მაგალითად, თანხმოვანთა დაკარგვა, განვითარება, შენაცვლება, ასიმილაცია, დისიმილაცია, სუბსტიტუცია...

#### **მორფოლოგიიდან:**

ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობით ბრუნვაში **-ი** დაბოლოება: **მოდო, დაგენაცვლე, ბიცოლაი მოვიდა.**

ეს მოვლენა დადასტურებულია ფშაურში, მოხეურში, მთიულურ-გუდამაყურულში, ქართლურში, კახურში, ჯავახურში, იმერულსა და გურულში (ბ. ჯორბენაძე, 1989).

მიცემითი ბრუნვის **-ს-ს** დაკარგვა თანხმოვანფუძიან სახელებთან: **საკმელ ჭამს.**

დადასტურებულია აგრეთვე ფშაურში, კახურში, ქართლურში, ნაწილობრივ იმერულში, ლეჩხუმურში (ბ. ჯორბენაძე, 1989).

ანთროპონიმების ბრუნებისას ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითის ნიშნად **-ი-ს** გამოყენება: **რებეკაი სახშია? ნათელაი იყო მოსული, სარაი.**

ებ მრავლობითი ნიშნის დართვისას კვეცის მოდუნება: **გვარიშვილობაები, შემცოდაები, ამეებსა, ძმეები**

სტატიკურ ზმნებთან **-ია** დაბოლოება: **უღია, გღია.**

-ავ თემის ნიშნის ნაზალიზაცია: **ხატავს→ხატამს, ძერწავს→ძერწამს.**

ეს პროცესი დადასტურებულია ქართლურში, კახურში, ზემოიმე-

რულში (ბ. ჯორბენაძე, 1989).

ხშირია პარონომაზიის შემთხვევები: **ხემწიფობით დახემწიფთები, მოტაცებით მოუტაცნია, დაკვლით დაკალით, ჩამოსვლით ჩამოვლით.**

ანალოგიური პროცესები დადასტურებულია თავსილშიც, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ეს მოვლენები საერთოებრაულია.

როგორც ვხედავთ, ფონეტიკური თუ გრამატიკული პროცესები ძირითადად ქართულია, რომელიც გამოიყენეს ებრაელებმა. თუმცა არ არის გამორიცხული **ვ** ბგერასთან დაკავშირებული ცვლილებები ძველი ებრაულის სეფარდული წარმოთქმის გავლენის შენარჩუნება იყოს ქართულ გარემოცვაში, მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ ებრაელები ქართული ენობრივი საშუალებებით ახდენენ გამიჯვნას სხვა ქართველთაგან.

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების 15 საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ჩვენ არაერთხელ გავხდით მოწმე, თუ როგორი ძნელია ენაში შემოვიდეს და დამკვიდრდეს ფონეტიკური და მორფოლოგიური ინვენტარი, რასაც ვერ ვიტყვით ლექსიკაზე. როგორც მივუთითეთ დასაწყისში, ებრაელთა მეტყველებაში შეიმჩნევა ძველი ებრაულიდან მომდინარე ლექსიკური ერთეულების გამოყენება, რომელთა უმეტესობას თეოლოგიური ტერმინოლოგია შეადგენს და რომელიც საფუძველს ბიბლიური ტექსტებიდან იღებს: **აგადა-ლეგენდა, ზლაპარი; აბელი-გლოვა, ტირილი; ადონაი-ბატონი, პატრონი; ბათ-ქალიშვილი; ბარ-კაცი; დადიანი-გოგოს ხელისმომკიდე; თალმუდი-მოძღვრება, სწავლება; თეფილინი-ლოცვა; თორა-მოსეს ხუთწიგნეული; მეზუზა-კარზე მიკრული პატარა ყუთი, რომელშიც დევს პერგამენტში გახვეული ლოცვის ტექსტი; რაბინი-უფროსი, მასწავლებელი; ტარიფა-საქმლად უვარგისი; ფესკა-ქუდი; ფურუმი-დღესასწაული; ქაშერი-ვარგისი; ქეთუბა-საქორწილო ხელშეკრულება; ქიფური-მიტევება, პატიება; შოშინი-მეგობარი, ხელისმომკიდე; შაბათი-დასვენება; ხაზამი-ჭკვიანი, ბრძენი...**

თავსილიდან შეგვიძლია დავასახელოთ დამატებით: **უყაბულა გვ. 102, უკინჭილე გვ. 82, მოიკუტა გვ. 92, გამჩენი 102, გამითავსილე გვ. 128, მაზალი გვ. 126, ჯამარებსა გვ. 144, ხუნჯულობა გვ. 148.**

ებრაულთან ერთად ზოგჯერ ქართული სიტყვებიც გამოიყენება ამა თუ იმ ცნების გამოსახატავად, მაგალითად, **ჯამათი**. ეს სიტყვა

ქართველებთან შედარებით იშვიათად გვხვდება, ხოლო ებრაელებთან სალოცავში შეკრებილი თერთმეტკაციანი ჯგუფი ყოველთვის ჯამათად მოიხსენიება: **სალოცავში ჯამათი იყო შეკრებილი.** ხშირია ქართველ ებრაელთა მეტყველებაში მოფერებით-ალერსობითის მნიშვნელობით **დაგენაცვლე** და **ოქრო** სიტყვების გამოყენება.

ლოცვისა და წყევლის ფორმებიც ქართული და ებრაული სიტყვების ნაზავია: **შენ საქაფროდ წავედი; შენ დაგენაცვლე; გეტაკა-ქართი;**

ეს ის მოვლენებია, რომლებიც ყველაზე ხშირად დასტურდება სხვადასხვა კუთხის ქართველ ებრაელთა მეტყველებაში. თუმცა აქვე ისიც უნდა მივუთითოთ, რომ თბილისელი ებრაელები შედარებით იშვიათად გამოიყენებენ აღნიშნულ ფორმებს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია სოციალური სტატუსიც, მაგალითად, განათლებულ ებრაელთა მეტყველებაც შედარებით განსხვავებულია. ტელეეთერებიდან კარგად გვანსოვს ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის გამოსვლები, ყოფილი გენერალური პროკურორის ანზორ ბალუაშვილისა და სხვათა მეტყველება, რომლებსაც ქართველ ებრაელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმების გამოყენება ნაკლებად ახასიათებთ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართველ ებრაელთა მეტყველება აშკარად ქართულის ნაირსახეობაა, შეზავებული ძველი ებრაულიდან მომდინარე ლექსიკური ერთეულებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში კოინე განმარტებულია როგორც მეტყველების ზედიალექტური ნაირსახეობა, რომელიც რამდენიმე დიალექტისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს აერთიანებს და, ამდენად, დიალექტთაშორისი ურთიერთობის საშუალებას წარმოადგენს, ანუ: კოინე (ზედიალექტი) არის სტიქიურად გამომუშავებული მეტყველება, რომელშიც მეტ-ნაკლებად ნიველირებულია ამა თუ იმ დიალექტისათვის ნიშანდობლივი სპეციფიკური მოვლენები და ამიტომ ერთნაირად გასაგებია და მისაღები სხვადასხვა დიალექტის მფლობელთათვის (ბ. ჯორბენაძე, 1989, 147).

ებრაელთა მეტყველებაზე დაკვირვება გვაძლევს შესაძლებლობას, რომ ებრაელთა მეტყველება მივიჩნიოთ კოინედ. უფრო ზუსტად, ინტერდიალექტურ კოინედ, რომელიც წარმოიქმნება სხვადასხვა დიალექტის მფლობელთა ინტენსიური ურთიერთობის დროს — ხდება



ამ დიალექტებისათვის ნიშანდობლივი საერთო მოვლენების წინ წამოწევა, ხოლო სპეციფიკური ფორმების მეტ-ნაკლები ნიველირება (ბ. ჯორბენაძე, 1989, 148). ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ებრაელებთან იმ კუთხისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფორმები, სადაც ცხოვრობენ, შენარჩუნებულია. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა მეტყველებაში დაფიქსირებული ზმნისწინის გადაბგერების შემთხვევები: **და—დე: დეგებურები, დეექმრე. მო—მე: მეგეცმათ, მეეწონა. გა—გე: გეეცხადა. გამო—გამე: გამეეცხადა. შემო—შემე: შემეეყრება.**

თუ შევადარებთ ენუქაშვილის მიერ ჩაწერილ თავსილის ტექსტებს, ჩემ მიერ ჩაწერილ მასალებს, სადაც მთხრობელები საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები არიან, აღმოვაჩინთ საერთო მოვლენებს. სწორედ ეს საერთო ქმნის ებრაულ კოინეს, რომელსაც არ გააჩნია ტერიტორიული შემოფარგლულობა. ის დამახასიათებელია მხოლოდ ებრაული ეთნიკური ჯგუფისათვის, ამიტომაც მას ებრაული კოინე უნდა ვუწოდოთ.

აღსანიშნავია, რომ ებრაულმა კოინემ ასახვა ჰპოვა მხატვრულ ლიტერატურასა თუ კინემატოგრაფიაში და აქაც ყურადღება გამახვილებულია იმ საერთოზე, რომელიც ყველა კუთხის ქართველი ებრაელისათვისაა დამახასიათებელი. შედარებისათვის შეიძლება დავასახელოთ ფილმები „დათა თუთაშხია“ და „კუკარაჩა“ (პირველში სამეგრელოში მცხოვრები ებრაელი პერსონაჟი მორდუხაი, ხოლო მეორეში — თბილისელი ებრაელი ისხაკი და რებეკა). ეს პერსონაჟები ებრაული ინტონაციითა და სპეციფიკური ფორმებით ჰყავს ამეტყველებული რეჟისორებს.

ამრიგად, ქართველ ებრაელთა კოინეს აქვს თავისებური ენობრივი იმუნიტეტი, რითაც ისინი საუკუნეების განმავლობაში თვითგამიჯვნას ახდენდნენ სხვა ქართველთაგან: ინტონაცია, მახვილი და გრძელი ხმოვნები, ასევე -ე ხმოვნის დართვა სახელებზე, მიცემითი ბრუნვის ნიშნის -ს დაკარგვა, თვის თანდებულისა და ავ თემის ნიშნის ნაზალიზებული სახით წარმოდგენა და ა. შ. ამ მოვლენებიდან ზოგი დასავლურ, ზოგი აღმოსავლურსა და ზოგიც მთის დიალექტებს ახასიათებთ.

## ლიტერატურა

**ასლანოვი, 2011** — ს. ასლანოვი, Aslanov, Cyril, Sociolinguistica historica de linguas judias, Buenos Aires, Lilmod, 2011

**დუმბაძე, 1979** — კ. დუმბაძე, ლექსიკური ებრაიზმები ქართულ ქალაქურ ჟარგონში, ჯეჯანმარდი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1979

**ენოხი, 2007** — რ. ენოხი, ძველი ქართულის ელემენტები „თავსილში“, ქართველოლოგი, 14, თბილისი, 2007

**ენოხი, 2000** — რ. ენოხი, „თავსილი“, იერუსალიმი, 2000

**ენოხი, 2013** — რ. ენოხი, მიმართება სალიტერატურო ქართულს, იმერულ კილოსა და ქუთაისის ებრაელთა მეტყველებას შორის ანუ ქართველ ებრაელთა მეტყველება ენათმეცნიერებისა და სოციოლინგვისტიკის შესაყარზე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“ 2, ქუთაისი, 2013

**იმნაიშვილი, 1974** — ივ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, თბილისი, 1974

**კუბლაშვილი, 1959** — კ. კუბლაშვილი, ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები 19, ქუთაისი, 1959

**ლომთაძე, 2005** — თ. ლომთაძე, ქუთაისური ქართული, ქუთაისი, 2005

**ლომთაძე, 2005** — თ. ლომთაძე, ქუთაისური ჟარგონი, ქუთაისი, 2005

**ლომთაძე, 2010** — თ. ლომთაძე, თანამედროვე ქართული სოციოლექტები, თბილისი, 2010

**მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956** — ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956

**ნიჟარაძე, 1975** — შ. ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975

**ნოზაძე, 1970** — ლ. ნოზაძე, ქართლური დიალექტური მასალები, იკე, 17, თბილისი, 1970

**სარალიძე, 1978** — თ. სარალიძე, ალგეთის ხეობის ქართლური, თბილისი, 1978

**უთურგაიძე, 1960** — თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბილისი, 1960

**ძოწენიძე, 1973** — ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბილისი, 1973

**ჩიქობავა, 1924** — არნ. ჩიქობავა, გრძელი ხმოვნები მთიულურში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, 4, ტბილისი, 1924

**ღლონტი, 1980** — ა. ღლონტი, გრძელი ა-ს საკითხისათვის ქართლურში, ფილოლოგის ჩანაწერები, თბილისი, 1980

**ჯორბენაძე, 1989** — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი, 1989.

TAMAR LOMTADZE

## Towards the Status Of the Speech of Georgian Jews

### Summary

As is known, Jewish community have lived in Georgia for many centuries, since time immemorial. Up to the 20<sup>th</sup> c. in almost every Georgian town or regional centre there were compact Jewish settlements in the areas adjacent to Sinagogues. Despite apparent differences between Standard Georgian and the Georgian spoken by Georgian Jews, no linguistic analysis of the issue was carried out. This can be explained by the Soviet policy: the study of the speech of Soviet Jews was discouraged by the Soviet authorities..

The paper argues that the speech of Georgian Jews is a variety of Georgian, it differs from the rest of the Georgian dialects and can be viewed as a fusion of the phonetic and grammatical peculiarities evidenced in the Georgian dialects with Old Hebrew lexis. The latter reflects Sephardi norms and traditions observed by the Jews in Georgia. The paper discusses the following linguistic peculiarities of the koine of the Jews of Georgia: intonation, stress, long vowels, addition of the vowel **e** to a substantive, the loss of the Dative case marker **s**, nasalization of the postpositon **tvis** and the thematic marker **av** etc. The enumerated features are evidenced in different dialects of Georgia, some in western , some in eastern and some others in highland dialects., however, some properties are typical of the koine in question. The koine of the Georgian Jews serves as a marker of their identity.

ნიკოლოზ ოთინაშვილი

**ტოპონიმებისა და ანთროპონიმების უმარაგებითი  
ანალიზი ქსნის ხეობაში**

მიკრო- და მაკროტოპონიმთა წარმოშობა უხსოვარ დროში გადადის. ისინი უმთავრესად ხალხის ხსოვნამ და ზეპირსიტყვაობამ შემოგვინახა, შემდეგ კი თაობიდან თაობას გადაეცა.

ტოპონიმი ბევრ ინფორმაციას ინახავს მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიმართულებით და მისი კვლევა მრავალმხრივ შეიძლება. ქსნის ხეობის ტოპონიმთა შესახებ ორ ათეულზე მეტი შრომა გვაქვს გამოქვეყნებული სპეციალურ ლიტერატურაში და შეიძლება ითქვას, რომ როგორც ხეობის, ისე ყოფილი საერისთაოს ასეთი სახის მასალები. ლექსიკის სფეროში კვლავაც ბევრია საკვლევი და, შეიძლება ითქვას, საშურველიც.

ხეობის ტოპონიმურ მასალებში ჩვენი ყურადღება მიიქცია -ურ სუფიქსით ნაწარმოებმა ადგილის სახელებმა. ასეთი სახელები ოთხმოცზე მეტია და თუ შევეუდარებთ ისტორიულ დოკუმენტაციას, ეს რიცხვი გაორმაგდება.

-ურ სუფიქსი (დისიმილაციით -ულ) აღნიშნავს წარმომავლობას, დაერთვის დანიშნულების სახელებს.

-ურ სხვადასხვა დანიშნულებისა და წარმოშობისაა, მათ შორის ტოპონიმთა ერთ ნაწილში შედის ტერმინის შემადგენლობაში და ქცეულია ადგილის სახელწოდებად. მისი ერთ-ერთი ფუნქცია არის კუთვნილების გამოხატვაც. ამასთან, აღნიშნული მაწარმოებელი ქსნის ხეობაში გვხვმარება, რომ გადაშენებული გვარ-სახელები აღვადგინოთ. ძველი ანთროპონიმების ხსოვნა ტოპონიმებმა შემოგვინახეს. ყოველივე ეს კი ეთნიკური საკითხების გასარკვევად მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ცნობილი მკვლევარი ალ. მანჯგალაძე თავის სპეციალურ წერილში, რომელიც -ურ სუფიქსისადრია მიძღვნილი, აღნიშნავს, რომ წარმომავლობის ფუნქცია არის მეორეული. იგი წერს: „-ურ სუფიქ-

სი არ გამოიყენება წარმომავლობის ან საგნის თვისების გამოსახატავად. იგი სპორადულად გვხვდება და ამ ფუნქციითაა გამოსახატავად ენა სხვა საშუალებებს მიმართავს“ (მანჯგალაძე, 1953).

აკაკი შანიძე წერს: „წარმომავლობის გარდა -ურ სუფიქსი სხვა სახელთან ერთად აღნიშნავს თვისებას სათანადო საგანთან მიმართებით. მაგ.: ბავშვური, მხეცური“ (შანიძე, 1980). მას აქვს სხვა ფუნქციებიც, რომლებიც სხვადასხვა დიალექტში შეინიშნება.

როგორც შიდა ქართლში, სახელდობრ ქსნის ხეობაშიც ჰიდრონიმები ბოლოს დაირთავენ -ა ხმოვანს და ვიღებთ. -ურ-ა დაბოლოებას. მაგ.: ალე-ურ-ა, ძეგლე-ურ-ა, ყანჩა-ურ-ა, ცხრაძმ-ურ-ა, ცხრაძმ-ულ-ა, ლეხ-ურ-ა, ხოფ-ურ-ა და სხვა.

-ურ-ის შემდგომ -ა ხმოვნის შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში, სიმონ ჯანაშია -ა სუფიქსს მასულბტანტივებელ სუფიქსად მიიჩნევს (ჯანაშია, 1959).

თ. ზურაბიშვილის დაკვირვებით ტოპონიმების ბოლოს დართული -ა სუფიქსი ქონების უნდა იყოს (ზურაბიშვილი, 1961).

ჩანს, რომ -ურ და ტოპონიმის ბოლოს დართული -ა სუფიქსი, ქონების გამომხატველი უნდა იყოს. ხსენებული და სხვა ჰიდრონიმებზე დართული მაწარმოებლები, ჯერ ერთი, უძველესია და მეორეც, ჰიდრონიმები ხომ გაცილებით ძველი წარმოშობისაა, ვიდრე ტოპონიმები.

„1774-1782 წლების ქსნის ხეობის სტატისტიკურ აღწერაში“ ადამიანთა გვარების (ანთროპონიმების) საწარმოებლად გამოყენებულია -ურ (-ულ) სუფიქსები ხშირ შემთხვევაში. მაგ.: „ჭურთისხევის ბუჯიანთ კარს“ გვხვდება გვარი ზანგ-ურ-ი, ასევე ზანგ-ურ-ი-ძე. ამჟამად ეს გვარი იწერება როგორც ზანგურაშვილი, მაგრამ -ურ სუფიქსი სამივე შემთხვევაში ზანგ-ურ-ი — ზანგ-ურ-ი-ძე — ზანგ-ურ-ა-შვილი, შენარჩუნებულია.

ამავე ხეობის „დორეულთა კარს“ დაფიქსირებულია 18 კომლი გვარად დორე-ულ-ი (საქ. ეკონ. ისტ. ძეგლები, 1967).

ამ დროისათვის სოფელ ცხატში (დღევანდელი ცხავატი) ბუნტურების დიდი სოფელია, ასეთივე დიდი იყო ფსუტურების გვარი სოფელ ნახიდში, იკოთში გიგაურები და სხვა...

მიგვაჩნია, რომ გვარების საწარმოებლად გამოყენებული -ურ სუფიქსი იგივეა, რაც ტოპონიმებში გამოყენებული -ურ. -ურ სუფიქსიანი ტოპონიმების დიდი ნაწილი ადამიანთა სახელებიდან არის მიღებული. ანთროპონიმები საუკუნეების განმავლობაში იცვლება იმის მიხედვით, თუ ვინ ცხოვრობდა ამა თუ იმ ხეობაში, რომელი გვარები იყო, შემდეგ რომელი მოვიდა. ხშირად კი ადამიანთა ხსოვნას აღარ შემორჩა წინა თაობების ამბები და სწორედ ამიტომ არის, რომ ბევრი ტოპონიმი აუხსნელია. ამ შემთხვევაში უნდა მივმართოთ ისტორიულ დოკუმენტებსა და თანამედროვე ვითარებას და შევუდაროთ ისინი ერთმანეთს.

ხეობის მიკრო- და მაკროტოპონიმებში, ჰიდრონიმებში -ურ, -ულ სუფიქსები, შეიძლება ითქვას, რომ შეუზღუდავად გვხვდება. განსაკუთრებით გამოსაყოფია ტოპონიმები, სადაც კიდევ უფრო ნათლად ჩანს ამ სუფიქსების კუთვნილებითობის ფუნქცია. ქსნის ხეობის სოფელ ყანჩაეთის კაბენი ერთ-ერთი უნიკალური ძეგლია, ხოლო მის სიდიადეს კიდევ უფრო მეტ ბრწყინვალეობას მატებს ტყავის სახარება, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის აღმოჩენილია. იგი ნუსხური გრაფიკით არის შესრულებული, მან დაადგინა, რომ სახარება შექმნილია XII—XIII საუკუნეების მიჯნაზე. სახარების მინაწერებში მხედრულით არის ჩამოთვლილი ტოპონიმები, რომლებიც -ურ, -ულ სუფიქსებს დაირთავენ და კუთვნილებას აღნიშნავენ. ესენია: „კაბენსა ჯარდინაულის მამული კუამლი ერთი თევდორა“. „შემოგწირეთ მიწა ასათურისა, ასანას ხევს გამოღმით“.

ასევე სოფელ ყანჩაეთში დასახელებულია მამულები სპილენძაური და ვაზირაული (თაყაიშვილი, 1913).

სოფელ ყანჩაეთში ეს უკანასკნელი ტოპონიმი, რომელიც ზემოხსენებულ ძეგლში XVII საუკუნეშია დაფიქსირებული დღეს გვხვდება, როგორც ვაზრეული, რომელიც ერთ-ერთი სოფლის უბანი იყო და დღეს საძოვარია.

ამავე დროისაა სპილენძაური, რომელიც უწინ სახნავი იყო, მაგრამ დღეს (მოუხნაობისა და დაუმუშაობის გამო ათეული წლების განმავლობაში) ხევის სახელწოდებაა, იგი ქსნის მარჯვენა შენაკადია.

-ურ, -ულ სუფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები სოფელ ყანჩაეთში მეტ-ნაკლები სიხშირით დღესაც გვხვდება. მაგ.: ჯღაბა-ურ-ი, რომელიც დღეს ნასოფლარისა და საძოვრის აღმნიშვნელი ტოპონიმია, მაგრამ ასევე აღნიშნავს გაგაძეების ერთ-ერთ შტოს, რომლებიც

სოფელ ყანჩაეთის განაპირას ცხოვრობდნენ, სხვაგან გადასხლდნენ და დღეს ამ გვარის სახელი შემორჩა.

ზაზაური დღეს ადგილია სოფელში, ჩრდილოეთის მხარეს, რომელიც ნასოფლარია და ამავე დროს აღნიშნავს ქურთაულების გვარს, რომლებიც ორასი წლის წინათ აქ ცხოვრობდნენ.

შულღაური, მინდორ-ველია სოფლის სამხრეთით, ხადის ციხესთან, რომელიც ამავე დროს შულღიაშვილების საცხოვრებელ, ნასახლარ ტერიტორიას აღნიშნავს.

ელური ხევია, რომელიც ხევ სპილენძაურის მარცხენა შენაკადია. იქ ახლაც არის ნასახლარების ნაშთები, რომელით სავარაუდოდ გვარს უნდა უკავშირდებოდეს. ასევე -ურ, -ულ სუფიქსებით ნაწარმოებია: ჭუჭლა-ურ-ი, იფნე-ურ-ი, ბინკ-ურ-ი, ზებეყ-ურ-ი.

სოფელ ძეგლევიში, მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს ასეთი ნაწარმოები ტოპონიმები თხუთმეტია. მაგ.: ტოპონიმი ბუნტური აღნიშნავს, რომ ამ ადგილებში ამ გვარის ხალხი ცხოვრობდა, რომლებიც ძველად სოფელ ცხვიდან ჩამოსახლდნენ.

არჯანაური, ტოპონიმი მიგვითითებს, რომ აქ არჯანაშვილები ცხოვრობდნენ, ამავე სოფლის გარშემო დავადასტურეთ ლომიაური, ძეგლურა, ფხაჭაური.

ქსნის ხეობის მარჯვენა მხარეს აღნიშნული მაწარმოებლებით რამდენიმე ტოპონიმი გვხვდება.

გელა-ურ-ი, სოფელ ბოლის აღმოსავლეთ მხარეს არსებული ნასოფლარია, სადაც გელაურების გვარის კუთვნილი ტერიტორია იყო და დღეს ნასოფლარია, ტოპონიმი კი დარჩა.

ტევანური არის სახნავ-საძოვარი სოფელში, რომელიც ასევე ამ გვარის აქ არსებობაზე მიგვითითებს.

ეკლაური არის ნასოფლარი, რომელიც ეკალაძეების გვარის მიხედვით არის დარქმეული. ამჟამად ეს ადგილები სოფელ ბოლის მიწების შემადგენლობაში არის მოქცეული. ეკალაძეები ჩამოსახლდნენ სოფელ ბოლში და სხვა დასახლებულ ადგილებში.

მოყვანილი მაგალითები ქსნის ხეობიდან იმისი დასტურია, რომ -ურ სუფიქსს (და მის დისიმილაციურ -ულ-ს) კუთვნილების გამოხატვის ფუნქცია აქვს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ქსნურ მეტყველებაში, რომელიც ძირითადად მთიულურს მისდევს, შემონახულია სადაურობის აღნიშვნა. აღნიშნული -ურ სუფიქსი ისტორიულად ასევე დაერთოდა ადამიანთა სახელებსა და ეს სახელები შე-

მდგომ გვარებად იქცა. ამ სუფიქსის ფუნქცია სხვადასხვა დიალექტში სხვადასხვაა და მისი კვლევა ფრიად საინტერესოა.

## ლიტერატურა

**მანჯგალაძე, 1953** — მანჯგალაძე ა. -ურ სუფიქსისათვის ძველ ქართულში, თბ., 1953, გვ. 510.

**შანიძე, 1988** — შანიძე ა. თხზულებანი, III, თბ., 1998, გვ. 127.

**ჯანაშია, 1959** — ჯანაშია ს. „შრომები“, III, თბ., 1959, გვ. 218.

**ზურაბიშვილი,** — ზურაბიშვილი თ. ტოპონიმების შესწავლისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., გვ. 151.

**ჯავახიშვილი 1967** — ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები. ხალხის აღწერის დავთრები, მეცნიერება, თბ., 1967, გვ. 184-185.

**თაყაიშვილი, 1913** — თაყაიშვილი ე. საისტორიო მასალანი, წიგნი პირველი, თბ., 1913, გვ. 65, 67, 73.

NIKOLOZ OTINASHVILI

## A Comparative Analysis of Toponyms and Anthroponyms of the Ksani Valley

### Summary

In the toponymic data of the Ksani Valley place names formed with the suffix -ur or its dissimilative variant-ul are of particular interest. The suffix in question denotes origin, also conveys the meaning of destination; however, one of its most important functions is to express possession.

In 'The Statistical Census of the Ksani Valley of 1774-82', the anthroponyms formed with -ur, -ul suffixes are evidenced e.g. Zanguri, Zanguridze, Psuturi, Bunturi etc. The paper argues that the suffix ur used in anthroponyms is identical to the toponym forming suffix ur: Shuglauri, Zazaauri, Bunturi, Arjanauri, Gelauri, Tevanauri, Ekalauri etc. It should be noted that the functional loading of the suffix in question varies in different dialects.



მანანა რუსიეზილი, რუსუდან დოლიძე

### ექვრაზა და მისი ალქმის თავისებურებები

ექვრაზა, როგორც ლიტერატურული აღწერის ერთ-ერთი ხერხი, ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში ჩაისახა და თავდაპირველად გამოიყენებოდა ვიზუალური საგნის ან მოვლენის ვერბალიზაციის პროცესის აღსანიშნად (პობი, 2010). ხშირად ექვრაზული ჩანართი გულისხმობდა რაიმე ცნობილი საგნისა თუ მხატვრული ნაწარმოების ვერბალურ აღწერას. ცნობილია, რომ ისეთი ცნობილი მწერლები და პოეტები მიმართავდნენ მას, როგორცაა ჰომეროსი, შექსპირი, კიტსი და სხვები (ბრუჰნი, 2000).

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ამ მოვლენისადმი ინტერესი განახლდა, რაც დაუკავშირდა ექვრაზის ფენომენის კვლევას ინტერდისციპლინარულ ასპექტში. ეს, ბუნებრივია, ნიშნავდა იმას, რომ ახალი, უფრო ფართო მიდგომით, ექვრაზული აღწერები ეფუძნებოდა არა მხოლოდ რაიმე მხატვრული მოვლენის ვერბალიზაციას ლიტერატურულ ნაწარმოებში, არამედ იგი აქტიურად დაუკავშირეს მეორადი სემიოტიკის სისტემებსაც, კერძოდ კინოს, თეატრის სამყაროს და ამ სისტემებში რაიმე ხელოვნების ნიმუშის რევიზუალიზაციას (კლუვერი, 1998; ბრუჰნი (2001).

ბუნებრივია, ექვრაზის მოხმარების არეალის გაზრდამ გამოიწვია მისი როგორც ფენომენის განმარტების მოდიფიკაციის საჭიროებაც. კერძოდ, ამ პრობლემით დაკავებული მკვლევრები დაინტერესდნენ ექვრაზის ტიპოლოგიით და მისი კოდირების თავისებურებებით, თუმცა ექვრაზული ჩანართების ალქმის თავისებურებებზე ჯერ მხოლოდ რამდენიმე გამოკვლევა არსებობს.

ამ სტატიის მიზნებია (1) იმსჯელოს ვერბალური (ლიტერატურული) და კინემატოგრაფიული<sup>1</sup>, ეკრანული ექვრაზის არსისა და

<sup>1</sup> საგერ ეიდტი უპირატესობას ანიჭებს ტერმინს „კინემატოგრაფიულ ექვრაზა“, ჩვენ- ტერმინს „ეკრანული ექვრაზა“.

აღქმის თავისებურებებზე, მათ შორის განსხვავებებზე და (2) შემოგთავაზოს ექვრაზის განმატების დაზუსტებული ვარიანტი.

ამ მიზნების მისაღწევად გაანალიზებული და შეჯერებულია ლიტერატურული და ეკრანული ექვრაზის კვლევის ფუნდამენტური მომენტები, ხოლო მისი აღქმის თავისებურებები მოქცეულია ბერლოს კომუნიკაციის მოდელის მოდიფიცირებულ ჩარჩოში. ბერლო მიიჩნევს, რომ წარმატებული კომუნიკაციისათვის 10 კომპონენტი აუცილებელია: კომუნიკაციის წყარო, მისი კოდირება, სიმბოლო, მესიჯი, არხი, „ხმაური“, მიმღები, დეკოდირება, მიმღების რეაქცია (ან უკუგება) და კონტექსტი (ბერლო, 1960).

მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

კომუნიკაციის წყარო ექვრაზული კომუნიკაციის შემთხვევაში არის ავტორი / რეჟისორი (ის, ვისაც ეკუთვნის მესიჯი).

კოდირება გახლავთ ინფორმაციის, ჩვენთვის ექვრაზული აღწერის ობიექტის (ვიზუალურის) ვერბალიზაცია (ლიტერატურულ ნაწარმოებში) ან რე-ვიზუალიზაცია (ფილმსა თუ თეატრალურ წარმოდგენაში) და მათ შორის კავშირი.

სიმბოლო, ბარლოს კლასიფიკაციით განიმარტება როგორც გზა, რომლითაც ხდება ინფორმაციის, მესიჯის კოდირება. ჩვენი საკვლევი ობიექტის მიხედვით, ეს შეიძლება იყოს ის სემიოტიკური სისტემა, რომელიც გამოიყენება მესიჯის კოდირებისათვის.

მესიჯი, არის თავად ინფორმაცია, რომლის ტრანსპოზიციაც ხდება ერთი სემიოტიკური სისტემიდან მეორეში.

კომუნიკაციის არხი იხმარება ტრანსპოზიციის მედიუმის აღსანიშნად.

„ხმაური“, ბარლოს კლასიფიკაციით, არის დეკოდირების ხელისშემშლელი პირობა, კერძოდ, ეს შეიძლება მოიცავდეს ხმაურს ოთახში, რაც ხელს უშლის მკითხველს, მაყურებელს (აღქმელს) კონცენტრაციაში, ასევე, მისი შინაგანი მდგომარეობა, მისი მზაობის ხარისხი ან თავად მესიჯის სირთულე და დეკოდირების პრობლემურობა.

მესიჯის მიმღები, აგენტი, ჩვენს შემთხვევაში მკითხველი, ფილმის მაყურებელია, რომელმაც უნდა შეძლოს მესიჯის დეკოდირება, აღქმა.

მოდელის შემდეგი ელემენტი უკუგება, რეაქცია მესიჯზე, რომელიც ჩვენი საკვლევი ობიექტის პირობებში ემთხვევა დეკოდირების

ხარისხსა და სისრულეს და, შესაბამისად, მიღებული ესთეტიკური სიამოვნების ხარისხს.

კონტექსტი, ბერლოს მიხედვით, არის ის პირობები, რომელშიც ხდება კომუნიკაცია, ანუ მესიჯის გადაცემა. ჩვენი აზრით, ექვრაზული აღწერის კონტექსტი შეიძლება განვიხილოთ ფართო და ვიწრო მნიშვნელობით. პირველ შემთხვევაში კონტექსტი მოიცავს ლიტერატურულ ნაწარმოებს (ლიტერატურული ექვრაზა) და ფილმსა და მუსიკას (ეკრანული ექვრაზა) და რეალურ სამყაროში მდებარე კონტექსტს, სადაც იმყოფება მკითხველი და /ან მკითხველი. ვფიქრობთ, ორივე დასახელებული კონტექსტი საინტერესოა და გარკვეულ როლს თამაშობს ექვრაზის საბოლოო აღქმის ადეკვატურობაში.

დავუბრუნდეთ ექვრაზის განმარტების პრობლემატიკას. ექვრაზის პირვანდელი, მიღებული განმარტება ეყრდნობოდა ჰეფერნენის მიდგომას, რომლის მიხედვითაც ექვრაზა არის ვიზუალურის ვერბალიზაცია (ჰეფერნენი, 1993). შემდგომმა კვლევებმა დაადასტურა, რომ მხოლოდ ერთი მიმართულებით (ვიზუალიზაცია → ვერბალიზაცია) კვლევა არის ექვრაზის გამარტივებული ხედვა, რადგანაც სინამდვილეში ექვრაზა ბევრად უფრო რთული და მრავალმხრივი ფენომენია. შემდგომმა კვლევამ დაადასტურა ისიც, რომ ექვრაზა შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე სემიოტიკურ სისტემას, მედიუმს და, როგორც აღვნიშნეთ, ლიტერატურის გარდა, იგი შეიძლება რეალიზდეს მხატვრობაში, თეატრალურ წარმოდგენებში, კომიქსებში, ფილმებსა და არქიტექტურაში (პერსინი, 1997).

გარდა ამისა, ექვრაზის კვლევის დროს მხედველობაში მიიღებოდა მხოლოდ მისი კოდირების მომენტი, ანუ მწერლის ხედვა, ხოლო მისი დეკოდირებისა და, საერთოდ, მკითხველის (და მკითხველის) მიერ ექვრაზის აღქმის პრობლემები ყურადღების მიღმა რჩებოდა. ასევე შესასწავლი იყო ექვრაზის მედიუმის გადაადგილების მიმართულების ტიპოლოგიაც.

შემდეგი თეორიული პრობლემა, რომელიც ექვრაზით დაინტერესებულ მკვლევარებს იზიდავდა, იყო ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ვერბალიზაციის მომენტი ექვრაზის ფართო განმარტებისათვის. ამ თვალსაზრისიდან კლუვერი ექვრაზას განმარტავს როგორც „არავერბალური ნიშნების სისტემაში შექმნილი ავთენტური ან გამო-

გონილი ტექსტების ვერბალიზაციას“ (კლუვერი, 1998, 40). ცხადია, კლუვერის განმარტებაში ვერბალიზაციას კვლავ მადიფერენცირებელი ადგილი უჭირავს, რაც, ჩვენი აზრით, არაზუსტია, რადგანაც ვერბალიზაცია ექვრაზული ჩანართის ერთ-ერთ და არა ერთადერთი გამოვლინება და ატრიბუტია. ბრუჰნმა, რომელიც მუსიკალურ ექვრაზას იკვლევს, ოდნავ მოგვიანებით, კიდევ ერთი დაზუსტება შეიტანა ექვრაზის განმარტებაში და მიიჩნია იგი ერთ სემიოტიკურ სისტემაში შექმნილი ავთენტური ან ფიქტიური ტექსტის სხვა მედიუმში გადატანად, ტრანსპოზიციად (ბრუჰნი, 2001).

როგორც ვხედავთ, ამ განმარტებაში ვერბალიზაცია აღარ არის მიჩნეული ექვრაზული ჩანართის მადიფერენცირებელ ელემენტად, თუმცა, მისი სრული უგულვებელყოფაც არ იქნებოდა მიზანშეწონილი, რადგანაც ვერბალიზაცია, როგორც აღვნიშნეთ, მაინც რჩება ექვრაზის ერთ-ერთ გამოვლინებად.

ჩვენთვის მისაღები სამუშაო განმარტება, რომლის დაზუსტებულ ვარიანტს სტატიის ბოლოს შემოგთავაზებთ, ეკუთვნის საგერ ეიდტს, რომელიც ექვრაზას ამგვარად განმარტავს: „ექვრაზა არის სხვა სემიოტიკურ სისტემაში შექმნილი ავთენტური ან ფიქტიური ტექსტების ვერბალიზაცია, ციტირება და დრამატიზაცია“ (საგერ ეიდტი, 2008, 20).

საგერ ეიდტის დამსახურებაა ასევე ლიტერატურული და კინემატოგრაფიული ექვრაზის ფუნქციონირების დაზუსტებაც. კერძოდ, იგი ლიტერატურული ექვრაზის თვისებად, ტრადიციულად, მიიჩნევს ვიზუალურის ვერბალიზაციას, ხოლო კინემატოგრაფიული ექვრაზის სპეციფიკად მიუთითებს სამ მომენტს: კინემატოგრაფიული ექვრაზის დროს აქტუალიზდება ორი პლანი: აღსანიშნი და აღმნიშვნელი, ანუ ის, რასაც აღწერენ და მისი ეკრანული ინტერპრეტაცია; (2) კინემატოგრაფიული ექვრაზა მაყურებელზე დიდ ესთეტიკურ შთაბეჭდილებას ახდენს და (3) ასევე აძლევს მას საშუალებას გამოიცილოს კონკრეტული მომენტის რეჟისორისეული ინტერპრეტაცია (საგერ ეიდტი, 2008, 19-21).

ჩვენი აზრით, ჩვენც სამი მომენტი უნდა გამოვაცალკევოთ დისკუსიისათვის. პირველი, არამარტო ეკრანული (ვიზუალურის რევიზუალიზაცია), არამედ ლიტერატურული ექვრაზაც (ვიზუალურის ვერ-

ბალიზაცია) ორ პლანზე, ორ დონეზე აქტუალიზდება: აღსაწერი და აღწერის დონეებზე, ხოლო კავშირი მათ შორის, რომელიც კოდირდება ავტორის/რეჟისორის მიერ, უნდა გამოიცნოს მკითხველმა/მაყურებელმა.

ცხადია, რომ არსებობს ექვრაზის ისეთი შემთხვევები და ეს ეხება ნებისმიერ სემიოტიკურ სისტემაში მის აქტუალიზაციას, როდესაც კოდირებული აზრი ადვილად ხდება მისაწვდომი მკითხველისა და მაყურებლისათვის. ამის საპირისპიროდ, არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ექვრაზისთვის დამახასიათებელი ხატების დამაკავშირებელი ასოციაციები ზედაპირზე არ ამოტივტივდება და, ამგვარად, საჭიროა მკითხველისა და მაყურებლის მხატვრული აღქმისა და ერუდიციის მობილიზება მათი დეკოდირებისათვის.

ასევე შეგვედავებით ავტორს ვერბალური (ლიტერატურული) და კინემატოგრაფიული ექვრაზის ძირითადი პრაგმატიკული მიზნის ინტერპრეტაციაშიც. კერძოდ, საგერ ეიდტი მიიჩნევს, რომ ვერბალური ექვრაზის ძირითადი მიზანია მკითხველს დაანახვოს აღსაწერი საგანი ან მოვლენა, მაშინ როცა კინემატოგრაფიული ექვრაზის მთავარი მიზანია მოახდინოს გავლენა მაყურებელზე (საგერ ეიდტი, 2008).

როგორც კვლევამ გვაჩვენა, ვერბალური ექვრაზის მთავარი მიზანი არ უნდა იყოს მხოლოდ მკითხველისათვის კონკრეტული საგნის „დანახვის“ გაიოლება. ამგვარი ხედვა იქნებოდა საქმის გამარტივება, რადგან ადეკვატურად დეკოდირებული ლიტერატურული ექვრაზაც ისეთივე ეფექტურია მკითხველისათვის, როგორც ეკრანული ექვრაზა. ასევე დავამატებდით, რომ ლიტერატურული, ვერბალური ექვრაზის აღქმის პროცესში ორი მომენტი უნდა გამოიყოს. ერთი, როდესაც მკითხველს არ უნახავს აღსაწერი საგანი და მეორე, როდესაც იგი მას იცნობს და, ამგვარად, მზად არის ექვრაზის დეკოდირებისთვის. მკითხველისა და მაყურებლის მზაობა ხელს უწყობს სხვადასხვა სემიოტიკურ სისტემებში აქტუალიზებული ტექსტების ტრანსპოზიციის სისრულესა და ადეკვატურობას, რაც ნიშნავს ექვრაზის ორი საკვანძო მომენტის — აღსაწერისა (ხატის, საწყისი მომენტისა) და აღმწერის (მედუიმის) დაკავშირებასა და დეკოდირებას. მხოლოდ ასეთ შემთხვევებში იქნება ინტერსემიოტიკური ტრანსპოზიცია ადეკვატური და რელევანტური.

მეორე მხრივ, შეუძლებელია არ დავეთანხმოთ საგერ ეიდტს, რომ ორი ტიპის (ვერბალური ანუ ლიტერატურული) და ეკრანული ექფრაზის განმასხვავებელი ხაზი გადის ვიზუალურის ვერბალიზაციის ფუნქციის გაგებაზე. თუ ვერბალური, ლიტერატურული ექფრაზის დროს ვერბალიზაციას მაინდენტიფიცირებელი ფუნქცია აკისრია, ვიზუალური ეკრანული ექფრაზის დროს ვერბალიზაცია იძენს მისი ერთ-ერთი ნიშნის, ატრიბუტის ფუნქციას. ცხადია, ეკრანული ექფრაზის დროს, ფილმის ინტერსემიოტიკური ბუნებიდან გამომდინარე, მისი აქტუალიზაციის მედიუმებიც მრავალრიცხოვანია. კერძოდ, შეიძლება მან მოიცვას არა მხოლოდ ვერბალური, არამედ ვიზუალური და სმენითი მოდუსებიც. ანუ, თავისთავად, ლიტერატურული ექფრაზა ნაკლებად ეფექტური უნდა იყოს, თუმცა ჩვენ არ გვგონია, რომ მისი ძირითადი ფუნქცია, ამის მიუხედავად, დაიყვანება მხოლოდ საგერ ეიდტის მიერ მითითებულ „დანახვების“ ფუნქციაზე.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ, განვიხილოთ ვერბალური, ლიტერატურული და ვიზუალური, ეკრანული ექფრაზული ჩანართების აქტუალიზაციისა და აღქმის გზები და ხერხები.

პირველი მაგალითი, რომელიც გვინდა მოვიყვანოთ ვერბალური, ლიტერატურული ექფრაზის საილუსტრაციოდ, აღებულია ტ. შევალის რომანიდან „გოგონა მარგალიტის საყურით“ და რომელიც ცნობილია ვერმიერის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ტილოების ექფრაზული აღწერით.

პირველი ტილო, რომელსაც ავტორი აღწერს, გახლავთ „დელფტის ხედი“, რომელიც გრიეტისა და მამამისის „თვლებით“ აღიწერება:

„Do you remember the painting we saw in the Town Hall a few years ago, which van Ruijven was displaying after he bought it? It was a view of Delft, from the Rotterdam and Schiedam Gates with the sky that took up so much of the painting, and the sunlight on some of the buildings“.

„And the paint had sand in it to make the brickwork and the roofs look rough“, I added. „And there were long shadows in the water, and tiny people on the shore nearest us“ (Chevalier, 2001:7).

(„გახსოვს ნახატი, რომელიც მერიაში ვნახეთ რამდენიმე წლის წინ? ვან რუიჟვენმა გამოფინა შეძენის შემდეგ. სურათი გამოსახავდა

დელფტის ხედს, როტერდამისა და შიდამის კარიბჭედან, ცა დეტალ-ლებში იყო გადმოცემული, და მზის შუქი ეცემოდა ზოგ შენობას.“

„ნახატს ნამდვილი ქვიშა ჰქონდა მიფრქვეული შენობის კედლე-ბისა და სახურავების უსწორმასწორობის გადმოსაცემად“, დაგუმატე მე „წყალზე გრძელი ჩრდილები მოჩანდნენ, და ციციქნა ადამიანები ჩვენთან ახლოს, ნაპირთან“) (შევალიე, 2001, 7).

ამ სურათის აღქმის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, მკითხველი იცნობს თუ არა ვერმიერის სურათს. ბუნებრივია, თუ პასუხი და-დებითია, მაშინ ავტორის სიტყვები დაეხმარება მას აღიდგინოს სუ-რათი ზედმიწევნითი სიზუსტიით. თუ მკითხველს არ უნახავს იგი, მა-შინ შესაძლებელი გახდება, ავტორის კვლადაკვალ „დაინახოს“ იგი. ანუ, ამ შემთხვევაში მკითხველი მიჰყვება მხოლოდ ავტორის სი-ტყვებს და პროცესი ეყრდნობა „დანახვას“ და არა „აღდგენას“, რო-გორც იმ შემთხვევაში, როდესაც მკითხველს უკვე ნანახი აქვს ვერმი-ერის ეს ტილო.

ექვრაზული აღწერის გზა და სისრულე კოდირების დროს და-მოკიდებულია ჟანრზე და ავტორის ფანტაზიაზე. კერძოდ, ვერმიერის ერთი და იმავე ფერწერული ტილოს „ახალგაზრდა ქალი წყლის სუ-რით“ ორი განსხვავებული ექვრაზული გადაწყვეტა, ერთი ლიტერა-ტურული, მეორე პოეტური, განსხვავდება როგორც მათი ჟანრობრი-ვი მახასიათებლებით, ისე აღქმის თავისებურებებით.

შევალიე ამ სურათს ამგვარად აღწერს:

"The baker's daughter stands in a bright corner by a window," I began patiently. "She is facing us, but is looking out the window, down to her right. She is wearing a yellow and black fitted bodice of silk and velvet, a dark blue skirt, and a white cap that hangs down in two points below her chin" (Chevalier, 2001, 90).

„მეფუნთუშის ქალიშვილი ოთახის განათებულ კუთხეში დგას, ფანჯარასთან“, — მოთმინებით დავიწყე. მე „იგი ჩვენკენ პირით დგას, მაგრამ ფანჯრიდან იყურება, ქვემო მარჯვენა მხარეს. მას აბრე-შუმისა და ხავერდის მომდგარი, ყვითელი და შავი ზედატანი, მუქი ლურჯი ქვედატანი აცვია და თეთრი ქუდი ახურავს, რომლის ორი შესაკრავი ზონარი ნიკაპს ქვემოთ ეშვება“ (შევალიე, 2001, 90).

ცხადია, აღწერა დეტალურია და ინფორმაციული, რაც ხელს შეუწყობს მკითხველს „დაინახოს“ ან „მენტალურად აღიდგინოს“ სუ-

რათი. კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით საგერ ეიდტის აზრს მკითხველის მიერ სურათის „დანახვის“ შესახებ. ცხადია, აქაც, ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, აღქმის სიზუსტე დამოკიდებულია იმაზე, იცნობს თუ არა მკითხველი სურათს. თუ პასუხი დადებითია, მაშინ კომპონენტების (ვთქვათ, კაბის ჭრილი, ქუდის ფორმა და ა.შ) დამთხვევის სიზუსტე მეტია.

აღქმის სიმძაფრე გაცილებით მაღალია პოეტური ექვრაზის შემთხვევაში. მაგალითად, მიტჩელის ექვრაზული ლექსი „ვერმიერი“ იმავე ნახატს აღწერს, თუმცა განსხვავებული ხედვით. კერძოდ, ლექსი ორ ნაწილად იყოფა, პირველი ნაწილი ეძღვნება თავად ნახატის აღწერას, მეორე ნაწილი კი ალუზიას წმინდა მარიამთან, ხარების შემდეგ.

თუ ზემოთ აღწერილ ორივე ტიპის აქტუალიზაციის დეკოდირების თავისებურებებს შევადარებთ, მაშინ ცხადი გახდება, რომ მიტჩელის პოეტური ნიმუშის დეკოდირება დამოკიდებულია ბიბლიიდან აღებულ ეპიგრაფზე და წმინდა მარიამთან ალუზიაზე. ორივე, გარდა მკითხველის ფანტაზიისა (უნარი „დაინახოს“ და/ან „აღიდგინოს“), მოითხოვს ფონურ-კულტურული ცოდნის გარკვეულ დონეს.

გარდა პირდაპირი აღწერისა, ექვრაზული ჩანართი შეიძლება ეფუძნებოდეს ირიბ, ალუზიურ მინიშნებებს. იაკობი, რომელიც ვერბალურ ექვრაზას იკვლევს, სამართლიანად მიიჩნევს, რომ მხატვრულ ნაწარმოებზე მცირედი მინიშნებაც კი ექვრაზად უნდა ჩაითვალოს. ჩვენ მივიჩნევთ, რომ, გარდა ლიტერატურული ექვრაზისა, ეს შეიძლება თანაბრად შეეხოს ეკრანულ ექვრაზასაც (იაკობი, 1995). მაგალითად, ფილმში „ერთხელ ამერიკაში“ — ნუდლზი კითხულობს „მარტინ იდენს“. კავშირი ამ ალუზიურ ექვრაზასა და ნუდლზის ცხოვრებას შორის ადვილი მისახვედრია და მის დეკოდირებას აიოლებს ასოციაციები მარტინ იდენისა და ნუდლზის ცხოვრების გზის სავარაუდო კავშირის შესახებ.

ზოგ შემთხვევაში ეკრანული ექვრაზული ჩანართის დეკოდირება მაყურებლის მხრიდან უფრო მეტ ძალისხმევას გულისხმობს. მაგალითად, ის ეპიზოდი, რომელშიც პატარა დებორა რეპეტიციას გადის მამამისის სასადილოს უკან მდებარე ოთახში, ალუზიურად უკავშირდება დეგას ბალერინებსა და მის სკულპტურას „14 წლის პატარა მოცეკვავე“. ასოციაციები ეფუძნება სცენის ფორმებს, ატმოსფეროს,



განათების სპეციფიკას, ფერებს, დებორას კოსტიუმს, ვარცხნლობას და დგომის მანერას.

იაკობის კლასიფიკაციის მიხედვით, ამგვარი შემთხვევები (თუმცა მხოლოდ ვიზუალურის ვერბალიზაციის შემთხვევაში), განიხილება როგორც ექვრაზული სიმილი, შედარება. ჩვენი აზრით, ექვრაზული სიმილი შეიძლება მოიცავდეს ეკრანულ შემთხვევებსაც და ეს კერძო შემთხვევაც ამგვარ ერთეულებს შეიძლება მივაკუთვნოთ. დავძენთ კიდევ ერთხელ, რომ ეკრანული ალუზიური ექვრაზის შემთხვევაში, ვერბალური, ლიტერატურული ექვრაზისგან განსხვავებით, შედარების ერთი პლანი (დევას შემოქმედება) დაფარულია, ხოლო მეორე (დებორას ცეკვა და კონტექსტი) ამოტივტივდება როგორც ალუზია, რომელიც ასევე დაეხმარება გათვითცნობიერებულ მაყურებელს მობანდინოს მისი წარმატებული დეკოდირება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეკრანული ექვრაზა ეფუძნება მხატვრული ნაწარმოების ფილმოგრაფიულ ასახვას. ზოგიერთ შემთხვევაში როგორც მხატვრული ნაწარმოები, ისე ვიზუალური, ეკრანული გადააზრება ზედაპირზე ფიქსირდება, რაც აადვილებს მესიჯის დეკოდირებას. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ექვრაზის ორი პლანიდან ერთი დაფარულია, ხოლო მეორე მხოლოდ ალუზიით გამოიხატება, რაც მისი ინტერსემიოტიკური ტრანსპოზიციის დეკოდირებას ართულებს და მთლიანად ამყარებს მის ხარისხს მაყურებლის მზაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ექვრაზის საგერ ეიდტის მიერ მოწოდებული განსაზღვრება, სხვებთან შედარებით, სრულად გამოხატავს ექვრაზის არსს, ვიზუალური, ეკრანული ექვრაზის ზემოთ განხილული თავისებურებები გვიბიძგებს ექვრაზის ამ განმარტებას დავუმატოთ კიდევ ერთი ატრიბუტი და, საბოლოოდ, მისი განმარტება ასეთ ფორმას მიიღებს: „ექვრაზა არის განსხვავებულ სემიოტიკურ სისტემებში შექმნილი ავთენტური ან ფიქტიური ტექსტების ვერბალიზაცია, ციტირება, დრამატიზაცია ან მათზე ალუზია.

## ლიტერატურა

**ბერლო, 1960** — Berlo, D.K., The process of communication. NY, Holt, Rinehart and Winston.

**ბრუჰნი, 2000** — Bruhn, S., Musical Ekphrasis: Composers Responding to Poetry and Painting Hillsdale, NY: Pendragon Press.

**ბრუჰნი, 2001** — Bruhn, S. "A Concert of Paintings: Musical Ekphrasis in the 20th Century", Poetics Today 22:3, 551-605.

**კლუვერი, 1997** — Clüver, C., "Ekphrasis Reconsidered: On Verbal Representations of Non- Verbal Texts", Interart Poetics: Essays on the Interrelations of the Arts and Media, ed. by Ulla-Britta Lagerroth, Hans Lund, and Erik Hedling (Amsterdam and Atlanta: Rodopi, 19-33.

**კლუვერი, 1998** — Clüver, C., "Quotation, Enargeia, and the Function of Ekphrasis", in Pictures into Words: Theoretical and Descriptive Approaches to Ekphrasis, ed. by Valerie Robillard and Els Jongeneel, Amsterdam: VU University Press, 1998, 35-52

**შევალიე, 2001** — Chevalier, T., Girl with a Pearl Earring. 1999. New York: Plume Printing.

**ჰეფერნანი, 1993** — Heffernan, J. A. W., Museum of Words: The Poetics of Ekphrasis from Homer to Ashbery (Chicago and London: University of Chicago Press.

**მიტჩელი, 1990** — Mitchell, S., Parables and Portraits Harper & Row, New York. 83

**პერსინი, 1997** — Persin, M., Getting the Picture: The Ekphrastic Principle in Twentieth- Century Spanish Poetry . Lewisburg: Bucknell UP; London: Associated UP.

**პოპი, 1990** — Pop, D., The iconoclasm of the new Romanian Cinematography, In: Ekphrasis: Images, cinema, theatre, media, vol. 4, issue 2..

**საგერ ეიდტი, 2008** — Sager Eidt, L. M., Writing and Filming the Painting Ekphrasis in Literature and Film (Editions Rodopi B.V., Amsterdam - New York, NY

**იაკობი, 1999** — Yacobi, T., The Ekphrastic Figures of Speech: Text and Visuality: Word & Image Interactions, Editions Rodopi B.V., Amsterdam-Atlanta, GA

**იაკობი, 1995** — Yacobi, T., Pictorial Models and Narrative ekphrasis, Poetics Today 16. 599-64

## Ekphrasis and Ways of its Perception

### Summary

Traditionally, the term “ekphrasis” was used to describe visual works, to present in words something that is mostly imaginary, or represented in images. (Pop, 2010). However, further research of this issue has revealed that ekphrasis is a complex phenomenon which cannot be confined to only “a verbal representation of a visual representation” (Heffernan, 1993) but may involve several semiotic systems and take a variety of configurations. Consequently, being an inter-semiotic phenomenon, ekphrasis may imply not only paintings, films, music or architecture but also, “uncanonical art forms such as television, photography, comics, and cinematography” (Persin, 1997).

It is only natural that such a complex phenomenon arouses interest among scholars interested in this issue and creates a number of theories regarding the definition, typology, properties, and ways of employing ekphrastic inserts as well as the issues connected with their perception.

This paper addresses the issues listed above. Specifically, the research made it obvious that in many cases, both literary and filmic ekphrastic inserts may not only employ “ the verbalisation, quotation, or dramatisation of real or fictitious texts composed in another sign system, “ as rightly suggested by Sager Eidt (Sager Eidt, 2008) but *allusion to* them as well. Thus, the final definition of ekphrasis, as seen by the authors and presented in the paper, runs as follows: “Ekphrasis is the verbalisation, quotation, dramatisation of *or allusion to* real or fictitious texts composed in another sign system”.

It is also maintained in the paper that for ekphrastic inserts verbalisation acquires the status of one of the attributes and the preciseness and fullness of their perception and decoding depends on the reader’s or viewer’s “readiness”.

მედა სალლიანი, ლელა ბიზლემიანი

2012 წელს სსიპ ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და  
სოციალური მეცნიერებების ფონდის – რუსთაველის მიერ  
დაფინანსებული საბრანტო თემასთან დაკავშირებით  
ჩატარებული წლიური გუზარების ანგარიში

როგორც ცნობილია, ყოველი ენის ლექსიკური შემადგენლობა მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის ყოფა-ცხოვრებასა და შეხედულებებთან. ლექსიკაში კარგად აისახება როგორც ძველი ვითარება, ისე ის ცვლილებები, რომლებიც საზოგადოებაში დროთა ვითარებაში ხდება, ხოლო **ლექსიკის შესწავლა სემანტიკურ (resp. დარგობრივ) ჯგუფებად საშუალებას იძლევა უფრო სრულად იქნეს გათვალისწინებული ენის სიტყვიერი სიმდიდრე და სათანადო საზოგადოებრივი რეალიები**. აკად. არნ. ჩიქობავა ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: **„აუცილებელია დარგობრივი ლექსიკის რაც შეიძლება სრული აღრიცხვა როგორც ენებში, ისე დიალექტებში, იმ სპეციალურ გამოთქმებთან (ფრაზებთან) ერთად, რომლებშიაც ისინი იშმარებიან და შესაბამისი რეალიების სათანადო გათვალისწინებით, — აუცილებელია როგორც ლინგვისტური, და საერთოდ კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით, ისე შესაბამისი სალიტერატურო ენების განვითარების ინტერესთა თვალსაზრისითაც“** (არნ. ჩიქობავა).

სვანური ლექსიკის სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფების თვალსაზრისით შესწავლა, ცხადია, ძალზე მნიშვნელოვანია, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ სერიოზულ საფრთხეს, რომელზეც საგანგებოდ გვაფრთხილებდა 1978 წელს ქართველოლოგიის პატრიარქი, აკადემიკოსი აკაკი შანიძე: **„ჭერ კიდევ შეიძლება მივუსწროთ და აღვწუსხოთ ხალხური სიტყვიერების მასალები, რომლებიც კილოების კუთვნილებას შეადგენს“**. ცხადია, ეს მით უფრო ითქმის სვანური ენის დიალექტებზე, რომლებიც თანამედროვე ცხოვრების სწრაფი ტემპებისა და ქვეყნის შიგნით თუ გარეთ უკანასკნელ ხანებში მოსახლეობის ხშირი გადაადგილების გამო ძლიერ განიცდის რო-

გორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენათა დიდ ზეგავლენას. აქედან გამომდინარე, საშუალო საქმედ მიგვაჩინია სვანურ ლექსიკაზე მუშაობა, მითუმეტეს, რომ სვანური ენის ლექსიკურ ფონდში დიდი რაოდენობით მოიპოვება უაღრესად მნიშვნელოვანი არქაიზმები.

ჩვენი პროექტის ძირითადი მიზანი იყო **ზომა-წონის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების** სრულად აღნუსხვა და სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი სვანურში (სხვა ქართველურ ენებთან შეპირისპირებით), რაც მეტად მნიშვნელოვანია როგორც ენათმეცნიერებისათვის, ისე ისტორიისა და ეთნოლოგიისათვის. ისიც უნდა ითქვას, რომ როგორც ქართველ, ისე უცხოელ ქართველოლოგთა ნაშრომებში არის ცდა აღნიშნულ ლექსიკაში შემავალი ცალკეული სიტყვების ანალიზისა, თუმცა ლექსიკის ეს დარგი სვანურში ამომწურავად დღემდე არ ყოფილა შესწავლილი. იგულისხმება როგორც მასალის, ისე მისი ანალიზის სისრულე. ამასთან, ბევრი საკითხი ახლებურ მიდგომას მოითხოვდა. დამატებითი მასალის მოძიებასთან ერთად კი საჭიროდ ჩავთვალეთ წარმოგვედგინა არა ერთი ლექსიკური ერთეულის განსხვავებული ანალიზი, რაც განსაკუთრებით ეტიმოლოგიურ ძიებას ეხება.

2012 წელს საქართველოს რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ერთწლიანი პროექტის — **„ზომა-წონის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი სვანურში“** (სხვა ქართველურ ენებთან შეპირისპირებით) გეგმით პირველ პერიოდში (1-6 თვე) გათვალისწინებული იყო: 1. **ზომა-წონის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების მოპოვება სვანური ლექსიკონებიდან და ტექსტებიდან**<sup>2</sup>; 2. **ზომა-წონის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების ამოწერა მეგრული ლექსიკონებიდან და ტექსტებიდან**; 3. **ქართული ზომა-წონის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების თავმოყრა**; 4. **მონოგრაფიის დასამუშავებლად საჭირო სათანადო ლიტერატურის დამუშავება**; 5. **ექსპედიცია ქალაქ ზუგდიდში** და, ასევე, 6. **ექსპედიციის შედეგად მოპოვებული მასალის კლასიფიკაცია**, რაც დროულად შესრულდა.

პროექტის მეორე პერიოდი (მე-7-12 თვე) ითვალისწინებდა შემდეგ ამოცანებს:

---

<sup>2</sup> აქვე შემოდის როგორც **მოცულობის საზომი ერთეულები**, ასევე, **მიწის ფართობისა და სიგრძის საზომი ერთეულებიც**.

1. ნაშრომის შესავალი ნაწილის დამუშავება; 2. ზომა-წონის აღმნიშვნელი საკუთრივ სვანური ლექსიკური ერთეულების ანალიზი; 3. ზომა-წონის აღმნიშვნელი ნასესხები ლექსიკური ერთეულების გამოყოფა და ანალიზი სვანურში; 4. ზომა-წონის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებში არსებული საერთო ქართველური მასალის მიმოხილვა; 5. ნაშრომის ზოგადი დასკვნების ჩამოყალიბება; 6. ნაშრომის რედაქტირება-კორექტირება და გამოსაცემად მომზადებული ნაშრომის პრეზენტაცია.

გეგმიტ დასახული ყველა ამოცანა დროულად შესრულდა და გამოსაცემად მომზადდა ერთტომეული — „**ზომა-წონის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი სვანურში**“ (სხვა ქართველურ ენებთან შეპირისპირებით), რომელსაც დართული აქვს გაანალიზებულ ძირ-ფუძეთა სრული ლექსიკონი სამივე ქართველური ენის მონაცემთა გათვალისწინებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სავლე პირობებში ჩვენ მიერ დაფიქსირდა არა ერთი ისეთი მეგრული ლექსიკური ერთეული, რომლებიც არც ერთ დღემდე ცნობილ მეგრულ ლექსიკონებში არ დადასტურებულა: **ბურჭულიშ ტარი** „ოთხი მტკაველი“, **ართი ლავიწ დისა** „მცირე მიწა (ზედმიწ. — ერთი ლავიწი მიწა)“, **ლაბიწკარაია** „სამი თითის აღება მარილი, შაქარი, ფქვილი...“, **ხოფა** „ხილის საკრეფი პატარა კალათი (ჩადის 2-3 ვაშლი)“, **ჩანი** „ღვინის საწური ყურძენი“, **ხოწილ ჭირქა** „250-გრამიანი თლილი ჭიქა“, **ჩერბაკი** „წყლის ამოსაღები ჭურჭელი პლასტმასის ან ემალის“, **კატლოკი** „ემალის ქვაბი“, **დაწყობილ'ი** „ყველის შესანახი ჭურჭელი“ და ა. შ. აღარას გამბობთ ისეთ ლექსიკურ ერთეულებზე, რომლებიც შედარებით გვიან არის შემოსული მეგრულში (მაგ.: **ვერშოკი** „ოთხი თითის ხელა“, **ბოთილი** „ბოთლი“, **ბოქკა** „ღვინის კასრი (= 100-180 ლიტრას)“, **ლახანკა** „დასაბანი ტაშტი (დაახლოებით 50 ლიტრის მოცულობის)“, **ვედრა** „ვედრო“, **ბანკა** „ქილა“ და სხვ.). რალა თქმა უნდა, სვანურშიც აღმოჩნდა ბევრი ისეთი ლექსიკური ერთეული, რომლებიც, ასევე, არ დაფიქსირებულა სვანურ პუბლიკაციებში.

ზომა-წონის ერთეულებს, როგორც ცნობილია, შეისწავლის **მეტროლოგია** (ივ. ჯავახიშვილის ტერმინით, **საზომმეტროდნეობა**). ამ ერთეულების სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით კვლევა კი ენათმეცნიერული ინტერესის საგანია.

საზომი ერთეულები უძველეს პერიოდში შეიქმნა, თუმცა ძირითადი ცნობები ქართული ზომა-წონის სისტემების შესახებ მოგვეპოვება IX საუკუნიდან. მათი წარმოშობა და განვითარება ადამიანის შრომით საქმიანობასთან არის დაკავშირებული. სათანადო ლექსიკური ერთეულები (**resp.** ტერმინები) კი ადგილობრივი წარმოშობისაც შეიძლება იყოს და ნასესხებიც.

ქართული მეტროლოგიის ისტორიულ ასპექტში შესწავლისას ძირითადი წყაროა წერილობითი ძეგლები და თანამედროვე ქართველურ ენებსა და დიალექტებში დაცული მასალა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით. მათ შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვით ივ. ჯავახიშვილს, ნ. ხანიკოვს, გ. ჯაფარიძეს.

მეგრულში საზომ-საწყაოს ლექსიკა მეცნიერული თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად შესწავლილი იყო ი. ბებიას მიერ, ხოლო რაც შეეხება სვანურ მასალას, იგი ამ თვალსაზრისით 2009 წლამდე არ ყოფილა ანალიზის საგანი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ თითოეულ ლექსიკურ ერთეულს, რომლებიც გაანალიზებულია სხვადასხვა ავტორის სტატიასა თუ წიგნში, თუმცა მასალა შეძლებისდაგვარად სრულად არის თავმოყრილი სვანური დიალექტებისა და კილოკავების მიხედვით ა. ჩარკვიანის წიგნში „სვანეთი“. როგორც ავტორი შენიშნავს, რეფორმამდელი და რეფორმის მომდევნო დროის სვანეთში (საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე) ზომა-წონის ერთეულებს არ განუცდიათ რაიმე არსებითი ცვლილება (ა. ჩარკვიანი). მანამდე, ჯერ კიდევ 1938 წელს, აფხაზეთის სვანეთში (დალში), ნ. მარის სახელობის ინსტიტუტის დავალებით, მივლინებით იმყოფებოდა მ. გუჯეჯიანი, რომელმაც დაწვრილებით აღწერა ესა თუ ის საზომ-საფასური დალის ხეობის სოფლების მიხედვით, მის მიერ შეკრებილი მეტროლოგიური და სხვა ტერმინების (**სივრცის საზომები, ნართის საზომები, მცენარეულობის, სახელდობრ: მარცვლეულისა და მასთან ერთად საზიდი საზომები, სითხის საწყავეები, საკმლის, დროის საზომები, გამომცხვარი პურის სახელები** (მათ ფორმებთან დაკავშირებით) რიცხვი 250-ზე მეტი ყოფილა (მ. გუჯეჯიანი).

ერთადერთი მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც ქართველურ ენათა ზომა-წონის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებს შეეხება, არის იბერიულ-კავკასიური ენების XXXVII ტომში დაბეჭდილი მ. საღლიანის

სტატია „ზომა-წონის ერთეულთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის სვანურში“ (2009 წ.), რომელშიც თვალნათლივ ჩანს თანამედროვე სვანურში მომხდარი ის ცვლილებები, რომლებიც ზომა-წონის აღმნიშვნელმა ლექსიკურმა ერთეულებმა განიცადეს ბოლო წლების განმავლობაში.

სვანური დიალექტები ერთმანეთისგან ლექსიკური თავისებურებებითაც განსხვავდებიან, ამიტომ სვანურის ნებისმიერ საკითხზე მუშაობისას აუცილებელია ყველა დიალექტის (მათ შორის ჩოლურული მეტყველებისა და ლახამულური კილოკავის) მონაცემთა გათვალისწინება.

ნაშრომში საილუსტრაციოდ გამოვიყენეთ ყველა დიალექტის მონაცემები: დღემდე გამოცემული ყველა სვანური ხალხური პოეტური და პროზაული თხზულებები (სვანური პოეზია, I, 1939; **სვანური პროზაული ტექსტები**, I, 1939; II, 1957; III, 1967; IV, 1979; **სვანური ენის ქრესტომათია**, 1978; **სვანური ტექსტები და ლექსიკა — ბალსზემოური კილო**, 2003 წ.; **კოდორული ქრონიკები**, 2007-2010 წ.; „**სვანური ანდაზები**“, 1973 წ.; „**ლაჰარაკდ არი**“, 1997 წ.). პოეტური და პროზაული თხზულებების გარდა, საილუსტრაციოდ გამოვიყენებულა ვ. თოფურისასა და მ. ქალდანის „**სვანური ლექსიკონი**“ (2000 წ.), კ. დონდუას „**სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი**“ — **ლაშხური დიალექტი** (2001 წ.), ა. ლიპარტელიანის „**სვანურ-ქართული ლექსიკონი**“ — **ჩოლურული კილო** (1994 წ.) და, რასაკვირველია, ჩვენ მიერ წლების მანძილზე მესტიისა და ლენტეხის რაიონის სოფლებში და 2013 წელს სამეგრლოში (კერძოდ — ქალაქ ზუგდიდის სოფლებში) სავლელ პირობებში მოძიებული სათანადო მასალები.

ნაშრომში დამუშავებულია სამი ძირითადი საკითხი: 1. **საკუთრივ სვანური მასალა**; 2. **სხვა ქართველურ ენათაგან სვანურში შემოსული ლექსიკური ერთეულები** და, ასევე, 3. **საერთო-ქართველური მასალა**.

ცხადია, ნაშრომში ცალ-ცალკე პარაგრაფებად არის წარმოდგენილი საზომ ერთეულთა სამივე ჯგუფი: 1. **საწონი (მკვრივი და მარცვლელი სხეულებისა და საერთოდ არასითხვანი ნივთიერებისათვის მიღებული საზომი) ერთეულები**; 2. **საწყაო (სითხვანი ნივთიერების საზომი) ერთეულები**; 3. **საზომი (სიგრძის გასაზომი)**



**მად განკუთვნილი) ერთეულები** და, გარდა ამისა, ნაშრომში შეძლები-ბისდაგვარად გაანალიზებულია **ფულის საზომი ერთეულებიც** (ანუ **საფას-საზომმცოდნეობის ერთეულებიც**).

როგორც ცნობილია, საუკუნეთა მანძილზე ქართულმა საზომებ-მა სხვადასხვა მიზეზის გამო დიდი ცვლილებები განიცადა. ძველის გაქრობის პარალელურად ხმარებაში შემოდიოდა მრავალი ახალი ტერმინი თუ ერთეული. XIX საუკუნიდან განსაკუთრებით სწრაფად გავრცელდა და დაკანონდა რუსული ზომა-წონის ერთეულები, თუმ-ცა ქართული საზომები მაინც განაგრძობდნენ არსებობას, რომელთა უდიდესი ნაწილი დღემდეა დაცული ქართულ ყოფაში. აქვე შევნიშ-ნავთ, რომ რუსული ზომა-წონის ერთეულები დღესაც აქტიურად გამოიყენება სვანურში, რამაც გამოიწვია უძველესი სვანური ლექსი-კური ერთეულების (მაგ.: ბქ. **ჰანდანი** = 484 კვ. საყენს, **ჰებშიშ** = 400 კვ. საყენს, **ყუჩყუჯ** = გოჯს, უშგ. **ლედუღიაქლედუღიაქ** = 24 კვ და ა. შ.) ხმარებიდან განდევნა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამიწათმოქმედო ლექსიკის მნიშვნელო-ვან ნაწილს მარცვლეულის საზომ-საწყაოს ლექსიკა წარმოადგენდა. საქართველოს ცალკეულ რეგიონებში ამ კუთხეებისათვის დამახასია-თებელი საზომ-საწყაო გამოიყენებოდა, მათი უდიდესი ნაწილი კი ადგილობრივ ნიადაგზე იყო წარმოშობილი და შესაბამისად ამ კუ-თხის ყოფას უკავშირდებოდა (გ. ჯაფარიძე).

საქართველოში საყოველთაოდ გავრცელებული მრავალფეროვანი საზომ-საწონი ერთეულების გვერდით არსებობდა ადგილობრივი მნიშვნელობის საზომებიც, რომლებითაც იზომებოდა **სიმძიმე, ტევა-დობა** და **სივრცე**. რა თქმა უნდა, ადგილობრივი მნიშვნელობის სა-ზომები სვანეთშიც არსებობდა და არსებობს დღესაც და მათი აღწე-რა და მონოგრაფიულად დამუშავება იყო სწორედ ჩვენი პროექტის ძირითადი მიზანი.

საინტერესოა ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც სალიტე-რატურო ქართულში დღეს უკვე აღარ ფიქსირდება, თუმცა სვანურ-მა დღემდე შემოგვინახა. მაგ., ტერმინი **ლოღარიკონი** **ლაღარიკონი** „სასწორი“ XVII საუკუნის შემდეგ უკვე აღარ გვხვდება ქართულ ტექსტებში. რაც შეეხება სვანურს, იქ ტერმინ **ლაღანიკ-ს**, ინფორმა-ტორთა თქმით, სწორედ სასწორის მნიშვნელობა ჰქონია, თუმცა

დღეს, როგორც გარკვეულია, მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით იხმარება (მაგ., **ლაღანიკობ** „გაიძვერობა, მერყეობა, ეშმაკობა“...). მხოლოდ სვანურისთვის დამახასიათებელი ტერმინებიდან შეიძლება დავასახელოთ: **ყურ** „გოჯი“; კურთხელანი „მიწის ფართობის საზომი ერთეული“; **ლერქუაშ** „ოთხი ლიტრის მოცულობის საზომი ერთეული“; **ლედუღლიაქლედუღლიაქ** (უშგ.) „მარცვლეულის საზომი ერთეული“; **ჭებშიშ** = 400 კვ. საყენს; **ლაყულა** „მარცვლეულის საზომი ერთეული“ და მრავ. სხვ.

ნაშრომის ყველა ნაწილი, რომელიც დამუშავდა სვანურის ოთხივე დიალექტის (მათ შორის ჩოლურული მეტყველებისა და ზოგი კილოკავის) მონაცემთა თავისებურებების გათვალისწინებით, როგორც უკვე ითქვა, შედარებულ იქნა ქართულ-მეგრულ სათანადო მასალასთან და შესაბამისად გაკეთდა შედარებითი ცხრილები, სადაც მოცემულია გამოკვლევაში განხილული ზომა-წონის (1. **მოცულობის საზომი ერთეულები**: ა) **საწონი** (მკვრივი და მარცვლეული სხეულები-სა და საერთოდ არასითხოვანი ნივთიერებისათვის მიღებული საზომი), ბ) **საწყაო** (სითხოვანი ნივთიერების საზომი) ერთეულები; 2. **მიწის ფართობის საზომი ერთეულები**; 3. **სიგრძის საზომი ერთეულები**) აღმნიშვნელი ყველა ლექსიკური ერთეული სამსავე ქართველური ენისათვის ცალ-ცალკე.

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ დასახული ამოცანა — **საწონ-საწყაო-საზომ** ერთეულთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი სვანურში სხვა ქართველურ ენებთან შეპირისპირებით, შეძლებისდაგვარად განხორციელებულია. ჩვენი აზრით, გამოკვლევას — **„ზომა-წონის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი სვანურში** (სხვა ქართველურ ენებთან შეპირისპირებით)“, რომელსაც ერთვის გაანალიზებულ **ძირ-ფუძეთა** ლექსიკონი, აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ღირებულება.

აქვე შევნიშნავთ, რომ სავლელ პირობებში სათანადო მასალების მოძიების გარდა, მოვიბოვეთ **საწონ-საწყაო-საზომ** ერთეულთა ამსახველი საინტერესო ფოტომასალაც.

დასასრულ გვინდა უღრმესი მადლიერების გრძნობით მოვიხსენიოთ ყველა ის ადამიანი, რომელიც პროექტის წარმატებით განხორციელებაში დაგვეხმარა (გვულისხმობთ როგორც ინფორმატორებს, ისე კოლეგებს).

**Account of the Annual Work on the Grant Project Theme Financed  
by Rustaveli Foundation in Kartvelology, Humanities  
and Social Sciences in 2012**

Summary

The aim of the project was to accumulate measurement lexis from all the Svan dialects (including Cholurian and its accents), carry out structural and semantic analysis of the data comparing them with the corresponding lexical items in the rest of the Kartvelian languages (Georgian and Megrelian).

Three main issues have been examined: 1. Svan data proper; 2. Borrowings from other Kartvelian languages; 3. Common Kartvelian data.

The paper discusses three types of measurements devoting a separate chapter to each: 1. weight; 2. liquid; 3. space.

The results of the comparative study are reflected in tables.

გალერია ფურცელად

### ალეგორიის ლინგვისტური რეალიზაციის ფორმითი თავისებურება

როგორც ვიცით, ალეგორიის საკითხი დღემდე ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემად რჩება არა მხოლოდ ლიტერატორებისთვის, არამედ ლინგვისტებისთვისაც. ეს აიხსნება შემდეგი ფაქტორებით: ნებისმიერი ლიტერატურული ჩანაფიქრის განხორციელება ყოველთვის დამოკიდებულია ენობრივ პოტენციალზე, კერძოდ კი, იმ საშუალებებზე, რომელსაც თვით ენის სისტემა გვთავაზობს და ასევე არჩევანის იმ მრავალ ვარიანტზე, რომელთა მეშვეობითაც ერთი და იგივე აზრი შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ენობრივი რესურსის მეშვეობით; შესაბამისად, ყოველივე ამან შეიძლება სხვადასხვა ეფექტი მოახდინოს მკითხველზე. ამგვარად, თუ ენის შესაძლო გავლენა ადამიანის აზროვნებაზე დღემდე სადავო საკითხად რჩება, უდავოა, რომ ენას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ადრესანტის გზავნილის ადრესატის მიერ აღქვამული ინტერპრეტირებისთვის. შესაბამისად, საკვებით მართებულია ალეგორიის ლინგვისტური კვლევის საგნად მიჩნევა.

ამასთან ერთად, სიმბოლური აზროვნება, რომელსაც ადამიანის აზროვნების ერთ-ერთი თავისებურება შეგვიძლია ვუწოდოთ, და რომელიც საფუძვლად უდევს ალეგორიული ნიმუშის შექმნას და ინტერპრეტირებას, მჭიდროდ არის დაკავშირებული ენობრივ ერთეულებთან და მათი გამოყენების თავისებურებასთან.

XX საუკუნემდე მეცნიერთა ყურადღების ცენტრში უმეტესად ალეგორიის სტილისტური ბუნება ექცეოდა და, შესაბამისად, ალეგორიის ძირითადად როგორც სტილისტურ ხერხს მოიაზრებდნენ. დაახლოებით XX საუკუნის 80-იანი წლებიდან, კოგნიტიური პარადიგმის ფარგლებში, მათულობს ინტერესი მეტაფორის და, შესაბამისად, ალეგორიის იგავისეული ბუნებისადმი, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის კონცეპტუალურ სისტემას. კოგნიტიური პერსპექტივის

დიდი მნიშვნელობა აიხსნება იმით, რომ ის პასუხებს გვაწვდის აქამდე დასმულ, მაგრამ არც ერთი სხვა მანამდე არსებული მიდგომის მიერ გაშუქებულ საკითხებზე. კერძოდ, კოგნიტიური ხედვა „გადაკრულად ნათქვამის“ მოქმედების იმ ავტომატური მექანიზმებისა და ქვეცნობიერის დონეზე მიმდინარე პროცესების ახსნის საშუალებას იძლევა, რომელთა მეშვეობითაც ადამიანი ზოგადად მეტაფორის და, კერძოდ, ალევორიის აქტუალიზაციას ახდენს (გონჩაროვა, 2011).

დღესდღეობით ალევორიის ლინგვისტური რეალიზაცია, როგორც კვლევის საგანი, სულ უფრო მეტ ლინგვისტს იზიდავს: ლინგვისტთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა უკვე აღიარა თვალსაზრისი, რომ ალევორია არა მხოლოდ სტილისტური/ლინგვისტური, არამედ უპირველეს ყოვლისა, კოგნიტიური მოვლენაა და აღნიშნული მოვლენის ენობრივი რეალიზაციის ასპექტები ნაწილობრივ განხილულია თანამედროვე ენათმეცნიერთა სხვადასხვა ნაშრომში: მაგალითად, გ. სტინი მეტაფორისადმი მიძღვნილ კვლევებში ყურადღებას უთმობს ასევე ალევორიის ლინგვისტურ რეალიზაციას (სტინი, 1994, 1999, 2000, 2004, 2007, 2008, 2010).

ალევორიის ენობრივი რეალიზაციისა და ალევორიზაციის პროცესის მექანიზმების შესწავლისას ლინგვისტის წინაშე პრინციპული მნიშვნელობის საკითხი დგას: არსებობს თუ არა ალევორიის ლინგვისტური რეალიზაციის დროს გამოყენებული გარკვეული ტექნიკა და აშკარად გამოხატული ენობრივი მახასიათებლები, რომელთა იდენტიფიცირების მეშვეობით შესაძლებელია ენის გამოყენების გარკვეული კანონზომიერების გამოკვეთა ალევორიულ ნიმუშთან მიმართებით, თუ ამ მოვლენით დაინტერესებული ენათმეცნიერის ერთადერთი ხელსაწყო ინტუიციაა?

ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ პრაქტიკული სამუშაოს შესრულებითაა შესაძლებელი, კერძოდ, ალევორიის სხვადასხვა ნიმუშზე დაკვირვებით და მათში გამოყენებული ენის სემანტიკური, პრაგმატიკული და სტრუქტურული თავისებურების ანალიზით.

წინამდებარე სტატიაში ასახულია შედეგები ჩატარებული კვლევისა, რომლის მიზანია დაადგინოს შემდეგი:

1. სხვადასხვა დროის ალევგორიულ ნიმუშებში გამოყენებულ ლინგვისტურ საშუალებათა გამოკვეთა და დისკურსში მათი ფუნქციონირების ანალიზი;

2. ალევგორიის მაგალითთა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია ლინგვისტური მახასიათებლების მიხედვით;

3. სხვადასხვა დროის ალევგორიულ ტექსტთა შედარება მათში წარმოდგენილი ალევგორიის აქტუალიზაციის სირთულის თვალსაზრისით;

4. ფსევდო-ალევგორიის წარმოშობის მიზეზების დადგენა და მისი მოქმედების მექანიზმის აღწერა;

კვლევის დროს უმეტესად გამოყენებულ იქნა ტრადიციული შემეცნებითი მეთოდები, როგორებიცაა დაკვირვება, შედარება, ანალიზი და სინთეზი, ინდუქცია და დედუქცია. ცალკეულ შემთხვევაში კი ენობრივი ერთეულების სემანტიკური და კონტექსტუალური ანალიზი.

ემპირიულ მასალად არჩეულ იქნა ანტიკური და სხვადასხვა დროის ინგლისელი და ამერიკელი ავტორების მიერ შემუშავებული ალევგორიის ნიმუშები შემდეგ ნაწარმოებებში: პლატონი, *რესპუბლიკა*, წგ. მე-7 (ძვ.წ. 380), ე. სპენსერი, *ფერიების დედოფალი* (1590), ჯ. ბანიანი, *პილიგრიმის მოგზაურობა ზეციურ ქვეყანაში* (1678), ე. ა. პო, *წითელი სიკვდილის ნიღაბი* (1842), ჯ. ორუელი, *ცხოველთა ფერმა* (1945).

შერჩევის კრიტერიუმად მიჩნეული იქნა მათი ორიგინალურობა და ციტირების სიხშირე. საკვლევი მასალის არჩევანი განპირობებულია ასევე იმ ფაქტით, რომ ალევგორია ყველაზე ფართოდ მხატვრულ ტექსტებშია წარმოდგენილი, და ნაკლებად ან საერთოდ არ გვხვდება პუბლიცისტურ, სამეცნიერო და სხვა ტიპის დისკურსში, რაც დისკურსის აღნიშნულ სახეობათა სტილისტური ნორმებითაა განპირობებული.

ტრადიციულ მეთოდებზე დაფუძნებული ეს კვლევა მიმართულია ალევგორიის ლინგვისტური რეალიზაციის უფრო დაწვრილებით ანალიზზე.

საკვლევი მასალის ანალიზის შედეგად ტექსტში წარმოდგენილი ენობრივი მახასიათებლების მიხედვით ალევორიის სამი ტიპი გამოვყავი:

1. ალევორია, რომლის ტექსტი მინიშნებებს შეიცავს ერთგვარი ლინგვისტური მარკერების სახით. ისინი ხელს უწყობენ მკითხველს ალევორიის აღქმისა და ინტერპრეტირების პროცესში.

2. ალევორია, რომელიც შეფარვით ხასიათს ატარებს და არ შეიცავს ტექსტში მოცემულ ლინგვისტურ მინიშნებებს.

3. ფსევდო-ალევორია, ანუ მხატვრული ტექსტი, რომელიც ალევორიული რეპრეზენტაციისთვის დამახასიათებელ ლინგვისტურ მარკერებს შეიცავს, მაგრამ ავტორის ჩანაფიქრით ალევორიას არ წარმოადგენს.

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე:

### ***1. ლინგვისტური მარკერების შემცველი ალევორია***

ამრიგად, ალევორიული ნიმუშის ლინგვისტური რეალიზაციის შესწავლისას პირველი ამოცანა, რომლის წინაშეც ენათმეცნიერი დგება, არის უშუალოდ ალევორიული ნიმუშის სტრუქტურაზე დაკვირვება, რადგან ბუნებრივია, რომ ისევე როგორც გამორიცხულია იდენტური ფორმის მქონე ორი სხვადასხვა ნაწარმოების არსებობა, ყოველი ალევორიული ნიმუშის შექმნაც ენობრივი რესურსების შერჩევის განსხვავებულობას მოითხოვს. ამგვარად, ლოგიკურია, რომ ალევორიის, როგორც ლინგვისტური მოვლენის, რეალიზაციისას სხვადასხვა ალევორიული შინაარსის ტექსტებში გამოყენებული ენობრივი საშუალებების უსაზღვრო რაოდენობის ვარიაციათა გამოკვეთა შეიძლება. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, არსებობს თუ არა ალევორიული რეპრეზენტაციისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ლინგვისტური მახასიათებლები და თუ არსებობს, რამდენად შესაძლებელია მათი იდენტიფიცირება და სისტემატიზაცია? თუ ისინი შემთხვევით ხასიათს ატარებენ? ფაქტობრივი მასალის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ხშირ შემთხვევაში ალევორიული ნიმუში გარკვეულ ლინგვისტურ მინიშნებებს შეიცავს, რაც მკითხველს ალევორიის აღქმის პროცესში ხელს უწყობს.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ ლინგვისტური მარკერების შემცველი ალევორია, როგორც წესი, გამოიხატება პირდაპირი ლინგვისტური საშუალებების მეშვეობით, კერძოდ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ დონეზე წარმოდგენილი შემდეგი მარკერებით:

### 1.1. ადრესატისკენ მიმართული პირდაპირი მოთხოვნა

როგორც ვიცით, ანტიკურობაში ფილოსოფოსები ხშირად მიმართავდნენ ალევორიის ტექნიკას, და პლატონიც თავის საყოველთაოდ ცნობილ „გამოქვაბულის ალევორიაში“, რომელსაც მაგალითის სახით განვიხილავ, გარკვეული სიხშირით გამოიყენებს ადრესატისკენ მიმართულ პირდაპირ მოთხოვნებს, რომლებიც გვანიშნებენ, რომ შემდგომი ნათქვამი სიმბოლურ ხასიათს ატარებს. მაგ.: *let me show in a figure...; see...; behold...; look...; conceive...* [Plato, *The Republic*, book VII. Tr. B. Jowett. ინტ. წყარო. 25. 06. 2013] შესაბამისად, მოცემული ალევორიის აღქმა არც გამოუცდელი მკითხველისთვის წარმოადგენს სირთულეს, რადგან თვით ტექსტი შეიცავს ლინგვისტურ მარკერებს დირექტივების სახით, რომლებიც ალევორიის აღქმასა და ადეკვატურ ინტერპრეტირებას ხელს უწყობენ.

### 1.2. საკუთარ სახელში ჩაქსოვილი სემანტიკური ერთეული

ე. სპენსერი „ფერიების დედოფალში“ ასევე გამოიყენებს ლინგვისტურ მარკერებს პერსონაჟთა სახელებში ჩაქსოვილი სემანტიკური ერთეულების სახით. მაგ.: *Gloriana* (*glory* ინგ. — დიდება); *Una* (*ūnus laT.* — ერთი); *Duessa* (*duo* ლათ. — ორი) [Spenser, E. *The Faerie Queene*, 1843. ინტ. წყარო. 25.06.2013]. სემანტიკურ ერთეულთა არჩევანი განპირობებულია ავტორის ჩანაფიქრით და იმ დატვირთვით, რომელსაც იგი ამა თუ იმ პერსონაჟს ანიჭებს. როგორც ვიცით, გლორიანა (უნა) ელიზაბეტ I-ის განსახიერებაა, კეთილდღეობის, აყვავებისა და ერთიანი სარწმუნოების სიმბოლო, ხოლო ლუესა მერი სტიუარტს განასახიერებს, და სპენსერთან ორპირობის, დისჰარმონიისა და განხეთქილების მომტანის უარყოფითი დატვირთვის სიმბოლოდ იქცევა.



აღსანიშნავია, რომ თუ დედოფალ გლორიანას სახელში ასეთი მინიშნების წაკითხვა ენის მატარებლისთვის სირთულეს არ წარმოადგენს, უნასა და ღუესას სახელთა შემთხვევაში მკითხველი მშობლიური ენის ფარგლებს უნდა გასცდეს და შემდეგ პერსონაჟთა სახელებში რიცხვით სახელთა სემების გამოკვეთის შემთხვევაში ამ სახელთა ენციკლოპედიური მნიშვნელობის, მათი კონოტაციის დანახვა და ისტორიულ კონტექსტთან მათი დაკავშირება უნდა შეძლოს.

### **1.3. საკუთარ სახელად წარმოდგენილი ზოგადი არსებითი სახელი, ან ზედსართავი სახელი**

ქრისტიანობის უდიდესი ალევორია, ჯ. ბანიანის „პილიგრიმის მოგზაურობა ზეციურ ქვეყანაში“, მთავარი გმირის განცდებზე მოგვითხრობს და გვიჩვენებს თუ რა ტანჯული გზა უნდა გაიაროს ადამიანმა, რათა სულიერი სიმშვიდე მოიპოვოს. ალევორიულია თვით მთავარი გმირის სახელი, კერძოდ ქრისტიანი (*Christian* ინგ. — ქრისტიანი), რომელიც უკვე არა მხოლოდ რელიგიის ცალკეულ თანმიმდევარს აღნიშნავს, არამედ ზოგადად რელიგიას. შესაბამისად, ერთ პერსონაჟში ნაწილისა და მთელის, მორწმუნისა და სარწმუნოების გაერთიანებით ავტორი ხაზს უსვავს იმას, თუ რამდენი დაბრკოლება გადალახა ქრისტიანობამ იმისათვის, რომ კუთვნილი ადგილი დაეკავებინა. მოცემულ შემთხვევაში პერსონაჟთა ალევორიულობის დანახვა იოლია, რადგან ტექსტი ისევ და ისევ მინიშნებებს შეიცავს ლინგვისტური მარკერების სახით: მაგალითად, ერთ-ერთი პერსონაჟის სახელი *Faithful* (*faithful* ინგ. — ერთგული, მორწმუნე), რომელიც ქართულად ერთგულს, მორწმუნეს აღნიშნავს. ამგვარად, პირველ შემთხვევაში ხელთ გვაქვს საკუთარ სახელად ქცეული აბსტრაქტული არსებითი სახელი, მაშინ როდესაც მეორე შემთხვევაში — ზედსართავი.

ამრიგად, ალევორიას, როგორ სტილისტურ/ლინგვისტურ ხერხს, ენობრივი გამოხატვის საკუთარი სპეციფიკური თავისებურებები გააჩნია, რომელთა იდენტიფიცირება და აღწერა ლინგვისტური ანალიზის საგნად შეიძლება მივიჩნიოთ. თუმცა ამავე დროს საკმაოდ გავრცელებულია ალევორიის ისეთი მაგალითები, რომლებიც მსგავს

ლინგვისტურ მინიშნებებს არ შეიცავენ და მათი ადეკვატური აღქმა დამოკიდებულია წმინდა კონტექსტუალურ ანალიზზე. აღნიშნული ტიპის მაგალითების თავისებურება ქვემოთ იქნება განხილული.

## **II. შეფარვითი ალევორია**

შეფარვითი ალევორიის ნიმუშები, როგორც წესი, ლინგვისტურ მარკერებს არ შეიცავენ, და მათში ალევორიული რეპრეზენტაცია უმეტესად ისეთი სტილისტური და კოგნიტიური ხერხების გამოყენებაზეა დაფუძნებული, როგორებიცაა მეტაფორა, ალუზია, პერსონიფიკაცია და ა.შ.

მაგალითად, ჯ. ორუელის ანტიუტოპია „ცხოველთა ფერმა“, რომელიც კომუნისტური რუსეთისა და სტალინის ტოტალიტარული რეჟიმის პაროდის წარმოადგენს, ალევორიის რეპრეზენტაციული პოტენციალის მაქსიმუმს ავლენს:

*"All that year the animals worked like slaves. But they were happy in their work; they grudged no effort or sacrifice, well aware that everything they did was for the benefit of themselves and those of their kind who would come after them, and not for a pack of idle, thieving human beings."* [Orwell, G. *Animal Farm*, 1945, Ch. 6. ინტ. წყარო. 25.06.2013]

ამ ნაწყვეტში კარგად ჩანს კომუნისტურ იდეოლოგიასთან გავლებული პარალელი. უკეთესი ილუსტრირებისთვის განვიხილოთ ნაწარმოებში მოყვანილი ანიმალისტური ფილოსოფიის ძირითადი დებულებები:

1. *Whatever goes upon two legs is an enemy.*
2. *Whatever goes upon four legs, or has wings, is a friend.*
3. *No animal shall wear clothes.*
4. *No animal shall sleep in a bed.*
5. *No animal shall drink alcohol.*
6. *No animal shall kill any other animal.*
7. *All animals are equal.* [Orwell, G. *Animal Farm*, 1945, Ch. 2. ინტ. წყარო. 25.06.2013]

ამკარაა, რომ ეს შვიდი კანონი კომუნისტური იდეოლოგიის ანარეკლია, და ორუელი ამას ხაზს უსვავს იმით, რომ შემდგომში ბოლო დებულებაში შეტანილ იქნება ცვლილება და ეს დებულება აბსურდულ და სრულიად არაპუმანურ ფორმას მიიღებს, კერძოდ:

„All animals are equal, but some are more equal than others“: [Orwell, G, 1945, *Animal Farm*, Ch. 10. ინტ. წყარო. 25.06.2013]

ავტორი ასევე მეტაფორულ შედარებებსაც მიმართავს. მაგ., ნაწარმოებში წამყვანი პარტიის ლიდერი-ცხოველი ღორია<sup>3</sup>. ცნობილია, რომ ღორს ბევრ მსოფლიო კულტურაში ხშირად უარყოფითი სიმბოლიკა აქვს, და ის ისეთ თვისებებს განასახიერებს, როგორებიცაა სიხარბე, უმადურობა, ეგოიზმი, სიჯიუტე და უმეცრება. ორუელთან ღორს *ნაპოლეონ* ჰქვია, და თავდაპირველად შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის მართლაც ნაპოლეონ ბონაპარტს განასახიერებს, თუმცა იმ ფაქტს თუ გავითვალისწინებთ, რომ ორუელი ჰემმარიტი სოციალისტური შეხედულებების მქონე ადამიანი იყო და სასტიკად სძულდა ცრუსოციალიზმი, რომელიც საბჭოთა საზოგადოებაში ასე ნათლად გამოვლინდა, მიგზვდებით, რომ ღორის ეს სახელი, — ნაპოლეონი, — და არა სხვა, ისევ და ისევ მინიშნებაა: ორუელი გვანიშნებს, რომ ცხოველი უდიდეს ისტორიულ ლიდერს განასახიერებს, მაგრამ არა ნაპოლეონს, არამედ სტალინს. ამავე დროს, სიუჟეტის თანახმად, ცხოველებმა ფერმიდან მოშინაურებული ყვავი სახელად *მოსე* გააძევეს. აქ მსგავსება უკვე ზედაპირზე დევს, და ბიბლიური პერსონაჟის სახელი მიგვანიშნებს კომუნისტების რელიგიისადმი დამოკიდებულებასთან გავლებულ პარალელზე. სახელები *ნაპოლეონი* და *მოსე* ორუელის ნაწარმოების შემთხვევაში *ალუზიის*, ანუ მხატვრული მინიშნების მაგალითებად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან ისინი უკვე არსებული ისტორიული ფიგურისა და ბიბლიური პერსონაჟის სახელებს წარმოადგენენ, ორუელი კი მათ გამოიყენებს, რათა მკითხველს ანიშნოს ტექსტის სფეროს გასცდეს და ნაწარმოების სიუჟეტსა და ისტორიულ რეალობას შორის კავშირი დაინახოს დამატებითი პარალელების გავლების მეშვეობით.

ორუელის ნაწარმოების შემთხვევაში ალეგორიის ადეკვატურად აღქმა შეუძლებელია ფონისეული ცოდნის არქონის შემთხვევაში. უპირველეს ყოვლისა, მკითხველს ალუზიის იდენტიფიცირება მოეთხოვება, შემდეგ კი იმაზე დაფიქრება, თუ რამ განაპირობა ავტო-

---

<sup>3</sup> როგორც ვიცით, ანთროპომორფიზებულ ცხოველთა ნაწარმოების პერსონაჟებად წარმოდგენა პერსონიფიკაციის პრინციპისთვის არის დამახასიათებელი.

რის სწორედ ამ ალუზიის არჩევანი; რა კავშირი შეიძლება არსებობდეს ალუზიურად ნახსენებ მოვლენასა და ისტორიულ კონტექსტს შორის; რა დატვირთვა აქვს ნაწარმოებში წარმოდგენილ სიმბოლოს; რა ფუნქციას ასრულებენ ნაწარმოებში გამოყენებული სხვა სტილისტური ხერხები, და ა.შ. ამგვარად, შეფარვითი ალევგორიის ინტერპრეტირებაც ლოგიკურ მენტალურ ოპერაციათა წყებაზეა დამოკიდებული, მაგრამ ამ ოპერაციათა საწყის წერტილს არა ტექსტში მოცემული ენობრივი კომპონენტი, არამედ ადამიანის გონებაში არსებული ცოდნის ელემენტი წარმოადგენს, რაც ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია შეფარვით და ლინგვისტური მარკერების შემცველ ალევგორიას შორის.

### **III. ფსევდო-ალევგორია**

ფსევდო-ალევგორია სინამდვილეში ალევგორიას არ წარმოადგენს, თუმცა მასში პირველი ორი ტიპისთვის დამახასიათებელი ლინგვისტური და სტილისტური ნიშნები გამოიკვეთება. აღნიშნული ტიპის ტექსტების ალევგორიული აღქმა გამომდინარეობს მკითხველის გამოცდილებიდან, რომელიც მსგავსი ტიპის ტექსტებში ალევგორიული რეპრეზენტაციისთვის დამახასიათებელი ელემენტების იდენტიფიცირებას ახდენს, და ანალოგიის პრინციპით ტექსტის შინაარსის ალევგორიული აღქმისკენ მიილტვის.

ფსევდო-ალევგორიის მოვლენის წარმოშობის მიზეზად ადამიანებისთვის დამახასიათებელი ალევგორიული აზროვნება შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მკითხველს, ისევე როგორც ავტორს, აბსტრაქტული რეალობის ელემენტთა სიმბოლოებად აღქმა ახასიათებს. შესაბამისად, ფსევდო-ალევგორია ქვეცნობიერის დონეზე მიმდინარე პროცესების პროდუქტს წარმოადგენს.

1842 წელს გამოქვეყნებული პოს მოთხრობა „წითელი სიკვდილის ნიღაბი“ სიმბოლიზმის ესთეტიკის ნიმუშად იქცა: ეფექტური ხატები, ძლიერი სიუჟეტი და გოთიკური ნოველისთვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური დატვირთვა. დღესდღეობით კრიტიკოსთა უმეტესობა ამ მოთხრობას ალევგორიად მიიჩნევს, თუმცა არიან ისე-

თებიც, ვინც ამ მოთხრობის ამგვარი ინტერპრეტირების წინააღმდეგია, თუნდაც იმ მიზეზით, რომ პოს საკმაოდ უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა ლიტერატურული დიდაქტიკისადმი (როპოლო, 1967).

ამ მოთხრობის მსგავსი ორგვარი აღქმის მიზეზი, ერთი მხრივ, მასში წარმოდგენილი სიმბოლოებიდან, ხოლო, მეორე მხრივ, ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარეობს. მოთხრობაში ბევრი სიმბოლოს გამოყოფა შეიძლება, მაგალითად, შავი ოთახი და მასში მყოფი საათი, რომელსაც ზოგიერთი კრიტიკოსი შეუბრალებელი დროის სიმბოლოდ მიიჩნევს :

*„The seventh apartment was closely shrouded in **black** velvet tapestries that hung all over the ceiling and down the walls, falling in heavy folds upon a carpet of the same material and hue. But in this chamber only, the color of the windows failed to correspond with the decorations. The panes here were **scarlet – a deep blood color.***

*[...] It was in this apartment, also, that there stood against the western wall, **a gigantic clock** of ebony. Its pendulum swung to and fro with **a dull, heavy, monotonous clang...**“ [Poe, E. A. *The Masque of the Red Death*, 1942. ინტ. წყარო. 25.06.2013].*

ამ ორ ნაწყვეტს თუ გავაანალიზებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ შავი ოთახი და საათიც სიკვდილის მეტაფორული სიმბოლოებია: ამაზე მიგვითითებენ ეპითეტები *deep blood color; dull, heavy, monotonous clang...* გარდა ამისა, მთავარი მოქმედი გმირის სახელში აყვავებისა და კეთილდღეობის სემა გამოიკვეთება: სახელს პროსპერო და ინგლისურ სიტყვას *prosperity* (ინგ. აყვავება, კეთილდღეობა) შორის მსგავსება აშკარაა და ხელთ გვაქვს ალფგორითული რეპრეზენტაციისთვის დამახასიათებელი ლინგვისტური მარკერი საკუთარ სახელში ჩაქსოვილი სემანტიკური ერთეულის სახით. ისტორიულ კონტექსტს რაც შეეხება, ცნობილია, რომ პოს მეუღლე ტუბერკულოზით იყო დაავადებული, პოს კი დიდხანს არ სურდა ამასთან შეგუება და სიმართლეს თვალს არიდებდა. პოს ცხოვრების ეს ტრაგიკული ეპიზოდი ქრონოლოგიურად ემთხვევა მოცემული მოთხრობის დაწერის მომენტს (სილვერმანი, 1992) და, ამგვარად, ამ მოთხრობას, ისევე როგორც პოს მიერ დაწერილ არაერთ სხვას, ავტობიოგრაფიულ მნიშვნელობას ანიჭებენ. და ეს თვალსაზრისი ნაწილობრივ გა-

მართლებულიც არის, რადგან პო, ისევე როგორც ყველა მწერალი, საკუთარ განცდებს ნაწარმოებებში ასახავდა და შესაძლოა ქვეცნობიერადაც კი ქმნიდა ამ დამთრგუნველ ხატებს. ფონისეული ცოდნის მქონე მკითხველი კი მათ ალეგორიზაციას ახდენს, რადგან ამგვარად ნაწარმოების არსში ჩაწვდომა უფრო მარტივი ჩანს: ადამიანი ყოველთვის მიისწრაფვის გარე სამყაროს მოვლენათა დაკავშირებისკენ და ამ კავშირში გარკვეული აზრის დანახვისკენ.

ამრიგად, ფსევდო-ალეგორია, ერთი მხრივ, მკითხველის ანალოგიის პრინციპზე დაფუძნებული მოლოდინის, ხოლო, მეორე მხრივ, ალეგორიულად მოაზროვნე ავტორის ქვეცნობიერის დონეზე მიმდინარე პროცესების ლინგვისტური რეალიზაციის შედეგია. ფსევდო-ალეგორიაში ჭეშმარიტი ალეგორიული ტექსტისთვის დამახასიათებელი ლინგვისტური რეალიზაციის ელემენტები გამოიკვეთება. ასევე შეიძლება ითქვას, რომ ფსევდო-ალეგორიასა და ჭეშმარიტ ალეგორიას შორის განსხვავება ყოველთვის პირობითია, რადგან ხშირად ძალზე რთულია იმის დადგენა, ჰქონდა თუ არა ავტორს განზრახული ნაწარმოებში რაიმე კონკრეტული ქვეტექსტის ჩაქსოვა.

ამგვარად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ალეგორიის მოქმედების მექანიზმებში ჩახედვა საფუძველს გვაწვდის ალეგორია არა მხოლოდ სტილისტურ/ლინგვისტურ, არამედ, უპირველეს ყოვლისა კოგნიტიურ მოვლენად მივიჩნიოთ, რადგან ის ენის სპეციფიკურ გამოყენებას გულისხმობს მკითხველზე გარკვეული ეფექტის მოხდენის მიზნით და, შესაბამისად, მიმართულია ადამიანის ცნობიერებისკენ.

მოცემულ სტატიაში განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ ალეგორია შეიძლება გამოხატულ იქნეს პირდაპირი ლინგვისტური საშუალებებით ან შეიძლება ატარებდეს შეფარვით ხასიათს. ალეგორიული რეპრეზენტაციისთვის დამახასიათებელი პირდაპირი ენობრივი საშუალებები წარმოდგენილია ტექსტში მოცემული ლინგვისტური მარკერების სახით, რომლებიც მორფოლოგიურ, ლექსიკურ და სინტაქსურ დონეზე გამოიკვეთება. შეფარვითი ალეგორიის რეპრეზენტაცია კი, როგორც წესი, სხვა ისეთი სტილისტური ხერხების მეშვეობით მიიღწევა, როგორებიცაა მეტაფორა, ალუზია, პერსონიფი-

კაცია და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ალევგორიის ადევკატურად აღქმა მხოლოდ ფონისეული ცოდნის მქონე მკითხველს შეუძლია, მაგრამ ესეც გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან ხშირად ე.წ. ფსევდო-ალევგორიასთან გვაქვს საქმე, სადაც ნაგულისხმევია მხოლოდ ის, რაც ტექსტშია ნათქვამი, მაგრამ მკითხველი მასში გარკვეული მოლოდინის გამო გლობალურ ქვეტექსტს ეძებს, რადგან ტექსტი ალევგორიული რეპრეზენტაციისთვის დამახასიათებელი ლინგვისტური და სტილისტური ელემენტების დემონსტრირებას ახდენს.

ალევგორიის, როგორც „გადაკრულად ნათქვამის“ ფენომენის კოგნიტიური თვალსაზრისით განხილვა არა მხოლოდ ალევგორიის ბუნებაში ჩაწვდომის ახალ საშუალებებს გვაძლევს, არამედ უფრო სიღრმისეულ ცოდნას გვაწვდის ალევგორიის წარმოშობისა და მისი მოქმედების მექანიზმების შესახებ, რაც, თავის მხრივ, ზოგადად ადამიანის გონებაში მიმდინარე კოგნიტიური პროცესების შესახებ დასკვნების გაკეთების საფუძველს გვაწვდის.

## ლიტერატურა

**ბაგაევა, 2006** — Багаева, О. В. *Концептуализация и реализация двойного смысла немецкого аллегорического высказывания*. Барнаул: БГПУ, 2006.

**ბანიანი, 1596** — Bunyan, J. *The Pilgrim's Progress from This World to Another Which Is to Come*. New York: Reformation Press, 1999. ([http://www.bunyanministries.org/books/pp\\_full\\_text.pdf](http://www.bunyanministries.org/books/pp_full_text.pdf), 22.06.2013)

**გალბერინი, 1958** — Гальперин И. Р. *Очерки по стилистике английского языка*. Москва: Изд-во литературы на иностранных языках, 1958. 447 с.

**გალბერინი, 1981** — Гальперин И. Р. *Текст как объект лингвистического исследования*. Москва: Наука, 1981.

**გიბსი, სტინი, 1999** — Gibbs, R. W., Jr, Steen, G. J. *Metaphor in Cognitive Linguistics*. Amsterdam: John Benjamins Publishing Company, 1999.

**გონჩაროვა, 2001** — Гончарова, Н. Н. *Когнитивные основания интерпретации иносказания на уровне дискурса. (На материале англоязычных художественных текстов)*. Москва: МГЛУ, 2001.

**ლეიკოფი, 1993** — Lakoff, G. *The Contemporary Theory of Metaphor*. In: A. Ortony (ed.) *Metaphor and Thought*, 2nd ed. Cambridge: Cambridge University Press, 1993, pp. 202–51.

**ლეიკოფი, ჯონსონი, 1980** — Lakoff, G., Johnson, M. *Metaphors We Live By*. Chicago, Illinois: Chicago University Press, 1980.

**ლეიკოფი, ტერნერი, 1989** — Lakoff, G., Turner, M. *More Than Cool Reason: A Field Guide to Poetic Metaphor*. Chicago, Illinois: Chicago University Press, 1989.

**ორუელი, ჯ., 1945** — Orwell, G. *Animal Farm*, 1945. ([http://www.george-orwell.org/Animal\\_Farm/index.html](http://www.george-orwell.org/Animal_Farm/index.html), 25.06.2013)

**პლატონი, 360 ძვ.წ.** — Plato, *The Republic*, book VII. (<http://classics.mit.edu/Plato/republic.8.vii.html>, 25.06.2013)

**პო, 1942** — Poe, E. A. The Masque of the Red Death, 1942. ([http://books.eserver.org/fiction/poe/masque\\_of\\_the\\_red\\_death.html](http://books.eserver.org/fiction/poe/masque_of_the_red_death.html), 25.02.2013)

**როპოლო, 1967** — Roppolo, J. P. *Meaning and 'The Mask of the Red Death'*. In: Robert Regan (Ed.) *Poe: A Collection of Critical Essays*. Englewood Cliffs, New Jersey: Prentice Hall, Inc., 1967, pp. 134-137.

**სილვერმანი, 1992** — Silverman, K. *Edgar A. Poe: Mournful and Never-Ending Remembrance*. New York: HarperCollins, 1992.

**სპენსერი, 1956** — Spencer, E. *The Faerie Queene*. London: William Tonsombie, 1956. (<http://www.luminarium.org/renascence-editions/fqintro.html>, 23.06.2013)

**სტინი, 2004** — Steen, G. J. *Can Discourse Properties of Metaphor Affect Metaphor Recognition?* In: *Journal of Pragmatics*. Vol. 36(7), 2004, pp. 1295–1313.

**სტინი, 2007** — Steen, G. J. *Finding Metaphor in Grammar and Usage: A Methodological Analysis of Theory and Research*. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing Company, 2007.

**სტინი, 1999** — Steen, G. J. *From Linguistics to Conceptual Metaphor in Five Steps*. In R. W. Gibbs, Jr and G. J. Steen (eds) *Metaphor in Cognitive Linguistics*. Amsterdam: John Benjamins Publishing Company, 1999, pp. 55-57.

**სტინი, 2008** — Steen, G. J. *The Paradox of Metaphor: Why We Need a Three-Dimensional Model of Metaphor*. In: *Metaphor and Symbol*. Vol. 23(4), 2008, pp. 213–241.

**სტინი, 2010** — Steen, G. J., Dorst, A. G., Herrmann, J. B., Kaal, A. A., Krennmayr, T., Pasma, T. *A Method for Linguistic Metaphor*



*Identification: From MIP to MIPVU*. Amsterdam & Philadelphia: John Benjamins Publishing Company, 2010. .

**სტინი, 2000** — Steen, G. *Metaphor and Language and Literature: a Cognitive Perspective*. In: *Language and Literature*, 2000, vol. 9(3), pp. 261–277.

**სტინი, 1994** — Steen, G.J. *Understanding Metaphor in Literature: An Empirical Approach*. London: Longman, 1994.

VALERIA PURTSELADZE

### **Some Peculiarities of Linguistic Realization of Allegory**

#### Summary

The paper discusses some peculiarities of linguistic realization of allegory from the standpoints of cognitive linguistics, viz. conceptual metaphor theory and discourse analysis. The empirical data comprise the works by classical authors as well as the samples of English literary works dating back to different periods.

The study has proved that allegory is primarily a cognitive phenomenon, rather than a stylistic/linguistic one. Three types of allegory realization have been singled out:

1. Allegory containing linguistic markers easing the process of its identification and interpretation. These markers are observable on the morphological, lexical and syntactic levels.

2. Covert allegory, the linguistic realization of which is based primarily on the use of such stylistic devices, as metaphor, allusion, personification, etc. Adequate interpretation of this type of allegory requires some background knowledge.

3. Pseudo-allegory, which, in fact, is not an allegory, but still contains linguistic markers, peculiar to the linguistic realization of an allegory.

ენო ფსახაძე

### დიალექტურ ერთეულთა ფუნქცია ფორუმულ დისკურსში

სხვადასხვაგვარი საკომუნიკაციო სიტუაცია ამჟღავნებს ენობრივი კოლექტივის მსოფლხედვის თავისებურებებს, მენტალურ ბუნებას, სოციალურ მიმართებებს. ახალი ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი შეუწყო სოციალური ურთიერთობების გაფართოებას, რაც შესაბამისად აისახა ენაზეც. ელექტრონულმა კომუნიკაციამ ინტერაქციას შესძინა ჰიბრიდული სახე, რომელშიც წერიტი და ზეპირი მეტყველების მახასიათებლებს დაემატა ელექტრონულიც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქართული ინტერნეტფორუმების ენა.

მიუთითებენ, რომ ფორუმულ მეტყველებაზე გავლენას ახდენს როგორც მედიუმის ტექნიკური მონაცემები, ასევე საკომუნიკაციო სიტუაცია, ქართული ენის ლინგვისტური მახასიათებლები და მომხმარებლის პირადი მონაცემები (ამალლობელი, 2011).

ლინგვისტური ხერხები, რომლებითაც მომხმარებელი აზრის გამოხატვას ცდილობს, მრავალრიცხოვანია. მათ შორის ერთ-ერთი ხშირად გამოყენებული ხერხია სამეტყველო კოდთა მონაცვლეობა.

სამეტყველო კოდთა მრავალფეროვან მიმართებებს შორის საინტერესოა სტანდარტული ენისა და დიალექტების მონაცვლეობა, რაც ფორუმულ მეტყველებაში სხვადასხვა ფუნქციის მქონეა.

დიალექტურ ერთეულთა რეალიზების სპეციფიკას განსაზღვრავს დიალოგში ჩართულ პირთა სოციალური სტატუსი, საკომუნიკაციო მიზანი, სასაუბრო თემა, პერსონალური მახასიათებლები. ინტერაქციის ძირითადი ემოციური ველია იუმორი, ირონია, კონტრასტულობის ხაზგასმა, სოციალურ იერარქიაზე მინიშნება, რეგიონული მახასიათებლების აქცენტირება.

მნიშვნელოვანია ქართული ინტერნეტფორუმების ენის განხილვა სტანდარტული ენისა და დიალექტების მონაცვლეობის (ზოგადად, კოდთა მონაცვლეობის) ჭრილში, ფორუმულ დისკურსში დიალექ-

ტურ ერთეულთა გამოყენების სიხშირის, პირობებისა და ფუნქციების წარმოჩენა.

ქართულ ინტერნეტსივრცეში ფორუმთა რაოდენობა საკმაოდ დიდია. საკუთრივ ინტერნეტფორუმების გვერდით გავრცელებულია სპეციალურ ვებგვერდებთან დაკავშირებული, ასევე თემატური და დაწესებულებებისა თუ ორგანიზაციების ფორუმები. ისინი ხასიათითა და შინაარსით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, თუმცა მათთვის საერთოა გარკვეულ თემაზე აზრის საჯაროდ გამოთქმა-გაზიარება, სადისკუსიო პოზიციის ჩამოყალიბება.

ფორუმული დისკუსიო უნდა განვიხილოთ როგორც სასაუბრო სტილის ნიშნებით მარკირებული ენობრივი მონაცემი. აქ უფრო ხშირად გვხვდება დიალექტური გრამატიკული ფორმები, სხვადასხვა ფონეტიკური პროცესის შედეგად დამკვიდრებული სიტყვები, ვიდრე დიალექტური ლექსიკური ერთეულები (შენიშვნა: საკითხი განხილულია ძირითადად იმერული დიალექტური მასალის მიხედვით, მასალა დამოწმებულია სიზუსტის დაცვით).

დიალექტური ფორმები სხვადასხვა ლინგვისტურ გარემოში გამოიყენება. ზოგჯერ ისინი ამა თუ იმ რეგიონის მცხოვრებთა მეტყველების ბუნებრივი ერთეულებია. მათ რაიმე სპეციალური დანიშნულება არ აქვთ: „ხო აბა, ხელოვნურ სუნთქვას გავუკეთებ და მოვაბრუნებ კილო“; „შენ გინდა თქვა, რო მაგენი საქმეზე არ დადიოდნენ?!“; „არადა ბავშვობაში რომ მკითხავდნენ შენი პიროვნება ახსენიო, ვეტყვოდი: კაი ბიჭი ვართქვა“; „გაგიკვირდებათ, მარა ასეა“; „სხვანაირად კი უნდა მოვიქცეთ, მარა ისე არა, როგორც შენ გინდოდა შემოგეთავაზებინა“; „კაი იყო ხინკალი“ ([www. infokutaisi.com/forum](http://www.infokutaisi.com/forum)); „კურდღლის ჭირიც არსებობს? მე მართლა არ ვიცი რამ გაწყვიტა, მარა ის ვიცი, რო კურდღელი ძვირი სანახავი გახდა“ ([www.bazieri.ge](http://www.bazieri.ge)).

უფრო ხშირია დიალექტური ფორმების სპეციალური დანიშნულებით გამოყენება:

1. **ნაზს უხვამს კომუნიკანტთა საერთო ნიშნით აღბეჭდვას**, მაგალითად ერთი რეგიონიდან წარმომავლობას, რასაც თან ახლავს განსაკუთრებული სიტბოსა და სიყვარულის გამოძეღვანება, რეგიონის მომხიბვლელობისა და სპეციფიკის გამოხატვა ბუნებრივი სილა-

მაზის, ეთნოგრაფიული თავისებურების, ისტორიულ-ტრადიციული მახასიათებლების გათვალისწინებით (თემატური ველია „ბაღდათი“): „რავა აქამდე არ ხარ ბაღდათში ნამყოფი თუ?“; „ბაღდათში რთველი დაიწყო. წამოვა აწი ცოლიკოურ-ციცქა-კრახუნა-ოცხანური“ ([www. infokutaisi.com/forum](http://www.infokutaisi.com/forum)). შესაბამისი შინაარსები გაჯერებულია მსუბუქი იუმორით: „ა, შენ, მია, ბაღდათური ხილი“ (განთავსებულია ფოტოები, თითოეული ფოტოს (ხილის) შესათავაზებლად გამოყენებულია ასევე დიალექტური ფორმა „კიდო“ ([www. infokutaisi.com/forum](http://www.infokutaisi.com/forum))).

ზოგჯერ დიალექტური ერთეულით აქცენტირებულია რეგიონის პრობლემები (მაგალითად, რაიონის განვითარება, სამედიცინო მომსახურება, სადაზღვევო კომპანიები): „თქვენ პირს შაქარი მაგრამ არა მგონია რაცხა... უბრალოდ კეთილი ნებაც არ არსებობს ბაღდათში სოფლის მეურნეობის განვითარებაზე...“; „დევიწყო გულზე ხელები? ბუნებრივ გადარჩევას გვიკეთებენ, გადარჩება ძლიერი“ ([www. infokutaisi.com/forum](http://www.infokutaisi.com/forum)).

საინტერესოა, რომ რეგიონული მახასიათებლების გამოსაკვეთად ზოგჯერ კომუნიკანტი სხვადასხვა დიალექტისთვის ნიშანდობლივ ფორმებს იყენებს. მიზანი პატივისცემის, სხვაობისა და ამავდროულად ერთიანობის გამოხატულებაა: „ვეყო სააღდგომოდ ხო ჩამოდინხარ? შევიკრიბოთ მერე ერთი, ქე მომენატრეთ“ ([www.bazieri.ge](http://www.bazieri.ge)).

**2. დიალექტური ერთეულის გამოყენების ფუნქცია რეგიონულობის, იერარქიულობის მინიშნება, ზოგჯერ დაცინვა.** ამ შემთხვევაში საინტერესოა, რომ ენობრივ მარკერად შეიძლება ერთი და იგივე ფორმა შეგვხვდეს, ოღონდ განსხვავებული ფუნქციით: ადგილობრივი მკვიდრის მეტყველებაში როგორც შინაგანი ერთობის, პოზიტიური დამოკიდებულების გამოხატულება, სხვა კუთხის (დედაქალაქის) მცხოვრების მეტყველებაში სპეციფიკურ რეგიონულ ნიშანზე მინიშნება. მაგალითად,

**მე  ქუთაისზე**

new სლოგანი new ქუთაისიზე   
([forum.rustavi2.com/lofiversion/index.php/t9403.html](http://forum.rustavi2.com/lofiversion/index.php/t9403.html)).

თუმცა აღსანიშნავია, რომ დაცინვის, გაკენწყვის ელემენტები ადგილობრივთაგანაც შეიმჩნევა: „კაი ფორუმია, მომეწონა, რაირაი?

კიდოკიდო დაგერქვა“, „უჟაცრავად და მაგ სასიქტილემ თვითონ ვერ დაპოსტა თავისი ფორუმის ბმული აქანე?“ ([www. forum. ge](http://www.forum.ge)).

საინტერესოა, რომ რეგიონული ლინგვისტური მახასიათებელი წარმოჩნდება პარალინგვისტური ნიშნის დონეზეც. დიალექტური (იმერული) წარმოთქმის მანერას ხაზი ესმება წერილობითი ნიშნის გამოვრებით: „მარა უტყდევება“ ([www. forum. ge](http://www. forum. ge)).

**3. დიალექტური ერთეული გამოიყენება როგორც სოციალური მარკერი.** მაგალითად, მსჯელობაში ე.წ. ქურდულ მენტალიტეტზე ჩართულია იმერიზმები — სოციალური ჯგუფის მეტყველების განმსაზღვრელი ლოკალურად ნიშანდებული ჟარგონიზმების წყარო: „რაია სიმონ, მევიდა თქვენი დრო?“, „მაგარია, მარა ასე ჯობია“, „რა ამბავია აქ? აბა ვინ რომელი უბნელია? აქანა ქუთაისია, სიმონ“ ([www. infokutaisi. com/ forum](http://www. infokutaisi. com/ forum)).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ლექსის სტროფიც:

„დაგვიდგა უკვე დრო სანატრელი,

ამოვთხრით გულში დამარხულ წყენას!

აღარაფერი გვაქვს სადარდელი,

მეეკითხებათ მაგენს სუყველას!“

დიალექტური ფორმა იმავე რიგის მარკერია, როგორც ჟარგონიზმი:

([www. infokutaisi. com/ forum](http://www. infokutaisi. com/ forum)).

**4. დიალექტური ერთეული ათვალსაჩინოებს ლინგვოკულტურულ ფენომენს.** დიალექტი, როგორც ენის შინაარსობრივი სიღრმის წარმომჩენი სტრუქტურა, ქართული აზროვნების, გონის, ინტელექტის, ზნეობრივი ორიენტირების, სულიერი სწრაფვის მანიფესტაციაა. მასში სამყაროს სურათი ქართული ენობრივი საზოგადოების ლინგვოკულტურული კონცეპტოსფეროს ადეკვატურია (ფხაკაძე 2013). იმერულ სიტყვახმარებაში დამკვიდრებულია გადარიბებულის მნიშვნელობით გატყავებულის/გატყაულის გამოყენება. გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო იმერეთის მოსახლეობისათვის ეს კონცეპტი/მნიშვნელობა აქტუალური გახდა. ამის დასტურია იმერეთის ყოფის აღწერის დიდოსტატის დავით კლდიაშვილის შემოქმედება. ეთნოკულტურული სპეციფიკის გამომხატველი დიალექტური ფორმა დისკურსულ გარემოშიც ჩვეული ფუნქციით რეალიზდ-

ბა. მაგალითისათვის დავასახელებთ ამონარიდს ინტერნეტფორუმიდან: „გადავარდაოოო? იჭერენ წვრილ გატყაულ მსხვერპლებს, ფულს წაართმევენ, გამოუშვებენ და მერე ისევ იგივე... (www.infokutaisi.com/forum) (ნათქვამს ადასტურებს მსაზღვრელად ეთნოკულტურული მნიშვნელობის მეორე ტერმინის „წვრილი“ გამოყენება, რაც ასევე დავით კლიაშვილის ასოციაციას იწვევს).

**5. დიალექტური ერთეული ასრულებს ინტერტექსტურ ფუნქციას.** ცნობილია, რომ XX საუკუნის 60-იან წლებში ფრანგი მეცნიერის იულია კრისტევის „ინტერტექსტურობის პოსტმოდერნისტულმა თეორიამ“ (რომელიც ბახტინის „დიალოგურობის პრინციპს“ ემყარებოდა) გააფართოვა დიალოგის არეალი და კომუნიკანტთა დიალოგი ტექსტებს შორის დიალოგად წარმოგვიდგინა (ამ თეორიამ ერთგვარი შუალედური ადგილი დაიკავა პოსტფორმალიზმსა და ევროპულ პოსტსტრუქტურალიზმს შორის) (Бахтин 1975; Кристева 2004).

შესაბამისად, ენობრივი კოლექტივის კულტურული ცნობიერების გამოხატვა დისკურსულ გარემოში უნდა განვიხილოთ ამავე კოლექტივის ღირებულებათა სისტემის წარმომჩენად, რაც ტექსტების დიალოგურ კავშირს, ციტატების მოზაიკას, პოლიფონიას წარმოადგენს. სწორედ ინტერტექსტურობასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული დედაენაზე გავებისა და გავებინების პრობლემა (ომიძე 2012). სანიმუშოდ მოვიხმობთ ინტერნეტფორუმიდან შემდეგ კონტექსტს: „ამ დიალოგზე უცებ ბეკინა გამახსენდა სამანიშვილი. წროულს კარგი მოსავალი იქნება“ (www.infokutaisi.com/forum). დიალოგი ეხება ბაღდათის რაიონში მოუსავლიანობას, ყურძნის მაღალ ფასს და სიდუხჭირეს. აქცენტი ქართველური ხასიათის საინტერესო შტრიხს აცოცხლებს. ზოგჯერ თითქმის უსაფუძვლო ოპტიმიზმს და სამომავლო პერსპექტივების გაზვიადებულად წარმოდგენას. დავით კლიაშვილის ნაწარმოების გმირის გახსენება, დამახასიათებელი იმერიზმის გამოყენებით ადეკვატურ განცდას ქმნის.

**ინტერნეტფორუმების ენისათვის სპეციფიკურია ბუნებრივ და ელექტრონულ კოდთა მონაცვლეობა.** აქ გამოსაყოფია ხატულების, ასევე ლათინური დაწერილობის გამოყენება. ამ უკანასკნელის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ შორისდებული „ეუF“, რომელიც

მოცემულ კონტექსტში გაკვირვებისა და იუმორის ნიშანია ([www.infokutaisi.com/forum](http://www.infokutaisi.com/forum)).

ტიპოგრაფიულ და ვერბალურ ხატულებს დიალექტურ ერთეულებთან სჭარბობს გრაფიკული, ზოგჯერ ანიმაციური ხატულები. მათი ფუნქცია ელექტრონულ მეტყველებაში ემოციისა და მიმო-ყესტუალობის გამოხატვაა (ამაღლობელი, 2011). შეიძლება ითქვას, ისინი ამძაფრებენ დიალექტურ ერთეულთა საშუალებით გამოხატულ ემოციებს და საკომუნიკაციო მიზანს ათვალსაჩინოებენ. 🗣️ დაცინვის მნიშვნელობით, 😊 😄 გაკვირვებისა და იუმორის გამოსახატავად.

საზოგადოდ, ფორუმულ დისკურსში დიალექტური ერთეულების გამოყენების სიხშირე არცთუ ისე დიდია. გამოვლენის პირობები დამოკიდებულია კომუნიკანტთა ასაკზე (ახალგაზრდები უფრო მეტად სლენგს იყენებენ), სოციალურ ჯგუფზე, გამოსახატავ შინაარსზე. ფუნქციური დატვირთვა სხვადასხვაგვარია და ავლენს ენობრივ ერთეულთა პრაგმატიკულ მნიშვნელობას, კომუნიკაციაში ჩართული პირების პოზიტიურ და ნეგატიურ დამოკიდებულებათა გამოხატვის შესაძლებლობებს. შეიძლება ითქვას, ფორუმულ დისკურსში დადასტურებული დიალექტური ერთეულების ფუნქციები ქართული ენობრივი კოლექტივის მენტალურ-კულტურულ-სოციალურ ღირებულებათა გამოხატვის ადეკვატურია.

## ლიტერატურა

**ამაღლობელი, 2011** — ნ. სამეტყველო კოდთა მიმართებები ფორუმულ მეტყველებაში, [http://www.ice.ge/symposium/symp2011\\_2/konferencia-2011.pdf](http://www.ice.ge/symposium/symp2011_2/konferencia-2011.pdf)

**ბახტინი, 1975** — М. М. Бахтин, Вопросы литературы и эстетики. Прогресс. Москва 1975.

**გაჩეჩილაძე, 1979** — პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 1976.

**კრისტევა, 2004** — Ю. Кристева, Интертекстуальность // Избранные труды: Разрушение поэтики. М. РОССПЭН. 2004.

**ომიაძე, 2012** — ს. ომიაძე, კონცეფციები და ტექსტები (გ. დო-ჩანაშვილის „ორნი აქა-იქ“), <http://semioticsjournal.wordpress.com>, 2012.

**ფხაკაძე, 2013** — ნ. ფხაკაძე, ლინგვოკულტურული ფენომენი და დიალექტი, საენათმეცნიერო ძიებანი, XXXV, თბილისი, 2013.

**ღლონტი, 1984** — ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984.

**ძოწენიძე, 1973** — ქ. ძოწენიძე, ზემოიშვრული ლექსიკონი, თბილისი, 1973.

**ჯორბენაძე, 1989** — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1989.

**NINO PKHAKADZE**

## **Functions of Dialectal Elements in Forum Discourse**

### **Summary**

Introduction of new technologies enhanced expansion of social relations, which is consequently reflected in language use. Electronic communication determines the hybrid nature of interaction. In this respect, Georgian internet forums are of particular interest. According to scholarship, peculiarities of forum language are influenced by a number of factors: the specificity of channel, situational context, linguistic features of Georgian and the user's personality. Linguistic strategies forum users employ most frequently are versatile, code-switching being one of them. Among different types of code relationships, the alternation between Standard Georgian and its dialects is of particular interest. The study has proved that the alternation in question serves a number of functions. In internet forums specificity of dialectal usage is conditioned by the following factors: the communicant's social status, his/her intention, topic, the communicant's personality, emotional key of interaction, humour, irony, emphasis on hierarchical inequality, or regional background. The paper presents the results of statistical analysis revealing frequencies of usage of dialectal forms their functions and causes of their use.



მანანა ლაგაზიძე

### ნაწილაკები როგორც გამონათქვამის ილმოაუციის და ინტენსიურობის მოღიწიკატორები

წინამდებარე სტატიაში განვიხილავ ნაწილაკებით გამონათქვამის სხვადასხვა ხერხით მოღიწიციების შესაძლებლობებს პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელებთან კომბინატორულობის მასალაზე გერმანულ პროზაში.

გერმანულ ენაში არსებობს „უმნიშვნელო სიტყვების“ დიდი რაოდენობა, რომლებიც ისევე, როგორც სიტყვათა კლასები — ზმნიზედები, კავშირები, სუბიუნქტორები, წინდებულები, მოდალური სიტყვები, შორისდებულები და წინადადების სხვა ეკვივალენტები უფლებქსიონი არიან. ეს სიტყვები: **bloß, doch, eben, etwas, etwa, denn, erst, ganz, ja, schon, sehr, sogar, ziemlich** — განსაზღვრულ გამოყენებაში, ჩვეულებრივ ნაწილაკებია. ისინი არ არიან სხვა სიტყვებისაგან სრულად ჰომოგენური (ამიტომ საჭიროებენ სუბკლასიფიკაციას) და არც მათი მოცულობაა ერთნაირად გაგებული სხვადასხვა გრამატიკაში. ხანდახან ეს კლასი უფრო ფართოდ განიხილება, ვიდრე საერთო ცნება უფლებქსიო სიტყვებისა მთლიანად, მაშასადამე, გულისხმობს ზმნიზედების, კავშირების, სუბიუნქტორებისა და წინდებულების ჩართულობასაც, ხანდახან კი მეტისმეტად ვიწრო გაგებით და გულისხმობს ნაწილაკების ქვეკლასების, ანდა სულაც ემოციური „ძირეული სიტყვების“ შემოსაზღვრას.

ნაწილაკები, უპირველეს ყოვლისა, მოდალური ნაწილაკები, გერმანულ ენაში — სხვა ენებთან შედარებით, სხვადასხვა ტექსტში და განსხვავებული ხერხით, განსაკუთრებით ხშირია. ისინი ხშირად გვხვდება როგორც სალაპარაკო, ასევე წერილობით ენაში, სალაპარაკო ენის ყოველდღიურ დიალოგებში და ამაღლებულ ენაში, სპონტანურ და გეგმაზომიერ ენაში, დიალოგურ და მონოლოგურ ენაში. მათ მაღალ სიხშირესა და კომუნიკაციურ მნიშვნელობას დიდი ხნის მანძილზე არ შეესაბამებოდა ადეკვატური ლინგვისტური ინტერესი.

ნაწილაკებს ხშირად მიიჩნევდნენ ენის პერიფერიულ ელემენტებად ან სტილისტიკის თანახმად — „მეტყველების საცობად“, „სარეველა სიტყვებად“, რომლებსაც უმჯობესია თავი ავარიდოთ. ამან კი მიგვიყვანა გრამატიკებსა და ლექსიკონებში ნაწილაკთა უგულუბელყოფამდე. გრამატიკებში ისინი უბრალოდ ზმნიზედებს მიაკუთვნეს, ლექსიკონებში ეტიკეტს — „საკუთარი მნიშვნელობის გარეშე“.

ეს სიტუაცია ბოლო ათწლეულის მანძილზე რადიკალურად შეიცვალა ნაწილაკთა კვლევის სწრაფი აღმავლობით. ნაწილაკთა კვლევის ეს უეცარი „აღმავლობა“ იმასთან იყო დაკავშირებული, რომ ენათმეცნიერების სხვადასხვა მიმართულებებმა (მეტყველების აქტის თეორია, საუბრის ანალიზი, ტექსტის ლინგვისტიკა) მიიღო ნაწილაკები განსხვავებული პასუხებით და კითხვებით, რომლებიც ერთი მთლიანის განსხვავებულ ასპექტებს წარმოადგენდა, თუმცა ძალიან კომპლექსური ფენომენის, რათა ბევრ შეკითხვას პასუხი გასცემოდა, საჭირო იყო ორგვარი ნაბიჯი.

— ნაწილაკების როგორც საკუთარი კლასის შემოსაზღვრა (სხვა უფლექსიო სიტყვათა კლასებთან მიმართებით);

— ნაწილაკთა სუბკლასიფიკაცია.

„ნაწილაკები უცვლელ სიტყვებს წარმოადგენენ“ (ენგელი, 2004, 384). გამონაკლისია ხარისხის მქონე ზმნიზედათა მცირე ჯგუფი, რომელიც ნაწილაკებს მიეკუთვნება მათთან მსგავსი ქცევის გამო. ნაწილაკებად მიიჩნევა „მორფოლოგიურად უფლექსიო სიტყვები“ (ჰელბიგი... 2004, 420), რომლებსაც არ გააჩნია, სხვა უფლექსიო სიტყვების მსგავსად, ანალოგიური სინტაქსური ნიშნები. მაგალითად, მათ არა აქვთ წინადადების ფუნქცია (განსხვავებით წინადადების ეკვივალენტებისა და მოდალური სიტყვებისაგან), წინადადების წევრის ფუნქცია (განსხვავებით წინდებულების, კავშირების და სუბიუნქტორებისაგან).

ნაწილაკები არ წარმოადგენენ „წინადადების დამოუკიდებელ წევრებს“ (ჰელბიგი... 2005, 420) — განსხვავებით ზმნიზედებისაგან (რომლებიც წინადადების წევრები არიან) და მოდალური სიტყვებისაგან (რომლებიც უფრო მეტი არიან, ვიდრე წინადადების წევრები). ამიტომ ისინი, როგორც წესი, არ იკავებენ პირველ ადგილს. ეს ნიშნავს, რომ თხრობით (მთავარ) წინადადებაში მათ არ შეუძლიათ და-

მოუკიდებლად ზმნის წინ პოზიციის დაკავება — განსხვავებით ზმნი-  
ზედებისა და მოდალური სიტყვებისაგან.

Diese Kombination wurde *allmählich* zur fixen Idee → (ბიოლი, 2003, 40) (ზმნიზედა).

→ *Allmählich* wurde diese Kombination zur fixen Idee.

Diese Kombination wurde *vermutlich* zur fixen Idee → (მოდალური სიტყვა).

→ *Vermutlich* wurde diese Kombination zur fixen Idee.

Diese Kombination wurde *fast* zur fixen Idee → (ნაწილაკი)

→ \* *Fast* wurde diese Kombination zur fixen Idee.

\* წინადადება არაგრამატიკულია.

ნაწილაკებს, რამდენადაც მოკლებულნი არიან წინადადების წევ-  
რობის შესაძლებლობას, არ შეუძლიათ წარმოადგენდნენ დამოუკიდე-  
ბელ პასუხს შეკითხვებზე. ზმნიზედები ამის საპირისპიროდ პასუხო-  
ბენ შეკითხვებს — კითხვითი სიტყვით. მოდალური სიტყვები — კი-  
თხვითი სიტყვის გარეშე:

Haben Sie sich's notiert? (ბიოლი, 2003, 227).

*Gewiß* \*heute \*nur (მოდალური სიტყვა).

Wann haben Sie sich's notiert?

*heute* \*gewiß \*nur (ზმნიზედა).

\*სიტყვები არაგრამატიკულია.

ნაწილაკები სემანტიკურად არ მოქმედებენ წინადადების შინაარ-  
სის შენარჩუნების პრობებზე:

Es könnte *doch* nicht wahr sein = (ბიოლი, 2003, 60) (მოდალური  
ნაწილაკი)

= Es könnte nicht wahr sein.

Zunächst bestand *wirklich* kein Grund = (ბიოლი, 2003, 153) (ვერი-  
ფიკატული ნაწილაკი).

= Zunächst bestand kein Grund.

„ნაწილაკები სინტაქსურად შეიძლება ელიმინირებული“ (ჰელბი-  
გი... 2005, 420) იქნას ისე, რომ წინადადება ამით არ ხდება არაგ-  
რამატიკული.

მიუხედავად იმისა, რომ ნაწილაკები წინადადებების შინაარსს  
არ ცვლიან და სინტაქსურადაც ელიმინირებადი არიან, განსაზღვრუ-

ლი ხერხით ახდენენ გამონათქვამის მოდიფიცირებას. როგორ ახდენენ ისინი გამონათქვამის მოდიფიცირებას (სემანტიკურად თუ კომუნიკაციურად) და გამონათქვამის რომელ ნაწილებს (წინადადებები, სიტყვები) ეხება ეს მოდიფიკაცია, არის სწორედ საკითხი, რომლითაც ნაწილაკების სუბკლასები ერთმანეთისგან განსხვავდება.

ნაწილაკებს ენაში მეორეხარისხოვანი ფუნქცია გააჩნია. ძირითადი ფუნქციები ზმნისა და ნომინალური სფეროს სიტყვებით იგება. ზმნები აღნიშნავენ მომხდარს ფართო აზრით, არსებითი სახელები, დეტერმინანტები, ზედსართავი სახელები და ნაცვალსახელები აღნიშნავენ და ახასიათებენ სიდიდეებს. ნაწილაკები მათთვის ახლო განსაზღვრელებს წარმოადგენენ, აკავშირებენ სიტყვებს ან შესიტყვებებს ან ასრულებენ სხვა ფუნქციას. მაგალითად: 1) „განმმარტავი ნაწილაკები (nähr bestimmenden Partikeln)“ (ენგელი, 2004, 384) მოვლენებს ან სიდიდეებს განსაზღვრავს. მათ პირველ რიგში მიეკუთვნება ზმნიზედები, რომლებიც კონკურენციას უწევენ არაბრუნებად ზედსართავ სახელებს (quitt, schade).

..den der Hausmeister Birgeler dorthinter klemmte (ბიოლი, 2003, 62).

..das war also ich *da oben* (ბიოლი, 2003, 62).

Der Clow blieb einige Sekunden *dort* stehen (ბიოლი, 2003, 24).

Ein paar Autos standen *dort* (ბიოლი, 2003, 96).

*Da* stand er noch (ბიოლი, 2003, 63).

ამ ჯგუფში შემოდის ნაწილაკები, რომლებიც ილოკუციას განმარტავენ ან მოდიფიცირებენ (allerdings, übrigens, sogar).

Der Blick *sogar* schwindelte (ბიოლი, 2003, 43).

*Sogar* die Skatspieler in der Ecke waren verstummt (ბიოლი, 2003, 43).

*Allerdings* bedeutete das Sirenenzeichen zehn Minuten vor Feierabend, denn jeder war angehalten, sich zehn Minuten einer gründlichen Wachtung hinzugeben (ბიოლი, 2003, 88).

*sogar* წარმოადგენს სელექციურ ნაწილაკს, რომელიც გვხვდება მხოლოდ კონსტატაციურ და კითხვით წინადადებებში. ის ფაქტს სხვა ფაქტთან მიმართებით აღნიშნავს, ირჩევს და გამოყოფს რა გამონათქვამის ნაწილს.

Allerdings წარმოადგენს ორდინატულ ნაწილაკს, რომელიც აღნიშნავს აქტუალურ გამონათქვამს სხვა გამონათქვამთან (უმეტესად წინარე გამონათქვამთან) მიმართებით. ამავე დროს გამოყოფს ხშირად გამონათქვამის ნაწილს.

ფუნქციონალური თვალსაზრისით ყოველ გამონათქვამში გამოიყოფა ილოკუცია — გამონათქვამის მოქმედების ტიპი, მეტყველების აქტის ტიპიზაცია, ანუ რა არის გამონათქვამში გადმოცემული: თხრობა, შეკითხვა, ბრძანება, მუქარა თუ წინააღმდეგობა და ა.შ. ილოკუციის გამოხატვის საშუალებაა უმეტესად „ინტონაცია“ (ენგელი, 2004, 34) (ტონის მრუდი თხრობის ბოლოს დაბლდება, შეკითხვის ბოლოს მაღლდება), დამატებით — ხშირად ბგერის სიძლიერე (ბრძანებები ხმამაღლა წარმოითქმის, ვიდრე თხრობითი ხასიათის შეტყობინებები) და სხვა პარალინგვისტური საშუალებები, აგრეთვე მიმიკა და ქესტიკულაცია. მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია ამ საშუალებების ისეთი ზუსტი აღწერა, როგორც წინადადების წევრების ან ფლექსიის ფორმებისა, მთლიანობაში ისინი კარგად ფუნქციონირებს. საზოგადოდ თანამოსაუბრე პირი უპრობლემოდ შეიცნობს შესაბამის ილოკუციას.

2) „მემაერთებელ ნაწილაკებს (verbindenden Partikeln)“ (ენგელი, 2004, 384), უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება:

ა) წინდებულები. ისინი აკავშირებენ, პირველ რიგში, სიდიდეთა აღმნიშვნელ ელემენტებს:

Die Nachtschwester stand schon **an** der Tur (ბიოლი, 2003, 72).

Nun wenn er **an** die Kleinen dachte (ბიოლი, 2003, 73).

.. sagte sie heftig und setzte sich **auf** den Stuhl (ბიოლი, 2003, 103)

ბ) სუბიუნქტორები, რომლითაც იწყება დამოკიდებული წინადადებები, შესაბამისად აკავშირებენ მოვლენათა აღწერილობებს:

**Während** ich die Zigarre in der Mund nahm, hörte ich, wie der junge Mann

fragte (ბიოლი, 2003, 102).

**Ehe** ich mich versehen hatte, war mein linkes Handgelenk mit einer dünnen

Kette umschlossen (ბიოლი, 2003, 83).

გ) კონიუნქტორები, რომლებიც აერთებენ თანაბარუფლებიან ელემენტებს:

Hier *und* da (ბიოლი, 2003, 85).

golden *oder* rot (ბიოლი, 2003, 94).

..mit goldenen *oder* silbernen Hallelujas (ბიოლი, 2003, 94).

დ) ანალოგიურად ფუნქციონირებს შედარების გამომხატველი ნაწილაკები:

Jene Handlungen hatten Kerzen genug gehortet, außerdem bessere *als* unsere (ბიოლი, 2003, 92).

Es war so still hier, stiller noch *als* der Bahnhof, der seltsamerweise abseits lag vom Geschäftszentrum (ბიოლი, 2003, 97).

Er war ernst *wie* ein Büffel (ბიოლი, 2003, 82).

Ängstlich *wie* eine Schwalbe, die das Umwetter ahnt (ბიოლი, 2003, 81).

3) „სხვა ნაწილაკები (die sonstigen Partikeln)“ (ენგელი, 2004, 384), როგორც წინადადების ეკვივალენტები, ცვლიან გამონათქვამებს:

Hast du kein Vertrauen zu mir? (ბიოლი, 2003, 23).

*Doch*

Helpen Sie uns ein wenig, Schwester Lioba? (ბიოლი, 2003, 68).

*Gewiß.*

ამდენად, გამონათქვამის სტრუქტურის თვალსაზრისით, ნაწილაკები მხოლოდ თანმხლები გამოვლინებებია. რაც შეეხება სემანტიკას, მიუხედავად ამისა, ისინი ხშირად ქმნიან გამონათქვამის ძირითად არსს (წინადადების ეკვივალენტები). ეს კარგად ჩანს ასევე გრადუირებული ნაწილაკის „nicht“ მაგალითზე, რომელსაც შეუძლია გამონათქვამის შინაარსი მის დაპირისპირებულობაში ასახოს.

„Verflucht“, rief der Fahrer zurück: „verdunkelt ihr schon *nicht* mehr?“ (ბიოლი, 2003, 49).

ნაწილაკების არსი სხვადასხვა ასპექტის მიხედვით განისაზღვრება.

„მორფოლოგიური ასპექტის თვალსაზრისით“ (ჰელბიგი... 1988, 477) ნაწილაკები არ იბრუნვის, არ იუღვლის, არ გააჩნია ხარისხი.

„სინტაქსური ასპექტის თვალსაზრისით“ (ჰელბიგი... 1988) ნაწილაკები არ წარმოადგენს წინადადების წევრებს, ამიტომ წინადადებაში არა დამოუკიდებლად, არამედ თავის ბირთვთან ერთად გადაადგილდება, არ გამოიყენება წინადადებაზე ან წინადადების წევრზე

დამოუკიდებელი პასუხის ფუნქციაში. გარემოებებისაგან განსხვავებით უუნარონი არიან დამოუკიდებლად დაიკავონ პირველი ადგილი წინადადებაში. ამ თვალსაზრისით ისინი განსაზღვრებებს ემსგავსებიან, მაგრამ განსხვავდებიან მისგან იმით, რომ არ გამოიყენებიან (ენობრივ) პრედიკაციებში.

„სემანტიკური ასპექტის“ (ჰელბიგი... 1988) დომინირების დროს ნაწილაკები სიტყვებს სინტაგმაში ან წინადადებაში უფრო ზუსტად განსაზღვრავენ, ცალ-ცალკე, სათითაოდ განმარტავენ, მათ გრადუირებას აწარმოებენ.

არსებობს ნაწილაკები, რომელთა სემანტიკური შინაარსი ძალიან მცირეა და საკუთარი დენოტატური მნიშვნელობა თითქმის არ გააჩნია. ისინი უფრო მთქმელის მონაწილეობის შესაბამისად სამეტყველო მოქმედების ტიპის სიგნალიზებას ახდენენ. აქედან გამომდინარე, უფრო მეტად კომუნიკაციური, ვიდრე სემანტიკური ღირებულება გააჩნიათ.

„ნაწილაკები კომუნიკაციური ასპექტის“ (ჰელბიგი... 1988) დომინირების დროს ხშირად გამოხატავენ ნატიფ, დახვეწილ ნიუანსებს და წარმოადგენენ ინდიკატორებს განსაზღვრული სამეტყველო მოქმედებებისათვის ან ემსახურებიან გამონათქვამის კონვერსაციონალურ კონტექსტში დაფიქსირებას, სამეტყველო აქტის მოსაუბრის თვალთახედვის მიხედვით მოდიფიცირებას, მსმენელის ინტერპრეტირების პროცესის ინტერაქციულ მართვას, ზოგადად ისინი ემსახურებიან გამონათქვამისა და სამეტყველო აქტის წარმართვას ინტერაქციის მონაცემების, პირობების შესაბამისად. სწორედ ამ კომუნიკაციურ ფუნქციაში არიან ნაწილაკები ძნელად აღსაწერნი (უცხოელთათვის) და შესასწავლნი. მით უფრო, რომ გერმანული ენა ზოგიერთ სხვა ენასთან შედარებით ნაწილაკებით მდიდარი ენაა. ნაწილაკთა სიმრავლე მით უფრო მაღალია, რაც უფრო უახლოვდება ტექსტი სალაპარაკო ენას. განსაკუთრებით მაღალია ნაწილაკთა სიმრავლე ყოველდღიურ დიალოგებში, რომლებშიც ისინი მრავალ ძალიან არსებით კომუნიკაციურ ნიუანსებსაც გამოხატავენ.

„სემანტიკური და კომუნიკაციური ფუნქციის“ (ჰელბიგი... 1988, 477) დომინირების მიხედვით განასხვავებენ:

1) ნაწილაკებს, რომლებშიც დომინირებს სემანტიკური ფუნქცია;

2) ნაწილაკებს, რომლებშიც დომინირებს კომუნიკაციური ფუნქცია.

ნაწილაკებში: **aber, also, auch, bloß, denn, doch, eigentlich, einfach, etwa, gerade, halt, ja, mal, noch, nun, nur, schon, überhaupt, vielleicht, wohl** დომინირებს კომუნიკაციური ფუნქცია.

კომუნიკაციური ნაწილაკების უდიდეს ბირთვს ქმნის მოდალური ნაწილაკები, ნაწილაკის „**gerade**“ გამოკლებით, რომელიც სელექციურ ნაწილაკებს მიეკუთვნება. სელექციური თავისუფალი წევრები ერთ ფაქტს სხვა ფაქტთან მიმართებით აღნიშნავენ, ირჩევენ და გამოყოფენ რა გამონათქვამის ნაწილს. გამოხატვის ფორმებია უფლექსიო ზედსართავი სახელები, ნაწილაკები, წინდებუდიანი ფრაზები.

მოდალური ნაწილაკები, მცირედი გამონაკლისის გარდა, ზემოქმედებენ გამონათქვამის ილოკუციაზე, აძლიერებენ ან ასუსტებენ მას, ან ახდენენ მათ მოდიფიცირებას სხვა ხერხით. ისინი გამოხატავენ მთქმელის დამოკიდებულებას ან უქვემდებარებენ პარტნიორს გარკვეულ რეგულირებებს. საქმე ეხება ორ ათეულ ნაწილაკს, რომლებსაც არ დაესმის შეკითხვა, მათთან არ დგება უარყოფა, არ წარმოადგენს პასუხს შეკითხვებზე. ისინი არ თავსდება წინაველში. მოდალური ნაწილაკების უმრავლესობა უმახვილოა. ნაწილაკები გამონაკლისის გარეშე გამოხატვის ფორმებია.

მოდალურ ნაწილაკებს აქვს სხვადასხვაგვარი ფუნქციები, რომლებიც არა სემანტიკურ, არამედ კომუნიკაციურ დონეზე რეალიზდება. მოდალური ნაწილაკების ცენტრალური ჯგუფი (**aber, auch, bloß, denn, doch, eben, etwa, halt, ja, mal, nur, schon, vielleicht**) არ თავსდება პირველ ადგილზე და გააჩნია ომონიმები სხვა სიტყვათა კლასებში. **denn** არის აგრეთვე კავშირი, **eben** — ზმნიზედა, **ja** — წინადადების ეკვივალენტი, **vielleicht** — მოდალური სიტყვა.

ამავე დროს არსებობს ფართო აზრით მოდალური ნაწილაკების პერიფერიული ჯგუფი, რომლებიც შეიძლება პირველ ადგილზე განთავსდეს. ისინი არ გადადიან სხვა სიტყვათა კლასებში და არ გააჩნიათ ომონიმები სხვა სიტყვათა ჯგუფებში (ასეთებია ნაწილაკები: **allderdings, immerhin, eigentlich, jedenfalls, überhaupt**).



მოდალური ნაწილაკები ძირითადად სხვადასხვა სახის წინადადებებში (თბრობითი, ბრძანებითი, კითხვითი) ფუნქციონირებენ და მათი მეშვეობით განსაზღვრულ ინტენციებს, შესაბამისად, მეტყველების ტიპებს (ბრძანება, შეკითხვა, სურვილი, მუქარა, გაფრთხილება) აწარმოებენ:

...gute Deckung, *aber* ungünstig für Flüchtlinge außer Atem (შუბერტი, 1967, 26).

Sieht es allerdings als klinischen Fall, rätselhaft *auch* so, aber für die Außenwelt ohne jede Folge (ფრიში, 2000, 22).

Es war eine Flut, unwiderstehlich und *doch* reguliert (ვაისკოფი, 1966, 336).

...aber ein wirklicher Freund, *eigentlich* der einzige, wenn auch die Freundschaft etwas einseitig ist (ფრიში 2000, 39).

Die hohe Stirn gebuckter Schädel, an den Schläfen *noch* blond (ცვაიგი, 1966, 112).

Von ihnen öffnete sich ein grünes Tal, *etwa* drei Kilometer breit (ნოლი, 1967, 384).

Eine Frauenperson mit blondierten Haaren, zierlich, *nicht* mehr jung, hatte den Eimer

eben unter den Strahl gestellt und pumpte (ველსკოფ-პენრიხი, 1967, 581).

წარმოდგენილ მაგალითებში: მოდალური ნაწილაკი **aber** გამოხატავს მოულოდნელობას, გაოცებას; ნაწილაკი **auch** — ახასიათებს გამონათქვამს როგორც ცხად, თვალსაჩინო ან სარწმუნო, დამაჯერებელ განმარტებას.

მოდალური ნაწილაკი **doch** — ითხოვს პარტნიორის თანხმობას. ის ყოველთვის უმახვილოა.

ნაწილაკი **eigentlich** — ზემოქმედებს რელიეფურად. ჩვეულებრივ კითხვებში თავაზიანად ან უცერემონიოდ ჟღერს.

მოდალური ნაწილაკი **noch** — ახასიათებს შეკითხვებს გაკვრივ, სხვათა შორის, პასუხობს ბუნებრივად, გარკვევით. ნაკლებად ადგილმონაცვლეა.

მოდალური ნაწილაკი *etwa* — შეკითხვებში უმეტესად გამოხატავს უარყოფას, სკეპტიკურ მოულოდნელობას, ამით იწვევს ნეგატიური პასუხის შთაგონებას.

ნაწილაკს *nicht* მოცემულ შემთხვევაში განვიხილავ როგორც მოდალურ ნაწილაკს და არა როგორც ნეგატორს.

ნაწილაკებში: *beinahe, bereits, etwas, ganz, höchst, eben, immer, ziemlich, fast, nahezu, außerordentlich, recht, sehr, so, überaus, viel, durchaus, weit, weitaus, zu* დომინირებს სემანტიკური ფუნქცია.

სემანტიკური ფუნქციის მქონე ნაწილაკებს წარმოადგენს ხარისხის ნაწილაკები (ინტენსივობის, ხარისხის მოდიფიკატორები): *sehr, ganz, höchst, recht, fast, so, überaus, ziemlich, viel, weit, etwas, weitaus, wenig, vollig, kaum, außerordentlich*, რომლებიც არ მიემართება მთელ წინადადებაზე და არც წინადადების სხვადასხვა წევრზე, არამედ, როგორც წესი, თავსდება ზედსართავ სახელებთან ან ადიექტიურ ზმინაზედებთან და მათ მიერ აღნიშნული თვისებების ხარისხს გამოხატავს:

Eine zierliche Angestellte, *sehr* Schmuck in weißen Häubschen, nahm in der Diele Wichmans Visitenkarte entgegen (ველსკოფ-ჰენრიხი, 1967, 465).

Und wieder kamen andere Tage, träumerische, blau, *ganz* windstille und brütend warme (თ. მანი, 1963, 564).

Statt dessen erblickte er einen Mann von Mitte vierzig, *so* wuchtig und ehrbar wie Commandor Scott, anscheinend etwas fett (შრაიერი, 1968, 21).

Sie fing noch einen Barsch, *allerdings* etwas kleiner (შუბერტი, 1967, 315).

Und seine Hose, *durchaus* sauber, entstammt einem dicklichen und kurzbeinigen Trainfahrer (ცვაიგი, 1966, 126).

Bitte, sagte er heiser, gab Geld hin, empfang ein schlecht riechendes Blatt, *ziemlich* dick (ცვაიგი, 1967, 348).

...den das kleine kugelrunde Männlein, *weit* über sechzig Jahre alt, war schwerhörig, fast taub (ნოლი, 1967, 40).

Professor Osann, mager und verfallen, *zu* groß in der niedrigen Stube (ცვაიგი, 1967, 242).

ხარისხის და მოდალური ნაწილაკები პოსტნომინალურ ატრიბუტულ ზედსართავ სახელებთან დიდი რაოდენობით რეალიზდება.

ხარისხის ნაწილაკების ფუნქცია განისაზღვრება არა კომუნიკაციურ, არამედ სემანტიკურ დონეზე. ისინი ზედსართავი სახელით აღნიშნული თვისებების კლასიფიკაციას ახდენენ იმპლიციტური ხარისხის შკალასთან შესაბამისად, გადმოსცემენ რა ამ თვისებების ხარისხს. მათ არ გააჩნიათ შეზღუდვები წინადადების — და მეტყველების ტიპთან დაკავშირებით და არც განსხვავებული სემანტიკური მმართველების სფეროსთან დაკავშირებით, თუმცა აქვთ შეზღუდვები ზედსართავი სახელის სხვადასხვა ხარისხის ფორმებთან შეთანაწყობის თვალსაზრისით. ზოგიერთი ხარისხის ნაწილაკი დგას მხოლოდ დადებითი ხარისხის წინ (მაგ, *sehr, ganz, höchst, recht, so, überaus, ziemlich, sehr schön, hochst interessant, ziemlich groß*), ზოგი მხოლოდ უფროობითი ხარისხის წინ (*viel, weit, viel interessanter*), სხვა დადებითი და უფროობითი ხარისხის წინ (*etwas, etwas schöner*), ზოგიც უფროობითი და აღმატებითი ხარისხის წინ (*weitaus, weitaus schönste*). ხარისხის ნაწილაკების ადგილი მყარია (ყოველთვის ზედსართავი სახელის წინ).

მნიშვნელობის მხრივ განასხვავებენ: „ინტენსიფიკატორებს“, რომლებიც ემსახურებიან თვისების გაძლიერებას *sehr, höchst, außerordentlich* და „დეინტენსიფიკატორებს“ (პელბიგი... 2005, 423), რომლებიც ემსახურებიან თვისების შესუსტებას: *ziemlich, fast, nahezu*.

*Aber Posnanski, völlig unbeleidigt, sah zum Himmel empor* (ცვაიგი, 1967, 455).

*Er kaufte auch am nächsten Abend mit Pauline beim Uhrmacher zwei Trauringe, sehr schön blank, sehr schön breit, ganz neu und blitzend* (ჭერმანი, 1963, 222).

*...eine zarte Frau, fast mädchenhaft, ging an seinem Arm* (შტორმი, 1970, 10).

როგორც ენობრივი მასალის ანალიზი გვიჩვენებს, ერთ ნომინალურ სინტაგმაში შესაძლოა ერთდროულად განთავსდეს კომუნიკაციური ფუნქციის მქონე (*aber, noch, nur*) და სემანტიკური ფუნქციის მქონე (*eben, immer, beinahe, etwas, ganz, ziemlich*) ნაწილაკები.

*Hin und wieder hört man auch das Hupen von Wagen, aber ziemlich ferne* (ფრიში, 2000, 54).

Sein Haar, *noch immer* feucht vom Baden, stand zu Berge (ნოლი, 1967, 58).

Das Gesicht des Majors, *eben noch* rosigrund, wurde lang (ვაისკოფი, 1966, 397).

Im ersten Augenblick will sie etwas sagen oder tun, um das Geschehne ungeschehen zu machen, die Ohrfeige, diese, kleine *beinahe nur* symbolische, zurücknehmen (ზელბმანი, 1968, 287).

Ein anstelliger Bursche, *nur etwas* aufdringlich (ვაისკოფი, 1966, 420).

Stümpfe, zum Teil noch *ganz frisch*, wiesen die Arbeit der Bandsäge (ცვაიგი, 1966, 62).

### ლიტერატურა

**ენგელი, 2004** — U. Engel. Deutsche Grammatik. Judicium Verlag GmbH, München, 2004.

**ჰელბიგი, ბუშა 2005**— G. Helbig., J. Buscha. Deutsche Grammatik. Langenscheidt KG, Berlin und München, 2005.

**ბიოლი, 2003** — H. Böll. Mein trauriges Gesicht. Erzählungen. Radugaverlag, Moskau, 2003.

**ჰელბიგი, ბუშა 1988** — G. Helbig., J. Buscha. Deutsche Grammatik. Ein Handbuch für den Ausländerunterricht. VEB Verlag Enzyklopädie, Leipzig, 1988.

**შუბერტი, 1967** — D. Schubert, Acht Unzen Träume. Verlag Neues Leben, Berlin, 1967.

**ფრიში, 2000** — M. Frisch. Skizze (Schinz). Erzählungen von deutschsprachigen Schriftstellern. Menedsher Verlag, Moskau, 2000.

**ვაისკოფი, 1966** — F.C. Weiskopf. Abschied vom Frieden. Aufbau Verlag, Berlin und Weimar, 1966.

**ცვაიგი, 1966** — A. Zweig. Der Streit um den Sergeanten Grischa. Aufbau Verlag, Berlin und Weimar, 1966.

**ნოლი, 1967** — D. Noll. Die Abenteuer des Werner Holt (Roman einer Jugend). Aufbau Verlag, Berlin und Weimar, 1967.

**ველსკოფ-ჰენრიხი, 1967** — L. Welskopf-Henrich. Zwei Freunde. Mitteldeutscher Verlag, Halle (Saale), 1967.

**მანი, 1963** — Th. Mann. Buddenbrooks. Verlag für fremdsprachige Literatur, Moskau, 1963.

**შრაიერი 1968** — W. Schreyer. Fremder im Paradis. Mitteldeutscher Verlag, Halle (Saale), 1968.

**ცვაიგი, 1967** — A. Zweig. Einsetzung eines Königs. Aufbau Verlag, Berlin und Weimar, 1967.

**ჰერმანი, 1963** — G. Hermann, Kubinke. Das Neue Berlin, 1963.

**შტორმი, 1970** — Th. Storm. Ein Doppelgänger. Greifenverlag zu Rudolstadt, Weimar, 1970.

**ზელბმანი, 1968** — F. Selbmann. Die Söhne der Wölfe. Mitteldeutscher Verlag, Halle (Saale), 1968.

MANANA GHAMBASHIDZE

### **Particles as Modifiers of the Illocutionary Force and Intensity of an Utterance**

#### Summary

Structurally particles are just accompanying elements of a sentence, they are easily deletable, however, quite often, semantically they can create the essence of an utterance (sentence equivalent particles). The study has proved that in the process of communication particles are of particular relevance: without changing the basic meaning of a sentence they can (a) modify the illocutionary force of an utterance conveying the intentions of the speaker/writer (modal particles), hence determining the speech act type of an utterance; (b) intensify the meanings expressed by adjectives or adjectival adverbs (intensifiers, degree particles).

გიორგი შუფარაძე, ციური ახვლედიანი

### ფრანგული და ინგლისური ენების ფრაზეოლოგიითა ეტიმოლოგია

ფრაზეოლოგიური ერთეულები ენაში კომუნიკაციურ ფუნქციას ასრულებენ. გარდა ამისა, ისინი ჩვენს მეტყველებას სძენენ უფრო მეტ სილამაზეს, ხატოვანებას, მოქნილობასა და ემოციურობას, აზროვნების ნიუანსების გადმოცემის უნარს. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა უმეტესობა ნაციონალურ საფუძველზეა წარმოშობილი. მათი წარმოშობის წყაროები უაღრესად მრავალფეროვანია და სხვადასხვა ეპოქას განეკუთვნება. ფრაზეოლოგიზმთა ხატოვანება მომდინარეობს ხალხის მატერიალური, კულტურული და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან, მათში ასახულია ხალხის ისტორია, ყოფა-ცხოვრება და კულტურა, მათი სულიერება და აზროვნების ხატოვანება. ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენენ ხალხის სულიერ ფასეულობათა სინთეზს, ისინი აღადგენენ ამ ხალხის წარსულის ჭეშმარიტ სურათს, ხსნიან მათ ხასიათს, გვაცნობენ მათ ზნე-ჩვეულებებსა და ადათ-წესებს.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა უმეტესობა დაკავშირებულია ნაციონალურ რეალიებთან: ისტორიულ ფაქტებთან ან მოვლენებთან (**faire/construire des châteaux en Espagne** – „ოცნების კოშკების აგება“), ხალხურ თქმულებებსა და გამონათქვამებთან (**ours mal léché** – „გაუთლელი, ხებრე ადამიანი“, **au diable vauvert** – „დასაკარგავში, ცხრა მთას იქით“), ზნე-ჩვეულებებსა და ადათ-წესებთან (**pendre la crémallère** – „ახალმოსახლეობის გადახდა“), ადამიანსა და ბუნებასთან (**se sauver comme un voleur** – „კურდღელივით გაქცევა, მოკურცვლა“, **dur comme de la pierre** – „ქვასავით მაგარი, მტკიცე“, **l'eau va toujours à la rivière** – „ფული ფულთან მიდისო“, **à la belle étoile** – „ღია ცის ქვეშ“).

ინგლისურ ფრაზეოლოგიური ერთეულს: „**have kissed the blarney stone /the Blarney Stone/**“ – „**be a flatterer**“ ( იყო პირფერი, ფარისეველი, ლაქუცა) გარკვეული ეროვნული შეფერილობა გააჩნია. გამონათქვამი ძველ ლეგენდას უკავშირდება, რომლის თანახმადაც, ის, ვინც ირლანდიური ციხე-სიმაგრე ბლარნის ქვას ეამბოროებოდა, პირფერის, ფარისევლის უნარს იძენდა (კუნინი, 1984, 725).

ფრაზეოლოგიზმთა არსებითი ნიშნები სემანტიკური ნიშნებია. ფრაზეოლოგიზმთა ზოგ შეერთებაში კომპონენტები მათი უზუალური მნიშვნელობითაა წარმოდგენილი, რის შედეგადაც მთლიანი გამონათქვამის მნიშვნელობა გამომდინარეობს შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობათაგან; მაგალითად, სიტყვასიტყვითი თარგმანის საშუალებითაც შეიძლება გავიგოთ აზრი გამონათქვამისა **midi à quatorze heures** „შეუძლებლის ძებნა“ (სიტყვასიტყვით: „დღის თორმეტი საათი თოთხმეტ საათზე“); ზოგ შეერთებაში კი — მთლიანი შეერთების აზრი არ უდრის კომპონენტთა მნიშვნელობების ჯამს; მაგალითად, **faire chou blanc** – „მარცხის განცდა“ (სიტყვასიტყვით: „თეთრი კომბოსტოს გაკეთება“).

ასეთ ფრაზეოლოგიზმთა აზრი არ შეიძლება გაგებულ იქნეს შესაბამისი ისტორიული ან ეტიმოლოგიური ცნობების გარეშე. მოვიყვანთ კიდევ მაგალითებს:

**Paris vaut bien une messe!** – „პარიზი მესად ღირს!“, მნიშვნელობით: «პირადი გამორჩენის მიზნით კომპრომისზე წასვლა». ეს არის ჰენრიხ IV-ის წამოძახილი, როდესაც მან უარყო პროტესტანტული რელიგია პარიზში ტახტზე ასვლის მიზნით (1594 წ.).

**La pucelle d'Orléans** – „ორლეანელი ქალწული“, საფრანგეთის ეროვნული გმირის ჟანა დ'არკის შესახებ, რომელმაც აამაღლა საფრანგეთის არმიის პატრიოტული სული და გაათავისუფლა ორლეანი (1429 წლის 8 მაისი).

**Jouer les oies du Capinole** – „გაფრთხილება მოახლოებული ხიფათის შესახებ“ (თქმულების მიხედვით — «რომი ბატებმა გადაარჩინეს»).

**Tour de Babel** – „ბაბილონის გოდოლი, ორომეტრიალი“; ალიაქოთი, აურზაური.

**Aller en Flandre sans couteau** – (სიტყვასიტყვით: «ფლანდრიაში წასვლა დანის გარეშე» ანუ „საქმეს შეუდგე ისე, რომ არ მოიმარაგო ყველაფერი საჭირო“; გამონათქვამი უკავშირდება ორი სახელმწიფოს ურთიერთობათა ისტორიას.

**Fuite de Varennes** – „ვარენის გაქცევა“ (ლუდოვიკო XVI-ის მცდელობა, გაქცეულიყო ოჯახთან ერთად 1791 წლის 20 ივნისს, ჩაშალეს რევოლუციონერებმა, შეიპყრეს რა მეფე ვარენში).

ფრანგულ ენაში საკმაოდ მრავალი ფრაზეოლოგიზმია, რომელთა ხატოვანება უკავშირდება ცხოველთა სამყაროს; მათ უწოდებენ ზოონიმებიან ფრაზეოლოგიზმებს; განვიხილოთ ზოგი მათგანის ეტიმოლოგია:

**Cheval** („ცხენი“)

**Etre bon cheval de trompette** – „არ შეუშინდე საფრთხეს, მუქარას“.

წარსულში, საფრანგეთში, **cheval de trompette**-ს უწოდებდნენ ისეთ ცხენებს, რომელთაც, საზეიმო სვლების, აღლუმების და ა. შ., არ ეშინოდათ ბუკის, საყვირის (**trompette**) ხმების და ინარჩუნებდნენ სიმშვიდეს, უშფოთველობას.

**Monter sur ses grands chevaux** – 1. „მედიდურობა, ყოყოჩობა“; 2. „გაცხარება, ვინმეზე თავდასხმა გაცხარებულ გულზე“ (სიტყვასიტყვით: «დიდი ცხენების შეკაზმვა»).

შუასაუკუნეების საფრანგეთში ორი სახეობის ცხენს იყენებდნენ – **palefrois**-სა და **destriers** -ს. **Palefrois** -ს უწოდებდნენ პატარა ტანის, მაგრამ მოძრავ, ცქვიტ ცხენებს, რომლებსაც იყენებდნენ სასეირონოდ, სანადიროდ, აღლუმებზე გამოსაყვანად და ა. შ. საბრძოლო ცხენებს კი ჰქვიოდა **destriers**, რომლებიც იყვნენ დიდი ტანისა, ამტანები, გამძლეები და დიდი ტვირთის გადამზიდავნი. ბუნებრივია, აბჯარასხმული მხედარი, რომელიც იჯდა ასეთი დიდი ტანის ცხენზე, «ზემოდან» უყურებდა სხვებს (ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანილი მნიშვნელობითაც). გარდა ამისა, რადგანაც ეს ცხენები გამოიყენებოდნენ მხოლოდ ბრძოლებისა და ტურნირების დროს, მათზე მჯდომი მხედარი თითქოს გამოხატავდა მოწინააღმდეგესთან შებრძოლების სურვილს, რითაც აიხსნება ამ გამონათქვამის მეორე მნიშვნელობა.



ფრაზეოლოგიური ერთეულის: „**Kilkenny cats**“ – „**mortal enemies**“ (as a rule „**fight like Kilkenny cats**“ – „**fight to the death /to the finish**“/- („კილკენიური კატები“ – „მოსისხლე მტრები“; რომლებიც ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვიან) ეტიმოლოგია XVII საუკუნის ორი მოსისხლე ქალაქის: კილკენისა და აირიშთაუნის დაპირისპირების ლეგენდას უკავშირდება, რამაც ისინი სრულ განადგურებამდე მიიყვანა (კუნინი, 1984, 133).

**Piquer un (ან son) chien** – (სასაუბ.) „წაძინება, თვლემა; კოლოს მიჭყლეტა“ (სიტყვასიტყვით: «ძაღლის ჩხვლეტა, კბილის გაკვრა»). ეს გამონათქვამი პარიზის ერთ-ერთ თეატრში გაჩენილა, 1823 წლის 6 მარტს; პიესის მთავარ გმირს, რომელიც ბრმაა, წამოცმული აქვს თავის ჯოხზე რკინის წვეტი, რომელიც, პატრონის თვლემასა და თავის დახრასთან ერთად, ჩხვლეტს მის ფეხებთან მწოლიარე ძაღლს, დამფრთხალი ძაღლი კი არ აძლევს პატრონს ჩაძინების საშუალებას.

**Rompre les chiens** – (სასაუბ.) „უადგილოდ წამოწყებული ლაპარაკის შეწყვეტა“; გამონათქვამი უკავშირდება ნადირობის დროს „ნადავლზე გამოკიდებული ძაღლების ხროვის“ გაჩერებას.

**Ane** („სახედარი, ვირი“)

**L'âne de la fable** – „განტევების ვაცი“ (სიტყვასიტყვით: «ვირი იგავ-არაკიდან»). ამ გამონათქვამს საფუძვლად უდევს ლაფონტენის იგავ-არაკი «**Les animaux malades de la peste**» : დედამიწაზე მძვინვარებდა შავი ჭირი, რომელმაც მრავალი ცხოველის სიცოცხლე შეიწირა. ცხოველთა მეფემ — ლომმა შეკრიბა ამ საშინელი სნეულებით თავზარდაცემული მხეცები, აღნიშნა, რომ ეს უბედურება თავს დაატყდათ ჩადენილი ცოდვების გამო, მოუწოდა მათ საკუთარი ცოდვების გულწრფელად აღიარებისაკენ, რის შემდეგაც ყველაზე ცოდვილი ზვარაკად უნდა შეწირულიყო; პირველმა მან თვითონ (ლომმა) აღიარა თავისი ცოდვები, მაგრამ ლომის დადანაშაულება ვერაგინ გაბედა, მელამ კი დამსახურებადაც კი გამოაცხადა ლომის ცოდვები. ასევე გაამართლეს ვეფხვიც, დათვიც... ვირმაც აღიარა თავისი ცოდვა — ოდესღაც მწვანე მღვლოზე ცოტა ბალახი შეუჭამია. მხეცებმა ვირი ჩათვალეს ყველაზე ცოდვილად და ზვარაკად შესწირეს; ასე გახდა ვირი «განტევების ვაცი».

**Ant** („ჭიანჭველა“)

გამონათქვამი: **Ants in his pants** – აწმ-დან მომდინარეობს, უფრო ზუსტად, მისი სამხრეთი შტატებიდან, თუმცა აღნიშნული ფაქტი, გარკვეულწილად, დაუზუსტებელია, რამეთუ იმ დროისათვის, როცა ეს უკანასკნელი ბეჭდურ მედიაში გაჩნდა, სადღაც პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში, იგი უკვე ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა კონტექსტში. მას შემდეგი მნიშვნელობები გააჩნდა: „აქტიური“, „დაუღალავი“, „წასასვლელად გამზადებული“, „პრობლემის მქონე“ (ვინც მუდმივად ფუსფუსებს), ვისაც არ შეუძლია მშვიდად ყოფნა და ცდილობს ყველაფერი სიჩქარეში მოაგვაროს, ნებისმიერი პრობლემა ერთი ხელის მოსმით გადაჭრას. ადვილი შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, რა ხდება, როცა შარვლის ტოტებში ჭიანჭველები შეცოცდებიან. ადამიანი მოსვენებას კარგავს, მთელი სხეულით იკლაკნება, რომ რაც შეიძლება დროულად დაიხსნას თავი ამ აბეზარი არსებებისაგან.

**Cochon** („ლორი“)

**Amis (ან camarades) comme cochons** — „გულითადი მეგობრები“ (სიტყვასიტყვით: «მეგობრები როგორც ღორები»). ეს გამონათქვამი წარმოიშვა **cochon**-ის („ლორი“) წარმოთქმის დამახინჯებული მისგავსებით ძველფრანგულ არსებით სახელთან — **soçon** (>ლათ. **socius**) „მეგობარი“, რომელიც ასევე იხმარებოდა ფორმით — **sochon**. ეს გამონათქვამი (**Amis comme cochons**) გამოხატავს მეგობრებს შორის უცერემონიო ფამილარობას.

**Etre (ან vivre) comme un coq en pâte** (სასაუბ.) — „არხენად, უდარდელად ცხოვრება“ (სიტყვასიტყვით: «გამოკვებილი მამალივით ყოფნა (ცხოვრება)»). ამ გამონათქვამს საფუძვლად უდევს ძველფრანგული ჩვეულება: მამალს კვებავდნენ დახურულ კალათში, რომ არ ემოძრავა და სწრაფად მოემატა წონაში.

**Dindon** („ინდაური“)

**Etre le dindon de la farce** — „გაბრიყვება, სულელურ მდგომარეობაში ყოფნა“.

ამ გამონათქვამის საფუძველია შუასაუკუნეების კომედია-ფარსები, რომლებშიც ხშირად იყვნენ წარმოდგენილნი განებივრებული ვაჟებისაგან გამასხარავებული მიმნდობი მამები. ასეთ მამებს უწოდებ-

დნენ **pères dindons**-ს (სიტყვასიტყვით: «მამა-ინდაურები»), რადგან ამ ფრინველს თვლიდნენ სისულელის განსახიერებად (ზღრ. **bête comme un dindon** «ინდაურივით სულელი»).

**Grenouille** („ბაყაყი“)

**Manger la grenouille** (სასაუბ.) — „ფულის გაფლანგვა“ (სიტყვასიტყვით: «ბაყაყის შეჭმა»).

ძველად არსებობდა პირდაღებული ბაყაყის ფორმის ყულაბები, რომლებშიც მონეტებს ყრიდნენ დაგროვების მიზნით. შემდგომ, სიტყვა **grenouille** („ბაყაყი“) დაარქვეს თვითონ ყულაბას. ამგვარად, **manger la grenouille**, პირდაპირი მნიშვნელობით, არის ყულაბის, ანუ მისი შიგთავსის შეჭმა. ამ გამონათქვამის ვარიანტია **faire sauter la grenouille** (სიტყვასიტყვით: «ყულაბის გატეხა, დამსხვრევა»).

**Lièvre** („კურდღელი“)

**Lever le lièvre** (სასაუბ.) — „პირველმა წამოაყენო რაიმე საკითხი, შესთავაზო რაიმე ახალი“ და ფართო მნიშვნელობით, „შეეხო რაიმე საჩოთირო საკითხს“ (სიტყვასიტყვით: «კურდღლის აწევა»). ეს გამოთქმა სანადირო ტერმინია, საიდანაც განვითარდა ფრაზეოლოგიზმი. ეს გამოთქმა ასოციაციურად უკავშირდება მონადირის ქმედებას კურდღლის შენიშვნის დროს.

**Loup** („მგელი“)

**Entre chien et loup** — „ბინდბუნდში“ (სიტყვასიტყვით: «ძალსა და მგელს შუა»). ეს გამონათქვამი აღნიშნავს დღე-ღამის იმ დროს, როდესაც ძნელია გაარჩიო ძალღი მგლისაგან; ანუ ეს ის დროა, როდესაც მწყემსები უშვებენ თავიანთ ქოფაკებს (ნაგაზებს) ცხვრის ფარის დასაცავად, მგლები კი გამოდიან თავიანთი ბუნაგებიდან ნადავლის მოსაპოვებლად.

**Singe** („მაიმუნი“)

**Malin comme un singe** — „მელიასავით ეშმაკი“ (სიტყვასიტყვით: «მაიმუნივით ეშმაკი»). ფრანგულ ლიტერატურასა და ფოლკლორში მაიმუნი ეშმაკობასა და ცბიერებასაც განსახიერებს. მაგალითად, ლაფონტენის ცნობილ იგავ-არაკში «მაიმუნი და კატა», მაიმუნი დაიყოლიებს კატას, რომ წაბლი გამოიღოს ღუმლიდან, შემოსწრებულ

მსახურს კი მაიმუნი ადვილად დაუძვრება ხელიდან, კატა კი სასტიკად ისჯება ცემით.

**Payer (q.n.) en monnaie de singe** – „არგადახდა, მოტყუება“ (სიტყვასიტყვით: «მაიმუნის მონეტით გადახდა»). ეს გამონათქვამი მომდინარეობს ლუდოგიკო IX-ის მეფობის ეპოქიდან (1214-1270 წწ.). მის მიერ გამოცემული ბრძანების თანახმად, მაიმუნიანი მეფოკუსეები თავისუფლდებოდნენ გადასახადისაგან, რომელსაც ახდევინებდნენ პარიზში, «მცირე ხიდზე» გადასვლისას, იმ შემთხვევაში, თუ მათი მაიმუნები შეასრულებდნენ რაიმე ტრიუქს გადასახადის ამკრეფთა წინაშე.

**Ours** („დათვი“)

**Ours mal léché** — 1. „უთავბოლო, ულაზათო მოყვანილობისა“, 2. „გაუთლელი, ხებრე ადამიანი“ (სიტყვასიტყვით: «ცუდად ალოკილი დათვი»). ამ გამონათქვამის საფუძველია ხალხური თქმულება, რომლის მიხედვითაც პატარა დათუნიები იბადებიან უფორმოები და დედა-დათვის მიერ გულმოდგინე ალოკვის შემდეგ იძენენ დათვის ფორმას. ამ თქმულებას უკავშირდება შემდეგი იდიომატური გამოთქმების წარმოშობაც: **lécher un ours** – „გაუთლელი ადამიანის აღზრდის ცდა“ (სიტყვასიტყვით: „დათვის ალოკვა“), **lécher l'ours** (ან **son ours**) „რაიმე ნაწარმოების (ხელოვნების ან ლიტერატურის) დახვეწაზე მუშაობა“.

**Bear** („დათვი“)

**Loaded for bear – To be prepared for any possibility.** („ნებისმიერი შესაძლებლობისათვის იყო მზად“). თავდაპირველად მოცემული ფრაზა ნადირობის მნიშვნელობით გამოიყენებოდა, როდესაც დასავლეთი ჯერ კიდევ ველური და უსიერი იყო. თანამედროვე სლენგმა ფრაზაში ახალი მნიშვნელობა შეიტანა: „იყო კარგად ავსებული, მთვრალი. გარდა ამისა, ცნობილია, რომ დათვების მოკვლა ძალზე სახიფათოა. დაჭრილი მურა დათვი ზოგჯერ, შესაძლებელია, მონადირეს დაედევნოს. აქედან მომდინარეობს ფრაზის კიდევ ერთი მნიშვნელობაც: „იყო აღჭურვილი“ ან „ზედმეტად აღჭურვილი“ არაორდინალური ნადირობისათვის“.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ძველი ყაიდის ცეცხლსასროლი იარაღის გატენვისას, ტყვია-წამლის რაოდენობა სხვადასხვა გარემოებისათვის განსხვავებული იყო. ციყვზე ნადირობისას წამლის მცირე მოცულობას იყენებდნენ, უფრო დიდი ზომის ცხოველზე კი მისი რაოდენობა გაცილებით მეტი იყო. ამიტომაც, დათვზე ნადირობისას, სიტუაციის ხიფათიდან გამომდინარე, ტყვია-წამლის მაქსიმალურ რაოდენობას ხმარობდნენ. შესაბამისად, გამონათქვამი: „loaded for bear“ სწორედაც რომ შეესატყვისებოდა კონკრეტულ ვითარებას. დათვისათვის ნასროლი მისთვის მომაკვდინებელი უნდა ყოფილიყო ყოველგვარი მომდევნო ხიფათის თავიდან აცილების თვალსაზრისით.

ვ. მასლოვას აზრით, შეუძლებელია მსოფლიო ფრაზეოლოგიურ სურათში ეროვნულ თავისებურებათა გადაჭარბებით შეფასება (მასლოვა, 2001), რამეთუ ძალზე ბევრია საერთაშორისო ფრაზეოლოგიურ ერთეულთა და გამონათქვამთა რიცხვი, რომელიც უშუალოდ იმ რეალური სინამდვილის ცოდნას ემყარება, რომელიც საერთოა მთელი კაცობრიობისათვის ფრაზეოლოგიური სისტემების მწყობრ ჯაჭვში.

## ლიტერატურა

- დიუბუა 2007** — Dubois J. Dictionnaire étymologique. Paris, 2007.
- მასლოვა 2001** — Maslova, V.A. Language Cultural Studies/V.A.Maslova. – Moscow: Academia, 2001.
- გირო 1962** — Giraud, P. Les locutions françaises. Paris, 1962.
- რობერი 1994** — Robert. Dictionnaire des expressions et locutions. Paris, 1994.
- კუნინი 1984** — Koonin, A.V. English Russian Phraseological Dictionary/A.V.Koonin. – 4th Edition. – Moscow: Russian Language, 1984.  
<http://www.doghouse.com/idioms.asp>

## **Etymology of French and English Phraseological Units**

### Summary

The study has proved that the majority of French and English phraseological units have emerged on the national basis. Their sources of origin are highly diversified and belong to different eras. Figurativeness of phraseologisms comes from various fields — material, cultural and social-economic life of the peoples in question. They thoroughly depict the nation's history, life and culture; their spirituality and figurativeness of thinking. Phraseologisms represent the synthesis of a nation's spiritual values. They reconstruct the real picture of the nation's past, explain their characteristic peculiarities, reflect their traditions and habits.

ენო ზუმბურიქი

**ზმნისწინთა სიტყვაწარმოებითი დანიშნულებით  
ბამოქუნების უმთხვევები მხატვრულ  
ლიტერატურასა და დიალექტებში**

ცნობილია, რომ ქართულში ზმნისწინის გამოყენება ახალი ლექსიკური მნიშვნელობის მისაღებად მისი ერთ-ერთი მთავარი და უძველესი ფუნქციაა. ზმნების დიდ ნაწილში ზმნისწინების დართვით ფუძისეული შინაარსი იცვლება ან განსხვავებულ სემანტიკურ ნიუანსს იძენს. მათი საშუალებით გამოიხატება არა მხოლოდ მიმართულება და გეზი, არამედ მოქმედების ინტენსივობა, უნებლიობა და სხვა ნიუანსები. სხვადასხვა ზმნისწინის დართვით წარმოიქმნება: ანტონიმური წყვილები (*წა-ართვა და მი-ართვა, წა-აგო და მო-იგო, გა-იყარნენ და შე-იყარნენ...*); ახალი ლექსიკური ერთეულები (*მი-სწერა წერილი, გა-წერა საავადმყოფოდან, გამო-წერა რეცეპტი, მო-აწერა ხელი; გამო-იწვევს საცეკვაოდ, მი-იწვევს სტუმრად, შე-იწვევს სახლში...*); სემანტიკური ნიუანსით განსხვავებული შინაარსის ზმნები (*მო-კლა და და-კლა; მო-შორდა და გა-შორდა (ცოლს), ჩა-წერა და ჩამო-წერა...*);

ზოგადად, ზმნისწინისა და ზმნური ფუძის კომბინაცია არაა ერთგვაროვანი და დამოკიდებულია როგორც ფუძის, ისე ზმნისწინის სემანტიკაზე (ნ. ლოლაძე, 1999; თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, 2011, 314). ზმნისწინებით გადმოცემული სემანტიკური ნიუანსები იმდენად მრავალფეროვანია, რომ მათი სრულად წარმოჩენა თითქმის შეუძლებელია.

საგულისხმოა ვ. ბოედერის დაკვირვება, რომ ქართულში მოძრაობის გამოსახატავად სისტემატურად გამოიყენება ზმნისწინები, რომელთა მნიშვნელობა არ ემთხვევა იმ მნიშვნელობას, რომელიც ზმნის ფუძით არის გამოხატული: *მიტირის „მიდის და ტირის“; მოლაპარაკობს „მოდის და ლაპარაკობს“; შეიმღერებს „შევა და მღერის“; ქვაბში ხორცს ჩაჭრის „დაჭრის და ჩაყრის“* (ვ. ბოედერი, 2011, 43).

განსაკუთრებით ხშირია გადაადგილების სემანტიკის გადმოცემა ზმნისწინის საშუალებით ხმიანობის გამომხატველ ზმნებთან: დაბზუნის, მირახრახებს, მიჩხრიალებს და სხვ. ეს ზმნური ფუძეები მხოლოდ ზმნისწინების დართვით იღებენ გადაადგილების სემანტიკას (რ. ქურდაძე, 2011, 31). მსგავს ფორმებს სულ უფრო ხშირად მიმართავენ სასაუბრო მეტყველებაში. მოვიყვანთ ნიმუშებს დიალექტებიდან და მხატვრული ლიტერატურიდან:

**გაუწუწუნა** ქვაი და წინაღამ არ მოარტყა! (გაუწუწუნა — შორს ძლიერად ესროლა, ქართლ., მ. მესხიშვილი, 2006);

ამირან, დევი ბაყბაყი **ჩასაუბრობენ** მტრულადა (ჩასაუბრობენ — საუბრით მიდიან თავდაღმართში, ხალხური შემოქმედება, 1);

ისიც რაღაცას **მოღურღურებდა** თავისთვის (მოღურღურებდა — ღურღურით მოდიოდა, რ. ინანიშვილი, „ლოჭინი“);

**გადააჭყაპუნა** თავისი დიდი ჩექმებით აწუნწუნებულ ეზო და მარნის დერეფანში დამსვა (გადააჭყაპუნა — ჭყაპუნით გადაიარა, რ. ინანიშვილი).

უყურებდა, როგორ **მიპბლაოდნენ** გადარჩენილი თურქები თბილისის ციხეებს (მიპბლაოდნენ — მიდიოდნენ და ბლაოდნენ, რ. ინანიშვილი, „ლოჭინი“);

მე გავბრაზდი, ისევ **გავუზუზუნე** ტყვიებივით: ტუუ! ტუუ!.. მაგრამ მელია აღარ გაქცეულა (გავუზუზუნე — ვესროლე და ზუზუნე გამოსცა, რ. ინანიშვილი, „მე და მელია“);

ზმნისწინების დართვით გამოიხატება რაიმესაკენ მიმართული მოძრაობის, გადაადგილების სემანტიკა ნასახელარ ზმნებშიც. შდრ.: ბარგდება — ბარგს კრავს, ამობარგდება — ამოვა ბარგიანად; ალაგებს — წესრიგში მოჰყავს, გამოალაგებს — გამოიტანს და დააწყობს; მოვიყვანთ სათანადო მაგალითებს დიალექტებიდან:



ხომ არ **ამოგებაგავს**? (ამობაგავს — ბაგას ამოასუფთავებს, ნარჩენებს ამოწმენდს; ქართლ.; შ. არაგვ.; ქეგლი); ქიტუამ მოიხსნა გოდორი და **ამობაგვა** დაიწყო (შ. არაგვ.).

ერთი სანთელი **გამომისინათეთ** კიბეზედა (გამომისინათეთ — სინათლე გამომიტანეთ, ქართლ., მ. მესხიშვილი, 2006).

მე ჩემიდან **ამოვჭაჭვავ**, შენ — შენიდან (ამოვჭაჭვავ — მუჭით ამოვიღებ, ზემოაჭარ., შ. ფუტკარაძე, 1993);

სუ იქ **ამოხროვდებიან** სუყველანი (ამოხროვდებიან — ხროვად, გუნდად ამოვლენ, ქართლ., მ. მესხიშვილი, 2006);

გამოჩოჩდებოდა კარებზე, **გამომზიგულდებოდა**, ითბობდა ბებერ ძვლეთსა (გამომზიგულდებოდა — მზეზე გამოვიდოდა, ქართლ., მ. მესხიშვილი, 2006.);

მაყვალს **წავეტოტე** ღობეზედა (წავეტოტე — წავწვდი, ქართლ., მ. მესხიშვილი, 2006);

**წამოუთაროვე**, კუთხე-კუნჭული არ დამიტოვებია და სად გაქრა ის დანა, ვერ გავიგე (წამოუთაროვე — თაროებს დავუარე, დავძებნე, ქართლ. მ. მესხიშვილი, 2006);

იქით **გადაამკლავა** და ალიბუხარი ჩამოკრიფა (გადაამკლავა — მკლავი გადასწია, ქართლ., მ. მესხიშვილი, 2006).

მერე **აიჯაჭვება**, აჯაჭვულში ჯოხუკას გაფუყრით, რომ არ დაიშალოს (მთარაჭ. შინამრეწველობის მასალები, 1935).

**ამოვლილავდით** მიწას და ჩავყრიდით თითო-ოროდ კაკალს (გურ., გრ. იმნაიშვილი, 2006).

ასეთ ფორმებს მიმართავენ მწერლებიც სათქმელის ზედმიწევნით გადმოცემისა და მხატვრული ეფექტის გაძლიერების მიზნით. მხატვრული სიტყვის ოსტატების მიერ შექმნილი ოკაზიონალური ფორმები განსაკუთრებით საინტერესოა ენის სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობების გამოვლენის თვალსაზრისით. მოვიყვანთ ზოგ მაგალითს:

პირი დავიბანე და ძველებურად მადლიანად პირდაპირ **მივეტუ-ჩე** ონკანს (ა. მორჩილაძე, „ობოლე“);

ჩასცდა ბიჭებს, **ჩაიდაბლა** (რ. ინანიშვილი, „ლოჭინი“);

შენა ყოფილხარ, რაც ყოფილხარ! დახვალ მაგ ხნის კაცი და **დამაიმუნობ** (რ. ინანიშვილი, „მელია და მე“);

**ამოითეთრა** კავკასიონმა... ციგომბორიდან კახეთს დავეყურებ (გ. ლეონიძე, „გომბორიდან“);

ზმნისწინის სემანტიკა ზოგჯერ არათუ არ შეესატყვისება, არამედ საპირისპიროა ზმნის ფუძით გადმოცემული მნიშვნელობისა. **არ-ჯობს** არის მაგარ, მკვრივ, მყარ რამეში ამაგრებს, სვამს რაიმეს. **ჩა-არჭო** ზმნის საპირისპირო შინაარსს გამოხატავს ზმნა **ამოაძრო**, რომლის ნაცვლად სასაუბრო მეტყველებაში გვხვდება: ლურსმანი (ნემსი) **ამოარჭო**. ამდენად, **ამო-** ზმნისწინი ამ ძირთან არ იყო მოსალოდნელი, მაგრამ ზმნისწინის სემანტიკამ დაჩრდილა ფუძის სემანტიკა და „ამოაძრო, ამოგლიჯა“ შინაარსის გადმოსაცემად მივიღეთ **ამოარჭო**. ამის მსგავსია შემდეგი მაგალითიც: ისე შემეშინდა, რომ ის ხაჭაპური კინალამ სულმთლად **ამოვეყლაბე** (ა. მორჩილაძე, „ობოლე“).

ზოგჯერ ზმნის ძირით გამოხატული მოქმედების საპირისპირო შინაარსის გადმოსაცემად გამოიყენება **გადა-** ზმნისწინი: ათქმევინებს და გადაათქმევინებს, მოაფიქრებინებს და გადააფიქრებინებს. **გადა-** ზმნისწინის ძირითადი მნიშვნელობა არის დაბრკოლების გადალახვა, რასაც, როგორც ჩანს, აზრობრივად უკავშირდება წარმოდგენილი ზმნების ლექსიკური მნიშვნელობა. დიალექტურ მეტყველებაში დადასტურებულია **გადანათლება** „ნათელ-მირონი გაუქმდება, ძალას დაკარგავს“: რო არ გაწყდეს ნათესაობა, იმათ უნა გვინათლონ ჩვენა, რაკილა ერთი და ერთი ისინი გვინათლამენ, ჩვენ თუ მოუნათლეთ იმათა, **გადანათლება** (მ. მესხიშვილი, 2011, ქართლ.).

მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე ამ შემთხვევაშიც: „ბავშვობა ყოფილა, რაც ყოფილა, იქიდან რაც ისწავლე, მერე **გადასწავლა** ძნელია“ (ა. მორჩილაძე, „ობოლე“); **დასწავლის** საპირისპირო შინაარსის გამომხატველია **გადავიწყება**. სწორედ ეს ზმნა უნდა ყოფილიყო გამოყენებული მოყვანილ წინადადებებში, მაგრამ გვაქვს **გადასწავლა**, რომელშიც ზმნისწინი განსაზღვრავს ზმნის შინაარსს, ფუძის სემანტიკა კი ამისდამესაბამისად იცვლება.

როგორც ცნობილია, **მო-**, **შე-** და **წა-** ზმნისწინები უფრო და უფრო ფართოდ გამოიყენება ნაკლები ინტენსივობით შესრულებული მოქმედების გამოსახატავად: *შე-წითლდა, შე-თვრა, შე-თხელდა... მო-იზარმაცებს, მო-ისულელებს... წა-ითამაშებს, წა-იტირებს...* (თანამედ-

როვე ქართული ენის მორფოლოგია, 2011, 313). ასევე თავისი ძირითადი მნიშვნელობის გარდა სხვა ფუნქციებს იძენს **წამო-** რთული ზმნისწინი. იგი ნაკლები ინტენსივობით და ერთბაშად შესრულებულ მოქმედებას გადმოგვცემს ზმნურ ფუძეებთან, რომლებიც რაიმე ხმის გამოცემას გამოხატავენ: *წამო-იტირა, წამო-აბოდა, წამო-იბუტბუტა, წამო-იგმინა, წამო-იკვნესა, წამო-იღუღუნა* და სხვ. ერთბაშად და მოულოდნელად შესრულებულ მოქმედებას გამოხატავს **წამო-** ზმნისწინი ბოლო დროს სალიტერატურო ენაში გავრცელებულ ფორმაში

### **წამოაგონდა:**

პირველად ცოტენსადმი მიძღვნილი გალექსება **წამოაგონდა** (ტრისტან მახაური, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები).

მოულოდნელად დამფრთხალი წამოიყმუვლებს ძაღლი, თითქოსდა დამლელ დუმილში **წამოაგონდა** რამე (ზ. ებანოძე, „ლამის მაცისცემა“).

ზმნისწინებით გადმოცემული სემანტიკური ნიუანსები მეტად მრავალფეროვანია. ბევრ შემთხვევაში ზმნისწინის შერჩევით ზმნას ფუძით გამოხატული შინაარსისაგან განსხვავებული ლექსიკური მნიშვნელობა ეძლევა. სხვადასხვა ზმნისწინის საშუალებით მოქმედების ნაირსახეობების გამოხატვა და ზმნის სემანტიკის ცვლა უაღრესად საინტერესოა ენის სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობების გამოვლენის თვალსაზრისით.

## **ლიტერატურა**

**ბოედერი, 2011** — ვ. ბოედერი, სივრცული მეტაფორები ქართულ ზმნისწინებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XI, თბ., 2011.

**გოგოლაშვილი, 2011** — გ. გოგოლაშვილი, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა, გიორგი გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, თბ., 2011.

**იმნაიშვილი, 2006** — გრ. იმნაიშვილი, გურული დიალექტი, შესწავლის ისტორია, გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები ლექსიკონითურთ, თბ., 2006.

**ლოლაძე, 1999** — ნ. ლოლაძე, ზმნისწინიან ფორმათა მოტივაციის ზოგიერთი საკითხისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი, VIII, თბ., 1999.

**მესხიშვილი, 2006** — მ. მესხიშვილი, ქართული ლექსიკონი (მასალები), თბ., 2006.

**ფუტკარაძე, 1993** — შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, 1993.

**ქურდაძე, 2011** — რ. ქურდაძე, მოძრაობის (გადაადგილების) აღმნიშვნელი ზმნების სემანტიკისათვის ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში, თანამედროვე ქართული ენის სოციალურ-კულტურული ასპექტები, თბ., 2011.

**შინამრეწველობის მასალები, 1935** — შინამრეწველობის მასალები შეკრებილი ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, თბ. 1935.

**NINO CHUMBURIDZE**

### **Instances of Word-building Use of Preverbs in Literary Works and Dialects**

#### **Summary**

As is known, in Georgian one of the main and oldest functions of preverbs is creating new lexical meanings. Apart from indicating direction, preverbs can also express intensity, involuntariness of an action. Antonymic pairs and new lexical items can be created by applying different preverbs; besides, different shades of meaning can be added to the semantics of a particular verb. In scholarship the word-building function of the Georgian preverb is quite well-studied, however, semantic changes caused by preverbs are so numerous and versatile, that the issue remains to be inexhaustible. The paper discusses instances when the addition of preverbs sufficiently change the semantics of the stem.

ლუიზა ხაჯააშრიძე, ლელა ავალიანი

**ქართულ-არაბული ლონგოკოპულტურული კარალელები  
(დალოცვა-წყევლის ფორმულების მიხედვით)**

სამყაროს აღქმისა და შემეცნების პროცესს თან ახლავს ადამიანის შეგრძნებები, გაცდები, წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული ემოციები, რაც გამოსჭვივის სიტყვებში, ფრაზებში, რომლებსაც ქმნის კონკრეტული სოციუმი.

ჩვენ ერთმანეთს შევუდარეთ ბიბლიური რელიგიის 2 განსხვავებული ეროვნებისა და აღმსარებლობის მქონე ხალხის, მართლმადიდებელი ქართველებისა და მუსლიმანი არაბების მეტყველებაში არსებული წყევლა-დალოცვის ფორმები. საანალიზოდ ავიღეთ ჩვენ მიერ არაბეთი-დამასკოს ექსპედიციაში ჩაწერილი და საქართველო — აწსუ ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის ფონდის მასალები.

დალოცვა-წყევლას დასაბამისეული ისტორია აქვს. ძველ აღთქმაში ხშირად გვხვდება ფორმები, რომლითაც ღვთის მგმობელნი იწყევლებიან და მაქებარნი, ანუ საქმით მადიდებელნი, ღვთისგანვე ილოცებიან. ძველ აღთქმაში აღნიშნული ფორმებით მდიდარია დავით წინასწარმეტყველის მიერ შექმნილი ფსალმუნები, ზოგჯერ მთელი ფსალმუნიც კი ეთმობა ცალკე დალოცვას (ფს.127, 1-6; ფს.133,3...) ან წყევლას (ფს. 54,15; ფს. 10,6; ფს. 108...).

რაც შეეხება ახალ აღთქმას, აქ არსებული **დალოცვა-წყევლის** ფორმულები ძირითადად ძველი აღთქმიდან ციტირებას წარმოადგენს.

აღნიშნული ფორმულები ყველაზე უკეთ გამოხატავენ როგორც ენობრივ, ისე ამ ენის მატარებელთა კულტურულ თავისებურებებსა და რწმენა-წარმოდგენებს, მათი შესწავლა-შეპირისპირება ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა, რადგან ნათლად წარმოაჩინს ამა თუ იმ ენობრივ კოლექტივთა დამოკიდებულებას სა-

მყაროსადმი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთმანეთს შეეუდარეთ ბიბლიური რელიგიის ორი განსხვავებული ეროვნებისა და აღმსარებლობის მქონე ხალხის — მართლმადიდებელი ქართველებისა და მუსლიმი არაბების — მეტყველებაში არსებული წყველა-დალოცვის ფორმები.

**დალოცვა ქართულში:** „დედა ღვთისამ დაგლოცოს, მისი კალთა გფარავდეს!“; „წმიდა გიორგი წინამძღვრობდეს შენ(ს) ოჯახს!“; „გელათის მაცხოვარი გფარავდეთ!“; „წმიდა ბასილის ძალა გფარავდეს, მისი ლოცვის მაღლი შეგწეოდეთ“; „ღმერთმა გაკურთხოს და წყალობა არ მოგაკლოს!“...

**დალოცვა არაბულში:** *yihzi l eñ eññak* — „ღმერთმა დაგიფაროს ავი თვალისაგან!“; *állah yhallik* — „ღმერთმა დაგვიფაროს!“; *állay di mək* — „ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს!“ „ღმერთმა დაგიფაროს!“; *dama* ზმნა აღნიშნავს „გაგრძელებას“, „დაფარვას“, „დაცვას“. *yi'mor betak* „ღმერთმა ააყვას შენი სახლი!“; *rüh ətsahhal* „ღმერთი გფარავდეს!“ (სიტყვასიტყვით: წადი და ყველაფერი მარტივად, კარგად და წარმატებულად გქონოდეს!)

**წვევლის ფორმულები ქართულში:** „ხატებო, ყველა ანგელოზებო, გთხოვთ დამეხმაროთ, ჩემი გამამწარებელი გაამწარეთ“; „მიქელგაბრიელ, მთავარანგელოზო, გეხვეწები, შემისრულე ჩემი წყევლა, მითხარი ბანი“; „წმიდაო გიორგი, შენ გევედრები, შენი მახვილით მოსპე ჩემი მტერი და ოჯახის გამამწარებელი!“; „ამომავალი მზის ძალო და მაღლო, მზის ანგელოზო, შენ არ გაუთენო ჩვენ დამაქცევარს, მოუსპე ნათელი!“; „ჩემი გამქურდავი გაიპარა მიწაში, ჩემგან წაღებული შეერგოს აღაპად, საკურთხად; „როგორც შემარგე, ისე შეგერგოს წირვის მაღლი“...

**წვევლის ნიმუშები არაბულში:** *žárab!* — „დაე, ბღერით დაავადდე!“; *l eámā yidərbak* „დაე, დაბრმავდე!“ *la žahannam* „ჯანდაბამდე გზა გქონია!“; *l'eēn titərqak* „დაე, გათვალონ!“; *'abūk 'alā abū 'abūk* „ღმერთმა დაწყევლოს მამაშენი და ყველა შენი წინაპარი“; *ələ 'qrūd wi š šayaṭīn tāhdak* „ეშმაკმა წაგიღოს!“ (სიტყვასიტყვით: „მაიძულებმა და ეშმაკებმა წაგიღონ“); *yíqref eímro* „ეშმაკმა წაიღოს!“ (სიტყვასიტყვით: დაე, მისი სიცოცხლე შეწყდეს!“ *qrf* — „სიცოცხლის მოსწრა-

ფება“); **tqūm qyāmtak** — „ჯანდაბამდე გზა გქონია!“; **tiži kasra** „ემ-  
 მაკსაც წაუღია!“ (სიტყვასიტყვით: დაე, გაკოტრდეს, გაეფლანგოს  
 ქონება!“); **yīleab bi l ‘arbēa w rāso l hāmes** — „დაე მოკვდეს!“ (სი-  
 ტყვასიტყვით: „ოთხმა ითამაშოს და მისი თავი მეხუთე იყოს“ (ანუ  
 ოთხმა ათამაშოს მხარზე გადებული). აღნიშნულის ანალოგიური  
 გვხვდება ქართულშიც: „**ოთხმა გაგიტანოს!**“; **yīlean ‘abūk** — „წყეუ-  
 ლიმც იყავ!“ (სიტყვასიტყვით: „წყეულისმც იყოს მამაშენი !“); **yil‘an**  
**al bāzārāq** „წყეულისმც იყავ!“ (სიტყვასიტყვით: „წყეულისმც იყოს შე-  
 ნი თესლი!“); **tiḡik mōḡe** — „ჯანდაბამდე გზა გქონია!“ (სიტყვასიტყ-  
 ვით: „ტალღებსაც წაუღიხარ!“; **yib‘atlak himmā** — „ჭლექით დაავა-  
 დებულებიყავი!“

განხილული მასალა ცხადყოფს, რომ მიუხედავად რადიკალურად  
 განსხვავებული კულტურებისა, წყევლა-დალოცვის ფორმულები ხშირ  
 შემთხვევაში ქართულსა და არაბულში ერთმანეთის თანხვედრია.  
 ორივეგან გვხვდება ღვთის ხსენება... ჯანმრთელობის, ბარაქის, გა-  
 მრავლების სურვილი თუ მათი ანტონიმები.

განსხვავება ძირითადად მდგომარეობს ერთგვარ ეფემიზაციაში,  
 რასაც პირდაპირი კავშირი აქვს უძველეს ენობრივ ტაბუსთან, რომე-  
 ლიც კრძალავდა საშიში მოვლენების პირდაპირ დასახელებას. მაგა-  
 ლითად, ქართულში, განსხვავებით არაბულისგან, იშვიათია ეშმაკის  
 ხშირი ხსენება წყევლის ფორმულებში, მას სინონიმად გააზრებული  
 „ჯანდაბა“, „მოუსვლელი“ ცვლის, რადგან, ქართველთა რწმენით,  
 ბოროტის ხსენება მის გამოწვევას ნიშნავს და უმჯობესია, თავი და-  
 ვიცვათ და ტაბუ დავადოთ, ან მისი არაპირდაპირი სახელი გამოვი-  
 ყენოთ.

საერთო ჯამში კი ქართულსა და არაბულში დაფიქსირებულ  
 ემოციების გამოხატველ ფორმათა ქმნალობა დამოკიდებულია ადამი-  
 ანთა რწმენა-წარმოდგენებზე, ინტელექტზე, განათლების დონესა და  
 კრიატიულობაზე. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ  
 არსებობს უნივერსალური ადამიანური ფასეულობები, რომლებსაც  
 ყველა კერძო კულტურა თავისი პრიზმიდან აღწერს და ხშირ შე-  
 მთხვევაში თანხვედება სრულიად დაშორებულ და განსხვავებულ  
 კულტურებში არსებულს.

## ლიტერატურა

**ავალიანი, 2007** — ლ. ავალიანი, სირიის არაბთა რესპუბლიკაში ჩაწერილი მასალები, ქუთაისი—ალეპო, 2007;

ახალი აღქთემა, გიორგი და ექვთიმე მთაწმიდელების თარგმანთა გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2003

**ბარანოვი, 1989** — X. Баранов, Арабско-русский словарь, М., 1989

ბიბლია, თბ., 1989

**დსკი** — დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფონდის მასალები; F — ორპირი; D — სვანეთი; C — ხონი; L — სამეგრელო; T — ქუთაისი

М.эль-Массарани, В.С.Сегаль, Арабско-русский словарь сирийского диалекта, М., 1978

**ნაზარიანი, 1985** —А. Назарян, Фразеология современного французского языка. М., 1985

**სახოკია, 1979** — თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979

ფსალმუნნი მეფის დავითისა, თბ., 1989

**ხაჭაპურიძე, 2006** — ლ. ხაჭაპურიძე, ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულები ქართველი მართლმადიდებელი მრევლის მეტყველებაში, ქუთაისი, 2006.

LUIZA KHACHAPURIDZE, LELA AVALIANI

### Georgian-Arabic Linguocultural Parallels (on the material of blessing and cursing formulas)

#### Summary

As is known, the process of outer world perception is emotionally charged, i.e. it is accompanied by feelings, emotions, culture specific attitudes that are reflected in the lexis of a particular language community. The paper examines samples of Georgian and Arabic blessing and cursing



formulas arguing that lexical items in question reveal most precisely linguocultural and religious peculiarities of native speakers, show cultural specificity of the world outlook of Orthodox Georgians and Arab Muslims. The empirical data comprises corpus of Arabia-Damascus expedition accumulated by the authors.

The contrastive analysis has shown that the Georgian and Arabic formulas reveal certain similarities: they contain the reference to God, wishes for well-being, wealth, multiplication as well as their opposites. Like the Arabic cursing formulas, Georgian curses do not contain frequent mention of devil, the latter being replaced by the lexical units 'jandaba' and 'mousvleli'. Despite cultural differences, in many a case Georgian and Arabic blessing and cursing formulas seem identical, the main difference lies in the ways of euphemization. The similarities can be explained by the existence of certain values that are universal across cultures.

რუსულან ჯაფარიძე

ზოგი რამ სინესთეზიის შესახებ

***"It is imagination that first taught man the moral meaning of color, of contour, of sound, and of scent. In the beginning of the world it created analogy and metaphor.***

*Charles Baudelaire*

როგორც ცნობილია, ადამიანის მიერ სამყაროს აღქმა და შეცნობა დამოკიდებულია 5 ძირითად გრძნობაზე: სმენა, შეხება, ხედვა, ყნოსვა და გემო. ეს გრძნობები არა მარტო სამყაროსთან ურთიერთობისთვის გვჭირდება, არამედ ყოველდღიურ კომუნიკაციაში. საყურადღებოა, რომ ხშირად ყოფით მეტყველებაში აღნიშნულ აღქმის ტიპებს წარმოვადგენთ არა განცალკევებულად, განყენებულად, არამედ შერწყმულად, სინესთეზურად. მათი შერწყმა ხდება მეტაფორის საშუალებით. მეტაფორა ხომ სენსორული ცნებების უნივერსალური მთარგმნელია (***Metaphor is a universal translator of sensory concepts*** — ჰეირმენი, 2005). მაგალითად, ქართულში ხშირად ვიყენებთ ისეთ ფრაზებს როგორცაა: მყვინთა ფერები, ცივი ხმა, ტკბილი ხმა, მწარე მოგონება, ტკბილი სიზმრები. ინგლისურ ენაში კი ვხვდებით შემდეგ მეტაფორებს: **sweet personality, bright idea, bright future, cool and warm colours, sweet music, frozen silence, bitter cold, prickly laugh.** ჩამოთვლილი მაგალითები არის სინესთეზური მეტაფორის ნიმუშები.

სინესთეზია (ბერძნ. **Συναίσθησις** — ერთდროული შეგრძნება, ერთობლივი გრძნობა, თანაშეგრძნება) ფსიქოლოგიაში აღქმის მოვლენაა, როდესაც ერთი გრძნობის ორგანოს გაღიზიანებისას მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური შეგრძნების პარალელურად ჩნდება სხვა გრძნობის ორგანოსთვის დამახასიათებელი შეგრძნებაც, მაგ.:

ყნოსვითი აღქმის ფერთან დაკავშირება, სმენითი აღქმის ფერთან დაკავშირება და ა.შ.

ცნობილია, რომ ყველა ადამიანი მეტ-ნაკლებად სინესთეზურად აღიქვამს სამყაროს. ეს ვლინდება ენობრივ დონეზე, ლექსიკური ერთეულების საშუალებით.

რა ფერისაა ასო „ა“? რისი გემო აქვს ციფრს „1“? შეიძლება თუ არა მუსიკას ჰქონდეს რამე ფორმა ან გემო? მსგავს კითხვებს ადამიანთა უმეტესობისგან პასუხად ან კატეგორიული „არა“ ან გაცემა მოსდევს, არადა ეს კითხვები სრულიად ბუნებრივად უღერს იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც სინესთეზებს უწოდებენ.

ამ ფენომენის ამოხსნას ცდილობენ სხვადასხვა დარგის მეცნიერები. სინესთეზია არის ისეთი დისციპლინების კვლევის ობიექტი, როგორცაა: ფსიქოლოგია, ნეიროფსიქოლოგია, ლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა. სინესთეზიას ბევრი რამის თქმა შეუძლია ფსიქოლინგვისტიკაზე: კერძოდ, რის საშუალებას აძლევს ენა გონებას და პირიქით — გონება ენას.

სინესთეზიის კვლევის ზენიტად მიიჩნევენ მე-18 საუკუნის დამლევსა და მე-19 საუკუნის დასაწყისს. ცნობილი ადამიანებიდან სინესთეტები იყვნენ: კომპოზიტორი ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი, უნგრელი კომპოზიტორი ფერენც ლისტი, რუსი კომპოზიტორი ალექსანდრე სკრიაბინი, რუსი მხატვარი ვასილი კანდინსკი და სხვა. ***“Colour is the key. The eye is the hammer. The soul is the piano with its many chords. The artist is the hand that, by touching this or that key, sets the soul vibrating automatically”*** (კანდინსკი, 1986).

მეტაფორის თანამედროვე თეორიების თვალსაზრისით, მეტაფორა არის არა წმინდა ლინგვისტური, არამედ აზროვნებითი, კოგნიტური მოვლენა. ეს გულისხმობს ტრანსფერს, გადატანას წყარო სფეროსა (source domain) და სამიზნე სფეროებს (target domain) შორის. მაგ: **sweet melodies** — ამ მაგალითში გემო არის წყარო, ხოლო სამიზნე სფერო — სმენა. ამის მიხედვით სინესთეზიის ორ ფორმას განასხვავებენ: ძლიერსა და სუსტს. ძლიერი ტიპის სინესთეზურ მეტაფორაში ორივე — წყარო და სამიზნე სფერო პერცეფტუალურია, სუსტი ტიპი კი წარმოდგენილია ერთი პერცეფტუალური სფეროთი. განსხვავება ძლიერსა და სუსტ ფორმებს შორის არის სამიზნე სფე-

რო, ეს ნიშნავს იმას, რომ ძლიერი სინესთეზური მეტაფორების სტრუქტურა მოიცავს სინესთეზურ მსაზღვრელსა და საზღვრულს, მაშინ როდესაც სუსტ ფორმებში საწყისი სფერო მომდინარეობს პერცეფტუალური სფეროსაგან. საწყისი სფერო უნდა იყოს პერცეფტუალური, სხვაგვარად მეტაფორა ვერ იწოდება სინესთეზურ მეტაფორად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძლიერ სინესთეზურ მეტაფორებში ორივე — როგორც სამიზნე, ისე საწყისი სფერო არის პერცეფტუალური. ხოლო სუსტ სინესთეზურ მეტაფორებში მხოლოდ ერთი პერცეფტუალური სფეროა წარმოდგენილი.

სინესთეზია ყოველთვის იყო ფუძემდებლური პრინციპი ხელოვნების ესთეტიკური შემეცნებისა და განცდისა. სინესთეზური ხედვის გარეშე არ იარსებებდა ხელოვნება (**„Without a synesthetic way of looking at the world, there would be no art“** ჰეირმენი, 2005). გარკვეულწილად, ხელოვნების ყველა ფორმა სინესთეზურია. თუმცა, რა თქმა უნდა, არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება თანდაყოლილ სინესთეზიასა და ხელოვნურ სინესთეზიას შორის.

1) სინესთეტიკისთვის სინესთეზია განუყოფელი ნაწილია მისი გრძნობითი აღქმისთვის (თანდაყოლილი სინესთეზია).

2) მხატვრისთვის სინესთეზური ხელოვნება შედეგია მხატვრული განზრახვისა (ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნური სინესთეზია).

ძნელია გამიჯნო, სად გადის ზღვარი ამ ორს შორის.

სინესთეზიის მრავალგვარი კატეგორიზაცია არსებობს, მაგრამ აღქმის ტიპების ჩართულობის მიხედვით განასხვავებენ 2 სახის სინესთეზიას: ორი აღქმის ტიპის სინესთეზზე დაფუძნებულსა და ორზე მეტი აღქმის ტიპისგან მიღებულ სინესთეზიას. ამ უკანასკნელის მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ გ. ტაბიძის პოეზიიდან:

**„ღამის წყვდიაღში მე შემომესმა სურნელი ნაზი“** (გალაკტიონი, 1982 — „საახალწლო ეფემერა“)

ამ სინესთეზურ მეტაფორაში ჩართულია აღქმის სამი ტიპი: სმენა — „შემომესმა“, ყნოსვა — „სურნელი“ და შეხება — „ნაზი“.

ჯონ კიტსის პოეზიაში ვხვდებით შემდეგ მეტაფორას:

**„In ripest quiet, shadows of sweet sounds“** (J.Keats-„Lines“)

ეს სინესთეზური მეტაფორა მიღებულია ოთხი აღქმის ტიპის შერწყმით: 1. ვიზუალური აღქმა — „shadows“; 2. გემოს აღქმა — „sweet“; 3. სმენითი აღქმა — „sounds“; 4. გემოს აღქმა — „ripest“.

პირველი ტიპის სინესთეზიის მაგალითები უფრო ხშირად გვხვდება იქ, სადაც ორი აღქმის ტიპია ჩართული. ამ ტიპის სინესთეზიის მაგალითების მოყვანა შეიძლება ორივე ენის (როგორც ინგლისური, ასევე ქართული) მასალიდან:საინტერესოა გალაკტიონის შემოქმედება სინესთეზური მეტაფორების შესწავლის თვალსაზრისით. გალაკტიონი — ეს სახელიც ხომ თვითონ მეტაფორას წარმოადგენს. უფრო მეტი თვალსაზრისებისთვის შევეცდები მოვიყვანო სინესთეზური მეტაფორის მაგალითები, რომლებიც სხვადასხვა აღქმის ტიპის სინესთეზის შედეგად არის მიღებული. მაგალითები დაჯგუფებულია წყარო სფეროს აღქმის ტიპის მიხედვით:

### გემო

სმენითი ← გემოვნებითი

1. „მოწყენილ კაცთა **ხარხარი მწარე**“ (გალაკტიონი, 1982 „გეტრა“)

ამ მაგალითში სამიზნე სფერო „ხარხარი“ წარმოდგენილია ისეთი წყარო სფეროს საშუალებით, როგორცაა „მწარე“.

სამიზნე სფერო არის ის სიტყვა(ხშირად აბსტრაქტული), რომლის ახსნაც სურს პოეტს, ამას წყარო სფეროს საშუალებით ახერხებს.

სმენითი ← გემოვნებითი

2. „და ვეთხოვები **მწარე კვითინით**“ (გალაკტიონი, 1982 — „სად?“)

### შეხება

ვიზუალური ← ტაქტილური

1. „ეს იყო **უნაზესი** ჩემი **ოცნება**“ (გალაკტიონი, 1982 — „ავკლას იქით“)

სმენითი ← ტაქტილური

3. „**უნაზესი** ისმის **ხმა** საკრავების“ (გალაკტიონი, 1982 — „ლაჟვარდ ცაზე დღეა თეთრი კრავების“)

### ტემპერატურა

შეხებას, როგორც აღქმის ერთ-ერთ ტიპს, გამოეყო ქვევჯუფი „ტემპერატურა“, რომელსაც მიეკუთვნება შემდეგი მეტაფორები:

სმენითი ← ტაქტილური

1. „**ცივ და** მიუსაფარი **მღუმარების** გარეშე“ (გალაკტიონი, 1982 — „ლურჯა ცხენები“)

2. „ეს მწუხარე და **მწველი ზუზუნი**“ (გალაკტიონი, 1982 — „ავდრის მოლოდინი“)

ეს მაგალითები ამავე დროს არის პერსონიფიკაციის ნიმუშებიც.

### სმენა

ყნოსვითი ← სმენითი

„და **სურნელება** მათი იების **ესმის**, ვით მძაფრი საშინელება“ (გალაკტიონი, 1982 — „დალუქულ ფოლიანტთან“)

ვიზუალური ← სმენითი

1. „რამდენი რამე ვერ ავიხსნიათ ვერც **ჩუმი ცრემლით**“ (გალაკტიონი, 1982 — „ახსნა“)

### ხედვა

სმენითი ← ვიზუალური

1. „მატარებლის დამღალავი **ხმაური**, რაღაც **მღვრიე**“ (გალაკტიონი, 1982 — „იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს!“)

2. „და ღამეების **შავი გუგუნი**“ (გალაკტიონი, 1982 — „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“)

ემპირიულ მასალაზე დაკვირვების შედეგად (მასალა მოიცავს გალაკტიონის 453 ლექსის 200 მაგალითს) გამოვლინდა შემდეგი კატეგორიალური წყვილები:

ორი აღქმითი კატეგორიის შერწყმის შედეგად მიღებული:

აღქმითი კატეგორიები	რაოდენობა	%
წონითი-ვიზუალური	4	2%
წონითი-აბსტრაქტული	6	3%
წონითი-სმენითი	2	1%

გემოვნებითი-აბსტრაქტული	19	9,5%
გემოვნებითი-სმენითი	16	8%
გემოვნებითი-ვიზუალური	9	4,5%
გემოვნებითი-დროისმიერი	2	1%
სივრცობრივი-აბსტრაქტული	14	7%
სივრცობრივი-დროისმიერი	3	1,5%
სივრცობრივი-ვიზუალური	4	2%
სივრცობრივი-ტაქტილური	1	0,5%
სმენითი-აბსტრაქტული	5	2,5%
სმენითი-ვიზუალური	6	3%
სმენითი-სმენითი	1	0,5%
სმენითი-დროისმიერი	1	0,5%
სმენითი-ყნოსვითი	1	0,5%
დროისმიერი-ვიზუალური	4	2%
დროისმიერი-აბსტრაქტული	2	1%
დროისმიერი-ყნოსვითი	1	0,5%
ტემპერატურა-ვიზუალური	3	1,5%
ტემპერატურა-აბსტრაქტული	4	2%
ტემპერატურა-სმენითი	4	2%
ტემპერატურა-დროისმიერი	1	0,5%
ტაქტილური-სმენითი	2	1%
ტაქტილური-ვიზუალური	3	1,5%
ტაქტილური-აბსტრაქტული	5	2,5%
ვიზუალური-ვიზუალური	2	1%
ვიზუალური-აბსტრაქტული	26	13%
ვიზუალური-სმენითი	15	7,5%
ვიზუალური-ტაქტილური	1	0,5%
ვიზუალური-დროისმიერი	5	2,5%

სამი აღქმითი კატეგორიის შერწყმის შედეგად მიღებული:

აღქმითი კატეგორიები	რაოდენობა	%
გემოვნებითი-აბსტრაქტული-სივრცობრივი	1	0,5%
სმენითი-აბსტრაქტული-ვიზუალური	3	1,5%
სმენითი-ვიზუალური-სმენითი	1	0,5%
ტაქტილური-აბსტრაქტული-ვიზუალური	5	2,5%
ტაქტილური-ვიზუალური-სმენითი	5	2,5%
ტაქტილური-ტემპერატურა-აბსტრაქტული	4	2%
ტაქტილური-სმენითი-ყნოსვითი	1	0,5%
ტაქტილური-ვიზუალური-დროისმიერი	1	0,5%
ტაქტილური-ვიზუალური-ვიზუალური	1	0,5%
ვიზუალური-სმენითი-ვიზუალური	1	0,5%
ვიზუალური-ვიზუალური-ყნოსვითი	1	0,5%
ვიზუალური-ვიზუალური-აბსტრაქტული	1	0,5%
ვიზუალური-ტაქტილური-სივრცობრივი	1	0,5%

ოთხი აღქმითი კატეგორიის შერწყმის შედეგად მიღებული:

აღქმითი კატეგორიები	რაოდენობა	%
ტაქტილური-ტემპერატურა-ვიზუალური-აბსტრაქტული	1	0,5%
გემოვნებითი-დროისმიერი-სმენითი-ვიზუალური	1	0,5%

საინტერესოა ჯონ კიტსის პოეზია სინესთეზიასთან მიმართებით. როგორც ერთ-ერთი კრიტიკოსი აღნიშნავს, კიტსის პოეზია არ არის მდიდარი სმენასთან ან ყნოსვასთან დაკავშირებული ეპითეტებით, მასში ჭარბობს ტაქტილური და გემოსთან დაკავშირებული ეპითეტები.

უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი მისი პოეზიიდან:

„An echo of **sweet music** doth create“ (J. Keats-Epistle To John Hamilton Reynolds)



მოცემულ მაგალითში გაერთიანებულია გემოსა და სმენის კატეგორიები.

„**Atsweet life leaving,**

**At a touch sweet Pleasure melteth“** (J. Keats- Faery Songs)

ამ მაგალითში გემოს კატეგორია შერწყმულია ისეთ აბსტრაქტულ კატეგორიასთან, როგორცაა სიამოვნება და სიცოცხლე.

„**Themelting softness of that face“** (J. Keats-Fill For Me ABrimmingBowl)

სინაზე აღქმულია როგორც სითხე:ტაქტილური-ვიზუალური

„**I should have felt a sweet relief“** (J. Keats-Fill For Me ABrimmingBowl)

გემოს კატეგორია — ტკბილი — წარმოდგენილია ისეთ აბსტრაქტულ კატეგორიასთან სინთეზში, როგორცაა შვება.

„**Oh, the sweetness of the pain!“** (Fragment. Welcome Joy, And Welcome Sorrow)

მოცემულ მაგალითში ფიზიკური ტკივილი გემოვნებითი აღქმით არის წარმოდგენილი.

„**But with a sweet forgetting“** (J. Keats-In Drear-Nighted December)

მენტალური პროცესი — დავიწყება — აღქმულია გემოს კატეგორიით.

კიტსის პოეზიიდან შემთხვევითობის პრინციპით აღებული 50 ლექსში მოიძებნა სინესთეზური მეტაფორის 90 მაგალითი, რომლებშიც დადგინდა შემდეგი კატეგორიალური წყვილები:

აღქმითი კატეგორიები	რაოდენობა	%
გემოვნებითი-ტაქტილური	1	1,1%
გემოვნებითი-სმენითი	10	11,1%
გემოვნებითი-ვიზუალური	11	12,2%
გემოვნებითი-აბსტრაქტული	10	11,1%
გემოვნებითი-სმენითი	1	1,1%
გემოვნებითი-დროისმიერი	1	1,1%
ვიზუალური-აბსტრაქტული	3	3,3%
ტაქტილური-ვიზუალური	4	4,4%
ტაქტილური-სმენითი	6	6,7%

დროისმიერი-ვიზუალური	1	1,1%
ვიზუალური-ვიზუალური	1	1,1%
ვიზუალური-სივრცობრივი	1	1,1%
ვიზუალური-სმენითი	2	2,2%
სმენითი-აბსტრაქტული	1	1,1%
წონითი-სმენითი	2	2,2%
ტაქტილური-აბსტრაქტული	3	3,3%
სივრცობრივი-აბსტრაქტული	4	4,4%

სამ აღქმით კატეგორიაზე დაფუძნებული:

აღქმითი კატეგორიები	რაოდენობა	%
გემოვნებითი-ვიზუალური-ტაქტილური	8	8,9%
გემოვნებითი-აბსტრაქტული-ვიზუალური	3	3,3%
ტაქტილური-ვიზუალური-სმენითი	1	1,1%
ვიზუალური-ტაქტილური-ტემპერატურა	4	4,4%
ვიზუალური-სივრცობრივი-ვიზუალური	1	1,1%
სივრცობრივი-აბსტრაქტული-ვიზუალური	2	2,2%
სმენითი-აბსტრაქტული-გემოვნებითი	1	1,1%
გემო-ტაქტილური-აბსტრაქტული	1	1,1%
გემო-ვიზუალური-სმენითი	1	1,1%
გემო-აბსტრაქტული-აბსტრაქტული	1	1,1%
ვიზუალური-აბსტრაქტული-ვიზუალური	1	1,1%
ტემპერატურა-ტაქტილური-აბსტრაქტული	3	3,3%

ოთხ აღქმით კატეგორიაზე დაფუძნებული:

აღქმითი კატეგორიები	რაოდენობა	%
ტემპერატურა-ტაქტილური-აბსტრაქტული-ვიზუალური	1	1,1%

თუ გადავხედავთ ზემოთ მოცემულ ცხრილს, შევნიშნავთ, რომ ყველაზე მაღალბროცენტულ წყვილებში ერთ-ერთი კატეგორია არის

ან გემოვნებითი ან ტაქტილური, რაც ამტკიცებს, რომ კიტსის პოეზიაში ეს ორი კატეგორია სჭარბობს სხვა აღქმით კატეგორიებს.

სინესთეზური აღქმა საინტერესოა მით უფრო, რომ ის გვეხმარება არა მხოლოდ შემოქმედებით სფეროში, არამედ ყოფით ცხოვრებაშიც; მიღებული ინფორმაცია ჩვენი გრძნობების რაც უფრო მეტ აღქმით პრიზმას გაივლის, მით უფრო სრულყოფილ წარმოდგენას მოგვცემს ამა თუ იმ მოვლენაზე.

ინგლისურსა და ქართულ ლიტერატურაში მოპოვებული მაგალითების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თუ ჯონ კიტსის ლექსებში აშკარად ჭარბობდა გემოსა და შეხებასთან დაკავშირებული სინესთეზური მეტაფორები, გალაკტიონის შემოქმედება უფრო მრავალფეროვნებით არის წარმოდგენილი და მასში ყველაზე ხშირად გვხვდება ვიზუალური და სმენითი აღქმითი კატეგორიები.

### **ლიტერატურა**

- დეი, 1996** — Day. S, Synaesthesia and Synesthetic Metaphors, 1996;
- იოუნი, ტაილერი, 2003** — Ione. A, and Tyler. Ch, Neurohistory And the Arts- Was Kandinsky a Synesthete? Journal of the History of the Neurosciences, 2003, vol. 12, No. 2, pp. 223-226;
- იუ, 2003** — Yu. N, Synesthetic metaphor: A cognitive perspective, 2003;
- კანდინსკი, 1986** — Kandinsky. W, Concerning the Spiritual in Art- (New York: Dover Publications) 1986;
- მარტინო, მარქსი, 2001** — Martino. G and Marks. L. E, Synesthesia: Strong and Weak- American Psychological Society, 2001;
- ორლანდატოუ, 2009** — Orlandatou. K, Synesthesia And Art, March, 2009;
- ტაბიძე, 1982** — გ. ტაბიძე „რჩეული“, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1982;
- ციტოვიჩი, 2002** — Cytowic. R .E, Touching Tastes, Seeing Smells- and Shaking Up Brain science- M.D, Cerebrum, 2002;
- ჰეირმენი, 2005** — Dr. Hugo Heyrman, Art and Synesthesia: in search of the synesthetic experience, 2005;
- ჰერი, 2000** — Heer. J, A Review of Synesthesia, November 29, 2000.

გამოყენებული ინტერნეტ-რესურსები:

1.<http://en.wikipedia.org/wiki/Synesthesia>

2.<http://www.poemhunter.com/john-keats/>

RUSUDAN JAPARIDZE

## Some Points On Synesthesia

### Summary

The paper examines the phenomenon of synesthesia cross-culturally on material from English and Georgian. The conceptual metaphor theory forms the theoretical basis of the study. The empirical data embraces samples of spoken discourse as well as the poetic works by the English romanticist poet John Keats and the Georgian symbolist poet Galaktion Tabidze.

As is well known, synesthesia (derived from the Greek words *syn* - union and *aesthesis* - sensation), is a remarkable experience of cross-sensory perception i.e. stimulation of one sensory modality consistently causes sensation in one or more other senses; synesthetic experiences being often driven by symbolic rather than sensory representations.

The analysis of the empirical data has proved that English and Georgian common core vocabulary is abundant in synesthetic metaphors. The paper discusses both types of synesthetic metaphor: strong (having sense related terms both in source and target domains) and weak (having a sense related term only in the source domain).

Special emphasis is placed upon the types of synesthetic metaphor evidenced in the works by Keats and Galaktion. The study of the empirical data has shown that Keats' poetry is rich in synesthetic metaphors with the combination of touch and taste domain, whereas in Galaktion's works the metaphors with the categories of vision and hearing prevail.

რუსულან ჯაფარიძე

**რამდენიმე კონცეპტუალური მეტაფორა ინგლისურსა  
და ქართულში**

*"You don't see something until you  
have the right metaphor to let you  
perceive it"*

*Robert Stetson Shaw*

„1954 წელს რობერტ ვინერმა, ინფორმაციის თეორიის ერთ-ერთმა ავტორმა, „კიბერნეტიკის მამად“ წოდებულმა, განაცხადა: „ამა თუ იმ საზოგადოების გაგება შეიძლება მხოლოდ იმ შეტყობინებებისა და საკომუნიკაციო საშუალებების მიხედვით, რომლებიც ამ საზოგადოებას ეკუთვნის“. ვინერის ეს განაცხადი არასოდეს აღმიქვამს ისე, თითქოს ის ეხებოდა სატელეფონო სისტემის ადეკვატურობასა და მის მასშტაბებს. ვინერი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანებს შორის არსებული კომუნიკაციის ბაზისურ პროცესებს გულისხმობდა“ (რედი, 1979).

ჩვენი კომუნიკაცია ბევრწილად არის დამოკიდებული ფიგურალურ გამონათქვამებზე. ამ მხრივ მეტაფორას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენ ვერც კი ვამჩნევთ ზოგჯერ, თუ რამდენად ხშირად მივმართავთ მეტაფორებს ყოველდღიურ მეტყველებაში. რატომ ვანიჭებთ მათ გამოყენებას ასეთ უპირატესობას? პასუხი არც ისე რთულია: მეტაფორა არა მხოლოდ „ალამაზებს“ უმეტეს შემთხვევებში უშინაარსო და არაფრისმთქმელ ტექსტებს, არამედ სხვადასხვა პრაგმატიკულ მიზნებს ემსახურება. უმეტეს შემთხვევებში მეტაფორას შეუძლია გადმოგვცეს ის, რისი პირდაპირ/სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით გამოხატვა რთულია; გვეხმარება იმ სიტუაციებში, როდესაც არსებობს საფრთხის შექმნის საშიშროება, როდესაც უფრო მართებულია სათქმელის არაპირდაპირი გზით გამოხატვა; უფრო მეტ

სიცხადესა და ხატოვანებას მატებს მეტყველებას; გვეხმარება არგუმენტის სტრუქტურირებაში; ის ახალი თვალთახედვით წარმოგვიდგენს ამა თუ იმ საგანსა და მოვლენას.

მეტაფორის მრავალ თეორიათა შორის ყველაზე ფართოდაა გავრცელებული „კონცეპტუალური მეტაფორის თეორია“, რომლის ავტორებიც არიან ამერიკელი ანთროპოლოგი და ლინგვისტი ჯორჯ ლეიკოფი და ფილოსოფოსი მარკ ჯონსონი. მათი კვლევის სიახლე მდგომარეობს შემდეგში: არა მარტო ჩვენი ენა, არამედ აზროვნებაც მნიშვნელოვანწილად მეტაფორულია და ადამიანის ცნებითი სისტემა მეტაფორებითაა განსაზღვრულ-განპირობებული. მეტიც, მეტაფორული ენობრივი გამონათქვამის არსებობაც მხოლოდ იმიტომაა შესაძლებელი, რომ ადამიანის ცნებით კატეგორიაში არსებობს მეტაფორები. ლეიკოფისა და ჯონსონის აზრით, მთელი ჩვენი კონცეპტოსფერო თავისი არსით მეტაფორულია. მეტაფორულ კონცეპტუალურ სისტემას ექვემდებარება აბსტრაქტული სფერო, მათ შორის ემოციური სამყაროც. კონცეპტუალური მეტაფორა გულისხმობს ერთი აბსტრაქტული კონცეპტის გადმოცემას უფრო კონკრეტული ცნებით. კონცეპტუალური სფეროები მოიცავენ ორ ძირითად ნაწილს: საწყისი სფერო, საიდანაც ვქმნით მეტაფორულ გამოთქმებს და სამიზნე სფერო, რომლის გაგებასაც ჩვენ ვცდილობთ (ლეიკოფი, ჯონსონი, 1980).

როგორც ცნობილია, კონცეპტი არის ის, რისი საშუალებითაც კულტურა შემოდის ადამიანის მენტალურ სამყაროში და ამავე დროს კონცეპტი არის ის, რისი საშუალებითაც ადამიანი თავად შედის კულტურაში. ადამიანის აზროვნება კი შუამავალია ენასა და კულტურას შორის. ენისა და კულტურის ურთიერთობის შესწავლა შეუძლებელია ამ შუალედური რგოლის გარეშე (ამირეჯიბი, ინტ. წყ.).

განასხვავებენ კონცეპტუალური მეტაფორის რამდენიმე სახეობას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტიპია ე.წ. „ორიენტაციული მეტაფორები“, რომლებიც დაკავშირებულია სივრცეში ორიენტაციასთან, მაგ: „ზემოთ-ქვემოთ“, „ვიგნით-გარეთ“, „ცენტრალური-პერიფერიული“ და ა.შ.

განვიხილოთ კონცეპტუალური მეტაფორის, კერძოდ კი, ორიენტაციული მეტაფორის ერთ-ერთი მაგალითი: **HAPPINESS IS UP-ბედ-**

**ნიერება არის ზემოთ.** სამიზნე სფერო **ბედნიერება** დანახულია ისეთი საწყისი სფეროს საშუალებით, როგორცაა **სიმაღლე**. დაკვირვებამ ცხადყო, რომ ინგლისურსა და ქართულში არსებობს ბედნიერების გამომხატველი რამდენიმე მეტაფორული გამოთქმა:

ინგლისური:

ქართული:

1.to be on cloud nine

2.to be in the seventh heaven

3.to be in hog heaven

4.walking on air

5.her spirits are rising

6.to raise one's mood

7.to be in high spirits

8.to feel up

9.this flew me up

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი ინგლისური და ქართული ბრესიდან:

"George W Bush **'in high spirits'** after heart surgery to clear blocked artery". *The Guardian*, Tuesday 6 August 2013.

"The chairman was on **cloud nine**", the manager said. "He's delighted". *The Times*, 23 May 2011.

"David Cameron **raised** the **mood** at the World Economic Forum in Davos yesterday". *The Times*, 27 January 2012.

"Not everyone likes trick or treating and not everyone feels it has a place in the communities in the UK, but it is now part of our culture and we should expect children to be **in high spirits** at that time. *The Times*, 28 October 2013.

"I'm very pleased for Podolski because he's always **in high spirits**, and he's a very important player". *The Times*, 25 August 2013.

„სიხარულით **მეცხრე ცაზე** დავეფრინავდი“. *კვირის პალიტრა*, 16.05.2011.

„უკრავდა თბილისის ბიგ-ბენდი, ფეირვერკები და სასიამოვნო მუსიკა **ამაღლებულ განწყობას** ქმნიდა“. *კვირის პალიტრა*, 09.09.2010.

„მეც უგონოდ შემეყვარდა ჩემი ნაცნობი უცნობი. ბედნიერებისგან **დავეფრინავდი**“. *კვირის პალიტრა*, 04.02.2010.

1. სიხარულით მეცხრე ცაზე ყოფნა

2. ამაღლებულ განწყობაზე ყოფნა.

3. ბედნიერებისგან ფრენა.

კონცეპტუალურ მეტაფორას-**HAPPINESS IS UP** უპირისპირდება ორიენტაციული მეტაფორა-**SAD IS DOWN**. ინგლისურ ენაში არის გამოთქმები, რომელიც გამოხატავს ცუდ ხასიათზე, ცუდ განწყობაზე მყოფობას და მათში ფიგურირებს სიტყვა „ქვემოთ“: **to feel down, in the dumps, to be in low spirits**.

"Analyst's rethink leaves Diageo and Allied **in low spirits**". *The Times*, January 11, 2005.

"Does rugby high jinks put you **in low spirits**?" *The Times*, October 8, 2011.

"How can young people's **low spirits** be improved?" *The Guardian*, 20 March, 2007.

"Despite a dream job, I **feel down** and can't carry on like this". *The Guardian*, 2 August, 2013.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულში არ მოიძებნა ამ გამოთქმების ზუსტი შესატყვისები, თუმცა არსებობს იდიომები, რომლებშიც აშკარად ჩანს ორიენტაცია: „ზემოდან ქვემოთ“, მაგალითად: ცხვირ**ჩამოშვებული**, მხრებ**ჩამოყრილი**, ყურებ**ჩამოყრილი**. ზმნისწინი „ჩამო“ კარგად მიუთითებს ზემოდან ქვემოთ მიმართულებაზე.

როგორც ცნობილია, ადამიანი ცდილობს სამყაროს ორბოლუსიანი სტრუქტურებით აღქმას, რადგან იმ საგნების უმეტესობა, რომელთან შეხებაც ჩვენ ყოველდღიურად გვაქვს, ორობითი, დაპირისპირებული ბუნებისაა. მაგალითად:

ტკბილი-მწარე

თეთრი-შავი

კარგი-ცუდი

განხილული მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ სიმაღლე ყოველთვის კარგთან ასოცირდება, ხოლო სიდაბლე უფრო ნეგატიურ მნიშვნელობას ატარებს. სწორედ აღნიშნულ მიმართებას გულისხმობს ოსგუდის, სუჰისა და ტანენბაუმის „სემანტიკური დიფერენციალების თეორია“: მათ შექმნეს სკალა ობიექტის კონოტაციური მნიშვნელობის გასაზომად (გინზბურგი, 1979: 259-260).

აშკარაა, რომ ისეთ განსხვავებული სტრუქტურისა და სემანტიკის მქონე ენებში, როგორცაა ინგლისური და ქართული, მოიძებნა ბედნიერების ამსახველი ზუსტი შესატყვისები. საინტერესოა, რით აიხსნება ეს? მსგავსი კვლევა ჩაატარა ლინგვისტმა ზოლტან კოვეჩეს-



მა სამ ენაში: ინგლისურში, ჩინურსა და უნგრულში და დაადგინა, რომ აღნიშნულ ენებშიც ბედნიერების ემოცია გაგებულ და აღქმულია მსგავსად. კოვეჩესი სვამს კითხვას: როგორ მოხდა, რომ სამმა სრულიად განსხვავებული კულტურის ენამ ბედნიერების გრძნობა ერთი და იმავე კონცეპტუალური მეტაფორით ახსნა? კოვეჩესი სამ საგარაუდო პასუხს გვთავაზობს ამ საკითხის ამოსახსნელად:

1. შესაძლოა ეს მოხდა შემთხვევით;
2. ერთმა რომელიმე ენამ ეს გადმოიღო(ისესხა) სხვა ენიდან;
3. არსებობს რაიმე უნივერსალური მიზეზი, რომელმაც გამოიწვია ამ მეტაფორების გაჩენა ამ კულტურებში.

თუ გავითვალისწინებთ კოგნიტიურ ლინგვისტიკას, რომელიც ამტკიცებს, რომ პირველადი, ბაზისური მეტაფორების წარმოქმნას სწორედ ადამიანის სხეულის შეგრძნებები განაპირობებს, მივხვდებით, რომ აქ ჩამოთვლილთაგან, ყველაზე მეტად მესამე პასუხი დგას ჭეშმარიტებასთან ახლოს. ემოციას, როგორც ფსიქიკურ მოვლენას, ძალზე რთული კონცეპტუალური სტრუქტურა აქვს და ამ სტრუქტურის გამოვლენა შეიძლება მხოლოდ იმ გამონათქვამთა სისტემატიზაციით, რომელთაც ამა თუ იმ ენის მატარებლები იყენებენ.

როგორც წესი, თითოეული ემოცია გამოხატულია რიგი ფრაზეოლოგიზმებით, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან მეტაფორული მოდელებით. ეს კონცეპტები უბრალოდ ფანტაზიის ნაყოფს კი არ წარმოადგენს, არამედ მათ საფუძვლად უდევს გრძნობითი, სხეულისმიერი გამოცდილება. ე.ი. ამა თუ იმ ემოციის გამომხატველი გამონათქვამი მოტივირებულია ჩვენზე ფიზიოლოგიით. როდესაც ადამიანი ბედნიერია და კარგ განწყობაზეა, სულ უნდა, რომ ფეხზე იყოს, მოძრაობაშია და ხშირად ხტუნვითაც გამოხატავს თავის ემოციას. წარმოუდგენელია ბედნიერი ადამიანი იყოს პასიური, სტატიკურ მდგომარეობაში (კოვეჩესი, 2008). ქართულ კულტურაში ძალიან ხშირია ბედნიერების ცნების ასოცირება „შემოსთან“ ზოგიერთ შემთხვევაში ცნების დაკავშირება სივრცეში ორიენტაციასთან იმდენად არსებითი ნაწილი ხდება მისი, რომ ძნელია, წარმოვიდგინოთ მათ ადგილას რომელიღაც სხვა მეტაფორა. მაგალითად, ინგლისურ ენაში ბედნიერების აღქმა სხვა ორიენტაციული მეტაფორითაც ხდება: **HAPPY IS WIDE**, (მაგ.: **I am feeling expansive**) ბედნიერების გან-

ცდა, როგორც წესი დაკავშირებულია ღიმილთან (ღიაობასთან). სწორედ ეს შეიძლება გამხდარიყო საფუძველი მოცემული მეტაფორისათვის, მაგრამ ინგლისურისგან განსხვავებით ქართულში არ ხდება ბედნიერების გრძნობის ამგვარად აღქმა.

ჩვენი ფიზიკური და კულტურული გამოცდილება მრავალი ორიენტაციული მეტაფორის საფუძველია. ამა თუ იმ მეტაფორის ამორჩევა და მათ შორის მთავარის გამოყოფა შეიძლება ვარირებდეს კულტურიდან კულტურაში. მეტაფორების ფიზიკური და კულტურული საფუძველების გამიჯვნა ძალიან რთულია, რადგანაც მრავალთაგან ერთი კონკრეტული ფიზიკური საფუძველის ამორჩევა შეთანხმებული უნდა იყოს საერთო კულტურულ ფონთან.

ბედნიერების გარდა სიმაღლესთან დაკავშირებით ასევე ცოდნის მიღებასა და განათლებულ ადამიანს.

ვიღებთ შემდეგი სახის კონცეპტუალურ მეტაფორას: **ცოდნა არის სიმაღლე (KNOWLEDGE IS HEIGHT)**, სადაც სამიზნე სფეროს წარმოადგენს ცოდნა, ხოლო საწყის სფეროს — სიმაღლე.

ინგლისურ ენაში გვაქვს შემდეგი გამოთქმები:

"Knowledge is **climbing a mountain**, the **higher** you **reach**, the more you can see and appreciate".

"One should have more knowledge when he likes to **reach the top of mountain**".

"The **higher** you **reach** and look down how small the plane you left looks, i.e. you feel how ignorant you were".

"Knowledge is the eye of desire and can become the **pilot** of the soul".

"Knowledge is the **wing** wherewith we **fly** to heaven".

„დადებითი შედეგები მოსდევს ისეთ ადამიანებთან ურთიერთობასაც, რომლებიც თავიანთი **ინტელექტით** თქვენზე **მაღლა დგანან**“ (აღია, №16.13/15-02-2010).

„რუსეთში ყოფნის დროს ვცდილობდი, გავცნობოდი რუს ინტელიგენციას, რომელიც ძალიან **მაღლა იდგა**, დაუფლებული იყო ყოველ დარგს და წინ მიჰყავდა თავისი მშობლიური მხარის ცივილიზაცია“ (ჯვირის პალიტრა, 18-01-2010).

„ეს ხალხი ნებისმიერ ჩვენთაგანზე **ერთი თავით მაღლა დგას** და საკადრისადაც დაფასებული უნდა იყვნენ“ (ჯვირის პალიტრა, 11-01-2010).

„ვინც კი ცოტაოდენ მაინც იყო კულტურის მატარებელი, საზოგადოებრივად და **გონებრივად მალა მდგარი**, მისთვის იოსელიანის სახლის კარები ყოველთვის ღია იყო“ (კვირის პალიტრა, 04-01-2010).

დავით გურამიშვილის შეგონებაც სწორედ ამაზე მიუთითებს: „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“. ის ფაქტი, რომ სწავლის პროცესი ქვემოდან ზემოთ სვლას გულისხმობს, ამას ადასტურებს სიტყვები: *ძირი* და *კენწერო*.

ცოდნას სიმალლის გარდა ვაკავშირებთ ასევე სინათლესთანაც (**KNOWLEDGE IS LIGHT**) და პირიქით, უმეცრებას — სიბნელესთან და წყვილიდან. ქართულ ენაში გვაქვს სიტყვა „გა-**ნათლ**-ება“, რომელიც უშუალოდ სინათლეს უკავშირდება, ანალოგიური პრინციპით არის აგებული სიტყვა "en-lighten-ment" (განმანათლებლობა) ინგლისურ ენაში.

„**განათლებამ** უნდა განფანტოს მისი **გონებითი სიბნელე**“. (ი. ჭავჭავაძე, ჩვენი ხალხი და განათლება. პუბლიცისტური წერილები, ტ. IV. თბ. 1987)

„თუ ნამდვილად გული გვტკივა ხალხისათვის, თავი ვიჩინოთ, რომ **სიბნელე უმეცრებისა** გავფანტოთ“ (ი. ჭავჭავაძე, ჩვენი ხალხი და განათლება. პუბლიცისტური წერილები, ტ. IV. თბ. 1987)

„ცოტაც უნდა გავუძლოთ ამ **სიბნელეს** და **ნათელი გონების** ადამიანები ადამიანთა გონებაში **ნაბერწკალს** გააჩენენ“. (<http://blog.mediamall.ge/?id=20435>, 13 დეკემბერი, 2013)

„მინდა ჩვენი მომავალი თაობისთვის ეკლესია იყოს ასოცირებული **განათლებასთან** და არა **სიბნელესთან**, ჩამორჩენილობასთან“ (კვირის პალიტრა, 24-05-2013)

„სანთელი ჩემი ხორცია,

სიცოცხლე - მოკლე პატრუქი,

**ნათელი - ჭკუა-გონება,**

იმათვან გამონაშუქი“ (ა. წერეთელი, „ხატის წინ“)

„შენი ივერი

აღსდგეს ძლიერი,

და დადგეს ერთად სხვა ერთა შორის,

წმიდით საყდარით,

ენით მდიდარს, **სწავლისა შუქით განათებული“**

(გრ. ორბელიანი, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“).

„რომ განვიღვიძნეთ,

სულით განვახლდეთ,

და განქრეს **ბნელი უმეცრებისა!“**

(გრ. ორბელიანი, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“)

"From all of those, he has stored knowledge and wisdom, for he is a player with a **bright mind** and brilliant game" ( *The Times*, 31 May, 2008)

"As internationalisation in HE grows, we must do more to steer these **bright minds** towards solving regional problems" ( *The Guardian*, 10 April, 2012)

**"There is no darkness but ignorance."** ([William Shakespeare](#), Twelfth Night)

საინტერესოა მაიკლ რედის ნაშრომი მეტაფორის თეორიაში. მას აქვს აღწერილი „კომუნიკაციის არხთან“ ასოცირებული მეტაფორები ("Conduit metaphor"), ანუ, მეტაფორები, რომლებსაც კომუნიკაციაზე საუბრისას ვიყენებთ, ერთგვარი მეტაენა. რედის აზრით, ენა, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ, სტრუქტურულად წესრიგდება შემდეგი მეტაფორების შესაბამისად:

- იდეა ან მნიშვნელობა არის ობიექტი;
- ენობრივი გამონათქვამი არის კონტეინერი/სათავსი;
- კომუნიკაცია არის გადაცემა(გადაგზავნა).

ადრესანტი იღებს (ობიექტებს) ათავსებს სიტყვებში (კონტეინერებში) და აგზავნის მათ (საკომუნიკაციო არხით) ადრესატისკენ, ეს უკანასკნელი „ამოიღებს“ იდეებს/ობიექტებს სიტყვებისგან/საცავებისგან. რედის წარმოდგენილი აქვს „საკომუნიკაციო არხთან“ დაკავშირებული მეტაფორის მაგალითები:

"You know very well that I gave you that idea" — „თქვენც კარგად იცით, რომ მე მოგაწოდეთ ეგ აზრი“.

"It is difficult to put this concept into words" — „მე მიჭირს ჩემი აზრების ხორცშესხმა სიტყვებით“.

"The sentence was filled with emotion" — „წინადადება სავსე იყო ემოციებით“.

"What is the pragmatic loading/load of this passage?" — „რა პრაგმატიული დატვირთვა აქვს ამ მონაკვეთს?“

რედის ამ თეორიის მიხედვით სიტყვები არის საცავები: **WORDS HAVE INSIDES AND OUTSIDES**. საინტერესოა ამ მხრივ ქართულში სიტყვა „შინაარსი“, რომელიც მიუთითებს რაღაცის შიგნით მყოფ არსზე.

რედის ამ თეორიის მიხედვით, ინგლისური ენა აღიქვამს სიტყვებს, როგორც აზრის, შინაარსის საცავებს, მატარებლებს, მათი შინაარსი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად „წარმატებით“ მოახერხა მისმა მთქმელმა მათში აზრის „ჩადება“. ქართულ ენაშიც გვაქვს შესაბამისი ტერმინები, რომლებიც ზუსტად ემთხვევა ინგლისურ ენაში არსებულ ტერმინებს:

"Your words are hollow" — „ეს ყველაფერი ცარიელი სიტყვებია“

"The sentences are empty; they say nothing to me" — „ცარიელი წინადადებებია, არაფერს მეუბნება“.

მსგავსი გამონათქვამები გამოიყენება მაშინ, როდესაც მთქმელი ვერ ახერხებს სათქმელის ადეკვატურად, „წარმატებით“ გადმოცემას და მისი სიტყვები მოკლებულია აზრს.

რედის თვალსაზრისს თუ განვაზოგადოებთ, შეიძლება ითქვას, რომ:

საკომუნიკაციო არხთან, მეტაენასთან დაკავშირებული მეტაფორები ინგლისურსა და ქართულ ენებში არის მძლავრი სემანტიკური სტრუქტურა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ჩვენს აზროვნებაზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

ერთი და იგივე კონცეპტი სხვადასხვა ეთნოკულტურაში სხვადასხვაგვარი მეტაფორებით გადმოიცემა, მაგრამ ჩემ მიერ მოპოვებულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ კონცეპტუალური მეტაფორები, მათ შორის ორიენტაციული მეტაფორები, ეფუძნებიან როგორც კულტურულ, ასევე ფიზიკურ გამოცდილებას და შემთხვევით არ წარმოიქმნებიან: არსებობს გარკვეული აბსტრაქტული ცნებები, რომელთა აღქმა და გადმოცემა მეტ-ნაკლებად მსგავსი ანალოგიის საფუძველზე ხდება სხვადასხვა კულტურაში, სხვადასხვა ენაში, ამის დასტურია ინგლისურსა და ქართულ ენებში წარმოდგენილი ზოგიერთი კონცეპტუალური მეტაფორა.

## ლიტერატურა

**ამირეჯიბი, 2013** — რ. ამირეჯიბი, კონცეპტი და მეტაფორული აზროვნება(შიშის ველის მაგალითზე), [www.icgl.org](http://www.icgl.org) (30,12, 2013 - 22:15)

**გინზბურგი, 1979** — Ginzburg, R, S. Khidekel, S. S. Knyazeva, G. Y. Sankin, A. A.

A Course in Modern English Lexicology, Moscow: Vyssaia Skola, 1979, pp. 259-260.

**კიკვაძე, 2012** — თ. კიკვაძე, მეტაფორა-კომუნიკაციის ექსპრესიული საშუალება, გამომცემლობა „განათლება“, 2012, N1(4).

**კოვეჩესი, 2005** — Kövecses, Z. Metaphor in culture. Universality and Variation in the Use of Metaphor, Cambridge: Cambridge University Press, 2005.

**კოვეჩესი, 2008** — Kovecses, Z. Metaphor and Emotion, Eotvos Lorand University, Budapest, Hungary, 2008.

**კოვეჩესი, 2008** — Kovecses, Z. The Conceptual Structure of Happiness, Studies across Disciplines in the Humanities and Social Sciences 3, Helsinki: Helsinki Collegium for Advanced Studies. pp.131-143. 2008.

**კოვეჩესი, 2008** — Kovecses, Z. Universality and Variation in the Use of Metaphor, Selected Papers from the 2006 and 2007 Stockholm Metaphor Festivals., eds. N-L. Johannesson and D.C. Minugh, 51-74, Stockholm: Department of English, Stockholm University, 2008.

**კოვეჩესი, 2010** — Kovecses, Z. Metaphor and Culture, Acta Universitatis Sapientiae, Philologica, 2, 2(2010) 197-220.

**ლეოკოფი, ჯონსონი, 1980** — Lakoff, G. & M.Johnson. Metaphors We Live By. Chicago: The University of Chicago Press, 1980;

**რედი, 1979** — Reddy, M. J. The Conduit Metaphor, A Case of Frame Conflict in Our Language about Language, pp. 284-324. Cambridge, Cambridge University Press, 1979.

**სტინი, 2001** — Steen, G. Towards a procedure for metaphor identification, Free University Amsterdam, The Netherlands, Language and Literature 2001, 11(1);

**სიუ, 2002** — Su, L, I, W. What Can Metaphors Tell Us About Culture, Language And Linguistics, 2002.

**ტოროშელიძე, 2012** — ნ. ტოროშელიძე, ჯორჯ კელის ფსიქოლოგიური თეორიის ძირითადი ცნებების — პიროვნული კონსტრუქტის გამოყენება მუსიკალურ საქმიანობასთან მიმართებაში, *GESJ: Musicology and Cultural Science*, 2012, No.1(8), ISSN 1512-2018.

**ცანავა, 2009** — რ. ცანავა, მეტაფორა, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. სერია: ლიტერატურათმცოდნეობა, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.

**ჯოხაძე, 2008** — ლ. ჯოხაძე, მხატვრული ტექსტი როგორც სტილისტურ-კონცეპტუალური სისტემა, თბილისი, 2008.

RUSUDAN JAPARIDZE

## Some Conceptual Metaphors in English and Georgian

### Summary

The paper discusses a number of conceptual metaphors and their linguistic realization in English and Georgian. The empirical data includes samples of conversational as well as literary discourse. The following conceptual metaphors have been examined on the material of English and Georgian: **Happiness is Up, Sadness is Down, Knowledge is Light, Ignorance is Darkness**, and also the so-called conduit metaphor which, as is known, refers to a class of figurative expressions used when describing communication itself. The analysis of the data has shown that the conceptual metaphors in question are at work in both languages: in many a case their linguistic realization is almost identical, however, in some instances the metaphor actualization is culture specific. The paper argues that one of the main factors determining these similarities across the two languages is perceptual analogy typical of human beings.

ენო ჯოჯუა

### რიტორიკის ზოგიერთი ფიზიკის შესახებ რეკლამის ენაში


ტრადიციულად, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე რიტორიკული კვლევა გულისხმობდა პუბლიკისადმი მიმართვის ხელოვნებაზე დაკვირვების ხერხს, სამოქალაქო, სასულიერო და ლიტერატურული კომპოზიციების შექმნის ინსტრუქციას, ასევე ცოდნის, ძალაუფლებისა და ჭეშმარიტების იდენტიფიკაციის ზოგადი თეორიების არსის წვდომის მცდელობას. რიტორიკა სათავეს ჯერ კიდევ არისტოტელეს დროს იღებს და თანამედროვე ადამიანის მრავალფეროვანი კომუნიკაციური ტექნოლოგიების ძიებით გაჯერებულ მენტალობაში ახლებური, გლობალიზაციის ეპოქისათვის სპეციფიკური გამოხატულებებით ვლინდება.

დღესდღეობით ეს დარგი იკვლევს ადამიანის მიერ სიმბოლოებისა და ენის გამოყენების სტრატეგიებს გარკვეული სახის კომუნიკაციური აქტის ეფექტურად და მიზანმიმართულად განსახორციელებლად როგორც ტრადიციული დისკურსების ფარგლებში, ასევე უშუალოდ 21-ე საუკუნის მიერ შობილ სფეროებში — მარკეტინგი, ორგანიზაციული მართვა, მენეჯმენტი, არქიტექტურული დიზაინი და სხვა, მათ შორის ჩვენი ინტერესის სფეროს — რეკლამის ენაში.

ერთი სიტყვით, რიტორიკა — სიტყვის, ტექსტის, გამოსახულების, სურათის, სიმბოლოსა და მრავალი სხვა საშუალების შერწყმის ან ინდივიდუალურად გამოყენების გზით ოსტატურად გამხორციელებული წერილობითი ან ვერბალური კომუნიკაციური აქტი, რომლის მიზანსაც აუდიტორიაზე გავლენის მოხდენა, კერძოდ კი, მისი დარწმუნება წარმოადგენს. საკუთრივ რიტორიკული ანალიზი ამგვარი კომუნიკაციური აქტის სისტემური კვლევაა, რომელიც იყენებს ტექსტს, ავტორსა და აუდიტორიას შორის დამყარებული ინტერაქციის ინტერპრეტაციული ანალიზის მეთოდს.



არისტოტელეს მიაჩნდა, რომ სამყაროში ადამიანებს — პოტენციურ კომუნიკატორებს შეეძლოთ კომუნიკაციის პროცესზე დაკვირვება და დასკვნების გამოყენება ეფექტიანი და ჯანსაღი არგუმენტების შესაქმნელად (ქრისტოფი, 2010). აქ ჩნდება **რიტორიკული სიტუაცია** — რიტორიკული სამკუთხედის გაანალიზების აუცილებლობა:




კომუნიკაციის პირველი ეტაპზე — **ინვენციის კანონი მუშაობს**, როცა მოსაუბრე აანალიზებს, თუ როგორ დაიწყოს საუბარი, იწყება ინვენციის პროცესი. ამ დროს მოსაუბრემ უნდა განსაზღვროს აუდიტორიის, მოსაუბრისა და საუბრის საგნის ფაქტორები, რომლებიც ურთიერთმოქმედია და ქმნიან სამკუთხედს: **საუბრის საგანი, აუდიტორია და მოსაუბრე**.

**საუბრის საგნის** განსაზღვრისას მოსაუბრე ან მწერალი აფასებს თავის ცოდნას საგნის ირგვლივ და განსაზღვრავს იმას, რისი ცოდნაც სურს, იკვლევს პერსპექტივებს და იწყებს საჭირო არგუმენტებისა და მტკიცებულებების ძებნას.

**აუდიტორიის** განსაზღვრა გულისხმობს მკითხველის ან მსმენელის საგნის ირგვლივ **მოლოდინის, ცოდნის და დამოკიდებულების** განსაზღვრას. მაგალითად, რეკლამის შემქმნელთათვის მეტ-ნაკლებად ცნობილია აუდიტორიის მოლოდინი მაღალი ხარისხისა და დაბალი ფასის შესახებ, თუმცა ცოდნისა და დამოკიდებულების განსაზღვრა ცოტა რთულია. არისტოტელეს მიხედვით, აქ უკვე ადამიანი ემყარება საკუთარ გამოცდილებასა და დაკვირვების შედეგებს აუდიტორიასთან წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად. ამას მივყავართ სამკუთხედის მესამე — **მოსაუბრის** ელემენტთან. ადრესანტი-კომუნი-

კატორი<sup>4</sup> ცდილობს პოტენციური მსმენელის ადგილას წარმოიდგინოს თავი და ისე განსაზღვროს საგნისადმი ადრესატის ცოდნა, დამოკიდებულება და სხვა. შესაბამისად, კომუნიკატორი იღებს მთელ რიგ გადაწყვეტილებებს რეგისტრის (ფორმალური თუ არაფორმალური), ნარატიული თუ ციტირების პასაჟების, ფამილარობისა და ობიექტურობის ტონის გამოყენების შესახებ, რომელთა ერთობლიობაც ქმნის კომუნიკატორის ე.წ. „ხმას“ (როსკელი, 2008). თავის მხრივ, ხმა ახასიათებს კომუნიკატორს და აქ ჩნდება **პერსონის** ელემენტი, რომელსაც, არისტოტელეს მიხედვით, კომუნიკატორი თავისი სურვილისამებრ ქმნის.

აღსანიშნავია, რომ არისტოტელეს რიტორიკულ სამკუთხედში არ ფიგურირებს რიტორიკული კომუნიკაციური სიტუაციის ორი უმნიშვნელოვანესი ელემენტი: კონტექსტი, რომელშიც კომუნიკაცია ხდება და მიზანი, რომელიც განაპირობებს კომუნიკატორის გადაწყვეტილებებს. კრიტიკულ ლიტერატურაში რიტორიკული სამკუთხედის ასეთ ვარიაცებსაც ვხვდებით, სადაც ტრადიციული სამი ელემენტის მამოძრავებელ პრინციპებად წარმოდგენილია სწორედ მიზანი და კონტექსტი.



ძველ კლასიკოსებთან უფრო მარტივად იყო საქმე; აუდიტორია შედგებოდა მამრობითი სქესის წარმომადგენლებისგან, რომლებიც იყვნენ მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლები და რომლებსაც აინტერესებდათ სახალხო-სამოქალაქო ყოველდღიური თემები. მაგრამ დღევანდელი მრავალფეროვანი სამყაროდან გამომდინარე

<sup>4</sup> პირობითად ვუწოდებთ მწერალს, მოსაუბრეს, ადრესანტს — ნებისმიერ კომუნიკაციის დამწყებ სუბიექტს.

კონტექსტი დიდ მნიშვნელობას იძენს. მაგალითად, მამაკაცების ჟურნალის „The Gentleman’s Magazine“ ერთ-ერთი იუმორისტული ტიპის რეკლამა (<http://www.youtube.com/watch?v=NCDCFJ5RM6g>), იყენებს იუმორულ ალუზიას ცნობილ ჰოლივუდურ ფილმთან „ნათლია“, რომელშიც რობერტ დე ნირო ასრულებს ერთ-ერთი მთავარი გმირის, კრიმინალური ავტორიტეტის ვიტო კორლიონეს როლს. ფილმში მისი ხასიათის სხვა მახასიათებლებთან ერთად ხაზგასმულია მისი მამაკაცურობა და ვაჟკაცობა და მიუხედავად იმისა, რომ ამ პერსონაჟს ბევრი ნაკლი აქვს, მაინც იწვევს მაყურებლის გარკვეულ სიმპათიას. რეკლამაში აღწერილია იდეალური მამაკაცის სხვადასხვა სტერეოტიპი და მათ შორის რობერტ დე ნიროს ნათლისეულ პერსონაჟთან მსგავსება. აქ ეფექტი ვერ მიიღწეოდა კონტექსტის გაანალიზების გარეშე ან თუნდაც იმ პიროვნებაზე, რომელსაც ეს ფილმი ნანახი არ აქვს, საეჭვოა რაიმე ეფექტი მოხდინა ამ კონკრეტულ პასაჟს.

თანაბრად მნიშვნელოვანია კომუნიკაციური აქტის ინტენცია ანუ მიზანი. ცნობილი რიტორიკოსის ივორ არმსტრონგ რიჩარდსის მიხედვით, რიტორიკა არის გაუგებრობისა და მისი დაძლევის საშუალებების შესწავლა. სიტყვები და სიმბოლოები სხვადასხვა მესიჯის გამტარებლები არიან, თუმცა ეს მესიჯები შესაძლოა შეცდომით იქნას გაგებული. ადრესანტების მიერ ადრესატის ინტენციების აღქმა ნათელს ხდის, ხდება თუ არა კომუნიკაცია და თუ ხდება, სად და როგორ. რიჩარდსის მიხედვით (რიჩარდსი, 1965), სწორედ რიტორიკა არის ადრესატისა და ადრესანტის დაკავშირებისა და მათ შორის წარმატებული კომუნიკაციის დამყარების საშუალება. მაგალითად, რეკლამის შემქმნელთა ინტენცია უმეტეს შემთხვევაში არის პროდუქტისა თუ იდეის „გასაღება“, რომელიც უმეტესად ირიბად არის გადმოცემული რეკლამის დისკურსში სხვადასხვა რიტორიკული საშუალების გამოყენებით. თუმცა იშვიათად პირდაპირ ტექსტშიც არის ჩადებული. მაგალითად, იმპერატიული ტიპის მოწოდებებით გაჯერებული რეკლამები, რომლებიც ძირითადად ბეჭდურ რეკლამაში გვხვდება, ალბათ ვიზუალური საშუალებების გამოყენების შედარებით ნაკლები შესაძლებლობის ქონის გამო.

## ეთოსი, პათოსი, ლოგოსი

იმისათვის რომ რთული რიტორიკული ურთიერთობები, კერძოდ, კომუნიკატორი-აუდიტორიისადმი, აუდიტორია-საგნისადმი, კომუნიკატორი-საგნისადმი მაქსიმალურად ეფექტური და წარმატებული იყოს, არისტოტელე და მისი შთამომავლები კომუნიკაციის პროცესში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ რიტორიკული მიმართვის სამ მთავარ განზომილებას: პათოსი, ეთოსი და ლოგოსი. ამ რიტორიკულ მახასიათებლებს/საშუალებებს კომუნიკატორები არგუმენტაციის დროს აუდიტორიისა და თავად არგუმენტის შინაარსის ფაქტორებთან ერთად ითვალისწინებენ. აღსანიშნავია, რომ ეს სამი განზომილება ხშირად ურთიერთგადაჯაჭვულია და მათი გაცალკეება პირობითია.

განვიხილოთ თითოეული განზომილება უფრო დეტალურად.

**ეთოსი**, დეფინიციის მიხედვით, „გამორჩეული პიროვნება, განწყობა, მორალური ბუნება ან ადამიანის, ჯგუფისა თუ ინსტიტუტის მამოძრავებელი პრინციპი“ (**the distinguishing character, sentiment, moral nature, or guiding beliefs of a person, group, or institution**) (მარიამ ვებსტერის ლექსიკონი) გულისხმობს ეთიკური განზომილების მახასიათებელს, რომელიც განაპირობებს აუდიტორიის დარწმუნების მცდელობას მოსაუბრის, როგორც დადებითი, სანდო პერსონის კვალიფიკაციისა თუ ხასიათის სხვადასხვა შტრიხზე აქცენტირების გზით; მოსაუბრისადმი აუდიტორიის ნდობის მოსაპოვებლად სასურველია პატიოსანი, გულწრფელი და მცოდნე ხასიათის შექმნა და მოცემულ დისკურსში ამის დამადასტურებელი არგუმენტის შექმნა; ვთქვათ, აწ უკვე დადასტურებულად პოზიტიური ადამიანისადმი სიმპათიის ან მსგავსების დაფიქსირება ან პირიქით, აწ უკვე დადასტურებულად ნეგატიურ ადამიანთან კონტრასტულობის დაფიქსირება. ასევე აუდიტორიასთან მორალური ან ეთიკური მრწამსის დაკავშირება. რომელი რიტორიკოსის, კვანტილიანის მიხედვით, კომუნიკატორი უნდა იყოს „**Good man speaking well**“ — კარგი კაცი, რომელიც საუბრობს კარგად.

ამგვარად, ეთოსისადმი ნდობის განცდა უდიდესია ეთიკურ განზომილებაში, რომელშიც თავად პერსონას გაცილებით უფრო მეტი

მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე სიტუაციას. მაგალითად ისეთი რეკლამის წარმატება, რომელშიც ცნობილი ადამიანი იღებს მონაწილეობას, იმთავითვე დამოკიდებულია ამ პერსონისადმი აუდიტორიის დამოკიდებულებაზე. თუკი მის მიმართ არსებობს სიმპათია, რეკლამირებული პროდუქტის მიმართაც იდენტური დამოკიდებულებაა და პირიქით, მიუხედავად რეკლამის ხარისხისა და შინაარსისა.

**პათოსი**, დეფინიციის მიხედვით, ა) არტისტული გამოხატულების ელემენტი, რომელიც იწვევს თანაგრძნობასა და შეცოდებას (**an element in experience or in artistic representation evoking pity or compassion**) (მარიამ ვებსტერის ლექსიკონი) ბ) ემოცია ან თანაგრძნობის შემცველი შეცოდება (**an emotion of sympathetic pity**) (მარიამ ვებსტერის ლექსიკონი) ემოციური განზომილების მახასიათებელს, რომელიც განაპირობებს მკითხველისა თუ მსმენელის გრძნობებისა და ემოციების, ასე ვთქვათ, მყისიერ „ათამაშებას“. გამოწვეულ ემოციათა სპექტრი მრავალფეროვანია: სიბრაზე, სიყვარული, სინანული, სიძულვილი, შიში, აღშფოთება, ვნება, გაოცება და ა.შ. ან თუნდაც კონტრასტული სენსიტიური სახის შექმნით ძლიერი ემოციის გამოწვევა. მაგალითად, ავიღოთ, პოლიტიკური ტიპის რეკლამა, რომელშიც მაყურებელი ხედავს, თუ როგორ კოცნის პოლიტიკოსი ნაზად ბავშვს ან როგორ გულისხმიერად ართმევს ხელს მოხუცებულ ადამიანს. ასეთი სიტუაცია აშკარად გამოხატულ სენსიტიურ დეტალებს შეიცავს, ეხება რა ადამიანის გრძნობებს და ქმნის კონტრასტულ იმიჯს: პოლიტიკოსი, რომელიც ჩვენს ცნობიერებაში უადრესად რაციონალური და არამგრძნობიერე არსებაა, სულ სხვა ამპლუაშია წარმოდგენილი; მოსიყვარულე, ყურადღებიანი, თავმდაბალი და ამ კონტრასტული და სენსიტიური იმიჯის შექმნის საშუალებით ხდება აუდიტორიის მანიპულირება. პათეტიკურ განზომილებაში გადასაყვანად ხშირად როგორც ლინგვისტურ, ასევე ვიზუალურ ფიგურატიულ ენასაც იყენებენ. მაგალითად, ვიზუალური ფიგურატიული ენის გამოყენებით შკოდა ფაბიას რეკლამაში გამოყენებულია მეტაფორა — გემრიელი შოკოლადის მზადების პროცესი, რომელსაც შკოდა ფაბიას ახალი მოდელის ფორმა აქვს. <http://www.youtube.com/watch?v=NwBE1l6QexU> მეტაფორა მანქანა-შოკოლადი მაყურებელზე ემოციურ

გავლენას ახდენს და ქმნის „გემრიელი შკოდა ფაბიას“ მოდელს, რაც ვერც ერთ მაყურებელს გულგრილს ვერ დატოვებს.

**ლოგოსი,** დეფინიციის მიხედვით, „გონიერება, რომელიც ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში სამყაროს მამოძრავებელი პრინციპი იყო, გულისხმობს ლოგიკური განზომილების მახასიათებელს, რომელიც განაპირობებს მკითხველისა თუ მსმენელის დარწმუნების მცდელობას მათი ლოგიკის გზაზე დაყენებით და მათი დახმარებით, თავად მივიდნენ დასკვნამდე. ლოგიკურ განზომილებაში ხდება ფაქტებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების იდენტიფიცირება. „თუ/მაშინ“ („თუ იყიდით, მაშინ შედეგი გარანტირებულია“) ტიპის წინადადებები შესანიშნავი მაგალითია ლოგიკური მოდელისა (მაიქლ ჰოუკროფტი, 2011). სწორად „თუ/მაშინ“ ტიპის პირობა იგულისხმება მისი პირდაპირი დეკლარირების გარეშე. მაგალითად, თუ წიგნის ყდაზე ვკითხულობთ, რომ ეს წიგნი 4 თვის განმავლობაში არის ბესტსელერი, პოტენციური მკითხველი უკვე ლოგიკურად ასკვნის, რომ ამ წიგნის წაკითხვა ღირს.

ამრიგად, თანამედროვე რეკლამის დისკურსში მისი მთავარი ინტენციის, აუდიტორიაზე გავლენის მოხდენის მიზნის მისაღწევად რიტორიკის მთავარი მამოძრავებელი განზომილებები ეთოსი, ლოგოსი და პათოსი აქტიურ როლს თანაშობს და გარკვეულწილად განაპირობებს მის წარმატებით განხორციელებას.

## **ლიტერატურა**

**მარიამ ვებსტერის ონლაინ ლექსიკონი და თეზაურუსი** — Maryam Webster Online Dictionary and Thesaurus

**ქრისტოფი, 2008** — Rapp Christoff, Aristotle’s Rhetoric, Stanford Encyclopedia of Philosophy, 2010 <<http://plato.stanford.edu/archives/spr2010/entries/aristotle-rhetoric/>>.

**ჰაუკროფტი** — Michael Hawcroft, Rhetoric: Readings in French Literature, Practical Guide to Rhetorical Theory, Chapter I, Oxford Scholarship Online, October 2011 DOI:10.1093/acprof:oso/9780198159841.003.0002

**ჰეპზიბაჰი, 2008** — Hepzibah C. Roskelly and David A. Jolliffe, Everyday Use; Rhetoric at work in Reading and Writing, Pearson Longman.

## **Towards Some Rhetorical Figures in the Language of Advertising**

### **Summary**

As is known, rhetoric is either written or verbal act of communication masterfully realized through the fusion of an individual use of words, text, images, pictures, symbols and a number of other means, with the aim of influencing, more precisely, persuading the audience. The rhetorical analysis implies interpretation of the interaction held between the text, the author and the audience.

The observations have proved that being samples of persuasive discourse, advertisements are abundant in rhetorical figures; The paper presents a rhetorical analysis of a number of English TV advertisements from the standpoints of the key dimensions of rhetoric -ethos, pathos and logos, aiming to reveal the process of advertisement creation.

## ინო ჯოჯუა

### რეკლამის დისკურსის ზოგიერთი თავისებურების შესახებ

რეკლამა ჩვენს ცხოვრებაში ყოველდღიურად შემოიჭრება ჟურნალ-გაზეთების, ტელევიზიისა და ინტერნეტის გზით, ასევე ქუჩაში, ტრანსპორტსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. ერთი სიტყვით, თანამედროვე ადამიანის ცხოვრება ფაქტობრივად წარმოუდგენელია რეკლამის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტი ხშირად გარკვეულ გალიზიანებას იწვევს ადამიანებში, არავინ დაობს თანამედროვე ადამიანზე, მის უსაზღვრო ძალაუფლებასა და გავლენაზე იმდენად, რამდენადაც რეკლამა რიტორიკის თითქმის ყველა ბაზისურ ელემენტს შეიცავს: არგუმენტს, კონტრარგუმენტს, ვარაუდს. ლოგიკურ ცდომილებებს, აუდიტორიას, პათოსსა და სხვა (ს. ეფინგერი, <http://www.mseffie.com>).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეკლამა მინი-ესეა, რომელიც შექმნილია კონკრეტული აუდიტორიის მისამართით და რომლის მიზანსაც სამიზნე აუდიტორიის დარწმუნება, მასზე გავლენის მოხდენა წარმოადგენს.

რამდენადაც ჯ. ლეიკოფის (ლეიკოფი, 1982,) მიხედვით „დისკურსი მაშინ არის დამარწმუნებელი, როცა მასში მონაწილე სულ მცირე ერთი მხარე მაინც ღიად აღიარებს მის ინტენციას დაარწმუნოს მკითხველი ან მსმენელი“. რეკლამის დისკურსი, ვფიქრობთ, დამარწმუნებელია, რადგან მის შემთხვევაში ორივე მხარე ცნობს დარწმუნების ინტენციას იმდენად, რამდენადაც კლიენტებმა რეკლამის მესიჯის წაკითხვა-გაგებად იციან, რომ თითოეულ ასეთ მესიჯში იგულისხმება კლიენტის დარწმუნება-დაყოლების მცდელობა იყიდოს ესა თუ ის პროდუქტი. ბუნებრივია, ამგვარი პირდაპირი ზეწოლა უარყოფით ეფექტს მოახდენს კლიენტთა უმრავლესობაზე, რომ არა მათი ნდობის მოპოვების და პროდუქტის საჭიროებასა და მაღალ ხარისხში მათი დარწმუნების მთელი რიგი მრავალფეროვანი სტრატე-



გიები, რომლებიც გულისხმობს უამრავი „შემპარავი“, „შემნიღბველი“ საშუალებების აქტიურად გამოყენებას რეკლამაში. ერთ-ერთი ასეთი სტრატეგიაა ჩვეულებრივი საუბრის ელემენტების ჩართვა (მაიერსი, 1994), რომელიც ერთი შეხედვით არაოფიციალურ, ემოციურ და ინდივიდზე ორიენტირებული დისკურსის შთაბეჭდილებას ტოვებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის კლიენტთან პირისპირი, რეალურ სიტუაციაში განხორციელებული კომუნიკაცია. საინტერესოა, თუ რა განაპირობებს რეკლამის ამგვარი მსუბუქ და არაოფიციალურ დისკურსად აღქმის შესაძლებლობას.

ამ კითხვაზე ქუქი (ქუქი, 2001) შემდეგნაირად პასუხობს. იმ მრავალრიცხოვან საშუალებებს შორის, რომელთაც რეკლამა მიმართავს თავისი პირდაპირი ზეწოლის დასაფარად და არაოფიციალური ტონის შესაქმნელად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ნაცვალსახელების, ელიფსისისა და პრესუპოზიციის გამოყენებაა. მაგალითად, ლექსიკური ელიფსისის გამოყენება, „**I keep my hand clean. Why can't he?... (keep his hands clean)** (Lava საპონის რეკლამა). ნაცვალსახელების გამოყენებაც საკმაოდ ხშირია ამავე მიზნით. მაგალითად: „**The key to your dream car...**“ (Halifax-ის დაზღვევის რეკლამა). ასევე, „საქართველოს ბანკი: თქვენთვის და თქვენთან ერთად!..“ (საქართველოს ბანკის რეკლამა).

ასეთი სასაუბრო ტონი ხანდახან მაშინაც იგრძნობა, როცა რეკლამაში არა დიალოგი, არამედ მონოლოგი ატარებს ძირითად ლინგვისტურ ფუნქციას. პირის ნაცვალსახელები განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებენ თავიანთი დეიქტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, რაც ნიშნავს იმას, რომ ნაცვალსახელები მნიშვნელობის ცვალებად კომპონენტს შეიცავენ, რომელიც მათ ადგილობრივ კონტექსტში მიეწერებათ. ცოცხალ მეტყველებაში მოცემული კონტექსტისათვის რელევანტური დროის, ადგილისა და მონაწილეების დეიქტური მნიშვნელობა ფიზიკური კონტექსტიდანაც ხდება ნათელი მისი ხსენების გარეშე. თუმცა წერილობით დისკურსში, სადაც დიდი განხეთქილებაა მესიჯის შექმნის დროსა და მისი მიღების დროს შორის ჩნდება აუცილებლობა ტექსტში ამ მნიშვნელობის ექსპლიციტურად გამოხატვისა. თუმცა რეკლამაში ცოტა სხვაგვარად ხდება. ექსპლიციტურად ხსენების გარეშე დროისა და სხვა დეიქტური მნიშვნელობის

დეკოდირებას ორი რამ უწყობს ხელს: ერთი მხრივ, ვიზუალური ეფექტი და, მეორე მხრივ, პირდაპირი მიმართვა მსმენელთან/მაყურებელთან, რომელიც თითქოსდა პირდაპირ ჩააბამს მაყურებელს რეკლამაში განხორციელებულ ხელოვნურ სიტუაციაში.

თავის მხრივ, რეკლამის ხელოვნურ, არარეალურ ბუნებაზე ორი ფაქტორი მეტყველებს: პირველი, ის არის წინასწარ დაწერილი-მოზადებული პროექტი, რომლის პერფორმანსიც წინასწარ დაგეგმილია და არა სპონტანური, და, მეორე, მასში მონაწილეთა უფლებები და პირობები სრულიად განსხვავდება ჩვეულებრივ საუბარში მონაწილეთა პირობებისგან. რეკლამა უფრო მეგობრულ საუბარს ემსგავსება მოსაუბრესა და მსმენელს შორის (პელცოვა, 2011). შესაბამისად, რეკლამის დისკურსი სესხულობს სასაუბრო ენისაგან ლინგვისტურ ელემენტებს, თუმცა შეიცავს ოფიციალური წერილობითი დისკურსის ელემენტებსაც, რადგან მისი სცენარი თუ იდეა თავდაპირველად იწერება, ხოლო შემდეგ უკვე ერგება შესაბამის მედიასაშუალებას და იქნის მოცემული მედიისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს (ქუქი, 2001). აქედან გამომდინარე, ზოგიერთი მკვლევარი რეკლამას მიიჩნევს როგორც კომუნიკაციის ჰიბრიდულ ფორმას, რომელიც ოსტატურად აერთიანებს მეტყველებისა და წერილობითი ენის ელემენტებს (ურბანოვა, 2006). ლოგიკურია, ეს საუბრისა და დამწერლობის ერთეულების ინტეგრირება უნდა განხორციელდეს როგორც ლინგვისტურ-ლექსიკურ, ასევე პრაგმატულ დონეებზე. თუმცა აქვე მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ რეკლამის სხვადასხვა ტიპი ამ ინტეგრირებას სხვადასხვაგვარად განახორციელებს. ბუნებრივია, ბეჭდვითი მედია უფრო დომინანტურად დამწერლობის ელემენტებს გამოიყენებს, მაშინ როცა სატელევიზიო რეკლამა მეტი ინტენსივობით სასაუბრო ენის ელემენტებს იყენებს.

XIX საუკუნეში ეკონომიკის ზრდასა და განვითარებასთან ერთად რეკლამაზე მოთხოვნამ იმატა. თანდათანობით რეკლამა გარდაიქმნა თანამედროვე და მეცნიერულად დახვეწილ კონცეპტად. ახალი ვიზუალური ტექნიკის დანერგვასთან ერთად არა მარტო რეკლამის მესიჯმა, არამედ მისმა ფორმამაც დიდი მნიშვნელობა შეიძინა და დღესდღეობით რეკლამის შემქმნელთა კრეატიულობა მისი ფორმის და მასმედიაში გავრცელების საშუალებების (მედიუმის) კუთხით, რომ

აღარაფერი ვთქვათ მასში მულტიპლატფორმული<sup>5</sup> სიმბოლოების გამოყენებაზე, უმაღლეს მწვერვალს აღწევს.

**მულტიპლატფორმული სიმბოლოებისა და მასობრივი კომუნიკაციის სხვადასხვა მედიუმის<sup>6</sup> გამოყენების მიხედვით** პირობითად გამოყოფენ რეკლამის სხვადასხვა ტიპებს: საგაზეთო და საყურნალო, რადიო, სატელევიზიო, ინტერნეტული, ასევე ბროშურებსა და სხვა ბეჭდურ მედიაში გავრცელებული რეკლამები, რომელთა სტრუქტურასა და თავისებურებებზე თავად მედიუმი დიდ გავლენას ახდენს და, შესაბამისად, განაპირობებს მის პოპულარობასა და პოტენციური მყიდველის დარწმუნების ხარისხს. მაგალითად, სატელევიზიო, ინტერნეტულ და რადიორეკლამაში მუსიკის ფაქტორი თამაშობს დიდ როლს, თუმცა თუ ამ მედიუმებს შევადარებთ, სატელევიზიო და ინტერნეტულ რეკლამას მრავალფეროვნების ფართო დიაპაზონი აქვს, რადგან მუსიკასთან ერთად გამოსახულებისა და სხვა ვიზუალური რიტორიკული საშუალებების ინკორპორაციას ახდენს. ამ მედიუმებისგან განსხვავებით, საგაზეთო და საყურნალო რეკლამა ნაკლებ მრავალფეროვნებას ამჟღავნებს, თუმცა გარკვეულწილად უპირატესობითაც სარგებლობს, რადგან ბეჭდური რეკლამა უფრო დიდ ხანს რჩება პოტენციური მყიდველის თვალწინ და უფრო ხშირად ახსენებს თავს მას (ქუქი, 2001). რეკლამის კლასიფიკაცია ასევე მართებულია **პროდუქტის ან რეკლამირებული სერვისის მიხედვით**. პროდუქტის რეკლამაში თავის მხრივ გამოიყოფა ფუფუნების საგნები: კოსმეტიკური საშუალებები, აქსესუარები, ბრენდული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი და სხვა; საყოფაცხოვრებო საქონელი: ტექნიკა, მანქანები, მობილური ტელეფონები, ავეჯი და სხვა; საკვები პროდუქტები; გასართობი საშუალებები: რესტორნები, კლუბები, მობილური აპლიკაციები და სხვა. თუმცა ხშირად ვხვდებით რეკლამას, რომელიც არა პროდუქტისა და მომსახურების სარეკლამო კამპანიას ეწე-

---

<sup>5</sup> იგულისხმება მუსიკალური რგოლები, ანიმაცია, ფოტოგამოსახულება და ტექსტი.

<sup>6</sup> სიტყვა „მედიუმი“ ნაშრომში გამოყენებულია, როგორც გავრცელებული ტერმინი — მასობრივი მედია მხოლობით რიცხვში და აღნიშნავს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ფორმას (ტელევიზია, რადიო, გაზეთი და ა. შ.).

ვა, არამედ **გარვეული კონცეპტის**: მაგ. საქველმოქმედო, პოლიტიკური, საკანონმდებლო (მაგ. მანქანებში ღვედის გაკეთების აუცილებლობის კანონის შემოსვლათან ერთად ტელევიზიით გავრცელებული რეკლამები და ა. შ.).

რეკლამის კლასიფიკაციას ვხვდებით ასევე მასში გამოყენებული ტექნიკის მიხედვით, კერძოდ, ე.წ. **hard sell** და **soft sell**<sup>7</sup>; ბერნშტაინის მიხედვით, შესაძლებელია რეკლამის ტექნიკის კლასიფიკაცია **მიზეზისა** (reason) და **დადებითი იუმორული ელფერის** მიხედვით (tickle) (ბერნშტაინი, 1974).

მიზეზი მომხმარებელს ყიდვის მოტივებს სთავაზობს, მაგალითად, ჭურჭლის სარეცხი საშუალების **Fairy Platinum**-ის რეკლამა, რომელიც აუდიტორიას უხსნის თუ როგორ ასუფთავებს იგი ნიჟარას 10 წუთში და როგორ ამორებს ღრმად ჩამჯდარ ცხიმს.<sup>8</sup> რაც შეეხება დადებითი იუმორული ელფერის მქონე რეკლამებს, ისინი ადამიანის ემოციებს, ასე ვთქვათ, „ელამუნება“, კერძოდ, იუმორისტული ან რაიმე სხვა პოზიტიური დატვირთვისაა. მაგალითად, სიგარეტის რეკლამები, რომლებიც ვერანაირ სხვა მიზეზს ვერ სთავაზობენ მაყურებელს, თუმცა ხშირ შემთხვევაში იუმორისტული, ან სხვა ემოციის გამომწვევია. მაგ., **Pal Mall**-ის რეკლამა, სადაც სიგარეტის მოწვევა სექსუალურ აქტის ასოციაციას იწვევს და, შესაბამისად, მისი მოწვევა მამაკაცურობასთან ასოცირდება (<http://youtu.be/fq6B2GXhEqc>). ასევე სიგარეტის — **Newport**-ის რეკლამა, სადაც შუახნის მამაკაცს დაძაბულსიუჟეტოანი ფილმის ყურებისას ჩასთვლიდა და ამასობაში მოეჩვენა, თითქოს ახალგაზრდა მხიარულმა წყვილმა პირდაპირ ტელევიზორიდან მიაწოდა მას სიგარეტი, სიტყვებით „Newport tastes smoot-

---

<sup>7</sup> **Hard Sell** — რეკლამის ტექნიკა, რომელიც პირდაპირი და აგრესიული გზებით ცდილობს პოტენციური მყიდველის დარწმუნებას. მაგ. კადრში ვხვდავთ ოფიციალურად ჩაცმულ მამაკაცს, რომელიც ხალიჩების წინ დგას და მომხმარებელს ეუბნება, თუ როგორი მაღალი ხარისხის, იაფი და სანდოა მის უკან წარმოდგენილი პროდუქცია და პირდაპირ მოუწოდებს მას, იყიდოს ხალიჩა.

**Soft Sell** — რეკლამის ტექნიკა, რომელიც არაპირდაპირი და შედარებით ნაკლებად აგრესიული გზებით ცდილობს მაყურებლის დარწმუნებას, იყენებს იმპლიკაციას იმის შესახებ, თუ როგორ გაუმარტივდება მას ცხოვრება პროდუქტის შეძენის შემდეგ.

<sup>8</sup> <http://www.youtube.com/watch?v=EnxHrSNuozQ> – nanaxia 15.07.2013: 3:06

her“, შესაბამისად, მამაკაცი კარგ გუნებაზე დადგა და წამიერად გადაავიწყდა დაძაბულობა (<http://youtu.be/SAWkya3jYCE>) ამ რეკლამაში სიგარეტის მოწვევის ლოგიკური მიზეზი, მართალია, არ ფიგურირებს, თუმცა იუმორული და სასიამოვნო ფსიქო-ემოციური ფონის შექმნით მყურებელს სთავაზობს კარგ განწყობაზე ყოფნის ერთ-ერთ საშუალებას.

რეკლამის ტექნიკას მიეკუთვნება ასევე ე.წ. **slow drip** და **sudden burst** ტიპის რეკლამები, რომლებიც არა შინაარსის, არამედ მისი პერიოდულობისა და გაშვების სიხშირის მიხედვით განსხვავდება. დაახლოებით იგივე სურათია ე.წ. **short copy** და **long copy** ტიპის რეკლამებთან, რომლებიც განსხვავდება მრავალსიტყვიანობა, მცირესიტყვიანობის მიხედვით (ბრირლეი, 1995). აღსანიშნავია, რომ რეკლამის სხვადასხვა ტექნიკა სხვადასხვა კომუნიკაციის მედიუმის შესაბამისია და თანაბრად ეფექტური შეიძლება იყოს სხვადასხვა გარემოებაში (მაიერს, 1999), თუმცა თავად რეკლამის შემქმნელების აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია რეკლამის კლასიფიკაცია მომხმარებლის მიხედვით (ბრირლეი, 1995). სარეკლამო ინდუსტრიის წარმომადგენლები უამრავ დროსა და ფულს ხარჯავენ პოტენციური მომხმარებლების კატეგორიზაციაზე და შემდეგ თავიანთ პროდუქტს სწორედ ამ კატეგორიებზე თვლიან. მომხმარებლის კატეგორიზაციის ტექნიკა საკმაოდ მრავალფეროვანია დაწყებული გამოკითხვებით და ფოკუს ჯგუფებით დამთავრებული თანამედროვე ინტერნეტული მეთოდებით (მაგ. ე.წ. **cookies**), რომლებიც ნანახი საიტების შესახებ ინფორმაციას უკან გზავნიან სერვერზე. მომხმარებლის კატეგორიები განსხვავდება სხვადასხვა დემოგრაფიულ-სოციალური ფაქტორების, მაგ. ასაკობრივი, გენდერული, რასობრივი, ჯგუფებისა და სოციალური სტატუსის მიხედვით (ქუქი, 2001).

ზემოთ განხილული რეკლამის კლასიფიკაციის კრიტერიუმები — მედიუმი, პროდუქტი, ტექნიკა, სიგრძე-სიმოკლე და სიტყვების რაოდენობა, როგორც აღვნიშნეთ, პირობითია და ურთიერთმოქმედი, თუმცა აშკარად განაპირობებს მის, როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთ საინტერესო ყანრად ნომინაციას.

უნდა აღინიშნოს, რომ რეკლამის ყანრად იდენტიფიცირება, თავისი კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, საწინააღმდეგო მოსაზ-

რებებს იწვევდა დისკურსის ანალიზის ადრეულ ეტაპზე. თუმცა დღესდღეობით აღარავინ დავობს იმის შესახებ, რომ რეკლამა რთული ჟანრია. აქვე საინტერესოა ჟანრის იდენტიფიკაციისთვის საჭირო ფაქტორების განსაზღვრა და დადასტურება. ტერმინი „„ჟანრი““ დისკურსის ანალიტიკოსებმა „ისესხეს“ ლიტერატურათმცოდნეობის დარგიდან (ქუქი, 2001) და როგორც სუეილსი (სუეილსი, 1990) განმარტავს, „„ჟანრი კომუნიკაციური მოვლენებისგან შემდგარი კლასია, რომლის წევრებიც იზიარებენ მთელ რიგ კომუნიკაციურ მიზნებს“. ანუ ჟანრი კომუნიკაციური მეტყველების ერთ-ერთი კატეგორიაა, რომელიც კომუნიკაციური აქტის შემადგენელი ელემენტია შემდეგ კომპონენტებთან ერთად: სიტუაცია, მონაწილეები, აქტები, მესიჯი, ინსტრუმენტალობა, ნორმები (ჰაიმსი, 1972).

რეკლამაც კომპლექსური ხასიათისაა და შეიცავს ლინგვისტურ, ექსტრა-ლინგვისტურ და პარალინგვისტურ ელემენტებს. ეს ყოველივე შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: რეკლამის დისკურსი შეიცავს ტექსტს და კონტექსტს, ეს უკანასკნელი კი შედგება შემდეგი ელემენტებისგან (ქუქი, 2001).

1. მასალა — რეკლამის ფიზიკური მასალა.
2. მუსიკა და სურათები.
3. პარაენა — ხმა, ქესტიკულაცია, ასოების ზომა, ტიპი და ა.შ.
4. სიტუაცია — დისკურსში მონაწილეთა მიერ საგნებისა და ხალხის ურთიერთობის ტექსტის სივრცეში აღქმა.
5. თანატექსტი — ტექსტი, რომელიც წინ უსწრებს ან მიჰყვება მოცემულ ტექსტს.
6. ინტერტექსტი — ტექსტი, რომელიც მონაწილეთა მიერ აღიქმება როგორც სხვა დისკურსი, მაგრამ რომელიც გავლენას ახდენს მონაწილეთა მიერ მოცემული მესიჯის ინტერპრეტაციისა და განხილვის პროცესზე.
7. დისკურსის მონაწილეები: ინფორმაციის გამგზავნი, მიმღები, ადრესტები და ადრესანტები.
8. ფუნქცია — რა არის ტექსტის ინტენცია ინფორმაციის გამგზავნებისა და ადრესანტების მეშვეობით ან რა აღიქმება მიმღებებისა და ადრესანტების მიერ.

ამ ჩამონათვალის ფონზე შეიძლება განვიხილოთ რეკლამის დისკურსი, როგორც ტექსტისა და კონტექსტის ურთიერთობა, რომელსაც მონაწილეები შინაარსის მქონე ერთ მთლიანად აქცევენ. მონაწილეებს ქუქი (ქუქი, 2001) მოიხსენიებს როგორც არა მარტო დისკურსში მონაწილეებად, იმავედროულად დამკვირვებლებდაც. მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი მკვლევრებისა რეკლამის დისკურსს დამარწმუნებელ დისკურსად მიიჩნევს, ქუქი (ქუქი, 1995) მის სხვა ფუნქციებსაც განიხილავს და ინტერესის სფეროში აქცევს. ასე მაგალითად, გართობა, ინფორმაციის მიწოდება, გაფრთხილება და ა. შ., რომელთა შორის ემოციური და ფატიკური ფუნქციები განსაკუთრებით საყურადღებოა. რეკლამის დისკურსის ეს შემადგენელი კომპონენტები თავის მხრივ უფრო დიდ რთულ კომპლექსურ ფენომენს ქმნიან, რომელსაც ქუქი ჰოფმანის მიხედვით უწოდებს დისფლეს. აქ ხორციელდება ადრესატსა და რეკლამაში რეალიზებული სიტუაციის იდენტიფიკაციის პროცესი, რომელშიც ოთხი „სამყარო“ მონაწილეობს: ა) ინფორმაციის გამგზავნის სამყარო, სადაც პროდუქტი იქმნება. ბ) ფიქტიური სამყარო, სადაც პერსონაჟები წარმოადგენენ პროდუქტს ან მასთან ასოცირებულნი არიან. გ) მიმღების ფანტაზიის სამყარო. დ) მიმღების რეალური სამყარო. ამგვარი 4 კომპონენტის ურთიერთობის ფონზე გამგზავნის მთავარი ინტენცია არის პროდუქტის „შეგდება“ ფანტაზიისა და ფიქტიური სამყაროების გავლით პოტენციური მყიდველის რეალურ სამყაროში. ამ ინტენციის გასახორციელებლად მაქსიმალურად დიდი კონტაქტია საჭირო ფანტაზიისა და ფიქტიურ სამყაროებსა და გამყიდველ-მყიდველის რეალურ სამყაროებს შორის. სწორედ ამ ურთიერთობის გადაკვეთაზე მოცემული მიზნის მისაღწევად რეკლამა მრავლად იყენებს ტექსტუალურ-თანმიმდევრულ სტრატეგიებს. და მართლაც, ენის კრეატიული მანიპულაცია, განუსაზღვრელობისა და ბუნდოვანების გამოყენების შესაძლებლობა და პიროვნული დამოკიდებულება თუ ემოციური განცდები (აფექტური, შემფასებლური, ესთეტიური ფუნქციები) რეკლამის დისკურსს, ვფიქრობთ, მხატვრულ დისკურსთან აახლოებს.

## ლიტერატურა

**ქუქი, 2001** — G. Cook, The Discourse of Advertising, Taylor and Francis Group and Routledge, London and New York, 2001.

**ლაპსანსკა, 2006** — Jana Lapsanska, The Language of Advertising with the concentration on the linguistic means of and the analysis of advertising slogans, 2006, Bratislava

**ეფინგერი,** — Sandra Effinger, Rhetoric for beginner, using advertisements to introduce rhetoric, web-site: <http://www.mseffie.com>

**ბერნშტეინი, 1974** — D Bernshtein, Creative Advertising, Longman, London, 1974.

**ბრიერლი, 1995** — S. Brierley, The Advertising Handbook, Routledge, London, 1995

**მაიერსი, 1999** — G. Myers, Ad Worlds: Brands, Media, Audience, Arnold, London, 1999

**სუელისი, 1990** — J. Swales, Genre Analysis, Cambridge University Press, Cambridge, 1990

**ჰაიმსი, 1972** — D Hymes, On Communicative Competence, <http://humanidades.uprrp.edu/smjeg/reserva/Estudios%20Hispanicos/espa3246/Prof%20Sunny%20Cabrera/ESPA%203246%20%20On%20Communicative%20Competence%20p%2053-73.pdf>

NINO JOJUA

### Towards Some Peculiarities of Advertising Discourse

#### Summary

Advertisements are essential elements of modern world; therefore, their multilevel investigation is of particular significance today. The paper discusses some peculiarities of advertisement as a sample of persuasive discourse, and aims to identify its genre boundaries. Being of complex nature, the advertisement is construed by means of various linguistic-textual strategies, adroit representation of vagueness and indefiniteness. The efficiency of advertising discourse can be explained by the addressor's



intentions as well as the aesthetic function of advertisements; these features make advertisements closer to literary discourse.

On the basis of scholarly literature and the analysis of the data the paper suggests the following criteria for advertisement classification: **a) According to the use of multiplatform symbols and different types of mass media.** e.g. advertisements used in journals and newspapers, radio, TV internet, leaflets etc. **b) According to the product or service advertised.** For instance, luxury and cosmetic products, accessories, brand clothes and shoes etc. Also, commodity products: technology, vehicles, mobile phones, furniture etc. food products, entertaining facilities such as, restaurants, clubs, mobile applications and others. **c) Concept-promoting advertisements, viz.:** charitable, political, legislative etc. **d) According to the advertising technique,** i.e. the so-called hard sell or soft sell; **e) According to the frequency and intensity of advertising.**

## სარჩევი

ე. ანთია — სოფელ ჭკადუაშის ტოპონიმთა კლასიფიკაცია მოტივაციის მიხედვით .....	3
ც. ახვლედიანი — ფრაზეოლოგიური მეტაფორის თავისებურებანი ბელგიურ ფრანგულში .....	7
მ. გიორგაძე — სიტყვათა თამაშის ჟანრობრივი მახასიათებლები .....	11
ნ. დარასელია — მეტაფორის ქმნადობა ჩ. დიკენსის რომანში „ორი ქალაქის ამბავი“ .....	21
ი. დემეტრაძე — საყვედური, როგორც „სახის შემლახველი“ სამეტყველო აქტი .....	32
ნ. ვასაძე — ინგლისური პოლიტიკურად კორექტული ტერმინების წარმოება ლექსიკური ერთეულის “challenge” გამოყენებით .....	37
ნ. ივანელაშვილი, ნ. ტალახაძე — სიტუაციური დისკურსი არაქართულენოვან აუდიტორიაში .....	47
დ. კირთაძე — კალენდარული და არაკალენდარული პირის სახელები V-X სს-ის ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიულ ძეგლებში .....	51
მ. ლაბარტყავა — „რომელი“ კითხვითი ნაცვალსახელი სუბსტანტიურ მსაზღვრელთან .....	57
თ. ლომთაძე — ქართველ ებრაელთა მეტყველების სტატუსისა- თვის .....	65
ნ. ოთინაშვილი — ტოპონიმებისა და ანთროპონიმების შედარებითი ანალიზი ქსნის ხეობაში .....	76
მ. რუსიეშვილი, რ. დოლიძე — ექვრანა და მისი აღქმის თავისებურებები .....	81
მ. საღლიანი, ლ. გიგლემიანი — 2012 წელს სსიპ ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის — რუსთაველის მიერ დაფინანსებული საგრანტო თემასთან დაკავშირებით	

ჩატარებული წლიური მუშაობის ანგარიში.....	92
ვ. ფურცელაძე — ალფორიის ლინგვისტური რეალიზაციის ზოგიერთი თავისებურება.....	100
ბ. ფხაკაძე — დიალექტურ ერთეულთა ფუნქცია ფორუმულ დისკურსში.....	114
მ. დამბაშიძე — ნაწილაკები როგორც გამონათქვამის ილოკუციის და ინტენსიურობის მოდიფიკატორები.....	121
გ. ყუფარიძე, ც. ახვლედიანი — ფრანგული და ინგლისური ენების ფრაზეოლოგიზმთა ეტიმოლოგია.....	134
ბ. ჭუმბურიძე — ზმნისწინთა სიტყვაწარმოებითი დანიშნულებით გამოყენების შემთხვევები მხატვრულ ლიტერატურასა და დიალექტებში.....	143
ლ. ხაჭაპურიძე, ლ. ავალიანი — ქართულ-არაბული ლონგოკულტურული პარალელები (დალოცვა-წყევლის ფორმულების მიხედვით).....	149
რ. ჯაფარიძე — ზოგი რამ სინესთეზიის შესახებ.....	154
რ. ჯაფარიძე — რამდენიმე კონცეპტუალური მეტაფორა ინგლი- სურსა და ქართულში.....	165
ბ. ჯოჯუა — რიტორიკის ზოგიერთი ფიგურის შესახებ რეკლამის ენაში.....	176
ბ. ჯოჯუა — რეკლამის დისკურსის ზოგიერთი თავისებურების შესახებ.....	184

## CONTENT

E. Antia – Motivation-Based Classification of the Toponyms of the Village of Chkadua.....	6
TS. Akhvlediani – Peculiarities of Phraseological Metaphors in Belgian French.....	10
M. Giorgadze – Textual Functions of Wordplay.....	20
N. Daraselia – taphor Creation in Ch. Dickens’ Novel <i>A Tale of Two Cities</i> .....	31
I. Demetradze – Reproach as a Face Threatening Act.....	36
N. Vasadze – Formation of English Politically Correct Terms with the Lexical Unit <i>challenge</i> .....	46
N. Ivanelashvili, N. Talakhadze – Situational Discourse in a Non-Georgian Audience.....	50
D. Kirtadze – Christian and Non-Christian Personal Names in the Original Georgian Hagiographic Works of the 5-10 <sup>th</sup> Centuries.....	56
M. Labartkava _ The Georgian Interrogative Pronoun <i>romeli</i> (which) with a Substantive Modifier.....	64
T. Lomtadze – Towards the Status Of the Speech of Georgian Jews.....	75
N. Otinashvili – A Comparative Analysis of Toponyms and Anthroponyms of the Ksani Valley.....	80
M. Rusieshvili, R. Dolidze – Ekphrasis and Ways of its Perception.....	91
M. Sagliani, L. Giglemiani – Account of the Annual Work on the Grant Project Theme Financed by Rustaveli Foundation in Kartvelology, Humanities and Social Sciences in 2012.....	99
V. Purtseladze – Some Peculiarities of Linguistic Realization of Allegory.....	113

N. P k h a k a d z e – Functions of Dialectal Elements in Forum Discourse .....	120
M. G h a m b a s h i d z e – Particles as Modifiers of the Illocutionary Force and Intensity of an Utterance .....	133
G. K u p a r a d z e , T S . A k h v l e d i a n i – Etymology of French and English Phraseological Units .....	142
N. C h u m b u r i d z e – Instances of Word-building Use of Preverbs in Literary Works and Dialects .....	148
L. K h a c h a p u r i d z e , L. A v a l i a n i – Georgian-Arabic Linguocultural Parallels (on the material of blessing and cursing formulas) .....	152
R. J a p a r i d z e – Some Points On Synesthesia.....	164
R. J a p a r i d z e – Some Conceptual Metaphors in English and Georgian .....	175
N. J o j u a – Towards Some Rhetorical Figures in the Language of Advertising .....	183
N. J o j u a – Towards Some Peculiarities of Advertising Discourse .....	192